

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიის ინსტიტუტი

გვანცა ვაჩაძე

ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკა კოლხეთში და ინტერკულტურული
ურთიერთობები (ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი)

არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

სრული პროფესორი ვახტანგ ლიჩელი

თბილისი

2018

**ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკა კოლხეთში და ინტერკულტურული
ურთიერთობები
(ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი)**

შინაარსი

შესავალი (კვლევის აქტუალობა, საგანი და ამოცანები)	4-6
თავი I. ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების კვლევის ისტორიისათვის	7-16
თავი II. არქეოლოგიური კონტექსტი	17-18
§2. 1 კოლხური კოლექტიური სამაროვნები.....	18-24
§2. 2 შემთხვევითი აღმოჩენები	24-26
§2.3 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების ტოპოგრაფია.....	26-29
თავი III. ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების ანალიზი	
§3. 1 კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა და აქ გავრცელებული ცხოველთა სახეები.....	30-32
§3. 2 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების კლასიფიკაცია.....	32-35
§3. 3 ხარების ფიგურები.....	35-43
§3. 4 მხედრების ფიგურები.....	44-51
§3. 5 ცხენების ფიგურები.....	51-52
§3. 6 სხვადასხვა ცხოველთა ფიგურები.....	52-56
§3. 7 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების სტილისტური ანალიზი.....	56-71
§3. 8 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების დამზადების ტექნიკა და საწარმო საწარმოო სახელოსნოები.....	72-81
§3. 9 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების ქრონოლოგია.....	81-92
§3. 10 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების სემანტიკა.....	92-101
თავი IV. I. ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურები საბერძნეთიდან	
§4. 1 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების არქეოლოგიური კონტექსტი.....	102-113
§4. 2 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების ბერძნული სახელოსნოები.....	113-122

§4. 3 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების ქრონოლოგია.....	123-125
§4. 4 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების გამოყენება.....	125-131
§ IV. II. ცხოველზე გვერდულად მდჯომარე მხედრების ბრინჯაოს ფიგურები ჩრდილო კავკასიიდან	132-133
§ IV. III. ცხოველზე გვერდულად მდჯომარე მხედრების ბრინჯაოს ფიგურები ლურისტანიდან.....	133-135
თავი V. კოლხეთი და გარესამყარო ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში.....	136-148
დასკვნა.....	148-154
დანართი I. კატალოგი.....	155-162
დანართი II. ცხრილები.....	163-166
ბიბლიოგრაფია.....	167-184
ტაბულების აღწერილობა.....	185-186
ტაბულები.....	187

შესავალი

კვლევის საგანია კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებული ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურები ხარის, ცხენის, შველის, ავაზის, ვერძის, ცხენზე მჯდომარე ადამიანებისა და რამოდენიმე დაუდგენელი ცხოველის გამოსახულებებით.

ბრინჯაოს ცხოველთა ქანდაკებების დიდი ნაწილი მოპოვებულია კოლხური კოლექტიური სამაროვნების სხვადასხვა სამარხულ კომპლექსებში, ნაწილი კი შემთხვევითაა აღმოჩენილი, ყოველგვარი არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე.

ნაშრომში წარმოდგენილი ბრინჯაოს ცხოველთა სკულპტურების სპეციფიური სტილი და მათი ინოვაციური გამოჩენა კოლხეთში სპეციალურ ინტერესს იწვევს, რამდენადაც, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის, შემდგომ კი კლასიკური პერიოდის კოლხური მატერიალური კულტურისათვის ამ ტიპის ფიგურების აღმოჩენა ნაკლებად არის დამახასიათებელი.

დასახელებული ჯგუფის ქანდაკებებს დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა მეცნიერი შეეხო. ნივთების ამ ჯგუფის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილმა ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის ქანდაკებამ, რომელსაც ხელში ბავშვი უჭირავს და იკონოგრაფიულად ახლო მსგავსებას ავლენს მუხურჩის ქვედა დასაკრძალავ მოედანსა და მოგვიანებით, ცაიშის N1 კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილ მხედარი ქალის ქანდაკებებთან. აღნიშნული საკითხი ინტერესს იწვევდა როგორც კოლხეთის, ისე საბერძნეთის არქეოლოგიის მკვლევართა შორის (მიქელაძე 1985, 62-64; ლორთქიფანიძე 2002, 188-190; პაპუაშვილი 2010, 46 - 58; Schweitzer 1969,193; Rolley, 1967, 5 pic. 16; Jantzen 1972, 80-84; Heilmeyer 1979, pic. 310; Voyatzis 1992 259-279; Bouzek 1997, 144; 190; Licheli, 2008, 221 – 240, Kunze, Schleif 1944, 106-107).

მიუხედავად ამისა, დღემდე, ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებები სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ამ გარემოებას ემატება ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე კოლხური კოლექტიური სამაროვნების შესწავლის შედეგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცხოველთა ბრინჯაოს სკულპტურების რიცხვი წინა წლებთან შედარებით გაორმაგდა.

მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ცაიშის N1 სამარხში 2005-2007 წლებში აღმოჩენილი ხარის ცხრა და ქალი მხედრების სამი ფიგურა (პაპუაშვილი 2015, 23-24), 2015 წელს ერგეტას მეორე სამაროვნის N11 სამარხში მოპოვებული ხარისა და დაზიანებული ცხოველის ორი სკულპტურა (Папуაშვილი ... 2016, 200), მახვილსაურის კოლხურ კოლექტიურ სამარხში 2015 წელს აღმოჩენილი ცხოველზე გვერდულად მჯდომი ქალი მხედრის ქანდაკება (კახიძე...2017, 85-87) და დამატებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და სამხარეო მუზეუმების¹ ფონდებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილი რამოდენიმე შემთხვევით აღმოჩენილი ფიგურები, რომლებიც ბოლო დრომდე გამოუქვეყნებელი იყო და სამეცნიერო დისკუსიის მიღმა რჩებოდა.

ამდენად, პირველად, ნაშრომში სრულად არის თავმოყრილი ამ ეტაპზე ცნობილი, კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებების კრებული. განხილულია ცხოველთა ფიგურების არქეოლოგიური კონტექსტი, დადგენილია მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი და ტოპოგრაფია. ფიგურების სტილისტური ანალიზისას გამოკვლეულია მათი მიმართება ადგილობრივ კოლხურ ზოომორფულ პლასტიკასთან, ისევე, როგორც მომიჯნავე რეგიონების არქეოლოგიურ კულტურებში გავრცელებულ ცხოველისგამოსახულებიან პლასტიკასთან. განსაზღვრულია მათი სავარაუდო ლოკალური სახელოსნო ცენტრები და სემანტიკა.

კოლხეთის გარესამყაროსთან ურთიერთობების კვლევისას კოლხურ კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილი, ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალი მხედრების სკულპტურების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმავე არქეოლოგიურ კონტექსტში მოპოვებულ სხვადასხვა ცხოველის ბრინჯაოს მრგვალ ქანდაკებებსაც, რომელთა მაგალითზე, ორ საკმაოდ დაშორებულ რეგიონში,

¹ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების სრული კოლექციის თავმოყრისა და ნივთების ადგილზე მონახულების მიზნით მივლინებითი სამუშაოები ჩავატარე შემდეგ მუზეუმებში: საქართველოს ეროვნული მუზეუმი; გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული მუზეუმი; ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი; საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმი; ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმი; საქართველოს ეროვნული მუზეუმი - სვანეთის მუზეუმი; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; ცაგერის ისტორიული მუზეუმი; ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;

კოლხეთსა და საბერძნეთში, დასტურდება ერთი და იგივე სტილის მქონე იკონოგრაფიული გამოსახულება.

კოლხეთში ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკებების გამოჩენის გარემოება და მათზე გარე იმპულსების შესაძლო გავლენა, განხილულია იმხანად არსებული ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. კოლხეთსა და საბერძნეთში გეომეტრიული ხანისათვის გავრცელებული ბრინჯაოს პლასტიკის ურთიერთმიმართების საკითხებზე მსჯელობისას, პარალელურად მოყვანილია საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრში აღმოჩენილი ზოომორფული სკულპტურების არქეოლოგიური კონტექსტი, ისევე, როგორც მათი ქრონოლოგიური შკალა, ფუნქციური დანიშნულების საკითხები, რაოდენობრივი მონაცემები და სახელოსნო ცენტრები.

ამდენად, ნაშრომში კოლხური და ბერძნული ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშების ურთიერთმიმართების საკითხები გაანალიზებულია ორმხრივი მონაცემების შეჯერების საფუძველზე, არა მხოლოდ ერთი რომელიმე ნივთის, არამედ ცხოველთა მრგვალი ქანდაკებების სრული კრებულის გათვალისწინებით.

კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების გაზრდილი რაოდენობის, ისევე როგორც, გეომეტრიული პერიოდის ბერძნული არქეოლოგიური მასალის შესახებ არსებული ახალი კვლევების გაცნობის შედეგად, შესაძლებელი ხდება ისტორიული რეალობის უკეთ რეკონსტრუქცია და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრისათვის ლითონის მოხელეთა საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებში კოლხეთის ჩართულობის მეტი სიცხადით განსაზღვრა.

თავი I. ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების კვლევის ისტორიისათვის

მკ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული ქანდაკებები დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, თუმცა ამ მხატვრულ წრეში შემავალ ცალკეულ ფიგურებს დროთა განმავლობაში სხვადასხვა ნაშრომში არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარი შეეხო. განსაკუთრებულად დიდი ინტერესის საგანი გახდა კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკება მხედარი ქალისა, რომელიც ცხენზე გვერდულად ზის და ხელში ბავშვი უჭირავს. განხილვის საგანი არაერთხელ გამხდარა ბრინჯაოს ხარის ფიგურებიც.

თ. მიქელაძე 70 - იან წლებში მუხურჩაში აღმოჩენილ ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალღვთაების ფიგურას, 1991 წელს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ეგრეტას III-ე სამაროვნის N4-ე სამარხში აღმოჩენილ ცხენზე მჯდომარე ქალღვთაებასთან და ურეკის მესამე სამარხში აღმოჩენილ ბავშვიანი ქალის ფიგურასთან ერთად განიხილავს (Mikeladze 1995, 17). ურეკის ქანდაკებას მკვლევარი თავისმხრივ კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილ, ცხენზე გვერდულად მჯდომარე ბავშვიან ქალღვთაებას უკავშირებს. ავტორის აღნიშვნით ორივე სკულპტურა ერთგვარი მიამიტური, ე.წ. „ბავშვური“ სტილით არის შესრულებული და რომ არა ცხენი, სამოსისა და ურეკის ცალებს შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ერთის მხრივ ამგვარი ქანდაკებები სხვაგან არსად არის დამოწმებული, ხოლო ურეკის ქანდაკება დოკუმენტურადაა დაფიქსირებული კოლხურ სამარხეულ კომპლექსში, თ. მიქელაძეს სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილი ქანდაკება ქალი მხედრისა არა ზოგად კავკასიურად, არამედ კოლხურ ნაწარმად მიაჩნდა (მიქელაძე 1985, 62-63). სამოსელ მხედარსა და მუხურჩასა და ეგრეტაში აღმოჩენილ ღვთაებებს შორის, იკონოგრაფიულად, კომპოზიციურად და შესრულების მანერით, ავტორი ასევე ხედავს მსგავსებას. დასახელებულ ნივთებს თ. მიქელაძე სკულპტურული აზროვნების ერთსა და იმავე, კოლხურ წრეს მიაკუთვნებს და ამის დასტურად სამოსის ფიგურასთან ერთად, დამატებით, კოლხური ტიპის ნივთების აღმოჩენის ფაქტს მიიჩნევს (Mikeladze 1995,17). თ. მიქელაძე ქალების ქანდაკებებს ზოგადად დიდი

დედის კულტს უკავშირებს (Микеладзе, 1990, 64) და მათ ღვთაება რეა კიბელას კოლხურ ვარიანტებად მოიაზრებს. ამის პარალელურად მჭოყავს ცნობა არიანესი, რომელიც იუწყება, რომ კოლხეთის ქალაქ ფასისში მან იხილა ქალღვთაების ქანდაკება რომელიც გამოსახული იყო მწოლიარე ლომებთან ერთად, სავარძელში მჯდომარე, ხოლო ხელში წინწილა ეჭირა. ღვთაება მსგავსი იყო ფიდიასის რეას ქნდაკებისა, რომელიც ათენში იყო განთავსებული (Mikeladze 1995, 20-21).

ო. ლორთქიფანიძე კოლხურ კოლექტიურ სამარხთა ინვენტარში აღმოჩენილ რეგიონისათვის დამახასიათებელ არქეოლოგიურ ინვენტართან ერთად, უჩვეულო მასალაში ძვ.წ. VIII-ე საუკუნის II-ე ნახევრითა და ძვ. წ. VII-ე საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ანთროპომორფულ ფიგურებს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სიახლედ მიიჩნევდა (Lordkipanidze 2001, 14-23). მუხურჩაში აღმოჩენილ ცხენზე გვერდულად მჯდომ ქალის ქანდაკებასა და კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილ მხედარს შორის მკვლევარი ახლო მსგავსებას ხედავდა და საერთო ელემენტების არსებობის საფუძველზე სამოსში აღმოჩენილ მხედრის ფიგურას კოლხეთიდან იმპორტირებულ ნაწარმად თვლიდა (Lordkipanidze 2001, 24-25). ო. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ სამოსის მხედრისა და ურეკის მჯდომარე ქალის ქანდაკებების მსგავსი ნიმუშები საერთოდ არაა ცნობილი ირანიდან და წინა აზიური სამყაროდან, ხოლო მუხურჩისა და სამოსის მხედრის ქანდაკებებს შორის მსგავსება დიდია (ქალის თავის სწორკუთხა მოყვანილობა, მაღალი ყელი, ყელსაბამი, უნაგირი, ცხენის უჩვეულოდ გრძელი კისერი), „*მხარს უჭერს ამ უკანასკნელის კოლხურ წარმომავლობას თუ არა, ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ბერძნულ - კოლხური კონტაქტების არსებობას*“ (ლორთქიფანიძე 2002, 189-190). ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაციის მიხედვით ო. ლორთქიფანიძე სამოსის ბრინჯაოს მხედრის კოლხურ წარმომავლობას დამტკიცებულად არ მიიჩნევდა (ლორთქიფანიძე 2010, 46).

რ. პაპუაშვილმა 2005 წელს ცაიშის N1 კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილ ცხენზე გვერდულად მჯდომარე ბრინჯაოს ანთროპომორფულ პლასტიკას საგანგებო სტატია მიუძღვნა, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი თითოეული არტეფაქტი, მოცემულია ნივთების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, დადგენილია მათი

გავრცელების არეალი და დაკონკრეტებულია ქრონოლოგია. მეცნიერის გამოკვლევით, ქალღვთაებათა გამოსახულებები ბავშვით ხელში, ფეხზე მდგომი ან მჯდომარე პოზაში, ცნობილია მხოლოდ კოლხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო ცხენზე მოთავსებულ სავარძლებში უბავშვოდ, დასტურდება კოლხეთში, ჩრდილო კავკასიასა და კონტინენტურ საბერძნეთშიც. ამრიგად ოთხივე ჯგუფის გამოსახულებანი მხოლოდ კავკასიაშია დადასტურებული. ამგვარი ქანდაკებების აღმოჩენის ადგილისა და მათი გეოგრაფული განაწილების გათვალისწინებით რ. პაპუაშვილი კოლხეთს ჩრდილოეთ კავკასიასა და ეგეოსურ სამყაროს შორის თავისებურ ხიდად, დამაკავშირებელ რგოლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად მცირე სხვაობისა, სამოსის მუხურჩისა და ცაიშის ბავშვიან ღვთაებათა მსგავსება იმდენად დიდია, რომ მათი საერთო ცენტრიდან წარმომავლობა დიდი ეჭვის საფუძველს არ უნდა ბადებდეს (პაპუაშვილი 2010, 50-51). ცაიშში მოპოვებული ანთროპომორფული ქანდაკებები კიდევ ერთ მატერიალურ დადასტურებად უნდა იქნეს მიჩნეული ეგეოსური სამყაროს უშუალო ურთიერთობისა კოლხეთთან (პაპუაშვილი 2010, 46-58; პაპუაშვილი 2015, 23). უკანასკნელი ნაშრომის მიხედვით ჯერ მუხურჩისა და შემდეგ კი ცაიშის აღმოჩენებზე დაყრდნობით რ. პაპუაშვილი სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილი ცხენზე ქალურ სავარძელზე მჯდომ ღვთაებას, სხვა სახის კოლხურ ნივთებთან ერთად, კოლხეთიდან იმპორტირებულ ნაწარმად მიაჩნევს (პაპუაშვილი 2017, 72-73).

ვ. ლიჩელი სამოსში აღმოჩენილ ცხენზე მჯდომარე ქალის ქანდაკების განხილვისას აღნიშნავს, რომ მეცნიერთა შორის მოსაზრება ნივთის კოლხური წარმომავლობის შესახებ მეტნაკლებად მიღებულია, თუმცა მთავარი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მიაღწია მხედრის ფიგურამ კუნძულ სამოსამდე. ვ. ლიჩელი ყურადღებას ამახვილებს ბრინჯაოს მხედრის ქანდაკების არქეოლოგიურ კონტექსტზე და ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ სამოსის ჰერაიონში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას შორის იყო იმპორტული ნაწარმი ეგვიპტიდან, ბაბილონიდან, ფინიკიიდან, ირანიდან, ასირიიდან, ურარტუდან და კვიპროსიდან. აქვე აღმოჩნდა იმ რაოდენობის ცხენის გამომსახველი ნივთები და მისი აღკაზმულობა, როგორც საბერძნეთის არც ერთ სხვა ტაძარში არ დასტურდება, რის

საფუძველზეც სამოსში ჰერა ცხენისა და ცხენოსნობის მფარველობასთან კავშირში მყოფ ღვთაებად მოიაზრება. ამ ფონზე, ვ. ლიჩელის მოსაზრებით სამოსში აღმოჩენილი კოლხური ქანდაკება ცხენზე მჯდომარე ქალისა, შეწირული უნდა ყოფილიყო ცხენებისა და ცხენოსნების მფარველი ქალღვთაების - ჰერასთვის, იმ მევაჭრის ან მოგზაურის მიერ, რომელიც ნამყოფი იყო კოლხეთში. თუმცა, ეს ერთჯერადი შემთხვევა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ამ პერიოდში კოლხეთსა და ეგეოსურ სამყაროს შორის რეგულარული ურთიერთობების დასტურად მივიჩნიოთ (Licheli 2008, 241).

ვ. ლიჩელი კოლხეთში ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრის იკონოგრაფიული სახის თავდაპირველ გამოჩენას ჰერაკლეონის მუზეუმში დაცული, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით დათარიღებული თიხის ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის ფიგურის გათვალისწინებით, ეგეოსურ სამყაროს უკავშირებს (Licheli 2012).

მუხურჩაში აღმოჩენილ მეეტლის ქანდაკებას, ისევე როგორც სამოსზე აღმოჩენილი მხედარი ქალის ფიგურას, მ. ინაძე მსხვერპლის შემწირველ წარჩინებულთა წრეს მიაკუთვნებს. ავტორის აღნიშვნით, რამდენადაც ბრინჯაოსაგან დამზადებული ყველა ეს ნივთი საბერძნეთში ძალზე ძვირად ფასობდა, კოლხეთის სამლოცველოებში აღმოჩენილი ამ ტიპის მასალა შეიძლება მივიჩნიოთ საბერძნეთიდან ჩამოსულ მდიდარ ზღვაოსან ვაჭართა მიერ შეწირულ ვოტივებად, რომლებიც თავისმხრივ კოლხეთიდან რკინისა და სხვა ლითონის ნაწარმის გატანისას დიდ სარგებელს ნახულობდნენ (ინაძე 2009, 219).

მუხურჩის სამაროვნის ქვედა ფენაში აღმოჩენილ მხედრის ფიგურას შეეხო თავის ნაშრომში გ. ჯავახიშვილი. ქანდაკების განხილვისას ავტორი ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ მხედარი ცხენზე გვერდულად, ქალურად არის გამოსახული, ე.ი. ორივე ფეხი ცალ გვერდზე აქვს გადმოკიდებული. ვინაიდან მხედარს ხელი მოტეხილი აქვს ვერ ირკვევა ეჭირა თუ არა მას ხელში რამე. ავტორის მოსაზრებით აქ გამოხატულია მდებარი ღვთაება, რომელიც რომელიღაც მოქმედებაში მონაწილეობის დროს არის წარმოდგენილი (ჯავახიშვილი 1984, 64). ფიგურას ავტორი ცაგერის მუზეუმში დაცულ მხედრის ქანდაკებასთან ერთად განიხილავს და აღნიშნავს, რომ სხეულის

პროპორციებში, კერძოდ კი თავისა და ტანის შეფარდებაში დამახასიათებელია ორივე ცხენის მსგავსება, სადაც მსგავსად ადამიანის ფიგურებისა, თავი საგრძნობლად დიდია ტანთან შედარებით. ამასთანავე, მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილია რამდენიმე ცალკეული ანთროპომორფული ფიგურა, რომლებიც ძლიერ არის დაზიანებული, თუმცა, ჩანს, რომ ორი სკულპტურა გამოხატავს ფეხზე მდგომარე ხელებგაშლილ შიშველ მდედრ ღვთაებას, რომლებსაც კისერზე ისეთივე სამკაული უკეთია, როგორც მხედარს (ჯავახიშვილი 1984, 65-66).

ცაგერის მუზეუმში დაცული მხედრის ქანდაკების დეტალებში შ. ამირანაშვილი მცირეაზიურ ელემენტებს ხედავდა (ამირანაშვილი 1944, 42-44; 70-72). ამასთანავე, ცაგერას მხედრის განხილვისას მკვლევარი აღნიშნავს, რომ *„ცხენოსანი მხედრის ფიგურა მუდამ ანსახიერებდა სოციალური ბატონობის იდეას, დაწყებული ასურული ხელოვნებიდან, შემდეგ ანტიკურში და ბოლოს შუა საუკუნეების ხელოვნებაში, ცხენოსანი ფიგურა ყოველთვის მეფეს, მხედართმთავარს, რაინდს ე.ი სოციალური ბატონობის იდეას გამოხატავდა. ცხენისა და ცხენოსანი მხედრის გამოსახულება კავკასიის ხელოვნებაში თავისი სტილით ეფარდება ბრინჯაოს ხანის სხვა ცხოველების გამოსახულებას. ძველთა უმრავლესობა ყობანის კულტურას, ჩრდილო კავკასიის და ამიერკავკასიის კულტურათა კომპლექსს ეკუთვნის და უმთავრესად რკინის ხანას მიეკუთვნება* (ამირანაშვილი 1971, 63).

ერთ-ერთი პირველი, ვინც კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილი ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედარი ქალის ქანდაკების კულტურული ატრიბუციის საკითხს შეეხო, თავად ნივთის აღმომჩენი უ. იანცენი იყო. სამოსის ბრინჯაოს კვლევისას ავტორი აღნიშნავს, რომ მთელი კავკასიური იმპორტიდან მხედრის ფიგურა ყველაზე საინტერესოა. იანცენი სამოსის ქანდაკებას არაბერძნულ ნიმუშად მოიაზრებდა და ზოგადკავკასიურ ნაწარმად მიიჩნევდა, მასთან ერთად აღმოჩენილ აზინდებსა და ზარაკებს კი ყობანურ კულტურას უკავშირებდა (Jantzen, 1972, 80-84). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის ნაშრომში იანცენი არ ახსენებს სხვა ოთხი ბერძნული ცხენოსანი მხედრის ქანდაკების არსებობას და არ განიხილავს მათ მიმართებას სამოსურ ნიმუშთან.

ბ. შვეიცერის მოსაზრებით, ხელოსნები, რომლებმაც შექმნეს სამოსური ნიმუში, იცნობდნენ ოლიმპიური ცხენისა და მხედრის ფიგურას. მან სამოსური ფიგურის გარკვეული მახასიათებლების პარალელები კვიპროსში შემოგვთავაზა. ავტორი აღნიშნავს, რომ სამოსის ჰერაიონში გეომეტრიულ და არქაულ პერიოდში უხვადაა წარმოდგენილი მცირე ზომის კვიპროსული თიხის ფიგურები, ამდენად, კავშირი ამ ორ პუნქტს შორის საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო. ბ. შვეიცერის მოსაზრებით, სამოსური ნიმუში მხედრისა უნდა დამზადებულიყო კვიპროსულ სახელოსნოში, რომელიც განიცდიდა ადრეული ბერძნული და აღმოსავლური ელემენტების გავლენას (Schweitzer 1971, 157-158). სამოსისა და თეგეას ქანდაკებების განხილვისას შვეიცერი ასკვნის, რომ კვიპროსულ-სამოსური მხედრების ჯგუფი შესაძლოა დანამდვილებით იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც იმთარ-ასტარტე. არკადიული ჯგუფის შემთხვევაში კი ავტორი აღნიშნავს, რომ აქ შემორჩენილი უნდა იყოს უამრავი პირველყოფილი კულტის გადმონაშთი (Schweitzer 1969, 166-169).

გეომეტრიული ხანის საბერძნეთში გავრცელებული უამრავი ცხენის ფიგურის შესწავლის შედეგად ი. ზიმერმანმა დაასკვნა, რომ ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრების ოლიმპიური და არკადიული ნიმუშები სტილისტურად ძალზე განსხვავდება სამოსის მხედრის ნიმუშისაგან, რომელიც ზიმერმანის მოსაზრებით უქველად აღმოსავლური ინსპირაციით უნდა იყოს დამზადებული, ხოლო არკადიული ნიმუშები სავარაუდოდ განასახიერებენ ღვთაებას, რომლის ტრადიცია სავარაუდოდ მიკენურ პერიოდში იღებს სათავეს (Zimmermann 1989, 323-324).

ი. ბოუზეკი ცხენზე გვერდულად მჯდომარე ფიგურების განხილვისას აღნიშნავს, რომ პელოპონესიდან ცნობილია რამოდენიმე ნიმუში ქალღვთაებისა, რომელიც გვერდულად ზის ცხენზე. მისი მოსაზრებით ეს იკონოგრაფია წარმოშობილი უნდა იყოს ადრეული ბრინჯაოს ხანის ტრადიციიდან და შესაძლოა განასახიერებდეს ლოკალურ ღვთაებას. ი. ბოუზეკი ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ ამ ტიპის ნივთებს ახლო პარალელები კავკასიის არეალში ეძებნებათ და კუნძულ სამოსზე აღმოჩენილ ბავშვიან ქანდაკებას სწორედ კავკასიურ ნიმუშად მოიაზრებს (Bouzek 1997, 144). მიუხედავად იმისა რომ საბერძნეთში მხედრების გვერდულად გამოსახვის ტრადიცია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან ჩნდება, მკვლევარისათვის ამ

ჯგუფის ფიგურებზე მსჯელობა კავკასიური ინსპირაციის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, ხოლო სამოსური მხედრის ნიმუშისათვის ბერძნული პროდუქტის წოდება შეუძლებელი (Bouzek 1997, 190).

საბერძნეთში აღმოჩენილ ცხენზე გვერდულად მჯდომარე ფიგურებს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა მ. ვოიაცისმა. მკვლევარი საბერძნეთში აღმოჩენილ სხვა მხედარ ქალთა ქანდაკებებს შორის, სამოსის მხედრის ფიგურას ყველაზე პრობლემატურად მიიჩნევს და აქვე დასძენს, რომ ცხოველის შემთხვევაში შეინიშნება გარკვეული პელოპონესური მახასიათებლები. პელოპონესური დამახასიათებელი დეტალები შესაძლოა დავინახოთ ასევე ადამიანის ფიგურის შემთხვევაშიც (Voyatzis 1992, 264). მ. ვოიაცისის მოსაზრებით სამოსის “ენიგმატური” ნიმუში ფლობს მახასიათებლების მიქსტურას, მაგრამ მას უპირატესად კავკასიური გავლენა აქვს. ეს კომბინაცია კი მიუთითებს სახელოსნოზე, რომელიც განთავსებული იყო ადგილას, სადაც ბერძნული აღმოსავლური და კავკასიური ელემენტები ერთად იყო წარმოდგენილი, შესაძლოა თავად სამოსშიც (Voyatzis 1992, 272). მკვლევარი მიიჩნევს, რომ თუმცა სამოსურსა და კავკასიურ/ლურისტანულ მასალას შორის ნამდვილად იკითხება მსგავსება, სამოსური ნიმუშის ბერძნულ ეგზემპლარებთან მსგავსებაც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ავტორი ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში ცხენზე გვერდულად მჯდომი მხედრები ცნობილია საბერძნეთიდან, კრეტიდან და კვიპროსიდან (Voyatzis, 1990, 104-105). საბერძნეთში აღმოჩენილი მხედრების ფიგურებიდან, არკადიის სამ ნიმუშსა და ოლიმპიისა და სამოსის თითო ნიმუშს ვოიაცისი ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს და აქვე დასძენს, რომ ძვ.წ VII - VI საუკუნეებში პელოპონესის ტაძრებში ამ იკონოგრაფიის გამომსახველი ტერაკოტული ტიპების აღმოჩენა უფრო ხშირია (Voyatzis, 1992, 259).

ო. ბრილიოვა დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ მხედარი ქალების ჯგუფს სხვადასხვა ანთროპომორფულ ქანდაკებებთან ერთად იმ ეტაპის სკულპტურებში აერთიანებს, რომელიც ქრონოლოგიურად ძვ.წ. X-VII საუკუნეებს მოიცავს. ამ პერიოდში ქალების გამოსახულებები (ცხრამეტი ფიგურა) ორჯერ მეტია კაცების გამოსახულებებზე (ათი ფიგურა). ქალების სკულპტურები მხოლოდ სამარხეულ

ინვენტარში გვხვდება, კაცების ფიგურები კი ყველგან (Брилева 2012, 167). კოლხურ კოლექტიურ სამაროვნებში აღმოჩენილი მხედარი ქალების ანალიზისას ბრილოვა სამოსის ჰერაიონში აღმოჩენილ მხედარსაც ახსენებს და მოჰყავს ვ. ლიჩელისა და მ. ვოიაცისის კვლევები (იხ. გვ. 6-7) (Брилева 2012, 136). ო. ბრილოვა მხედარი ქალების ფიგურების განხილვისას ეხება კიდევ ერთი მხედრის ფიგურას, რომელიც დადესტნიდანაა ცნობილი. ავტორი აღნიშნავს, რომ დადესტნის ნივთის შემთხვევაში მხედარი გამოსახულია სავარძლის გარეშე და კოლხური ცალებისაგან განსხვავებით აბსოლიტურად სხვა სტილისტური ტრადიციით არის დამზადებული, რის გამოც ეს ქანდაკება განხილულ უნდა იქნეს ცალკე. ო. ბრილოვას მოსაზრებით, დადესტნის ქანდაკება სავარაუდოდ უნდა უკავშირდებოდეს ალბანო სარმატული პერიოდის ძეგლთა წრეს (Брилева 2016, 26).

დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა მკვლევარის ინტერესის სფეროში მოხვდა კოლხურ კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხარის ფიგურებიც.

1976 წელს ურეკში N3 კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ხარის ქანდაკებას თავისი გამორჩეული, შუბლისკენ მიხრილი რქებით თ. მიქელაძე ხარღვთაებად მიიჩნევდა (მიქელაძე 1985, 60-61). თ. მიქელაძის მოსაზრებით ეს ცხოველი „*კოლხების მთავარ საქმიანობას, მიწათმოქმედებას ასახავდა*“ (Mikeladze 1995, 17). ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, მკვლევარი ხარს ბოსლო კოტროს, ნაყოფიერების ღვთაებასთან აიგივებს, რომელიც თავდაპირველად ხარი უნდა ყოფილიყო, მოგვიანებით კი ითიფალურ მამაკაცად გადაიქცა. ავტორს მსჯელობის პარალელურად მოჰყავს კოლხური მონეტის პირველი ტიპი, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება (Микеладзе 1990, 66-67).

ო. ლორთქიფანიძე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კოლხურ კულტურაში გავრცელებულ ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებებში გეომეტრიზაცია შენიშნა (Lordkipanidze 2001, 14-23). მკვლევარს მიაჩნდა, რომ ეს ქანდაკებები მსგავსია ბერძნული გვიანგეომეტრიული ხანის ბრინჯაოს ზომორფული ქანდაკებებისა (ლორთქიფანიძე 2002, 198).

ვ. ლიჩელი კოლხურ კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილ ბრინჯაოს ხარის ფიგურებსა და საბერძნეთში აღმოჩენილ ბეოტიურ ხარებს შორის აშკარა პარალელს ხედავს. მკვლევარის მოსაზრებით, მიუხედავად განსხვავებული დასამზადებელი მასალისა (ბრინჯაო და თიხა), მათი სტილისტური თავისებურებები უდაოდ ერთგვარია და „ამდენად, მცირე პლასტიკის ნიმუშების მიხედვით, კონცეპტუალური ერთიანობა შეინიშნება არა მხოლოდ ქალღვთაებების, არამედ ხარის კულტის თაყვანისცემაშიც, როგორც საბერძნეთში, ისე კოლხეთში“ (Licheli 2016, 119).

ცაიშის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. პაპუაშვილი აქ, N1 სამარხულ კომპლექსში მოპოვებული ხარის რვა და ვერძის ერთი სკულპტურის შესახებ აღნიშნავს, რომ ყველა მათგანი თავისებურად ინდივიდუალურია და ფიგურები ერთმანეთს არ ჰგავს. ცაიშის N2-ე სამარხში აღმოჩენილი ხარის ერთადერთი ფიგურა ასევე გამოირჩევა დანარჩენთაგან, რადგან მას ყელზე საბელი აქვს შემოხვეული. რ. პაპუაშვილი ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ ცაიშში მრგვალი ზოომორფული ქანდაკებები უჩვეულოდ დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი (პაპუაშვილი 2015, 24).

ლეჩხუმში, სოფელ დეხვირში შემთხვევით მოპოვებული ხარის ბრინჯაოს ფიგურის განხილვისას ნ. სულავა იზიარებს ო. ლორთქიფანიძის მოსაზრებას ამ ჯგუფის ქანდაკებების ბერძულ გვიანგეომეტრიულ ზოომორფულ სკულპტურებთან მსგავსების შესახებ. „დეხვირის ბრინჯაოს ხარი არ ჰგავს: ყობანიდან, თლიას სამაროვნიდან, მცხეთიდან, სომხეთიდან, აფხაზეთიდან (აბგარხუკი), დღნორისა და მალლაკიდან, რაჭიდან, სოფელ ღარში შემთხვევით აღმოჩენილ ცნობილ ხარის ფიგურებს“. ავტორი მსგავსებას ხედავს დეხვირის ხარსა და ცაიშის სამაროვნებზე აღმოჩენილ ხარებს შორის და აღნიშნავს, რომ ორივე ჯგუფის ცხოველებს მოკლე კუდი აქვთ. დეხვირის ხარის ფიგურასთან უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ კოლხეთის სამაროვნების ხარის ფიგურები და ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული ორმხრივპროტომიანი ცხოველის (ხბოს?) ტერაკოტული ფიგურები ვანიდან (სულავა 2014, 55-56).


ამით სრულდება კოლხეთში აღმოჩენილი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული ფიგურების მეცნიერული განხილვა.

პრინციპული მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე ფართოდ წარმოებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ამ ტიპის ცხოველთა ფიგურების უამრავი ახალი ნიმუში გამოავლინა და უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ბრინჯაოს მრგვალი ფიგურების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი პლასტიკა ამ დრომდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა.

თავი II. არქეოლოგიური კონტექსტი

ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების აბსოლიტური უმრავლესობა აღმოჩენილია კოლხური კოლექტიური სამაროვნების სხვადასხვა სამარხთა კომპლექსებში. ნივთების მეორე და შედარებით მცირე ნაწილი თანმხლები ინვენტარის გარეშე, ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ, შემთხვევით არის მოპოვებული (სურ.1).

კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში გვიან ბრინჯაო ადრე რკინის ხანის სამაროვნების შესწავლა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ამ დრომდე ცხოველთა მრგვალი ფიგურების აღმოჩენებს მეტად სპორადული ხასიათი ჰქონდა და ერთეული შემთხვევებით იყო ცნობილი. ამგვარი სკულპტურებიდან უნდა დასახელდეს, ბრინჯაოს მხედარი ცაგერას განძიდან და ბრინჯაოს ხარის ქანდაკებები აზგარხუკიდან და დღნორისას გაუქმებული ეკლესიიდან.



სურ.1

1970-იანი წლებიდან, საველე არქეოლოგიური სამუშაოების გაფართოებასთან ერთად, მუხურჩის, ურეკის, ერგეტასა და დღვაბას კოლხური კოლექტიური სამაროვნების სხვადასხვა სამარხეული კომპლექსების მონაპოვრების საფუძველზე

ზოომორფული მრგვალი ფიგურების რაოდენობა თანდათან გაიზარდა, ხოლო უკანაკნელი ათწლეულის განმავლობაში ჯერ ცაიშის, შემდეგ კი ერგეტასა და მახვილაურის კოლექტიური სამაროვნების აღმოჩენებმა მათი რაოდენობა თითქმის გააორმაგა.

დამატებით, საქართველოს სამხარეო მუზეუმების ფონდებში ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა იმ რამოდენიმე ნივთის მონახულებაც, რომელთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობები არ მოიპოვება. რამოდენიმე ქანდაკება ინახებოდა კერძო კოლექციაშიც. მათი წარმომავლობის შესახებ კონკრეტული ცნობები არ არსებობს. ამ ეტაპზე ცნობილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების საერთო რაოდენობა ორმოც ერთეულს აჭარბებს.

§II. 1 კოლხური კოლექტიური სამარხები

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, დღეისათვის ცნობილი, ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული პლასტიკის 80 % მოპოვებულია კოლხურ კოლექტიურ სამარხებში.

სამარხთა ეს ტიპი ძირითადად ცენტრალურ კოლხეთშია გავრცელებული, და როგორც შენიშნულია, გარკვეულ თავისებურებათა გამო, სხვადასხვა ეპოქისა თუ რეგიონის ძეგლებთან შედარებით, მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფს წარმოადგენს. კოლექტიური სამარხების აგებულების შესახებ წარმოდგენის შექმნა კარგად შემონახული ერგეტისა და დღვაბას სამაროვნების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ხდება შესაძლებელი. *„სამაროვნებისათვის დამახასიათებელია ცენტრალურ ნაწილში მოწყობილი საკულტო სარიტუალო მოედნები და მის პერიმეტრზე განლაგებული სამარხი ორმო აკლდამები. საკულტო მოედნებზე ვხვდებით დამწვარსა და წვრილად დაქუცმაცებულ ძვლებს, ასევე სხვადასხვა სახის ინვენტარის ფრაგმენტებს, ხშირად ცეცხლის ზემოქმედების კვალით. სამარხები დიდი ზომებით გამოირჩევიან (საშუალოდ 50 კვადრატული მეტრი) და ზოგიერთ მათგანში 2000-ზე მეტი ინდივიდის ნაშთია დაკრძალული შესაბამის ინვენტართან ერთად. საკულტო*


მოედნებზე სხვადასხვა პერიოდის ინვენტარი ერთმანეთშია არეული. სამარხები კი ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად იმიჯნებიან“ (პაპუაშვილი 2008, 103-107).

სამარხი აკლდამები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. ნიადაგში ამოჭრილი ორმო, თავდაპირველად ხის ვერტიკალურად ჩასმული ფიცრებით, ან მორებით უნდა ყოფილიყო შემორაგული და შემდეგ გადახურული. ორმო საკულტო მოედანს კორიდორის მეშვეობით უკავშირდებოდა, საიდანაც, ტყავში ან ქსოვილში გახვეული მიცვალებულის დაუწვავი ნაშთები ინვენტართან ერთად შეჰქონდათ აკლდამაში (პაპუაშვილი 2000, 55-60). არის შემთხვევები, როდესაც ინვენტარს აშკარად აქვს შემორჩენილი ანაბეჭდი, ან უშუალოდ ქოვილის ფრაგმენტები (Mikeladze 1995, 1).

კოლექტიური სამარხების უმრავლესობაში მიცვალებულთა თანმხლები ინვენტარი უსისტემოდ იყო მიმოფანტული, შესაბამისად, ცალკეული კომპლექსების გამოყოფა რთულდება. ერგეტას II-ე სამაროვნის N4 სამარხში ნივთების ერთი ნაწილი ორმოთა კიდეებში, ძირიდან შედარებით მაღლა დაფიქსირდა, რის საფუძველზეც არ გამოირიცხება თავდაპირველად ინვენტარის სპეციალურად გამართულ მერხებზე მოთავსება, ან მათი კედელზე ჩამოკიდება (პაპუაშვილი 1999, 5).

საქართველოში აღმოჩენილ სამარხთა იმ ჯგუფს, სადაც მიცვალებულთა ცალკეული ნაწილების მეორადი დაკრძალვაა დადასტურებული მკვლევარები (გ. ნიორაძე, მ. ივამჩენკო, ბ. კუფტინი, თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, გ. შამბა და სხვა კოლხეთში მიცვალებულთა დაკრძალვის წესის შესახებ არსებულ ბერძნულ და რომაულ წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს უკავშირებენ. აპოლონიოს როდოსელი, ნიმფოდორ სირაკუზელი, ნიკოლოზ დამასკელი, კლაუდიოს ელიანუსის მიხედვით კოლხები ტყავში გახვეულ მიცვალებულს ჰკიდებდნენ ხეებზე. ჩვეულების ის ნაწილი რომელიც მიცვალებულის ხეზე ჩამოკიდებას გულისხმობს დაკრძალვის წესის პირველ ეტაპადაა მიჩნეული, ხოლო გვამის ჩამოხსნა დამუშავება და ძვლების აკლდამაში განთავსება უკვე მეორე ეტაპია (პაპუაშვილი 2008, 16-20). წყაროების მიხედვით, პირველები ვინც კოლხეთში ხეზე დაკიდებული მიცვალებულები იხილეს იყვნენ არგონავტები. „უდაოა, რომ კოლხურ სამარხებში არსებული სურათი და წყაროებში დაცული ცნობები გვაძლევინ დასტურს იმისა, რომ ამ ჯგუფის სამაროვნებში მეორად დაკრძალვასთან გვაქვს საქმე.

რკინის ხანაში დაკრძალვის ეს წესი მთელს კოლხეთში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, არა მხოლოდ კოლექტიური სამარხების, არამედ სამარხთა სხვა ტიპების შემთხვევაშიც, როგორცაა მაგალითად რეგიონის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში გავრცელებული აკლდამები“ (Mikeladze 1995, 2). ამ ტიპის სამაროვნების გავრცელების კვალი, სამხრეთით, ჯერ-ჯერობით ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბანშია ფიქსირებული, ჩრდილო დასავლეთით კი გულრიფშის რაიონის სოფ. მერხეულში. სვანეთში მსგავსი ხასიათის ძეგლები უნდა იყოს ქართვენისა და ბოგრემის სამაროვნები. კოლექტიურ სამაროვნებთან ახლო კავშირში მოიაზრება ასევე ლარილარის სამაროვანი (პაპუაშვილი 2008ა, 16-20).



სურ.2

გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხური კულტურის არეალში შემაჯავლი კოლექტიური სამარხების გავრცელება შესაძლოა რაიმე მასშტაბურ მოვლენას უკავშირდებოდეს (ომი, ეპიდემია) (გობეჯიშვილი 2014, 93)

ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურები აღმოჩენილია ერგეტას, დღვაბას, მუხურჩის, ურეკის, ცაიშის და მახვილაურის სამაროვნებზე არსებულ სხვადასხვა სამარხებში (სურ. 2).

ცენტრალური კოლხეთის სამაროვნები

ბრინჯაოს ცხოველთა ფიგურები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ცაიშის კოლხურ კოლექტიურ სამაროვანზე, რომლის შესახებ 2001 წელს გახდა ცნობილი (პაპუაშვილი... 2002, 48). აქ შემთხვევით მოპოვებული ნივთები ახლო მსგავსებას ავლენდნენ უკვე კარგად ცნობილ სოფ. ერგეტასა და სოფ. დღვაბაში მდებარე სამაროვანთა ინვენტართან. სამივე ძეგლი ერთმანეთის სიახლოვეს მდებარეობს. ცაიშის სამაროვანი დღვაბას 5.5 კმ-თაა დაშორებული, ერგეტას კი 10 კმ-ით (პაპუაშვილი 2010, ტაბ. I). მსგავსად ერგეტას, ურეკისა და დღვაბას სამაროვნების საკულტო მოედნებისა, ცაიშის სამაროვანზე აღმოჩენილია ძვლების გროვები, მათგან ზოგიერთს ცეცხლის კვალი ეტყობოდა. 2003 წელს ცაიშში ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები და გაიჭრა მცირე საცდელი თხრილები, სადაც ორი კოლექტიური სამარხის კვალი დაფიქსირდა. დასავლეთით მდებარე N1 სამარხი - ორმოს შესწავლა 2005 წელს გახდა შესაძლებელი, N2 სამარხისა კი 2007 წელს (პაპუაშვილი 2015, 7-10). ცაიშის პირველ სამარხულ კომპლექსში მოპოვებულია ხარის რვა A4; A6; A7; A8; A13; A14; A15; A19 (ტაბ. IX, 4,6; X 1,2; XI, 1,2,3; XII, 1) და მხედარი ქალის სამი B1; B2; B4 (ტაბ. XIII, 2,3,5) სკულპტურული გამოსახულება. ცაიშის მეორე სამარხში აღმოჩენილია ხარის ერთადერთი A18 (ტაბ. XI,6) ქანდაკება. მოპოვებული ნივთიერი მასალის სრული კომპლექტი ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურულ მუზეუმშია განთავსებული (პაპუაშვილი 2015, 24-26).

მომდევნო და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, სადაც ჩვენთვის საინტერესო ბრინჯაოს ექვსი ზოომორფული ფიგურა აღმოჩნდა, მდებარეობს სოფელ მუხურჩასთან, ადგილ პეტრეს ნაკარუზე არსებულ სამაროვანზე. აქ მოპოვებულია ხარის სამი A1; A5; A9 (ტაბ. IX, 1,5; X,3) და ცხენის C2 (ტაბ. XIV,6), ავაზის D1 (ტაბ. XV, 1), ფანტასტიკური ცხოველისა (ტახი?) D3 (ტაბ. XV,3) და ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის B3 (ტაბ. XIII, 4) თითო სკულპტურა (ელიავა 1987, 36-37; 49-50; 60; 66-67). სამაროვანი აღმოჩენილია შემთხვევით, მისი ფენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიწის სამუშაოების დროს ტექნიკამ დააზიანა. მიწატკეპნილზე დარჩა კულტურული ფენის შემცველი რვა ოვალური ჭრილი. მის მარცხენა მხარეს კიდევ დაზიანებული ოთხი სამარხი აღმოჩნდა, ხოლო მარჯვნივ ერთი. სამაროვანი 1974-1976 წლებში

ითხრებოდა. გამოვლენილია ასაკობრივად განსხვავებული ორი დასაკრძალავი მოედანი. მუხურჩის სამაროვნის სხვადასხვა სამარხში, არხის ფსკერზე და ნაყარ მიწაში მოპოვებული ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული ფიგურები დაცულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ხოლო 1974 წელს ქვედა დასაკრძალავ მოედანზე აღმოჩენილი ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედარი ქალის ქანდაკება ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (Гогодзе...1984, 30).

შემდეგი უმნიშვნელოვანესი და კომპლექსური ძეგლია ერგეტა. სოფელ ერგეტაში სისტემატიური გათხრები 1978 წლიდან დაიწყო. აქ ისწავლებოდა გვიანბრინჯაო, ადრე რკინის ხანის, სამ ათეულამდე ხელოვნურად შექმნილი ნამოსახლარი ბორცვი და ვაკეზე გამართული სამოცამდე ნამოსახლარი (პაპუაშვილი...2005, 23-24). „ერგეტაში ოთხი უნიკალური სამაროვანია აღმოჩენილი, რომელთა ცენტრალურ ნაწილში გამართულია საკულტო სარიტუალო მოედნები“ (პაპუაშვილი 2017, 48). სამაროვნები აღმოჩენილია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიწოდებული ცნობების შედეგად. განსხვავებით საკულტო მოედანსა და საძვალე ორმოებში არსებული მატერიალური ნაშთებისაგან, სამარხ ორმოებში მოპოვებულ მრავალრიცხოვან ინვენტარს და ძვლის ფრაგმენტებს ცეცხლის ზემოქმედების კვალი არ ეტყობოდათ (პაპუაშვილი 2017, 58). ერგეტაში, სხვადასხვა სამაროვნის სხვადასხვა სამარხში საერთო ჯამში რვა ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურა აღმოჩნდა. ერგეტას I სამაროვანზე საკულტო მოედანი და ცხრა კოლექტიური სამარხი ორმო დადასტურდა. ამათგან მეხუთე სამარხში აღმოჩენილია ცხენის C1 ფიგურა (ტაბ. XIV,5). ნივთი ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურულ მუზეუმში. ერგეტას II სამაროვანზე შესწავლილი საკულტო მოედნიდან და ექვსი სამარხი ორმოდან მსხვილფეხა რქოსანი ცხოველის D7 (ტაბ. XV,7) ქანდაკება აღმოჩნდა მეორე სამარხში. ნივთი ინახება ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში. 2015 წელს ერგეტას II-ე სამაროვნის N11 სამარხ ორმოში, რომელსაც სამკუთხა მოყვანილობა ჰქონდა, ბრინჯაოს სამი მრგვალი ზოომორფული ფიგურა დაფიქსირდა. მათგან, ერთი აშკარად გამოხატავს ხარს A10 (ტაბ. X, 4), ხოლო ორი სკულპტურა იმდენად არის დაზიანებული, რომ მათი სახეობის განსაზღვრა რთულდება D8; D9 (ტაბ. XV, 8,9) (Папуашвили...2016, 200, სურ. 5. 32,34,35). ყველა ეს

ქანდაკება ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურულ მუზეუმში. ერგეტას III-ე სამაროვანზე არსებული ოთხი კოლექტიური სამარხი ორმოდან, ცხოველის D6 (ტაბ. XV,6) ხარისა A16 (ტაბ. XI, 4) და ცხოველზე გვერდულად მჯდომი მხედარი ქალის B6 (ტაბ. XIV,1) ფიგურები აღმოჩნდა 1980 წელს, მეოთხე სამარხში. მასალა ინახება ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში.

ბრინჯაოს ხარის სამი A3; A12; A21 (ტაბ. IX, 3; X, 12; XII, 3) და ძაღლის ერთი D5 (ტაბ. XV, 5) ფიგურა არის აღმოჩენილი ხობის რაიონში, სოფ. თორსა დღვაბას ტერიტორიაზე მდებარე დღვაბას კოლხურ კოლექტიურ სამაროვანზე. ნეკროპოლი ადგილობრივი მცხოვრებლის მიერ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი. აქ საველე კვლევა მიება 1985-87 და 1989 წლებში მიმდინარეობდა. გათხრილია საკულტო მოედანი და ორი კოლექტიური სამარხი ორმო (პაპუაშვილი...2005, 24). N2-ე სამარხში, რომელსაც არასწორი ელიფსის მოყვანილობა ჰქონდა (6/9 მ-ზე) 30-ზე მეტი ინდივიდის ჩონჩხთან ერთად 600-ზე მეტი ნივთი აღმოჩნდა (მიკელაძე... 1985, 39-43). მათ შორის იყო ბრინჯაოს ხარის ფიგურებიც. სკულპტურები ინახება ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში.

შვლისა D2 (ტაბ. XV, 5) და ხარის A11 (ტაბ. X, 5) თითო ფიგურა არის მოპოვებული ურეკის სამაროვანზე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მსგავსად მუხურჩის სამაროვნისა, 1976 წელს ტექნიკის მიერ ნაწილობრივ დაინგრა. ურეკის სამაროვანზე სამი კოლექტიური და სამოცდაცხრა ინდივიდუალური სამარხი დაფიქსირდა. სავარაუდოდ, ურეკის სამაროვანზე დასტურდება საკულტო მოედნების არსებობა. ბრინჯაოს ზომორფული მრგვალი ფიგურები N3 კოლექტიურ სამარხში აღმოჩნდა. სამარხს ზემოდან ეტყობოდა ყვითელი ლაქა, სადაც აშკარად შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალი. ნაცეცხლარი ფენა სამარხის ზედაპირზე შესრულებული რიტუალის დადასტურებადაა მიჩნეული. არქეოლოგიური ინვენტარი ჯგუფ-ჯგუფად იყო წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ცალკეული ნივთები, გახვეული უნდა ყოფილიყო ქსოვილში (მიქელაძე 1985, 3-16). ნივთები დაცულია ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში.

სამხრეთ დასავლეთ კოლხეთის სამაროვნები

2015 წელს ცხოველზე გვერდულად მჯდომი ქალი მხედრის B5 (ტაბ. XIII,6) ბრინჯაოს ერთი ქანდაკება აღმოჩნდა აჭარაში, მახვილაურში მდებარე წრიული მოყვანილობის კოლხური კოლექტიური სამარხის ცენტრალურ ნაწილში, 62-ე კვადრატში, მეორე დონეზე, სხვადასხვა ინვენტართან ერთად. მეორადი დაკრძალვის წესი ამ შემთხვევაში არ დასტურდება (კახიძე... 2017, 85-87).

§ II. 2 შემთხვევითი აღმოჩენები

გარდა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურებისა, საქართველოს სამხარეო მუზეუმებში დაცულ, შემთხვევით აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას შორის არის დღემდე გამოუქვეყნებელი ბრინჯაოს ცხოველთა რამოდენიმე სკულპტურა. მასალის თავმოყრისა და უშუალოდ მონახულების მიზნით, კვლევის საწყის ეტაპზე სამუშაოები ჩატარდა საქართველოში არსებული სამხარეო მუზეუმების ფონდებში.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბრინჯაოს ზოომორფულ ფიგურათა მცირე ნაწილი, 20 % აღმოჩენილია შემთხვევით, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ და უმეტეს შემთხვევაში არათუ მათი არქეოლოგიური კონტექსტის, არამედ მათი აღმოჩენის პუნქტების ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრაც ვერ ხერხდება.

ერთ-ერთი შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ხარი დაცულია ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში A2 (ტაბ. IX,2) (ლანჩავა 2007, 39). ნივთი მუზეუმში მოხვედრილია 1962 წელს, დღნორისას გაუქმებული ეკლესიიდან. ქანდაკების შესახებ სხვა სახის მონაცემები ცნობილი არ არის.

ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1980 წელს ადგილობრივი მცხოვრებლის მიერ შევიდა ბრინჯაოს ხარის ფიგურა A22 (ტაბ. XII, 4). ნივთის არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი.

სკულპტურა აღმოჩენილია შემთხვევით, სოფელ ორღელეში, ქვედაძეების უბანში. ძეგლის ხასიათი დაუდგენელია.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში/სვანეთის მუზეუმში 1988 წელს ადგილობრივმა მაცხოვრებელმა მიიტანა ბრინჯაოს ხარის ქანდაკება A17 (ტაბ. XI, 5), რომლის აღმოჩენის ადგილად სოფელი ლატალი არის მითითებული. ხარის ქანდაკებასთან ერთად სხვა ნივთები მუზეუმში არ შესულა, ამდენად ძეგლის რაობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ არსებობს. სვანეთიდან ცნობილია შემთხვევით მოპოვებული კიდევ ერთი ბრინჯაოს მრგვალი ფიგურა ვერძის D4 (ტაბ. XV, 4) გამოსახულებით (ჩართოლანი 1996, 341, სურ. 5).

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ბრინჯაოს სამი მრგვალი ქანდაკება ცხენზე მჯდომარე კაცი მხედრისა და ხარების გამოსახულებით. ბრინჯაოს მხედარი B8 (ტაბ. XIV, 3) მოპოვებულია 1938 წელს შემთხვევით, ცაგერის სამხრეთ აღმოსავლეთით, დაახლოებით 40 კმ-ზე (სახაროვა 1976, 8). რაც შეეხება ხარის ფიგურებს, ერთ-ერთი ქანდაკება მოპოვებულია სოფელ ორღელეში A20 (ტაბ. XII, 2). მისი აღმოჩენის შესახებ მონაცემები ძალზე მწირია. ძეგლის ხასიათის განსაზღვრა ვერ ხერხდება. სკულპტურა ცაგერის ისტორიულ მუზეუმს გადაეცა 2014 წელს, ადგილობრივი მცხოვრებლის მიერ. ხარის მეორე ფიგურა A24 (ტაბ. XII, 6) აღმოჩენილია სოფელ დეხვირში, ასევე შემთხვევით, ადგილობრივი მცხოვრებლის მიერ. ნივთი მუზეუმში შევიდა 2012 წელს. ამ ეტაპზე ვერ ხერხდება იმის დადგენა, სამარხის კომპლექსის ნაწილია ქანდაკება, თუ ბრინჯაოს განძის. ზოგადად, სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხის სამი კოშკი. დეხვირის სიახლოვეს კი ანტიკური ხანის 15 სამარხია შესწავლილი. სამაროვანთან ახლოს 1970-71 წლებში ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მცირე მასშტაბიანი სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ძვ.წ. VIII-VII და ძვ.წ. VI-V საუკუნეების ორფენიანი სამოსახლოს მცირე მონაკვეთი გამოვლინდა. „გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით ნამოსახლარზე დამჯდარი, მიწათმოქმედი მესაქონლე მოსახლეობა ცხოვრობდა, რომელიც მეტალურგიასთან იყო დაკავშირებული, რაზეც აქ აღმოჩენილი ყალიბიც მიუთითებს“ (სულავა 2014, 54-55).

ბრინჯაოს მხედრის კიდევ ერთი, შემთხვევით მოპოვებული ქანდაკება (B9) (ტაბ. XIV, 4) დაცულია ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ნივთი ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში არის აღმოჩენილი. არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ კონკრეტული ცნობები არ არსებობს. სკულპტურა მუზეუმს გადაეცა 1987 წელს.

ხარის ერთი ქანდაკება A23 (ტაბ. XII, 5) აღმოჩენილია ჩრდილო დასავლეთ კოლხეთში, აფხაზეთში, აბგარხუკში (Кухтин, 1949 ა, 229, სურ. 6).

დაბოლოს, ქუთაისის მიდამოებიდან ცნობილია კიდევ ერთი ბრინჯაოს ხარის ფიგურა A25 (ტაბ. XIII, 1). სავარაუდოდ ნივთი აღმოჩენილი უნდა იყოს სოფელ მაღლაკში. არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ ზუსტი მონაცემები ცნობილი არ არის. სკულპტურა ინახება კერძო კოლექციაში (ლანჩავა 2015, 65).


§ II. 3 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების ტოპოგრაფია

ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების დიდი ნაწილი აღმოჩენილია კოლხური კოლექტიური სამაროვნების სხვადასხვა სამარხში, ნაწილი კი შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად არის მოპოვებული.

ამ ეტაპზე ცნობილი კოლექტიური სამაროვნებიდან მრგვალი ფიგურები თავმოყრილია ცაიშის, ერგეტას, მუხურჩის, დღვაბას, ურეკისა და მახვილაურის სამარხულ კომპლექსებში.

დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით, ცხოველთა მცირე ქანდაკებები ყველაზე დიდი რაოდენობით კონცენტრირებულია კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში (სურ.3).

ცაიშის სამაროვნის ორ სამარხში მოპოვებულია ხარის ცხრა (A4; A6; A7; A8; A13; A14; A15; A18; 19) და ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის სამი ფიგურა (B1; B2; B4).



სურ.3 კოლხეთში გავრცელებული ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების აღმოჩენების რუკა

ერგეტაში, სხვადასხვა სამაროვნის სხვადასხვა სამარხში საერთო ჯამში აღმოჩენილია ბრინჯაოს რვა მრგვალი ფიგურა, ხარის (A10; A16), მხედარი ქალის (B6), ცხენისა (C1) და ოთხი დაუდგენელი ცხოველის სკულპტურა (D6; D7; D8; D9). მუხურჩის სამაროვანზე მოპოვებულია ხარის სამი (A1;A5;A9) და ცხენის (C2), ავაზის (D1), ფანტასტიკური ცხოველისა (ტახი?) (D3) და ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის თითო სკულპტურა (B3).

დღვაბას სამაროვნიდან ცნობილია ბრინჯაოს ხარის სამი (A3; A12; A22) და მაღლის ერთი ფიგურა (D5).

დაბოლოს, ხარისა (A11) და შველის (D2) თითო სკულპტურა მოპოვებულია ურეკის სამაროვანზე.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, განსაკუთრებული სიუხვით კონკრეტულად დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე, ერთმანეთის სიახლოვეს მდებარე ცაიშის, ერგეტას, მუხურჩისა და დღვაბას არქეოლოგიური ძეგლების

აღმოჩენები გამოირჩევა. მათგან, ცაიშის სამაროვანი დღვასას 5.5 კმ-ით ხოლო ერგეტას 10 კილომეტრით არის დაშორებული. მისგან დაახლოებით 63 კილომეტრის მანძილზე კი მუხურჩის სამაროვანი მდებარეობს.

გარდა კოლხური კოლექტიური სამაროვნების სხვადასხვა სამარხში აღმოჩენილი ცალებისა, ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიიდან კიდევ ორი ხარის ფიგურა უნდა დასახელდეს. მათგან ერთი ცნობილია ქუთაისის მიდამოებიდან, სავარაუდოდ სოფელ მაღლაკიდან (A25), ხოლო მეორე საჩხერის რაიონის სოფელ ორდელედან (A22). თითოეული ქანდაკება შემთხვევითი არის მოპოვებული. ამრიგად, ურეკის N3 სამაროვნის სკულპტურებთან ერთად, კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში, საერთო ჯამში, ამ ეტაპზე ცნობილი ზოომორფული მრგვალი პლასტიკის 83 % არის აღმოჩენილი.


ცხოველთა მცირე ქანდაკებების აღმოჩენების მიხედვით რაოდენობრივად შემდეგ ადგილზეა ჩრდილოეთ კოლხეთი, განსაკუთრებით კი მისი მთიანი ნაწილი. ჩრდილოეთ კოლხეთში აღმოჩენილი ყველა ცხოველისგამოსახულებიანი მრგვალი ფიგურა მოპოვებულია შემთხვევით, არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე, თუმცა ცნობილია მათი აღმოჩენის სავარაუდო პუნქტები. მათგან, ბრინჯაოს ხარის (A23) სკულპტურა ნაპოვნი იქნა ჩრდილო დასავლეთ კოლხეთში, აზგარხუკში.

ხარისა (A17) და ვერძის (D4) თითო ფიგურა აღმოჩენილია სვანეთში, ლატალსა და მულახში. ხარის სამი ფიგურის წარმომავლობა კი ისტორიული ლეჩხუმის ტერიტორიას უკავშირდება. მათგან A20 სოფელ ორბელშია მოპოვებული, A24 სოფელ დეხვირში, ხოლო A2 ხარის სკულპტურა სოფელ დღნორისას გაუქმებულ ეკლესიაში ინახებოდა. ამდენად, ჩრდილოეთ კოლხეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ზოომორფული მრგვალი ფიგურების რაოდენობა 14.5 %-ით ისაზღვრება.

ზოომორფული მრგვალი ქანდაკებების დარჩენილი 2.5% მოდის სამხრეთ დასავლეთ კოლხეთის, მახვილაურის კოლხურ კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ცხოველზე გვერდულად მდჯომარე ქალის ფიგურაზე (B5).

არსებული სურათის მიხედვით, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი

ფიგურების კონცენტრაციის ძირითად კერად უშუალოდ ცენტრალური კოლხეთის სამაროვნები წარმოგვიდგება. ჩრდილოეთით, ამ ტიპის ქანდაკებების გავრცელების



სურ.4

საზღვარი მოიცავს ლეჩხუმისა და სვანეთის ტერიტორიებს და აზღვრულადაა აღწევს, ხოლო სამხრეთით, მახვილურამდე ვრცელდება. ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებების გავრცელების უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტად კი საჩხერის რეგიონი წარმოგვიდგება (სურ. 4).

თავი III. 1 კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა და აქ გავრცელებული ცხოველთა სახეები

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული ფიგურების კვლევისას, ამა თუ იმ ცხოველის სახეობის დადგენისათვის, ისევე, როგორც მათი ფუნქციური დანიშნულების განსასაზღვრად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებული ოსტეოლოგიური მასალის ანალიზს, რომელიც ფაქტობრივი მითითებაა იმისა, თუ ცხოველთა რომელი სახეობა იყო ყველაზე მეტად გავრცელებული კოლხეთში დასახელებული პერიოდისათვის.

აღსანიშნავია, რომ *„ხშირ შემთხვევაში საველე კვლევა ძიების პროცესში, მკვლევარების გარკვეული ნაწილი უგულველყოფს კრანეოლოგიური და ოსტეოლოგიური მასალის შესწავლას“* (სადრამე... 2015, 51), შესაბამისად, არსებული მონაცემები ძალზე მწირია და სრულყოფილი სახით ვერ იქნება წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, საველე ანგარიშებსა და სხვადასხვა პუბლიკაციებში გაბნეული ინფორმაციის თავმოყრის შედეგად შესაძლებელი ხდება მეტნაკლებად მიახლოებითი სურათის აღდგენა.

ჯერ კიდევ ძვ.წ. III-II ათასწლეულებით დათარიღებულ ნამოსახლარებზე გამოვლენილ ოსტეოლოგიურ მასალაში დომინირებს საქონლის, ღორისა და შემდეგ ცხვრის სახეობები. კოლხეთის ბარში გავრცელებული ყოფილა ტანმორჩილი, ხევსურული ჯიშის მსგავსი ძროხები. არსებული მოსაზრებით ბრინჯაოს ხანისათვის ერთ-ერთ წამყვან დარგს ნადირობა წარმოადგენდა, რასაც ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა და სპეციალური იარაღების არსებობა ადასტურებს. მოშინაურებული ცხოველების ძვლებთან შედარებით, გარეული ცხოველების ძვლები უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი. ნანადირევი ცხოველებიდან ჭარბობს გარეული ღორის, შველის, ირემისა და თხის ძვლები (ჯიბლაძე 2007, 88).

ოსტეოლოგიური მასალის ანალიზისათვის ერთ-ერთი ყველაზე ინფორმატიული ძეგლია ჩოლოქ ოჩხამურის ნამოსახლარი, სადაც გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის კულტურულ ფენებში ცხოველთა კარგად შემორჩენილი

ოსტეოლოგიური მასალის დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. ძვლების უმრავლესობა მიეკუთვნება შინაურ ძროხას, რომელიც ტანად შედარებით პატარა ზომის ყოფილა. ასევე მდიდარი მასალითაა წარმოდგენილი შინაური ღორის ძვლები. უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნამოსახლარზე მრავლად აღმოჩნდა გარეული ტახის (შესაძლოა უკვე ადამიანის მიერ მოშინაურებული) ეშვანი თავისქალები. ი. ჩავლეიშვილის აღნიშვნით, ამ პერიოდში „კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების არქეოლოგიური გათხრების დროს შეინიშნება ცხვრისა და თხის ძვლების ნაკლებობა. ანალოგიური სურათია ჩოლოქისპირა ნამოსახლარზეც. აქ სულ რამდენიმე ძვალია შინაური თხისა და შინაური ცხვრის, სავარაუდოა რომ მათ მოშენებას ხელს ტყიანი და ჭაობიანი გარემო უშლიდა. მრავლადაა აღმოჩენილი ნადირობასთან და მეთევზეობასთან დაკავშირებული ნივთები... ასევე დიდი რაოდენობითაა დელფინის ძვლები (ჩავლეიშვილი 1999, 18-19). საყურადღებოა, კოლხეთის დაბლობისაგან განსხვავებით, კოლხეთის მთიანეთში ზოგადად ცხვრის კულტის არსებობას ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანიდან ვარაუდობენ, რაზეც აქ ცხვრის სხვადასხვა ფორმის საკიდებისა და ცხვარჩიტას გამოსახულებების სიმრავლე უნდა მიანიშნებდეს, რომელიც არსებული მოსაზრებით, შესაძლოა გვარის ტოტემურ სიმბოლოს განასახიერებდა (ჩართოლანი 1996, 204).

კოლხეთის ბარში და მის მთიან ნაწილში გავრცელებული შინაური ცხოველების სახეობათა შორის არსებული სხვაობა, გამოწვეული უნდა ყოფილიყო პრაქტიკული მიზეზით - ამა თუ იმ ცხოველის ადაპტირების უნარით შესაბამის გარემო პირობებთან.

საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში მოშინაურებული ცხენის ძვლები ჯერ კიდევ თრიალეთის ყორღანების ოსტეოლოგიურ მასალაში გვხვდება და შუა ბრინჯაოს ხანის არაერთი ძეგლიდან არის ცნობილი (სულთანაშვილი 2005, 10-11), რაც შეეხება კოლხეთის რეგიონს, მიუხედავად ოსტეოლოგიური მასალების სიმწირისა, აქ არაუგვიანეს ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის ცხენი ივარაუდება, როგორც მიმოსვლისა და თვირთმზიდის საშუალება (ჯიბლაძე 2007,93).

კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვართა სიაში არსებული ოსტეოლოგიური მასალის ანალიზის მიხედვით, ადგილობრივი ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი

ცხოველები წარმოდგენილია მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრისა და გარეული ცხოველებიდან ტახის, თხის, შველისა და ირმის სახეობებით. ყველა ეს ცხოველი რეგიონში უძველესი დროიდან არის დადასტურებული და ჩანს, მათ პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად, გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც უნდა ჰქონოდათ, რაზეც მაგალითად, ნამოსახლარებზე გარეული ტახის ეშვებიანი თავისქალების აღმოჩენა უნდა მეტყველებდეს.


§3. 2 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების კლასიფიკაცია

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხურ კოლექტიურ სამაროვნებში და მის გარეთ აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი პლასტიკა წარმოდგენილია ხარის, ცხენის, ცხოველზე მჯდომარე მხედრების, შველის, ვერძის, ავაზის, ძაღლის, ტახისა (?) და რამოდენიმე დაუდგენელი ცხოველის ფიგურებით (სურ. 5).

ცხოველების სახეობათა რაოდენობრივი შეფარდება არათანაბარია. A ჯგუფში ერთიანდება ხარების ოცდახუთი ფიგურა. მომდევნო, B ჯგუფში მხედრების ცხრა, ხოლო C ჯგუფში ცხენების ორი ქანდაკება. D ჯგუფში გაერთიანებულია იმ ცხოველების სკულპტურები, რომლებიც თითო ეგზემპლარით არის წარმოდგენილი, ან რომელთა სახეობის ზუსტად განსაზღვრა ვერ ხერხდება.

ნაშრომში წარმოდგენილი ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკისათვის განმსაზღვრელი ნიშნებია ცხოველთა სქემატურობა, რბილი და მომრგვალებული ფორმები. მხატვრული რეპერტუარი გამარტივებული სახით არის წარმოდგენილი, სხეულის ცალკეულ ნაწილებს შორის, ზომებსა და მოხაზულობაში შეიმჩნევა ასიმეტრიულობა. დეტალები უმეტესად უგულვებელყოფილია და ნაკლებად არის დამუშავებული. თითოეული სკულპტურისათვის დამახასიათებელია ფორმათა მეტნაკლებად ინდივიდუალური მოდელირება. ფიგურები მთლიანადსხმულია, წარმოადგენენ დამოუკიდებელ სადგარებს და განეკუთვნებიან მრგვალ ქანდაკებათა

რიცხვს. ამ ნიშნებით კვლევისათვის შერჩეული ბრინჯაოს ცხოველთა სკულპტურები გამოირჩევიან კოლხეთში გავრცელებული თანადროული ზოომორფული პლასტიკისაგან და დამოუკიდებელ, ცალკე მდგომ ჯგუფს ქმნიან.



სურ.5 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების სახეობებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები

ცხოველისგამოსახულებიანი სკულპტურების ერთსა და იმავე სახეობის ჯგუფებში თავმოყრილი ქანდაკებების ცალკეული დეტალების სხვაობა და ის ფაქტი, რომ არც ერთი სკულპტურა მეორეს ზუსტად არ იმეორებს, გარკვეულწილად ართულებს მასალის კლასიფიკაციას. მთავარ ჯგუფებში ყალიბდება უამრავი ქვეჯგუფი, სადაც ფორმათა მიხედვით ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული ფიგურები ერთიანდებიან. ნივთების ამ სპეციფიური ხასიათის გათვალისწინებით კლასიფიკაციისათვის ყველაზე შესაფერის ვარიანტად შეირჩა ფორმალიზებული მეთოდის გამოყენება (Каменецкий... 1975, 47-51). მეთოდი გამოყენებულია ხარების A და ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე მხედრების B ჯგუფების კლასიფიკაციისათვის. რაც შეეხება ცხენების C ჯგუფს, გამომდინარე მასალის მცირე რაოდენობისა (2 ნივთი) და თითოეული მათგანის სავსებით განსხვავებული ვიზუალისა, მათ შემთხვევაში ფორმალიზებული

მეთოდის გამოყენება არ გახდა აუცილებელი. ანალოგიური ვითარებაა D ჯგუფის მაგალითზე, რომელშიც თითოეული ცხოველი წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობით, ან მათი განსაზღვრა ვერ ხერხდება (იხ. დანართი I, კატალოგი).

A და B ჯგუფებში მორფოლოგიურ ნიშნებზე დაყრდნობით დიაგნოსტიკურ ორიენტირებად გამოყენებულია ცხოველების ყველა ძირითადი მახასიათებელი, რომლებიც თავისმხრივ რამოდენიმე ვარიანტით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ხარების ჯგუფში, სადაც ოცდახუთი ფიგურა ერთიანდება, სათითაოდ არის გამოყოფილი ცხოველის რქის, დრუნჩის, კისრის, ტორსის, კიდურებისა და კუდის ფორმათა ნაირგვარობა. იშვიათ შემთხვევებში მათ ემატება თვალების, დიულაპისა და სქესის გამომხატველი ნიშნები. თითოეული ეს ელემენტი, კონკრეტულ სახეობებში არსებულ ცალკეულ ფორმათა ზოგადი მახასიათებლების მიხედვითაა დაჯგუფებული ისე, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად აისახოს ცხოველთა ფიგურების დეტალებს შორის არსებული მსგავსება. შერჩეული კრიტერიუმების ამსახველ სპეციალურ ცხრილებში ნებისმიერი ცხოველის მიერ რომელიმე ნიშნის ფლობა აღინიშნება ერთიანით. უშუალოდ ორი ფიგურის მსგავსების კოეფიციენტის გამოთვლისას გამოყენებულია ფორმულა $F=S^2/KL$, სადაც, F აღნიშნავს მსგავსების კოეფიციენტს, S გამოსახავს A1-ისა და A2-ი ფიგურების მიერ დაგროვილი ერთგვარი ნიშნების რაოდენობას, K-A1 ფიგურის ნიშნულების, ხოლო L-A2 ფიგურის ნიშნულების რაოდენობას ცალ-ცალკე. მიღებული შედეგებით F მაჩვენებელი ყოველთვის მერყეობს 0-დან 1-მდე ($1>F>0$). რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით მეტია ფიგურებს შორის მსგავსება. ფორმულა ემყარება მეცნიერების სხვადასხვა დარგში ფართოდ დანერგილ ე.წ. არამყარ ლოგიკას, რომლის მიხედვით სიმართლის (ამ შემთხვევაში მსგავსების) ხარისხი ყოველთვის 0-დან 1- მდე მერყეობს. თითოეული სკულპტურა შედარებულია ჯგუფში არსებულ ყველა დანარჩენ ფიგურასთან. მიღებული მონაცემები გამოსახულია პითაგორას ცხრილში.

კოეფიციენტის მეტნაკლებად მსგავსი მაჩვენებლების მქონე ზოომორფული ფიგურები აყალიბებენ საერთო ჯგუფებს. სკულპტურები მსგავსების მაღალი მაჩვენებლით ერთიანდებიან მათთან იკონოგრაფიულად ყველაზე ახლოს მდგომ წყვილებთან. არის შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად ერთი და იგივე

კოეფიციენტების ფლობისა, სხვადასხვა წყვილებს შორის არსებული მსგავსება არაერთგვაროვან კომპონენტებში გამოვლინდეს. ანალოგიური ვითარებაა შედარებით დაბალი კოეფიციენტის მქონე ქანდაკებების მონაცემებშიც. ეს ფაქტორი, თითოეული ფიგურის თავისებური მოდელირებით არის გამოწვეული. სკულპტურები, რომლებსაც მსგავსების კოეფიციენტი ყველა კომბინაციაში ძალიან დაბალი აქვთ, შესაძლოა სხეულის ცალკეული დეტალებით მცირე თანხვედრას პოულობდნენ სხვადასხვა სკულპტურასთან, მაგრამ განმსაზღვრელი ნიშნების მიხედვით, ინდივიდუალურობით გამოირჩევიან. ამ ტიპის ცხოველთა ქანდაკებები, ტექსტში ცალკე იქნება განხილული.

§3. 3 ხარის ფიგურები

ბრინჯაოს მრგვალ ზომორფულ ფიგურებს შორის ყველაზე დიდი და პრობლემატური ჯგუფი წარმოდგენილია ხარების ოცდახუთი ქანდაკებით, რომელთაგან არც ერთი ნივთი მეორეს ზუსტად არ იმეორებს. სკულპტურების ნაწილი მოღწეულია არასრული სახით, აკლია რქა, ფეხი ან კუდი.

ბრინჯაოს ხარის მრგვალი ფიგურები გაერთიანებულია A ჯგუფში (კატ. A1- A25). კლასიფიკაციის პროცესში გათვალისწინებულია ხარების სხეულის თითოეული ნაწილი: რქები, დრუნჩი, კისერი, წელი, კიდურები, ჩლიქები და კუდი. იმის გამო, რომ A5 და A11 ფიგურებს აქცენტირებული აქვთ სასქესო ორგანოები, A9 და A11 ფიგურებს გამოსახული აქვთ თვალები, ხოლო A5, A11, A12, A16, A17, A18, A20, A21, A22 და A25 ფიგურებს ყელზე დიულაპი დაუყვებათ, კლასიფიკაციისათვის შერჩეულ კრიტერიუმებს ეს სამი ნიშნულიც ემატება. საერთო ჯამში მსგავსი და განმასხვავებელი დეტალები ათი კომპონენტითაა წარმოდგენილი.

თითოეულ დიაგნოსტიკურ ნიშანში ფორმებისა და პოზიციის მიხედვით რამოდენიმე ვარიანტი გაირჩევა. შესაბამისად, სკულპტურების სხეულის ცალკეული დეტალები ერთმანეთთან მაქსიმალურად მსგავს ჯგუფებში არის გაერთიანებული (იხ. დანართი II).

ყველაზე ფართო ვარიაციებით წარმოდგენილია რქები. გამოიყოფა შვიდი ძირითადი ფორმა. ნახევარმთვარისებური რქების შემთხვევაში გაირჩევა ოთხი ვარიანტი 1) მაღალი 2) ფართე 3) საშუალო ზომის 4) განზე გაშლილი და ჰორიზონტალურად მდებარე; დანარჩენი სამი ვარიანტი წარმოდგენილია 5) მაღალი, ფართე და ბოლოებით ზურგისაკენ მიხრილი, 6) მცირედ შუბლისკენ დახრილი და ზეაშვერილი, ან 7) მომცრო განზე გაზიდული ფორმებით.

დრუნჩი გამოსახულია ექვსი ვარიანტით: 1) გრძელი ბოლოკვეთილი კონუსის 2) საშუალო ბოლოკვეთილი კონუსის 3) საშუალო კონუსის 4) მოკლე კონუსის 5) გრძელი ცილინდრული და 6) მოკლე ცილინდრული მოყვანილობით.

კისრის ფორმებში გაირჩევა 1) მაღალი 2) მაღალი და ვიწრო 3) მაღალი და ქედიანი 4) მაღალი და კეფასთან შესქელებული 5) დაბალი 6) დაბალი და სქელი ფორმები, რომლებიც, თავისმხრივ, ან მრგვალია, ან დიულაპით არის გაფორმებული.

ტორსის ფორმებში გაირჩევა ექვსი ტიპი: 1) გრძელი, ვიწრო ცილინდრული 2) გრძელი, მსხვილი ცილინდრული 3) გრძელი ორად გაყოფილი 4) მოკლე სქელი და ორად გაყოფილი 5) მკერდიდან გავისკენ შევიწროებული და 6) გავასთან შესქელებული.

კიდურები წარმოდგენილია შვიდი ვარიანტით: 1) გრძელი და ვიწრო 2) გრძელი და სქელი 3) საშუალო და ვიწრო 4) საშუალო და მსხვილი 5) საშუალო, ძალიან მსხვილი 6) მოკლე კონუსური.


კიდურების ბოლოები მოდელირებულია სხვადასხვაგვარად. გვხვდება 1) ბოლოკვეთილი 2) კონუსური 3) ირიბად წაკვეთილი და 4) სქემატურად გამოსახული დაბრტყელებული ჩლიქები.

კუდი წარმოდგენილია ექვსი ფორმით 1) გრძელი და გავასთან გაზიდული 2) გრძელი და გავაზე დაშვებული 3) საშუალო სიგრძის 4) მოკლე კონუსური 5) მოკლე და ვიწრო 6) ძალზე მომცრო, ან კუდის გარეშე.

თვალეები გადმოცემულია რელიეფური შემაღლებით ან ნაჭდევებით. რაც შეეხება დიულაპსა² და სასქესო ნიშნებს, ეს დეტალები ფიგურებზე ან გვხვდება ან არა.

კლასიფიკაციისათვის ფორმალიზებული მეთოდის გამოყენების მიზანია მაქსიმალური სიზუსტით მარტივად გამოისახოს ხარების ქანდაკებებს შორის არსებული მსგავსება/სხვაობა.

მიუხედავად ბრინჯაოს ხარების ყველა ქანდაკების მეტნაკლებად ერთი და იგივე სტილისტური მახასიათებლებისა, მათი საკმაოდ დიდი ნაწილი ცალკეული ფორმების მოდელირების თვალსაზრისით აბსოლიტურად ინდივიდუალურია, ან მსგავსებას მხოლოდ მცირე რაოდენობის ხარის ფიგურებთან ჰპოვებს. არის შემთხვევები, როდესაც ფიგურები ერთმანეთისაგან მხოლოდ რამოდენიმე დეტალით განსხვავდებიან ან პირიქით, მათი მსგავსების კოეფიციენტი 0-ს უტოლდება (სურ. 6).



სურ. 6 ხარების ჯგუფის სმგავსების კოეფიციენტების ცხრილი

ხარების ჯგუფში მსგავსების ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება ლეჩხუმში, სოფ. ორბელში აღმოჩენილ A20 და დღვაბას N2-ე კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილ A21 ფიგურებს შორის (0.77). ორივე მათგანისათვის დამახასიათებელია ნახევარმთვარისებური, საშუალო ზომის, სტანდარტული რქები, საშუალო ზომის

² დიულაპი - Dewlap, ტერმინი ლათინური წარმომავლობისაა და აღნიშნავს ცხოველებისათვის დამახასიათებელ ყბის ქვეშ დაკიდებულ ნაკვეთრ კანს.

კონუსის ფორმის დრუნჩი, მაღალი, ქედიანი კისერი, მსუბუქად გამოსახული დიულაპი, საშუალო სიმაღლის წვრილი, კონუსისებურად დაბოლოებული კიდურები და მოკლე წვრილი კუდი.

ერთგვარი ნიშნების მაღალი მაჩვენებელი აქვთ ცაიშის N1 კოლექტიურ სამარხში მოპოვებულ A7-A8 და A4-A13 ფიგურებს. პირველ შემთხვევაში მსგავსება ვლინდება შემდეგ ფორმებში: საშუალო ზომის კონუსის ფორმის დრუნჩი, დაბალი, სქელი კისერი, მოკლე, სქელი და ორად გაყოფილი ტორსი, ბოლოკვეთილი კიდურები და მოკლე, კონუსური კუდი. მეორე წყვილის ფიგურებისათვის დამახასიათებელია მაღალი, ფართო და ბოლოებით ზურგისაკენ მიხრილი რქები, გრძელი კონუსის ფორმის ბოლოკვეთილი დრუნჩი, მრგვალი კისერი დიულაპის გარეშე, მოკლე კონუსის ფორმის კუდი და ბოლოკვეთილი კიდურები (0.56). თავისმხრივ A4 ხარი მსგავსებას ავლენს A7 ხარის ფიგურასთან (0.45). ფიგურები ერთმანეთს იმეორებს რქების, მრგვალი კისრის, ბოლოკვეთილი კიდურებისა და კუდის მოყვანილობით. ხოლო დღვებას N2-ე სამარხში აღმოჩენილი A3 ფიგურა ერთგვარი მაჩვენებლით კავშირს ცაიშის N1 და N2 სამარხების A14 და A18 ხარებთან პოულობს. პირველ შემთხვევაში საერთო ნიშნები შეიმჩნევა რქების, კისრის ფორმის, ტორსისა და კიდურების ბოლოების გაფორმებაში, A18 ფიგურასთან კი რომელსაც დაბალ კისერზე დამატებით დიულაპი აქვს გამოსახული, ეს კომპონენტი ჩანაცვლებულია ერთგვარი დრუნჩის ფორმით.

შემდეგ საფეხურზეა (0.39) A1 და A2 ხარები, მუხურჩას N2-ე კოლექტიური სამარხიდან და დღნორისას გაუქმებული ეკლესიიდან. მათ აქვთ ერთგვარი, გრძელი ბოლოკვეთილი კონუსის ფორმის დრუნჩი, მაღალი და მრგვალი ფორმის კისერი, გრძელი ორად გაყოფილი ტორსი და კიდურებზე სქემატურად გამოსახული ჩლიქები. მსგავსების კოეფიციენტით იმავე საფეხურზეა A14 ფიგურის საერთო ნიშნების მაჩვენებელი A2, A13 (ცაიშის N1 სამარხი) და A18 ხარების სკულპტურებთან მიმართებაში, თუმცა თითოეული ფიგურის შემთხვევაში ერთგვარ კრიტერიუმებს შორის შეინიშნება მცირედი სხვაობა. A14 და A2 ხარების ერთგვარი ნიშნულება ბოლოკვეთილი კონუსის ფორმის დრუნჩი, მრგვალი კისერი, გრძელი, ორად გაყოფილი წელი, საშუალო, გავსთან ახლოს დაშვებული კუდი და სქემატურად

გამოსახული ჩლიქები. A14 და A13 ხარებს მსგავსი დრუნჩი, კისრის ზომა და ფორმა, საშუალო სიმაღლის მსხვილი კიდურები და კუდი აქვთ. A14 და A18 ფიგურებს კი მაღალი მთვარისებური რქები, დაბალი კისერი, ტორსი, კიდურები და სქემატურად გამოსახული ჩლიქები აერთიანებთ.

მსგავსების შედარებით დაბალი მაჩვენებელი (0.29) ფიქსირდება რამოდენიმე წყვილს შორის. A3 და ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილ A6 ხარებს ფიგურებისათვის საერთოა საშუალო ზომის ბოლოკვეთილი დრუნჩი, დაბალი მრგვალი კისერი და მაღალი მთვარისებური რქები. დღვასას სამაროვანზე და სვანეთში, ლატალში აღმოჩენილ A12-სა და A17 ხარებს ყელზე გამოსახული დიულაპი, გრძელი და ვიწრო ცილინდრული მოყვანილობის წელი, საშუალო ზომის მსხვილი და ბოლოკვეთილი კიდურები მიუგავთ. ცაიშის N1 სამარხში მოპოვებული A19 ხარი ამავე კოეფიციენტით მსგავსია A2, A13 და A14 ფიგურებისა, თუმცა, თითოეულ მათგანთან საერთოს სხვადასხვა დეტალებში პოულობს. მაგალითად, A13 ფიგურასთან ერთგვარი ნიშნები ვლინდება გრძელი ცილინდრული წელის, მრგვალი კისრის, გრძელი ბოლოკვეთილი კონუსური დრუნჩისა და კიდურების დაბოლოებაში.

0.2, 0.25-ს შორის მერყეობს მსგავსების კოეფიციენტი ცხრა წყვილს შორის. მათგან A4 ფიგურა მსგავსებას პოულობს A1, A2, A14 და აფხაზეთში, აბგარხუკში აღმოჩენილ A23 ნიმუშებთან. A4 და A23 ხარების ნიშნები ერთგვარია დრუნჩის, მრგვალი კისრის, მოკლე მსხვილი კიდურებისა და მოკლე კონუსის ფორმის კუდის მიხედვით. A5 ხარს მუხურჩის N2-ე სამარხიდან და A14 ფიგურებს დრუნჩი, კიდურების ზომა, მოყვანილობა და გრძელი, გავასთან დაშვებული კუდი მიუგავთ. შემდეგი წყვილი წარმოდგენილია ურეკის N3 და ცაიშის N1 სამარხებში აღმოჩენილ A11 და A19 ხარების ფიგურებით. ამ უკანასკნელს შორის მსგავსია გრძელი, ორად გაყოფილი წელი, გრძელი ბოლოკვეთილი კონუსის ფორმის დრუნჩი, კიდურების დაბოლოება და გრძელი, გავასთან გაზიდული კუდი. კოეფიციენტის (0.25) მაჩვენებლის მატარებელი ბოლო წყვილი წარმოდგენილია საჩხერეში, ქვედაძეების უბანსა და ქუთაისში მაღლაკის მიდამოებში შემთხვევით მოპოვებული A22 და A25 ხარებით. მათ შორის მსგავსება მოკლე, კონუსის ფორმის დრუნჩის, მკერდთან სქელი და გავისკენ შევიწროებული წელის, და კიდურების დაბოლოებაში არის ასახული.

მომდევნო საფეხურზე 0.16-0.19 შორის არსებული მაჩვენებლების მქონე ფიგურები წარმოდგენილია A1-A9; A2-A3; A2-A9; A3-A10; A4-A6; A4-A9; A5-A11; A5-A17; A6-A7; A6-A19; A12-A13; A12-A20; A13-A17; A15-A17 და A15-A19 ხარების სკულპტურებით. ვინაიდან ხარების მოყვანილი წყვილებიდან ნივთების ნაწილი უკვე დახასიათებულია, ყურადღებას მხოლოდ მუხურჩას N5, ერგეტას მეორე სამაროვნის N11 და ცაიშის N1 სამარხებში აღმოჩენილი A9, A10 და A15 სკულპტურებზე, გავამახვილებთ. ამათგან A9 ხარი მსგავსია A1 და A4 ნიმუშებისა. საერთო მაჩვენებლი პირველ შემთხვევაში გრძელ, ორად გაყოფილ წელში, დრუნჩსა და მაღალ კისერში, ხოლო მეორე შემთხვევაში, წელის, დრუნჩისა და კისრის მრგვალ ფორმაში ვლინდება. A10 და A3 ფიგურებს გრძელი, ორად გაყოფილი წელი, მრგვალი ფორმის კისერი და წაგრძელებული ვიწრო კიდურები აერთიანებთ. A15 და A17 ხარებს მოკლე ცილინდრული დრუნჩი, მაღალი ვიწრო კისერი და გრძელი ცილინდრის ფორმის წელი, ხოლო A15 და A19 სკულპტურებს მრგვალი უდიულაპო კისერი, ტორსი და გავასთან გაზიდული გრძელი კუდი მიუგავთ.

მსგავსების მიხედვით 0.1 დან 0.14 მდე კოეფიციენტში (უმეტესად 0.14) ერთიანდება საკმაოდ დიდი რაოდენობა წყვილებისა. მათ შორის A1 მსგავსებას პოულობს A5, A10 და A23 ხარებთან. A2 წყვილდება A5, A9, A10, A13, A18-თან; A4 – A5, A8, A9, A10, A19, A24-თან; A5 – A10, A12-თან; A6 – A13, A14, A18, A24-თან; A7 – A13, A23, A24-თან; A8 – A23, A24, A25-თან; A9 – A10, A14, A29, A21-თან, A10 – A15, A24-თან; A11 – A12, A13, A17-თან; A16 – A18, A19, A20, A22-თან, ხოლო A22 – A20, A21 და A25 ხარებთან. ჩამოთვლილი წყვილებიდან ყურადღებას იქცევს ერგეტას მესამე სამაროვნის N4 სამარხსა და სოფ. დეხვირში აღმოჩენილი A16 და A24 ფიგურები, რომლებიც კოეფიციენტის მაჩვენებლით ჯერ ჯერობით არც ერთ სხვა ჯგუფში არ დაფიქსირებულა. A16-ს სკულპტურებთან ყველა შემთხვევაში ფიგურებთან აერთიანებს დიულაპი და გრძელი ზომის სქელი კიდურები. გარდა ამისა, A18 ფიგურასთან მსგავსი ყელი, ხოლო A20 და A22 ფიგურებთან კიდურების კონუსის ფორმის დაბოლოება ემთხვევა. A24 ხარი მსგავსებას (0.13) A4, A6, A7, ხარებთან პოულობს. A4 და A7 ხარების შემთხვევაში მსგავსება ვლინდება მრგვალი კისრისა და მოკლე, მსხვილი კიდურების მოყვანილობაში, რომელიც

ბოლოკვეთილია. A6 ფიგურასთან მაღალ ნახევარმთავარისებურ რქებში, მრგვალ კისერსა და კიდურების დაბოლოებაში.

0.0-0.08-მდე კოეფიციენტის მაჩვენებლით ცხრილში წარმოდგენილია ასევე დიდი რაოდენობით კომბინაცია. თუმცა, ამ ჯგუფში ორ ნივთს შორის მსგავსება ერთ, ორ, ან იშვიათ შემთხვევებში სამ კომპონენტში ვლინდება. აქ თავმოყრილი თითოეული ფიგურა, თავიანთი ძირითადი მახასიათებლებით უკვე აღწერილია მათთან მსგავსებით ყველაზე მეტად (ან საშუალოდ) შესაფერის ცალებთან მიმართებაში. ამდენად თითოეული შემთხვევა დამატებით ცალკე განხილვას ადარ საჭიროებს.

მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთსა და იმავე სამარხულ კომპლექსში აღმოჩენილ ნივთებს შორის რიგ შემთხვევებში მსგავსების ძალიან დაბალი კოეფიციენტი შეიძლება დაფიქსირდეს (მაგ. ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილი A8 და A15 ხარების $F=0.02$) და პირიქით, ერთმანეთისაგან დაშორებულ რეგიონებში აღმოჩენილი ნივთები შესაძლოა მსგავსების მაღალი მაჩვენებლით დაჯუგუფდეს (მაგ. ლეჩხუმში სოფ. ორბელში შემთხვევით მოპოვებული A20 და დღვაბას N2-ე კოლხურ კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი A21 ხარების $F=0.77$)

ცხრილზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ზოგიერთი ხარის ფიგურა მკვეთრად ინდივიდუალური ფორმების გამო სხვა ნივთებთან მიმართებაში მსგავსების კოეფიციენტის ზედა ზღვარად 0.14 ან კიდევ უფრო დაბალ მაჩვენებელს ავლენს. მათ რიცხვშია A9, A10, A11, A12, A15, A16, A20, A22 და A24 ხარის ფიგურები. A20, A22 და A24 სკულპტურები აღმოჩენილია შემთხვევით, კოლხეთის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში. ყველა სხვა ნივთი კი კოლექტიურ სამარხებშია მოპოვებული. მათგან ყველაზე საინტერესოა A11 და A15 ხარები.

ურეკის N3 კოლხურ კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი A11 ქანდაკება შესრულების მანერით A ჯგუფში ყველაზე სრულყოფილია. რქები ჰორიზონტალურადაა გაშლილი და შუბლისკენ მირკალული. სახეზე ნაჭდევებით აღნიშნულია თვალები და ნესტოები, დრუნჩი გამოყოფილია, მაღალ, წინ წამოწეულ კისერზე დაუყვება დიულაპი, ტორსი ცილინდრის ფორმის აქვს, რომელიც გრძელი, გავასთნ მცირედ გაზიდული კუდით ბოლოვდება. გრძელი თანაბარი ზომისა და

სისქის ფეხები განზე აქვს გადგმული, სკულპტურას გამოსახული აქვს ფალიური ნიშნები. ხარის პოზა ძლიერ ექსპრესიულია და შთამბეჭდავი.

მსგავსების დაბალი კოეფიციენტის მქონე ხარების ჯგუფიდან ყურადღებას იქცევს ცაიშის N1 კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი A15 ფიგურა, რომელიც სხვა ფიგურებისაგან დეტალების დამუშავებით გამოირჩევა. მისთვის დამახასიათებელია უჩვეულოდ ფართე, მაღალი და ბოლოებით ზურგისკენ მიხრილი რქები, ვიწრო და გრძელი ყელი. დრუნჩი ჰორიზონტალურად აქვს ამოდარული, წელი გრძელი და ცილინდრული ფორმისაა. კიდურებზე ჩლიქები იმიტირებულია ჩამოსხმის შემდეგ ბოლოების ირიბად წაკვეთის გზით. კუდი გრძელი აქვს, გავასთან გაზიდული და დაშვებული. სრულებით შესამღებელია, რომ A15 ხარი გამოსახავდეს არა ადგილობრივად გავრცელებული ჯიშის მსხვილფეხა საქონელს, არამედ მისი დეტალების თავისებურება ხელოსნის ინდივიდუალური შემოქმედებით იყოს გამოწვეული.

ბრინჯაოს ხარის მრგვალ ფიგურებს შორის აშკარად გამოირჩევა სოფელ დეხვირში შემთხვევით აღმოჩენილი A24 ქანდაკება, რომლის სხეულის ზედაპირი ზედმიწევნით არის ნაპრიალები. სხვაობა ყველაზე უკეთ ვლინდება სახისა და კიდურების მოყვანილობაში, მისთვის დამახასიათებელია პროპორციული, მოკლე, სქელი და ცილინდრული ფორმები. კუდი მეტად მცირე ზომის აქვს, თვალები რელიეფური ბურცობებითაა გადმოცემული. ფორმების თვალსაზრისით ნივთი ყველაზე მეტად ჰგავს აზგარხუკში მოპოვებულ A23 ხარის ფიგურას, რომლის ზედაპირი ასევე საგულდაგულოდ არის ნაპრიალები, სხეულის ფომები კი მოკლე, სქელი და ცილინდრულია.

ხარების ჯგუფში შემავალი სკულპტურების ინდივიდუალურ ნიშნებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ მუხურჩის N2-ე სამარხში მოპოვებულ A5 ქანდაკებას, მსგავსად A11 ქანდაკებისა, გამოსახული აქვს სასქესო ნიშნები. ცაიშის N2-ე სამარხში აღმოჩენილ A18 ხარს კი ყელზე რელიეფურად მოდელირებული საბელი შემოუყვება.

შეჯამების სახით, A ჯგუფში არსებულ ხარის ფიგურებს შორის აბსოლიტური მსგავსება არ ფიქსირდება. მსგავსების კოეფიციენტი მხოლოდ ერთ შემთხვევაში არის

0.77-ის ტოლი. თითოეული ფიგურა გამოირჩევა ფორმათა ინდივიდუალური მოყვანილობით. რაც უფრო დაბალია მსგავსების კოეფიციენტი, მით მეტია წყვილების რაოდენობა. როგორც წესი, ასეთ კომბინაციებში სკულპტურები ერთმანეთთან მხოლოდ ცალკეული ფორმების, რქების, დრუნჩის, კისრის, წელის, კიდურების ჩლიქების, ან კუდის მიხედვით ნახულობენ საერთოს, თუმცა, ერთგვარი ნიშნების რაოდენობა ძალზე მცირეა. ამ გარემოებას რამოდენიმე ფაქტორი უნდა განაპირობებდეს. პირველი მიზეზი შესაძლოა გამოწვეული იყოს ფიგურების ერთჯერადად დამზადებით და ამდენად, ყოველი ყალიბის მეტნაკლებად ინდივიდუალური ფორმით, ხოლო მეორე, ფიგურების ყალიბიდან გამოთავისუფლების შემდეგ სკულპტურების ცალკეული დეტალების შემდგომი დამუშავებით სპეციალური საჭრელი იარაღების, ან ცივი და ცხელი ჭედვის გამოყენებით. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილი A14 ხარის ფიგურა, რომელსაც უკანა კიდურებზე სქემატურად გამოყვანილი, დაბრტყელებული ჩლიქები ჭედვის გზით უნდა ჰქონდეს დამუშავებული. ფიგურები რომ ერთი და იგივე ყალიბით არ მზადდებოდა ამას უნდა მიუთითებდეს მათი სხვაობა ზომებშიც. ხარების სიმაღლე 3.5 სანტიმეტრიდან 8 სანტიმეტრამდე, ხოლო სიგრძე 4.5 სანტიმეტრიდან 10 სანტიმეტრამდე მერყეობს. ზომების მიხედვით მსგავსება იშვიათია. თუმცა, ამგვარი მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ მუხურჩას N2-ე კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი A1 და დღნორისას A2 ხარები. ისევე, როგორც დღვასას N2-ე კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი A3 და A19 ფიგურა ცაიშის N1 სამარხიდან. თუმცა, ამ შემთხვევებში განსხვავება უკვე მათი სხეულის ცალკეული დეტალების მოდელირებაში ვლინდება. დაბოლოს, ერთსა და იმავე კოლხურ კოლექტიურ სამარხ ორმოებში აღმოჩენილ ხარის ფიგურებს შორის არსებული სხვაობა შესაძლოა აიხსნას კომპლექსებში მათი დროის სხვადასხვა მონაკვეთში მოხვედრით. მიღებული მოსაზრებით, ცაიშის სამაროვანზე შესწავლილი ორივე სამარხი ორმო (და სავარაუდოდ სხვა კოლხური კოლექტიური სამარხებიც) დროის ხანგრძლივ მონაკვეთში (50 წელი და შესაძლოა გაცილებით მეტიც) ფუნქციონირებდა (პაპუაშვილი 2015, 21), ამდენად აქ აღმოჩენილი ფიგურები შესაძლოა დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყოს დამზადებული.

§3. 4 მხედრის ფიგურები

ბრინჯაოს მხედრების ჯგუფი ცხრა ეგზემპლარით არის წარმოდგენილი და გაერთიანებულია B ჯგუფში (კატ. B1-B9). ნივთები ფორმათა ნაირგვარობით ხასიათდება. სხვაობა ვლინდება როგორც ცხოველის, ისე ადამიანის ფიგურების გაფორმებაში. სკულპტურების ნაწილი იმდენად უხეშად არის დამუშავებული, რომ ამა თუ იმ დეტალის გარჩევა ხშირად შეუძლებელია. ფორმების აღქმას ართულებს დროთა განმავლობაში წარმოქმნილი პატინაც.

ბრინჯაოს ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომი მხედრები, რომლებიც აღმოჩენილია კოლხურ კოლექტიურ სამარხებში, ყველა შემთხვევაში განასახიერებენ ქალს, რომელიც გამოსახულია სპეციალურ უნაგირზე/სავარძელში, გვერდულად მჯდომარე, ორივე ფეხით წინ, ანფასში. კოლხეთში აღმოჩენილი ქალი მხედრების ქანდაკებებთან ერთად, აშკარა მსგავსების საფუძველზე, ჯგუფში გაერთიანებულია კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქალი მხედრის ფიგურაც. რაც შეეხება ცაგერას განძსა და ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში შემთხვევით მოპოვებულ ბრინჯაოს მამაკაც მხედრებს, იკონოგრაფიული თუ კონცეპტუალური ნიშნების სხვაობის გამო ორივე ფიგურა ქალი მხედრებისაგან დამოუკიდებლად იქნება განხილული.

მსგავსად A ჯგუფისა, ქალი მხედრების კლასიფიკაციისას გამოყენებულია ფორმალიზებული მეთოდი, რომელიც ეფუძნება თითოეული სკულპტურის ძირითადი მორფოლოგიური ნიშნების ანალიზს. B ჯგუფში გაერთიანებულ მხედრებს შორის არსებული მხატვრული სტილის საერთო თუ განმასხვავებელი მახასიათებლები დაკვირვების გარეშეც ადვილად შეიმჩნევა. ამდენად, მათი დაჯგუფება ხდება სამი ძირითადი ელემენტის მიხედვით. ორიენტირებად აღებულია ქალის სკულპტურის მახასიათებლები, უნაგირის/სავარძლის მოყვანილობა, ცხოველის სახეობა და მისი აღკაზმულობა (იხ. დანართი II).

ქალის ფიგურების დიაგნოსტიკურ ნიშნულებად შეირჩა შვიდივე მხედრისათვის დამახასიათებელი, ძირითადი განმსაზღვრელი დეტალები: თავის ფორმის მოყვანილობა, ვარცხნილობა, გვირგვინი (?), სამკაული, სახის ნაკვთები, მკერდი, ბავშვი, სასმისი, ხელების პოზიცია.

მხედრების თამხლები ცხოველის შემთხვევაში, პირველი და ყველაზე მთავარი განსხვავება თავად ცხოველის სახეობებს შორის ვლინდება. ამდენად, ვარიანტებში გამოიყოფა ცხენი, ტახი (?) და დაუდგენელი ცხოველი. შიდა ჯგუფებში, არსებობის შემთხვევაში, განხილულია ფაფრის, ან ალკაზმულობის დეტალებიც.


ვინაიდან კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხოველზე გვერდულად მდგომარე ქანდაკებები ყველა შემთხვევაში სპეციალურ სავარძელში არიან მოთავსებული, კლასიფიკაციისას ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად შერჩეული და გამოყოფილია სავარძლის სხვადასხვა ფორმები: 1) სავარძლის ზედა ნაწილი ორნამენტირებულია, ხოლო ზურგის საყრდენი სივრცე შევსებულია ჰორიზონტალურად გამოსახული სამი ურთიერთგადაბმული მრგვალი ფირფიტით, ორი ურთიერთგადაბმული მრგვალი ფირფიტით, ან რომბისებური სხივებად გაშლილი ფირფიტით, რომლის ბოლოები სავარძლის ძირითად ჩარჩოზეა მირჩილული. 2) სავარძლის ზედა ნაწილი დამზადებულია სრულიად სადა მრგვალგანიკვეთიანი ღეროთი, საზურგე საყრდენი შევსებულია ვერტიკალურად მოთავსებული ფართო ბრტყელი ფირფიტით. 3) სავარძელი იმეორებს მეორე ვარიანტს, მაგრამ კომპოზიციაში საზურგის გვერდებზე დამატებით წარმოდგენილია ვერტიკალურად განთავსებული თითო მრგვალგანიკვეთიანი ღერო. ამავე ჯგუფში ბოლო კომპონენტია მხედრებისათვის ფეხის მოსათავსებლად მირჩილული სპეციალური ფირფიტა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ B3, B4, B5 და B6 სკულპტურები დაზიანებულია. B3 ქალის ფიგურას ადარ აქვს მარჯვენა ხელი და მარცხენა ხელის მოზრდილი ნაწილი, ფრაგმენტულად არის მოღწეული სავარძელიც. B4 ფიგურას, გარდა იმისა რომ ძლიერ არის დაჟანგებული, მუხლებს ქვევით აკლია კიდურები. B5 მხედარს, ისევე როგორც ცხოველს, არასრულად აქვთ შემორჩენილი პირველ შემთხვევაში თავისა და მეორე შემთხვევაში დრუნჩის ნაწილი, მხედარს დაზიანებული აქვს მარცხენა ხელის მტევანიც. B6 ქანდაკებას კი სავარძლისა და ხელის მარჯვენა ნაწილი აკლია. ყველა ეს მონაცემი ცხრილებში დაფიქსირებულია. დეტალების ნაკლებობა გარკვეულწილად ართულებს ნივთების კლასიფიკაციის პროცესს.

	B1	B2	B3	B4	B5	B6	B7	
B1		0,81	0,57	0,10	0,06	0,07	0,58	B1
B2			0,09	0,05	0,00	0,02	0,27	B2
B3				0,11	0,15	0,08	0,49	B3
B4					0,18	0,10	0,20	B4
B5						0,13	0,06	B5
B6							0,05	B6
B7								B7
	B1	B2	B3	B4	B5	B6	B7	

ყველაზე ნაკლებად
მსგავსი

ყველაზე მეტად
მსგავსი



სურ. 7 მხედრების ჯგუფის მგავსების კოეფიციენტების ცხრილი

ცხოველზე გვერდულად მჯდომი ქალი მხედრების ჯგუფში მსგავსების ყველაზე მაღალი კოეფიციენტი (0.81) ფიქსირდება B1 და B2 ფიგურებს შორის (სურ. 7). ორივე ნივთი ცაიშის სამაროვანზე, ერთსა და იმავე N1 კოლექტიურ სამარხ ორმოში არის მოპოვებული. მიუხედავად მცირე სხვაობისა, მსგავსება ვლინდება როგორც ადამიანის, ისე ცხენისა და სავარძლის ძირითად ფორმებში. მხედრებს ერთგვარი გვირგვინი (?) ამშვენებთ, მიუგავთ თმის ვარცხნილობაც. მარცხენა ხელში ბავშვი უჭირავთ, მარჯვენა ხელში სასმისი, რომელიც B2 ფიგურის შემთხვევაში დაზიანებულია. ორივე მხედარი გამოსახულია ერთი სტილისტური მანერით შესრულებულ ცხენზე, რომლებსაც აღკაზმულობის ფრაგმენტები აქვთ შემორჩენილი. მიუხედავად მცირე სხვაობისა, ერთგვარია სავარძლის ფორმების მოყვანილობა. თუმცა, მათ განასხვავებს ჩარჩოს ზედა ნაწილის ორნამენტაცია. B1 ფიგურას ორ რიგად გამოსახული ჰორიზონტალური სფეროსებური რიგი, ხოლო B2 ფიგურას ერთ წყებად დატანილი თევზიფხური ორნამენტი ამკობს.

B1 მხედარი იკონოგრაფიულად ასევე ახლო მსგავსებას პოულობს B7 მხედართან (0.58), რომელიც კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში იქნა აღმოჩენილი. ორივე შემთხვევაში ერთგვარია ქალების სპეციალური თავსაბური და ზურგს უკან დაყოლებული სქელი ნაწნავი. მხედრების ყელს მრგვალგანივკვეთიანი საკისრე

რგოლები ამკობთ. B1 ფიგურის ყელი შედარებით მოკლეა, ძლიერ დაჟანგული, რის გამოც საკისრე რგოლები კარგად არ იკითხება. B7 მხედარს სამკაული შვიდ წყებად აქვს შემოყოლებული. თუმცა სახის ნაკვეთები ორივე შემთხვევაში იკითხება, მათ შორის არის სხვაობაც. სამოსის ნიმუშს თვალეები მრგვალი რელიეფებით აქვს გამოსახული, ცაიშის ნიმუშის შემთხვევაში კი სხეულის ეს ნაწილი გაცილებით სქემატურადაა ფორმირებული. ორივე ფიგურას კარგად ეტყობა ყურები და ცხვირი. ორივე მხედარი გამოსახულია მარცხენა ხელით მკერდზე მიხუტებული ბავშვით. B1 და B7 მხედრები ერთგვარ, რეალისტურ ფიგურასთან შედარებით, უჩვეულო ცხენებზე არიან გამოსახულნი. ცხოველებს ტორსი, ყურების ფორმა და პოზიცია, დრუნჩის მოყვანილობა და წინა კიდურების სქემატურად, ჭედვის გზით გამოყვანილი ჩლიქებიც ერთნაირი აქვთ. ორივე შემთხვევაში შემორჩენილია აღკაზმულობის ნაწილები. ორივე მხედრისათვის, ფეხების მოსათავსებლად კომპოზიციაში წარმოდგენილია თხელი სადა ფირფიტა.

B1 მხედარი ახლო მსაგვსებას პოულობს (0.57) B3 მხედართანაც, რომელიც მუხურჩის სამაროვანზე, ქვედა დასაკრძალავ მოედანზე იქნა აღმოჩენილი. ფიგურებს აერთიანებს ვარცხნილობა, შუბლზე გამოსახული თხელი გვირგვინი (?), სახეზე რელიეფურად გამოყვანილი ყურები, ცხვირი და ყელსაბამი. ერთგვარი სტილით არის დამზადებული მხედრების თანმხლები ცხოველიც, რომელიც B3 ფიგურის შემთხვევაში მცირედ განსხვავებულია და სხეულის შედარებით თხელი ფორმებით ხასიათდება. B3 ცხენის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მას არ აქვს ყურები, ხოლო სახისა და ყელის მთელს ჩაყოლებაზე გასდევს იმიტირებული ორნამენტი (ფაფარი?). სხვა მხრივ, მაღალი მორკალული ყელისა და თავის პოზიციის მიხედვით, ისევე როგორც, ზოგადად დგომის მანერით B1 და B3 სკულპტურების ცხენები აბსოლიტურად იდენტურია. შემორჩენილი დეტალების მიხედვით სავარაუდოდ B3 ატარდებდა აღკაზმულობას. ფიგურებს შორის ბოლო საერთო ნიშანია ფეხის მოსათავსებლად გაკუთვნილი ფირფიტა, რომელიც B3 ქანდაკებას დაზიანებული აქვს.

მიუხედავად მსგავსების შედარებით დაბალი მაჩვენებლისა (0.49), B3 და B7 ფიგურებს შორის, სხეულის სხვადასხვა დეტალების გაფორმებაში ახლო მსგავსება

შეინიშნება³. მხედრებს ერთნაირი, ბოლოკვეთილი ოვალის ფორმის თავი აქვთ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავსაბურავი/თავი ზემოდან დაბრტყელებულია. ორივე შემთხვევაში ზუსტად მეორდება თმის ვარცხნილობა და სახის ნაკვთები: პატარა, რელიეფური ყურები, დიდი ზომის მრგვალი, რელიეფური თვალები, ჩაღრმავებული პირი, წინ წამოწეული ყბა და ამოზურცული ცხვირი. ქალებს წაგრძელებული ყელი შვიდ წყებად გამოსახული საკისრე რგოლებით აქვთ შემკული. ვინაიდან მუხურჩაში აღმოჩენილი B3 ქანდაკება დაზიანებულია, რთულია განისაზღვროს ეკავა თუ არა მას ხელში სასმისი ან ბავშვი. სკულპტურებს შორის მცირე სხვაობა შეინიშნება ცხენის ფიგურებს შორის, რაც მსგავსად წინა შემთხვევისა, B3-ი ქანდაკების შედარებით თხელი ფორმებით არის გამოწვეული. მხედრებს გამოსახული აქვთ ფეხის მოსათავსებლად განკუთვნილი სპეციალური ფირფიტა.

მსგავსების მაჩვენებლით (0.27) მომდევნო წყვილია ცაიშის N1 სამარხულ კომპლექსში აღმოჩენილი B2 და B7 ფიგურები. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებული იკონოგრაფიული მსგავსება ერთი შეხედვითაც იკითხება, ფიგურების დეტალურ შედარებას ართულებს B2 სკულპტურის ძლიერ დაზიანებული ფორმები, რომელიც დამატებით ჟანგის ფენითაა დაფარული. ქანდაკებების საერთო ნიშნებია ქალის თავსაბურავი, ვარცხნილობა და მარცხენა ხელით მიხუტებული ბავშვი. B2 მხედრის სახე იმდენად ძლიერ არის დაზიანებული, რომ ნაკვთების გარჩევა რთულდება. ორივე მხედარი გამოსახულია ერთსა და იმავე ტიპის სტილიზებულ ცხენზე, რომლებსაც აღკაზმულობის კვალი აქვთ შემორჩენილი.

ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომი ქალი მხედრების დანარჩენი სამი ფიგურიდან, თითოეული ხასიათდება მეტნაკლებად ინდივიდუალური ფორმებით. მათგან, ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილი B4 ფიგურა ზემოდან დაბრტყელებული თავის ფორმით, მკერდითა და შესაძლოა თმის ვარცხნილობითაც პარალელს პოულობს B3 მხედართან. უფრო მეტ საერთოს კი მახვილსურის კოლექტიურ სამარხ ორმოში მოპოვებულ B5 ქანდაკებასთან ნახულობს (0.18). წინა წყვილებთან შედარებით ორივე სკულპტურა სქემატურად არის შესრულებული და დამატებითი დეტალების სიმცირით გამოირჩევა. მხედრებს სახის ნაკვთები ნაჭდევებით აქვთ

³ B3 ფიგურის დაზიანებული ფორმების გამო, ნივთების ცალკეული დეტალების შედარება ვერ მოხერხდა

გამოსახული. B5 ფიგურის შემთხვევაში იკითხება მცირე რელიეფით გამოყვანილი ცხვირი. ორივე მხედარს აქცენტირებული აქვს მკერდი და განსხვავებით B1, B2 და B7 სკულპტურებისაგან, ხელები სავარძლის კიდეებზე უწყვიათ. B4 მხედარს შემორჩენილი არ აქვს კიდურების ქვედა ნაწილი, ხოლო B5 მხედარს თავის ზედა ნაწილი აკლია. B4 და B5 მხედრების თანმხლები ცხოველები ხასიათდებიან მსხვილი, ტლანქი ფორმებით, მაღალი ფართო ყელითა და გრძელი საკმაოდ მსხვილი ტორსით. მათგან, B5 ფიგურას არაპროპორციულად სქელი კიდურები აქვს, დრუნჩი დაზიანებულია. მეტად ტლანქი ფორმების გათვალისწინებით, ცხოველთა სახეობის დაზუსტებით განსაზღვრა რთულია.

ერგეტას მესამე სამაროვნის მეოთხე სამარხში აღმოჩენილი B6 ფიგურა ჯგუფში არსებული სკულპტურებიდან მსგავსების ყველაზე მაღალ კოეფიციენტს B5 ქანდაკებასთან პოულობს. მათ სახის ნაკვთების სქემატურობა და სავარძლის კიდეებზე მოთავსებული ხელების ერთგვარი პოზიცია აერთიანებთ. B6 ქანდაკება ძალიან არის დაზიანებული, შესაძლოა თავდაპირველად ყელის არეში გამოსახული ჰქონოდა საკისრე რგოლებიც, თუმცა, ძლიერი კოროზიის გამო დეტალების გარჩევა რთულდება. სავარძლისა და ხელის მარჯვენა ნაწილები შემორჩენილი არ არის. მთავარი ნიშნული, რაც B6 ქანდაკებას ყველა სხვა ფიგურისაგან გამოარჩევს, მხედარი ქალის თანმხლები ცხოველის სახეობა და მისი აშკარად გამორჩეული ვიზუალია. ცხოველს ფართო კონუსის ფორმის სახე, საშუალო სიმაღლის სქელი კისერი და მსხვილ ტანთან შედარებით, მეტად მოკლე და არათანაბარი ზომის კონუსური კიდურები აქვს გამოსახული. ვიწრო და გრძელი კუდი გავასთან გაზიდულია და ბოლოსკენ მორკალული. დრუნჩზე შემორჩენილი აქვს ადკაზმულობის ნაწილები. ცხოველს ანალოგი ბრინჯაოს ზომორფული მრგვალი ფიგურების არც ერთ ჯგუფში არ მოეძებნება.

მხედრის კიდევ ერთი ფიგურა B8 აღმოჩენილია ე.წ. ცაგერას განძში, სადაც ქალის ნაცვლად ცხენზე მამაკაცი არის გამოსახული. ცაგერას მხედარი ყველა ზემოთ მოყვანილი ფიგურისაგან გამოირჩევა არა მხოლოდ სქესითა და ჯდომის მანერით, არამედ ზოგადი ვიზუალითაც. სახის ნაკვთები სქემატურია. თვალები ნაჭდევებით, ცხვირი რელიეფური შემადლებით, პირი კი ამოდარვის გზითაა გამოსახული. ყბა წინ

აქვს წამოწეული. მხედარს წელზე თევზიფხური ორნამენტით დამშვენებული სარტყელი აკრავს, თავზე ქუდი ხურავს, ზურგზე კი კვერთხი აქვს მიმაგრებული. ცხენი საკმაოდ რეალისტურად არის მოდელირებული, ფაფრის ადგლზე წნული ორნამენტი დაუყვება. ცხოველის სახე დაზიანებულია და ნაკვთები კარგად არ იკითხება, თუმცა დეტალურად არის დამუშავებული უჩვეულოდ გრძელი დრუნჩი. ბოლოკვეთილი კიდურები პროპორციულია. მოკლე და მრგვალგანიკვეთიანი კუდი დაზიანებული აქვს. ცხენის ფიგურა ქალი მხედრების ცხენის სკულპტურებისაგან განსხვავდება სხეულის რეალისტური, სავსე და სადა ფორმებით.

B9 ბრინჯაოს მხედარი აღმოჩენილია ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში, შემთხვევით. მხედარი გამოსახულია ტანად მომცრო, სტილიზებულ ცხოველზე, რომელიც დრუნჩისა და მასიური რქების მოყვანილობის მიხედვით, სავარაუდოდ უნდა განასახიერებდეს თხას(?). ცხოველს შემორჩენილი აქვს რელიეფურად მოდელირებული აღკაზმულობისა და უნაგირის დეტალები. გადმოცემულია მოძრაობაში. მამაკაცს ხელები მის რქებზე (?) აქვს მოთავსებული. თავზე ქუდი ხურავს. სახის დეტალებიდან დიდი ზომის მრგვალი რელიეფური თვალები, მაღალი ქედით გამოყვანილი ცხვირი და წინ წამოწეული ყბა იკითხება. ქანდაკება სქემატურია და მეტად არაპროპორციული. მორფოლოგიური მახასიათებლებითა და მხატვრული სტილით, დასახელებული სკულპტურა დიდად განსხვავდება B ჯგუფში თავმოყრილი მხედრის ყველა დანარჩენი ფიგურისაგან, თუმცა, იდეურ დონეზე, შესაძლოა ის საერთოს ცაგერას მხედართან ჰპოვებდეს.

B ჯგუფში დომინირებს ცხენზე ან ცხოველზე სპეციალურ სავარძელში გვერდულად მჯდომარე ქალი მხედრების ქანდაკებები. მიუხედავად ერთი და იგივე კონცეპტუალური და იკონოგრაფიული წრის კუთვნილებისა, მსგავსად A ჯგუფისა, სკულპტურები ხასიათდებიან ფორმათა და ორნამენტთა ინდივიდუალურობით. თუმცა, ხარების ფიგურებისაგან განსხვავებით, მათი კომპოზიცია გაცილებით რთული და კომპლექსური ელემენტებისაგანაა შემდგარი.

ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილი B1 და B2, მუხურჩის ქვედა სამაროვანზე აღმოჩენილი B3 და კუნძულ სამოსზე ჰერაიონში მოპოვებული B7 სკულპტურები თავმოყრილია მაღალი კოეფიციენტის მქონე ქვეჯგუფში. ფიგურებს ზოგადი

მხატვრული სტილი და კომპოზიციის დამატებითი დეტალების (ყელსაბამი, ბავშვი, სასმისი და ა.შ.) იდენტურობა აერთიანებს.

B1, B2, B3, და B7 ფიგურების სპეციფიური დეტალების მსგავსება და ცხენების მეტად თავისებური, უჩვეულო ფორმები მყარ საფუძველს ქმნის მათი ერთსა და იმავე სახელოსნოსადმი მიკუთვნებისათვის. B2, B3 და B7 ფიგურების ერთი და იგივე ტიპის სავარძლის სხვადასხვაგვარი შემკულობა, ისევე როგორც თითოეული სკულპტურის სხვაობა ზომებში, ნივთების სხვადასხვა ყალიბითა და ყალიბიდან გამოთავისუფლების შემდეგ ხელოსნის მიერ სკულპტურების საბოლოო დამუშავებით უნდა იყოს გამოწვეული, შესაძლოა დროის სხვადასხვა მონაკვეთშიც.

B4, B5 და B6 ქანდაკებები ზემო დასახელებულ სკულპტურებთან შედარებით ინდივიდუალურობითა და ფორმების სიმარტივით ხასიათდებიან, თუმცა, ზოგადად, თითოეული მათგანი ერთი და იგივე იკონოგრაფიული სახის სხვადასხვა ვარიანტს წარმოადგენს.

§3. 5 ცხენის ფიგურები

ბრინჯაოს ზომიერ ფულ მრგვალ ფიგურებს შორის არსებული ცხენის ორი სკულპტურა გაერთიანებულია C ჯგუფში (კატ. C1, C2). გამომდინარე ნივთების რაოდენობისა და მათ შორის არსებული მკვეთრი სხვაობისა, ჯგუფში ფორმალური მეთოდი არ იქნება გამოყენებული.

C1 ცხენის ფიგურა აღმოჩენილია ერგეტას პირველი სამაროვნის მეხუთე სამარხში. ცხოველი რბილი და სადა ფორმებით ხასიათდება. სახე სქემატურია, მაგრამ რეალურ ფორმებთან მიახლოებული, კისერზე დაუყვება ამოღარვის გზით ტალღისებურად შესრულებული ფაფარი. ვიწრო, წელი ორ ძირითად ნაწილად არის გაყოფილი, მკერდის არე გავასთან შედარებით ოდნავ ფართოა. კიდურები მეტნაკლებად პროპორციულია და ბოლოვდება სქემატურად გამოსახული ჩლიქებით. სქელი, მორკალული კუდი განზე აქვს გაპრეხილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცხენი მოძრაობაშია გადმოცემული.

მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილ C2 ფიგურას ნაკლებ რეალისტური ვიზუალი აქვს. სხეულის ზოგადი ფორმების მიხედვით C2 განასახიერებს ცხენს. მკერდთან და გავასთან ოდნავ შესქელებული ტორსი გრძელი, წვრილი კუდით ბოლოვდება. მაღალი და მეტნაკლებად თანაბარი ზომის კიდურები თხელი და არაპროპორციულია. გრძელი მორკალული ყელის ფორმითა და პოზიციით C2 მსგავსებას პოულობს მუხურჩის ქვედა სამაროვანზე აღმოჩენილ B3 მხედრის ცხენის ფიგურასთან. თუმცა, მისგან თავის უჩვეულო ფორმით განსხვავდება. C2 ცხენს წაგრძელებული კონუსის ფორმის ნისკარტისებური დრუნჩი აქვს, რომელიც მცირე შემადგენლობით პირდაპირ გადადის შუბლისა და შემდეგ ყელის არეში. ცხენს არ აქვს გამოსახული ყურები.

C ჯგუფის ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკებები ერთმანეთს სხეულის არც ერთი ნაწილით არ იმეორებენ. ნივთებს შორის სხვაობაა ზომებშიც.

§3. 6 სხვადასხვა ცხოველთა ფიგურები

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში გავრცელებულ ბრინჯაოს მრგვალ ზოომორფულ სკულპტურებს შორის, ხარების, ცხენის და ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე მხედართა ფიგურების გარდა გვხვდება სხვადასხვა ცხოველთა სახეებიც. მათ შორის არის ავაზის, შველის, გარეული ტახის (?), ვერძისა და ძაღლის ქანდაკებები. ყველა ეს ნივთი რამოდენიმე დაუდგენელ ცხოველთან ერთად ერთიანდება D ჯგუფში (კატ. D1-D9).

მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილი D1 ფიგურა განასახიერებს ავაზას. ცხოველი გამოირჩევა დახვეწილი, ელასტიური ფორმებით, გრძელი ტანი ორ ძირითად ნაწილად თითქმის თანაბრად აქვს გაყოფილი. სქელი კისერი პირდაპირ უერთდება თავს. ცხოველი დაღრენილია, სახეზე თვალები ნაჭდევებითაა აღნიშნული. მეტად გრძელი და განზე გაპრეხილი კუდი ერთმაგი ხვით ბოლოვდება. კიდურები ბოლოკვეთილია და პროპორციული. გამოსახული აქვს

სასქესო ნიშნები. ბრინჯაოს მრგვალ ზოომორფულ პლასტიკას შორის D1 ფიგურა ერთ-ერთი გამორჩეული ნივთია სხეულის ზედმიწევნით დამუშავებული და სრულყოფილი ფორმებით.

D2 შველის ფიგურა აღმოჩენილია ურეკის N3 სამარხში. D2-ს უაღრესად სადა, თხელი და პროპორციული ფორმები აქვს. მსგავსად C2 ფიგურისა, დრუნჩი ამ შემთხვევაშიც წაგრძელებული და ვიწრო კონუსის მოყვანილობისაა. ყურები დაცქვეტილია, გრძელი ცილინდრული ფორმის წელი ბოლოვდება მოკლე კუდით. ცხოველის კიდურები და ყელი თითქმის ერთი და იგივე ზომისაა.

D3 ფიგურა სავარაუდოდ უნდა განასახიერებდეს გარეულ ტახს. ნივთი მოპოვებულია მუხურჩის სამაროვანზე, N2 კოლექტიურ სამარხ ორმოში. ქანდაკება დინამიკურია. ცხოველს მსხვილი და მძიმე ფორმები აქვს. ფართო, დაღრენილი პირი, კარგად გამოსახული ენა, წაკვეთილ დრუნჩზე ნაჭდევია ნესტოები და დრუნჩს ზემოთ ამოდარული ფოსოებით იმიტირებული დიდი ზომის თვალები, ფართე, მოკლე ყელი, მასთან შედარებით ვიწრო ცილინდრული ტანი, მოკლე, მსხვილი ბოლოკვეთილი კიდურები და მკვეთრად გამოსახული ითიფალური ნიშნები საერთო ჯამში D3 ფიგურას ფორმათა შთამბეჭდავი მონაცვლეობით და იმპრესიული ვიზუალით ყველა სხვა ბრინჯაოს მრგვალ ზოომორფულ ქანდაკებისაგან გამოარჩევს.

D4 წარმოადგენს ვერძის მთლიანადსხმულ მრგვალ ქანდაკებას. ნივთი აღმოჩენილია შემთხვევით, სვანეთში. ვერძი სქემატურად არის მოდელირებული, სახეზე, რომელიც წინ აქვს წამოწეული და დახრილი, არ აღენიშნება ნაკვთები. ზემოთ აპრეხილი, მორკალული რქები არათანაბრია. ტორსი მოგრძო და სქელი. მოკლე კონუსის ფორმის კიდურები არაპროპორციულად აქვს მოდელირებული.

დღვას N2-ე კოლხურ კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი D5 ფიგურა მომრგვალებული დრუნჩისა და მარცხენა, განზე გაშვებული მრგვალი ყურის ფორმების მიხედვით უნდა განასახიერებდეს ძალს. ნივთი დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ მისი გრძელი ცილინდრული მოყვანილობის ტანი, დიდი კუდი და უკანა მარჯვენა სქელი კიდური.

ერგეტას II-ე სამაროვნის N2 და N11 სამარხებში და III-ე სამაროვნის N4-ე სამარხში აღმოჩენილი D6; D8, D9 და D7 ცხოველების ფიგურების სახეობათა დაზუსტებით განსაზღვრა ვერ ხერხდება.

D6 ცხოველს გრძელი, ვიწრო ტანი და დაზიანებული, არაპროპორციული კიდურები აქვს. თვალის, პირის ყურის ან რქის გამომხატველი ნიშნები არ იკითხება. D7 ცხოველს მარჯვენა მხარეს შემორჩენილი აქვს მცირე ზომის რქა, მარჯვენა ნაწილი კი დაუმუშავებლად არის დატოვებული. ნივთი, ზოგადად განასახიერებს მსხვილფეხა საქონელს. D8 ფიგურას აკლია თავის ნაწილი, სხეული მსხვილი და არაპროპორციულია, ხოლო D9 ცხოველს დრუნჩი და კიდურები აქვს დაზიანებული. აცქვეტილი ყურების მიხედვით, ქანდაკება შესაძლოა გამოსახავდეს ძაღლს.

D ჯგუფის ცხოველთა ფიგურები ნაირგვარობით ხასიათდებიან. მიუხედავად ქანდაკებების ინდივიდუალური გაფორმებისა, ზოგადი მხატვრული სტილით, შესრულების მანერითა და დამზადების ტექნიკით თითოეული ეს ფიგურა ახლო მსგავსებას პოულობს A, B და C ჯგუფის ბრინჯაოს მრგვალ ქანდაკებებთან.

ნაშრომში წარმოდგენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი პლასტიკისათვის საერთოა კომპოზიციის რბილი და სქემატური ფორმები. სხეულის პროპორციები ყოველთვის ზუსტად არ არის გადანაწილებული. სკულპტურების ზედაპირი სადაა და დაუმუშავებელი. იშვიათ შემთხვევებში სხეული ნაპრიალებია, სახეზე აღნიშნულია თვალები, დრუნჩი და პირი, ან ცხოველებს გამოსახული აქვთ სასქესო ორგანოები. სკულპტურები ძირითადად გამოსახული არიან სტატიკურ პოზაში, უმეტესად, განზე გადგმული, ასიმეტრიულად განლაგებული კიდურებით.

ერთი და იგივე სახეობის ცხოველებისა და მხედრების სკულპტურები სხეულის ფორმების მიხედვით რამოდენიმე ძირითად ვარიანტს აყალიბებენ. A, B, C და D ჯგუფის ცხოველთა სხვადასხვა დეტალები ხასიათდება მრავალფეროვნებით.

A ჯგუფის ფიგურები ცალკეული ფორმების მოყვანილობით შესაძლოა საერთოს ნახულობდნენ, თუმცა ყველა შემთხვევაში განსხვავებულია სულ მცირე ერთი, ხშირად კი რამოდენიმე კომპონენტი. ეს გარემოება გამოწვეულია სკულპტურების ინდივიდუალური მოდელირებით. თითოეულ ცხოველს რქები, კისერი, დრუნჩი, ტორსი, კიდურები, ან კუდი შესაძლოა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოყვანილობის ჰქონდეს. სხვაობა ვლინდება ზომებსა და ისეთ მცირე დეტალებშიც, როგორცაა რქებისა და ფეხების პოზიცია და ა.შ. მაგალითად, A1 და A14 ხარების ერთგვარი მთვარისებური რქები პირველ შემთხვევაში ვერტიკალურია, მეორე შემთხვევაში კი შუბლისკენ მკვეთრად დახრილი. იშვიათად, მაგრამ დამახასიათებელია ცალკეული დეტალების სტილიზაციაც (მაგ: A15, C2, D3).

B ჯგუფის მხედრების სკულპტურები შემადგენელ ელემენტთა კომპლექსურობით ყველა სხვა ჯგუფის ფიგურებისაგან გამოირჩევიან. მათ შორის წარმოდგენილია ორი ძირითადი ტიპი 1) სქემატური, მარტივად შესრულებული და სადა სკულპტურები 2) კარგად დამუშავებული, დამატებითი ელემენტებით გამდიდრებული კომპოზიციის მქონე სკულპტურები. მსგავსად A ჯგუფისა, ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკებებიდან ერთმანეთის ზუსტ ასლს არც ერთი სკულპტურა არ წარმოადგენს. სხვაობა ვლინდება მცირე დეტალებში. მაგალითად, იკონოგრაფიულად მსგავსი B1 და B2 ქალი მხედრების თანმხლები სპეციალური სავარძელი კონსტრუქციულად ორივე შემთხვევაში იდენტურია, მაგრამ სხვადასხვაგვარი ორნამენტით არის გაფორმებული მათი ჩარჩოს ზედა ნაწილი.

ბრინჯაოს ზომიორფული მრგვალი ქანდაკებების ცალკეული დეტალების, დაბრტყელება, დაგრძელება და სასურველი ფორმისა და პოზიციის მიცემა, ისევე როგორც, სკულპტურების ამა თუ იმ ნაწილის სხვადასხვა სახის ორნამენტით დეკორირება, ნივთების ყალიბიდან გამოთავისუფლების შემდეგ, სპეციალურად დამუშავების გზით უნდა მომხდარიყო. სკულპტურებს შორის მეტად უჩვეულო, სტილიზებული ფორმების მსგავსება (B1, B2, B7, B3 მხედრების ცხენები) მათ საერთო სახელოსნოზე უნდა მიუთითებდეს.

მიუხედავად A, B, C და D ჯგუფების სკულპტურებს შორის სხეულის ცალკეული ფორმების სხვაობისა, სხვადასხვა ცხოველთა ბრინჯაოს მრგვალი

ქანდაკებები სტილისტურად ერთსა და იმავე წრეს მიეკუთვნებიან და ცალკე მდგომ მხატვრულ/სტილისტურ ჯგუფს აყალიბებენ.

§3. 7 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების სტილისტური ანალიზი

ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების სტილისტური ანალიზისათვის არსებითი მნიშვნელობისაა მათი მიმართების განხილვა კოლხეთში, აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მატერიალურ კულტურასა და ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ბრინჯაოს ცხოველთა სკულპტურულ გამოსახულებებთან, როგორც თანადროულ, ისე წინარე პერიოდში. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ცხადად წარმოჩნდეს მრგვალი ქანდაკებების ადგილი და როლი კოლხური ტრადიციული ლითონმქანდაკებლობის კონტექსტში.

ძვ.წ I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში გავრცელებული ბრინჯაოს ცხოველისგამოსახულებიანი მრგვალი ფიგურები სტილისტურად და ქრონოლოგიურად ყველაზე ახლო პარალელს იმ სკულპტურებთან პოულობენ, რომლებიც ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებულ კოლხურ კოლექტიურ სამარხებშია აღმოჩენილი, ხშირად, თავად ხარის, მხედრის, ცხენის ან სხვადასხვა ცხოველთა მრგვალი ფიგურების შემცველ კომპლექსებში. მაგალითებისათვის შეიძლება დავასახელოთ ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილი ცხვრის ფიგურა (ტაბ. XVI,1) (პაპუაშვილი 2015, 15, ტაბ. 24,8), დღვაბას N2 სამარხში აღმოჩენილი ხარის საკიდი (ტაბ. XVI,2) (Mikeladze 1995, 5 სურ. 66), მუხურჩის სამაროვანზე, არხიდან ამოყრილ მიწაში და თავად არხში, ნაყარზე მოპოვებული ცხვრის სამი ფიგურა (ტაბ. XVI, 2) (ელიავა 1987, 9; 11). ერგეტას II სამაროვნის N11 სამარხ ორმოში აღმოჩენილი ხარის საკიდი (Папуашвили... 2016, 204, ფიგ. 33). გარდა ამისა, ახლო მსგავსება ვლინდება სოფელ მულახში, ადგილობრივი მცხოვრებლის მიერ, ხვნის დროს აღმოჩენილ ხარის ქანდაკებასთან, რომელსაც ყელიდან ზურგზე გარდამავალ არეში საკიდის ფრაგმენტი აქვს შემორჩენილი, ფიგურა ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანითაა

დათარიღებული (ტაბ. XVI, 4) (ჩართოლანი 1977, 57, ტაბ. XXXIII) და ა.შ. ყველა ეს ნივთი ზოგადი სტილითა და შესრულების მანერით, ისევე როგორც მორფოლოგიური აგებულებით, მეტნაკლებად იმეორებს საკვლევი ჯგუფის ზოომორფული ფიგურებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ სახეს, სხეულის ფორმები რბილი და სქემატურია, ცხოველები გამოსახულნი არიან სტატიკურ პოზაში და განეკუთვნებიან მრგვალ ქანდაკებათა წრეს, თუმცა, მათ შორის არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი სხვაობა. თითოეული ეს სკულპტურა წარმოადგენს საკიდს, ან რაიმე საგნის დამატებითი დეტალს, რაზეც მათ ზურგზე მირჩილული საყულფე, ან კიდურებზე დატანილი ღიობები მიუთითებს.

კოლხური მატერიალური კულტურის ძეგლებიდან საინტერესოა ბრინჯაოს მწოლიარე ლეოპარდების (?) მცირე სკულპტურები (ტაბ. XVI,5), რომლებიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კოლხურ კოლექტიურ სამარხებში მრავლადაა აღმოჩენილი. მსგავსი ცალები მოპოვებულია მაგალითად ყულანურხვას მეორე სამარხში (დოლიძე 1999, 92), ერგეტას მეოთხე სამაროვნის N1 სამარხში (Mikeladze 1995, 11, სურ. 25), ურეკის N3 სამარხში (მიქელაძე 1985, ტაბ. XIII, 10, 11) და ა.შ. სხეულის პოზისა და ფორმების დამუშავების თვალსაზრისით, ნივთების ეს ჯგუფი ჩვენთვის საინტერესო ფიგურებისაგან განსხვავდება.

საინტერესოა მუხურჩის სამაროვანზე, ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის, ხარებისა და სხვადასხვა ცხოველის მცირე ქანდაკებებთან ერთად მოპოვებული ხარის კიდევ ერთი ფიგურა (ტაბ. XVI, 6). სხეულის დახვეწილი, საგულდაგულოდ დამუშავებული ფორმების გარდა, ქანდაკება გამოირჩევა ჩამოსხმის ტექნიკის მაღალი დონითაც: ნაკეთობა ჭვირულია, შესაძლოა ჰქონოდა ზარაკის ფუნქციაც. ხარი გამოსახულია ბრინჯაოს თხელ ფირფიტაზე, მდგომარე პოზაში (ელიავა 1987, 60; ტაბ. 44, 765).

მიუხედავად დასამზადებელი მასალის სხვაობისა (თიხა), მორფოლოგიურად და შესაძლოა თემატურადაც, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ ბრინჯაოს ზოომორფულ მრგვალ ქანდაკებებთან ახლო პარალელს პოულობს ვანში, ცენტრალურ ტერასაზე ძვ.წ. VIII - VII საუკუნეებით დათარიღებულ სამსხვერპლოში აღმოჩენილი სხვადასხვა ცხოველის, ხარის, ირმის, ცხვრის, ღორისა და ძროხის, ისევე

როგორც ფანტასტიკური ქმნილებების თიხის ფიგურები (ტაბ. XVI,7), რომლებიც რამდენიმე ასეულ დამტვრეულ ჭურჭელთან და თიხისავე მინიატურულ საკურთხევლებთან ერთად აქ „*რთული საკულტო რიტუალის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს*“ (Lordkipanidze 1995, 6; Kacharava 1991, 81; თოლორდავა 2001, 37-40).

მეტად საყურადღებოა ნაოხვამუს ერთ-ერთ ფენაში აღმოჩენილი თიხის ქანდაკებაც, რომელსაც წაგრძელებული კისერი და დრუნჩი აქვს, ცხოველს არ აქვს გამოსახული რქები. არსებული მოსაზრებით, ნივთი სავარაუდოდ ცხენის გამოსახულებას უნდა გადმოსცემდეს (Курфтин 1950, 108, ტაბ. 39,1).

ბრინჯაოს მრგვალ სკულპტურებთან ერთად, კოლხური კოლექტიური სამარხების ინვენტარში მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ფრინველისა და ცხოველისგამოსახულებიანი მცირე ზომის საკიდებიც. ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე ამ ტიპის ნივთები აღმოჩენილია ცაიშის N1 და (პაპუაშვილი 2015, 44, სურ.63, 64;) N2 სამარხ ორმოებში (პაპუაშვილი 2015, ტაბ. 84, 12-17), დღვას N2 სამარხში (Mikeladze 1995, 5 სურ. 65). მცირე ზომის ცხოველისგამოსახულებიანი საკიდი აღმოჩენილია ნიგვზიანის სამაროვნის საკულტო მოედანზეც (მიქელაძე 1985, ტაბ XXXIII, 10). არის შემთხვევები ზოომორფული ნივთების, სამარხს გარეთ აღმოჩენისა (მიქელაძე 1985, ტაბ. XXVII 1, 5).

ცხოველთა საკიდები დიდი რაოდენობით გვხვდება ჩრდილო დასავლეთ კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლებზეც. ერთ-ერთი ამგვარი ძეგლია ჯანტუხი, სადაც სამარხეული ინვენტარის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით იყო ნაირფეროვანი ზოომორფული საკიდები (ტყვარჩელი) (Шамна 1984, 65, სურ. 22). მძარცველთა მიერ დაზიანებული სამაროვანი აღმოჩენილ იქნა 1981 წელს. სამარხი სავარაუდოდ კოლექტიური ხასიათის უნდა ყოფილიყო და ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს განეკუთვნებოდა. აქ მოპოვებულია ოცდაათზე მეტი შინაური თუ გარეული ცხოველის ფიგურა (ტაბ. XVII). ნივთები დაყოფილია რამოდენიმე ჯგუფად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომ ყველა მათგანი დროის სხვადასხვა მონაკვეთში უნდა იყოს დამზადებული (Шамна 1984, 43-44). აქვე შეიძლება დავასახელოთ კრასნომაიაცკის ძვ.წ. VIII - VI საუკუნეებით დათარიღებულ N1 სამარხში აღმოჩენილი ხარის საკიდი, რომელზეც ჯაჭვის ფრაგმენტი არის შემორჩენილი

(Трапш 1969, 204, ტაბ. XXVII, 8). ზომორფული პლასტიკის სიმრავლით გამოირჩევა 1910 წელს ბომბორის ველის დასავლეთ ნაწილში, ზღვის სანაპიროდან 1 კმ - ის დაშორებით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ჯგუფი, დაახლოებით ორმოცდაათამდე ნივთი, რომელთა შორის ანთროპომორფულ ფიგურებთან ერთად წარმოდგენილი იყო ცხენის თხუთმეტი, ძაღლის რამოდენიმე, ასევე თხისა და ვერძის გამოსახულებიანი საკიდები (ტაბ. XVIII). ნივთები ძვ.წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის უკანასკნელი მეოთხედით არის დათარიღებული (Воронов 1969, ტაბ. XLVIII, 12).

საკიდი ამულეტები აღმოჩენილია მერხეულის სამაროვანზეც, რომლის არქეოლოგიური ინვენტარი ყველაზე ახლო მსგავსებას ნიგვზიანის კოლხური კოლექტიური სამაროვანის ინვენტართან პოულობს (ბარამიძე 1977, 19). სამაროვანი ძვ.წ. VI და V საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული (ბარამიძე 1977, 69). მ. ბარამიძის აღნიშვნით, „საკიდი ამულეტი ამ პერიოდის მასალებში ძალზე ხშირია და ისინი ფორმათა ნაირგვარობით ხასიათდებიან. ძალზე იშვიათია ორი ერთნაირი ნაკეთობაც კი, რის გამოც მერხეულს ზუსტი ანალოგი არ ეძებნება. მისი შორეული პარალელები შეიძლება დავინახოთ ბრინჯაოს სქელი ფირფიტის გადაღუნვის წესით დამზადებული ხარის ქანდაკებათა სახით, რომლებიც მრავლადაა ცნობილი ბრილის, ღარის, ზემო რუთხას, კუმბულთის და კუმუნთას გამოსახულებათა მაგალითზე. ისეთივე ტექნიკით არის დამზადებული ირმის ქანდაკებები სამთავროში, ყობანში, ყაზბეგის რაიონში. ეს გამოსახულებები მსგავსებას ავლენენ მაიკოპის კულტურაში არსებულ ფიგურებთან და ამ საკულტო ნაკეთობათა ტრადიციის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდნენ. ყველა მოყვანილი საკიდი ამულეტი წინ უსწრებს მერხეულის ქანდაკებებს და მის უშუალო პროტოტიპად უნდა ჩაითვალოს (ბარამიძე 1977, 55).

ჩრდილო დასავლეთ კოლხეთში ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ სამარხულ ინვენტარში მრავლად არის წარმოდგენილი ყურებდაცქვეტილი ცხოველის სკულპტურული გამოსახულებებით გაფორმებული აბზინდები და ა.შ. ამ პერიოდში აქ არსებულ ლოკალურ თავისებურებებთან ერთად, ეს რეგიონი მთლიანად კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის (კვიციანი 1981, 80-81).

რაც შეეხება აქ ბრინჯაოს ხანაში არსებულ ვითარებას, გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის ლითონის მხატვრული ნაწარმის შესწავლის საფუძველზე ნ. დოლიძე ასკვნის, რომ „საკიდები ჩიტებისა და ცხოველების გამოსახულებით ჩრდილო დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე ცნობილია ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს პერიოდის დოლმენებიდან. მათ შორის შეიძლება დასახელდეს ეშერის N1 და N5 დოლმენები ჩიტისებრი სამაგრებით და დათვისა და ცხვრის პატარა ქანდაკებები აზანდის დოლმენებში. ყველაზე ხშირია ძაღლის, ხარის, ცხვრის, ირმის სახეები, გხვდება თევზი, არწივი“ (დოლიძე 1999, 107).

განსხვავებით ცხოველთა ბრინჯაოს მრგვალი ფიგურებისაგან, ზოომორფული საკიდები კოლხურ კულტურაში ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში ვრცელდება. მათ შორის, ჩრდილოეთ კოლხეთის ძეგლებიდან შეიძლება დასახელდეს ვერძისთავებიანი საკიდები და ცხვრის ფიგურები (ჯაფარიძე 1991, 193). საკიდები ცხვრის სკულპტურული გამოსახულებითა და ვერძის თავებით აღმოჩენილია ბრილის სამაროვანზე N12 ქვაყუთში, რომლის თარიღად ძვ.წ. XIV ს დასასრული და ძვ.წ. XII საუკუნეები არის მიჩნეული (ფანცხავა...2001, 42-43). ამგვარი საკიდები აღმოჩენილია თლიას სამაროვანზეც (ტაბ.XIX,1). ბრილის ცნობილ სამაროვანზე, ერთ-ერთ აკლდამაში უსისტემოდ ჩაყრილ რამდენიმე ათეული მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტთან ერთად აღმოჩნდა ფრინველისა და ცხოველის მინიატურული ქანდაკებები. მთელი ეს მასალა იმეორებს დოლმენური კულტურის მოგვიანო საფეხურისათვის დამახასიათებელ მასალებს. სამარხი ძვ.წ. XV საუკუნის ბოლო და XIV საუკუნის საწყისი პერიოდით თარიღდება (ზარამიძე 1998, 49). „აქ აღმოჩენილია ხარის ფირფიტოვანი ნახევრადმოხრილი სკულპტურული გამოსახულება, საკინძები ვერძის ჩახვეულრქებიანი დაბოლოებით, ვერძისთავის, მტრედის, ფრინველის, დუბლირებული ვერძისა და სხვადასხვა ცხოველთა საკიდები. ყოველ საკიდს ეძებნება პირდაპირი პარალელი, უპირველეს ყოვლისა თვით ბრილის ადრეულ კომპლექსებში“ (ზარამიძე 1998, 132). ბრილის მონაპოვარი ზუსტად უკავშირდება თლის, საჩხერის, ნულის, ღარის, ყობანის მასალებს რომლებიც შუა ბრინჯაოს ბოლო და გვიანის საწყისითაა დათარიღებული. ზემო რუთხას სამაროვანში მაგალითად,

ყობანში, ასევე აღმოჩენილი დუბლირებული ვერძი, ჩიტების გამოსახულებები და ა.შ. (ბარამიძე 1998, 133).

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩრდილოეთ კოლხეთის ძეგლებზე შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ბრინჯაოს ცხოველთა პლასტიკური საკიდი გამოსახულებები მრავლად არის წარმოდგენილი. მათ შორის, სვანეთის მატერიალურ კულტურაში უნდა დასახელდეს ცხვარჩიტებისა და ცხენის გამოსახულებიანი საკიდები (ტაბ.XIX,2) (ჩართოლანი 1996, 212). ხოლო რაჭის მონაპოვრებიდან, გარდა ბრილის ცნობილი არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენებისა, უადრესად საინტერესოა სოფელ დარში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარის ნაწილი, ამათგან, ხუთი ხარის სკულპტურული გამოსახულება. ზოგიერთ ფიგურას ძალზე დიდი ზომის რქები, ხოლო ზურგზე სამანჭვლე ხვრელი აქვს დატანილი (ტაბ.XIX,3). ფიგურები ფირფიტოვანი ბრინჯაოს გადაღუნვითაა დამზადებული და მიჩნეულია, რომ წარმოადგენდნენ სარიტუალო საგნის ნაწილებს (Куртин 1949, 45-46).

კოლხურ კულტურაში ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ცხოველთა სახეები გვხვდება სხვადასხვა ნივთების შემკულობაშიც. მათგან ყველაზე საინტერესოა კოლხური ცულების დეკორში ყუაზე მთელი ტანით მირჩილული ბრინჯაოს ცხოველთა მთლიანადსხმული ფიგურები. ერთ-ერთი ცული, რომელსაც ყუაზე ცხენის სამი ქანდაკება აქვს გამოსახული, მოპოვებულია გუდაუთაში. კოლხური ცული, ყუაზე ხარის საკმაოდ რეალისტური ფიგურით, ცნობილია შიდა ქართლში მდებარე ოჟორას სამაროვნიდან. მხედრების ქანდაკებები ამკობს სოფ. სულორთან აღმოჩენილ ცულის ყუას (ჯაფარიძე 2003, 207), ხოლო ერთი ეგზემპლარი ყუაზე ძაღლის ქანდაკებით აღმოჩენილია ყულანურხვას სამაროვანზე, N 1 სამარხში (Трапш 1962, ტაბ. VII). გარდა ცულებისა, ძალზე საინტერესოა დაღრენილი ცხოველის გამოსახულებიანი სატევრისმაგვარი საკიდები, რომლებიც უხვადაა აღმოჩენილი ერგეტას, დღვაბას, ურეკის, ყულევის და ა.შ. კოლხური კოლექტიური სამარხების ინვენტარში (რამიშვილი... 2013, 211).

ზოგადად, კოლხურ კულტურაში ზოომორფული სტილი ძალზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. ირმის, ხარის, ვერძის, ფრინველის, ძაღლისა და

ცხენის გრაფიკული გამოსახულებები გვხვდება მატერიალური კულტურის სხვადასხვა სახის არტეფაქტებზე როგორც ბრინჯაოს, ასევე კერამიკული ნაწარმის გრაფიკულ შემკულობაში. კერძოდ, ცხოველთა გრავირებული ფიგურები უხვადაა გავრცელებული ბრინჯაოს შუბისპირებზე, აბზინდებსა და სამკაულებზე (ფანცხავა 1988, 38). ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების კერამიკულ ნაწარმს შორის დასტურდება ე.წ. ზოომორფულყურებიანი ჭურჭელიც (გოგაძე 1982, 54).

განხილული მასალიდან კარგად ჩანს, რომ განსხვავებით ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებებისაგან, ნაირსახოვანი ფორმისა და ზომის ცხოველთა სკულპტურული საკიდები, ისევე როგორც ცხოველის გამოსახულებებით შემკული სხვადასხვა დანიშნულების ნივთების სერია, კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იწყებს არსებობას და შემდგომ, I ათასწლეულის პირველი ნახევრის განმავლობაში მრავლად არის გავრცელებული მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ცხოველთა მთლიანადსხმულ მრგვალ ფიგურებს, არსებული მონაცემების მიხედვით, კოლხეთში ამ ტიპის ნივთების აღმოჩენის შემთხვევები ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრამდე ძალზე სპორადულია. ცხოველისგამოსახულებიან საკიდებთან შედარებით, ცხოველთა ცალკე მდგომი, მრგვალი ქანდაკებების წარმოება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მოვლენა არ ყოფილა.

ზოომორფული სახეები დიდი მრავალფეროვნებით გვხვდება კოლხეთის განაპირა და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების მასალაშიც. ამდენად, კოლხეთში გავრცელებული ბრინჯაოს ცხოველთა მრგვალი ქანდაკებები განხილულია აღმოსავლურ ქართულ ცხოველურ სტილთან მიმართებაშიც.

ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო პარალელი შეიძლება გაივლოს ხაშურის რაიონში, სოფელ მცხეთიჯვრის მახლობლად, ნაურიალში ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ N82 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ხარის სკულპტურულ გამოსახულებასთან, რომელთან ერთად მამაკაცის მცირე ზომის ითიფალური ქანდაკებაც დაფიქსირდა (ტაბ. XIX,4) (დავითაშვილი...2010, 91-92). თუმცა, ნაურიალსა და კოლხეთში მოპოვებული ნივთები წარმოადგენენ სადგარებს, მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით ნივთები დიდად განსხვავდებიან და

სტილისტურად სხვადასხვა წრეს მიეკუთვნებიან. ნაურიალის ფიგურის შემთხვევაში ფორმები რეალისტურია, ცხოველის სხეული ზედმიწევნითაა ნაპრიალები და თითოეული დეტალი საგანგებოდაა დამუშავებული.

საგანგებოდაა აღსანიშნავი თლიას სამაროვნის მასალა, სადაც გვიან ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ცხოველთა სხვადასხვაგვარი საკიდები მრავლად არის წარმოდგენილი (ტაბ. XIX, 5,6). მაგალითისათვის, N102 სამარხში აღმოჩენილია ხარის (Техов 1980, ტაბ. 67), N244 სამარხში ცხენის (Техов 1980, ტაბ. 105, სურ. 5) N256 სამარხში ვერძის (Техов 1980, ტაბ. 109, სურ.12), ხოლო N143 სამარხში თხის სრული საკიდები (Техов 1985, ტაბ. 136, სურ.11). ზოგადად, ამ ტიპის ნივთები თლიას არაერთ სამარხში არის დაფიქსირებული. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა რქებდახვეული ვერძისთავიანი საკიდები, რომლებიც ახლო ანალოგს ბრილში მოპოვებულ საკიდებთან ჰპოვებენ. თლიას N 80, 82, 217, 88ა და 6-ე სამარხებში აღმოჩენილია ძაღლის მთლიანადსხმული ბრინჯაოს საკიდი ქანდაკებებიც (რამიშვილი 2013, 193). ამავე პერიოდით დათარიღებულ N130 სამარხში მოპოვებული ირმის საკიდი (БТехов 1981, 28, ტაბ. 106, სურ. 21) კი ახლო პარალელს ირმის მუზეუმში დაცულ, სოფელ საკაოში შემთხვევით აღმოჩენილ ირმისავე ჭვირულსხეულიან სკულპტურასთან პოულობს (ტაბ. XIX,7).

აღმოსავლეთ საქართველოს შუა ბრინჯაოს ხანა ზოომორფული ქანდაკებების თვალსაზრისით სიმწირეს განიცდის, გვიანბრინჯაოს ხანაში ზოომორფული ქანდაკებები ძირითადად ბრინჯაოსგანაა დამზადებული და აღმოჩენილია შილდას სამლოცველოში, სამთავროს სამაროვანზე, ფასანაურისა და ჩაბარუხის ხევის განძებში, სოფ. ახალი ულიანოვკას ყორღანში, სტალინირის ნაცარგორაზე, წეროვნის სამაროვანზე და ა.შ. ფიგურების უმრავლესობა წარმოდგენილია ირმის გამოსახულებებით, გვხვდება ვერძის, ჯიხვისა და ცხენის ქანდაკებებიც (პაპუაშვილი 2009, 53-54).

შილდის სამლოცველოს წრიული კედლის სხვადასხვა ადგილში აღმოჩენილი თხის მოზრდილი ჭურჭლებიდან ერთ-ერთში სხვადასხვა ნივთებთან ერთად ბრინჯაოს მცირე ზომის ირმის, ცხენის, ძაღლის, ტახის, ფრინველებისა და დაუდგენელ ცხოველთა ფიგურებიც ელაგა. ირმის ფიგურებიდან ზოგიერთი

ითიფალურია, მათი სიმაღლე 6, ხოლო სიგრძე საშუალოდ 5 სმ-ია. ფიგურების ნაწილი დამოუკიდებელ სადგარებს, ნაწილი კი საკიდებს წარმოადგენს (მაისურაძე...1984, ტაბ.21-25). შესრულების სტილით, მართალია კოლხეთში გავრცელებული მრგვალი ქანდაკებები შილდის სამლოცველოში აღმოჩენილ ბრინჯაოს ცხოველთა ფიგურებთან მეტნაკლებად პარალელს პოულობენ, თუმცა მათ შორის რაიმე არსებითი კავშირი გამორიცხულია, შილდის სამლოცველოს მასალა ძვ.წ. XIV - XII საუკუნეებს განეკუთვნება.

გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს მცირე პლასტიკას ნ. გომელაურმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. ნ. გომელაურის გამოკვლევით, ძვ.წ. II ათასწლეულის III მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოსა და მთელს ცენტრალურ ამიერკავკასიაში პლასტიკური ხელოვნების აყვავება ლჭაშენ წითელგორის საზოგადოებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული პერიოდისათვის ამ კულტურის საზოგადოება დასახლებული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოში, სომხეთსა და ჩრდილო დასავლეთ აზერბაიჯანში (გომელაური 2005, 3). ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებში ლჭაშენ წითელგორის კულტურის მცირე პლასტიკა დასაბამს იღებს ადრებრინჯაოს ხანის ცენტრალური ანატოლიის ქანდაკებებიდან. სწორედ ამ ეთნოსს უკავშირდება ჭვირულ ფულუროსხეულიან სკულპტურათა ჩამოსხმის სიახლეც, რაც ნივთების დეკორაციული მორთულობისა და მათი ზარაკის ფუნქციით უნდა ყოფილიყო განპირობებული. რაც შეეხება ე.წ. სამთავრულ კულტურაში გავრცელებულ ცხოველთა სახეებს, მასში უკვე ქანდაკებათა დამზადების ტექნიკური ხერხები გამარტივებული სახით არის წარმოდგენილი და ლჭაშენ წითელგორის ფულუროსხეულიანი სკულპტურებისაგან განსხვავებით დამახასიათებელია ღრუმუცლიანი ქანდაკებების დამზადება (ტაბ. XX)⁴ (გომელაური 2011, 240-241). მიუხედავად არსებული სხვაობისა, ნ. გომელაურის დასკვნით, *„ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში - სამთავრული კულტურის მცირე პლასტიკაში ასახვა ჰპოვა სწორედ ლჭაშენ წითელგორის კულტურის ტრადიციამ. ეს ქანდაკებები აღნიშნული კულტურის ბრინჯაოს ნაწარმის ჩამოსხმის ტექნიკაში არსებულ გამოცდილებას*

⁴ ტაბულის წყარო: გომელაური, 2011, 240-250

ეფუძნება. სამთავროვო ქანდაკებათა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეების ძეგლების გავრცელების არეალი სცილდება ადრეულ სკულპტურათა ტერიტორიულ საზღვრებს და ინაცვლებს ჩრდილოეთით (ფასანაური ჩაბარუხი, თლია, ყობანი)⁴ (გომელაური 2005, 17-18). სამთავროვო პლასტიკის განვითარების მომდევნო ეტაპი წარმოდგენილია ყაზბეგის განძის მასალებით და ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით თარიღდება (გომელაური 2011, 243). ყაზბეგის ნივთებს შორის, ხარის არცერთი სრული ფიგურა არ აღმოჩენილა (წითლანაძე 1963, 53).

განხილული მასალა ნათლად მიუთითებს აღმოსავლეთ საქართველოსა და კოლხეთში აღმოჩენილ ზოომორფულ სკულპტურებს შორის არსებულ სხვაობაზე. პირველ რიგში ეს სხვაობა ფიგურათა დამზადების ტექნიკაში ვლინდება. საკვლევი თემისათვის შერჩეული ცხოველთა ფიგურები წარმოდგენილია მრგვალი ქანდაკებებით, ხოლო აღმოსავლური ნიმუშები ხშირად ღრუმუცლიანი სკულპტურებით. რიგ შემთხვევებში ცხოველები გადმოცემული არიან მოძრაობაში, კისერზე, ან გავაზე ატარებენ საკიდს. მეორე და უმნიშვნელოვანესი სხვაობა ცხოველთა ცალკეული დეტალების დამუშავების სტილში აისახება. დაკუთხული ფორმები და სხეულის ნაპრიალები ზედაპირი კოლხეთში აღმოჩენილი ცალების შემთხვევაში მეტად სქემატური, გლუვი და მრგვალი ფორმების მქონე დამოუკიდებელი სადგარებით არის შენაცვლებული.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში გავრცელებული ბრინჯაოს ცხოველთა მრგვალი ფიგურების კვლევისას დიდი მნიშვნელობისაა მათი შესაძლო უერთიერთკავშირის განხილვა ჩრდილო კავკასიურ ზოომორფულ მასალასთან მიმართებაში.

ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და რკინის ხანის დასაწყისში ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიაში - კაიაკენტ ყარაჩაული, ხოლო ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ რეგიონებში, გარკვეული ვარიაციებით, ყობანური კულტურა არსებობდა (Алексеева 1971, 43). ჩრდილოეთ კავკასიაში, ყობანსა და კამუნთაში ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მთელს მანძილზე, ცხოველთა ფიგურები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი (ტაბ. XXI)⁵. ყობანიდან ცნობილია ცხენისა და

⁵ ტაბულის წყარო: Уварова 1900

ხარის ფიგურები (Уварова 1900, ტაბ. XXXVIII; XCII; CV; CXX), ირმების (Уварова 1900, ტაბ. XI, სურ. 4, 5), მცირე ზომის ტახის, ვერძისა და ძაღლისგამოსახულებიანი საკიდები. სვანეთის, ბრილისა და თლიას არქეოლოგიური მასალისათვის დიდად დამახასიათებელი ვერძისთავიანი ამულეტები (Уварова 1900, ტაბ. XXXV), რომელთა მსგავსი ცალები ბოლო დროს ყაზარდო-ბაღყარეთში, ბაქსანიას რეგიონში მდებარე ზაიუკოვოვის ძვ.წ. VIII-VII საუკუნით დათარიღებულ სამარხშიც აღმოჩნდა (Кадиева... 2016, 87). ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიურ მასალაში ცხოველთა ცალკე მდგომ, მრგვალ ფიგურებს შორის შეიძლება დასახელდეს ცხენისა და ძაღლის ქანდაკება (Уварова 1900, ტაბ. XXXV,7; CV, 18). ძაღლის ფიგურა მოძრაობაშია გადმოცემული, ხოლო ცხენს სტატიკური პოზა აქვს. ორივე ფიგურას ახასიათებს თხელი, სადა და სიმეტრიული ფორმები.

ყოზანის აღმოსავლური ვარიანტის სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე არქეოლოგიური კვლევის შედეგად და შემთხვევით მოპოვებული ძვ.წ. X-VII და ძვ.წ. VII-IV საუკუნეებით დათარიღებული მატერიალური კულტურა განხილული აქვს ი. კოზენკოვას (Козенкова 1982, 5).

ცხოველთა ფიგურების აღმოჩენების მხრივ განსაკუთრებული სიმრავლით პირველი ეტაპის, ძვ.წ. X-VII საუკუნეებში მოქცეული ძეგლები გამოირჩევა. ფიგურები თიხისგან არის დამზადებული და უმეტესად ნამოსახლართა სხვადასხვა ფენაში იჩენს თავს. მათ შორისაა ხარების, ძროხების, ცხვრების, ვერძების, ცხენების, ღორებისა და ჩიტების გამოსახულებები. ყოზანის აღმოსავლურ ვარიანტში გავრცელებული თიხის ცხოველთა სკულპტურების ზომები განსხვავებულია. გვხვდება 3-4 X 5.5-6 სმ სიგრძის და 1,7 X 2.5 სიმაღლის, ისევე როგორც 13-16 სმ სიგრძისა და 11-13 სმ სიმაღლის ნიმუშები (ტაბ. XXII)⁶.

პირველი ეტაპისათვის, ყოზანური კულტურის გავრცელების არეალში, თიხის ანთროპომორფული და ზომომორფული პლასტიკა განცალკევებული მახასიათებელია უშუალოდ აღმოსავლეთ ვარიანტის ძეგლებისა, დასავლური ვარიანტიდან კი მხოლოდ ერთი სკულპტურა არის ცნობილი. ავტორის შენიშვნით, სომხეთსა და აზერბაიჯანში ცნობილი, ძვ.წ. II-I და I ათასწლეულით დათარიღებული

⁶ ტაბულის წყარო: Козенкова 1982

ზოომორფული პლასტიკა ყობანური სტილისაგან დიდად განსხვავდება და ყველა დასახელებული ნივთი სიახლოვეს ავლენს მხოლოდ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ კოლხური კულტურის დასახლებებზე აღმოჩენილ თიხის ზოომორფულ ფიგურებთან. ამგვარ ძეგლებს შორის ავტორი ნაცარგორასა და ნაოხვამუს ასახელებს.

რაც შეეხება ცხოველისგამოსახულებიან ბრინჯაოს ფიგურებს, ეს ჯგუფი უპირატესად პირველი ათასწლეულის შუა ხანებით არის დათარიღებული და აღმოსავლური ვარიანტის ძეგლებისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. ცნობილია ვერძის, თხისა და ირმის ოცზე მეტი სკულპტურა. მათ შორის გაირჩევა ორი ტიპი: ცხოველი ან სრული ქანდაკებით არის წარმოდგენილი, ან პეტლის დეტალია. მეორე ვარიანტის ნივთები კი მხოლოდ ცხოველისთავიანი საკიდებითაა წარმოდგენილი. თიხის ფიგურებისაგან მათ სტილიზაციის მაღალი დონე განასხვავებს. სტილისტური მახასიათებლების მიხედვით ი. კოზენკოვა ბრინჯაოს ზოომორფულ ფიგურებს ძვ.წ. VII-V საუკუნეებში აქცევს და მათ ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს (Козенкова 1982, 69-70).

ძალის ჩიტის, ვერძისა და ირმის მცირე ზომის საკიდები და ვერძისთავიანი სამკაული, დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ზემო რუთხას სამაროვანზე, N11 სამარხულ კომპლექსში. ყველა ეს ზოომორფული ფიგურა მსგავსია ყობანისა და კამბულთას ცნობილი კოლექციებისა, რომლებიც ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულით არის დათარიღებული (Крупнов 1960, 223-224). ზემო რუთხას სამაროვანზე ცალკეულ მონაპოვრებს შორისაა ხარისთავიანი საკიდებიც (Крупнов 1960, 471, ტაბ. XLIX).

ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ბრინჯაოს ცხოველთა სკულპტურულ გამოსახულებებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩამოსხმის ტექნიკითა და სხეულის ფორმების ზოგადი მახასიათებლებით ნივთების ეს ჯგუფი ახლო მსგავსებას თლიას სამაროვანებში, რაჭაში, ღარში და ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ ზოომორფულ პლასტიკასთან პოულობს. სკულპტურები ფულუროსხეულიანია, ან ფურცლოვანი ბრინჯაოს გადაღუნვითაა მიღებული, ზედაპირი საგანგებოდაა ნაპრიალები და ფორმები მეტნაკლებად სტილიზებულია. ფიქსირდება ცხოველთა ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი

სადგარების აღმოჩენის ერთეული შემთხვევებიც, თუმცა, კოლხეთის არქეოლოგიურ მასალასთან შედარებით მათი რიცხვი უმნიშვნელოა.

ნაშრომში წარმოდგენილ ბრინჯაოს ზოომორფულ ფიგურებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მხედრების ჯგუფი, ერთ შემთხვევაში მამაკაცის, ხოლო მეორე შემთხვევაში ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ქალის გამოსახულებით.

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მხედრის ქანდაკებები გარდა ცაგერას განძისა (სახაროვა 1971, 8-10) და ზესტაფონის სოფ. ალავერდის მონაპოვრებისა (ნონეშვილი...2012, 61) ცნობილია 1939 წელს აღმოჩენილი ბრილის სამაროვანის N15 სამარხიდან (ტაბ. XXIII,1) (გობეჯიშვილი 1952ა, 109, ტაბ. XIII, სურ. 1). ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული მხედრის ფიგურები ასევე ცნობილია ბორჯომის ხეობაში შესწავლილი ბორნილელეს N32 სამარხიდან (კვირკვია 2009, 14-15) და საგარეჯოში არსებულ სამაროვანზე გაკეთებული 1975 წლის აღმოჩენებიდან (მენაბდე 1988, 91 ტაბ. XXX). ითიფალური მხედრები წარმოდგენილია ყაზბეგის მონაპოვრებს შორისაც (წითლანაძე 1963, 46-47). ზოგადად, მხედრის თემა ასახულია სარტყლებზე, აბზინდებზე, გლიპტიკასა შტანდარტებზე (ხაზარაძე 2012, 15-16). მოგვიანო გამოსახულებებს შორის უნდა აღინიშნოს საბეჭდავები ყანჩაეთიდან, რომლებიც, როგორც შენიშნულია პარალელს ავლებს ალგეთის წინწყაროს ძეგლებზე აღმოჩენილ მხედრებთან და ძვ.წ. V საუკუნეებით თარიღდება. ეს იკონოგრაფია „არ სცილდება ქართულ მცირე ხელოვნებას მთელი ანტიკური ხანის მანძილზე“ (გაგოშიძე 1964, 39-40).

მთლიანად კავკასიის ანთროპომორფულ პლასტიკას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ო. ბრილოვამ. ო. ბრილოვას კვლევის შედეგების მიხედვით, კავკასიაში საერთო ჯამში ამ ეტაპზე ცხენოსანთა ორმოცდარვა ფიგურა არის ცნობილი. მათგან, ნაწილი წარმოდგენილია დამოუკიდებელი ნივთების, ხოლო ნაწილი რთული კომპოზიციის შემადგენელი დეტალების სახით. მხედართა ფიგურები გვხვდება ცულების ყუებზე, ქინძისთავეებზე, ბალთებზე, უმბონებსა და შტანდარტებზე. „სამხრეთ კავკასიაში ბრინჯაოს სკულპტურებში ცხენისა და ადამიანის ერთობლივი

გამოსახულება პირველად მეეტლეების სახით იწყებს გამოჩენას. ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებისათვის ცნობილია ოთხი ამგვარი ქანდაკება. ამის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში მეეტლის გამოსახულება ქრება და მხედრის გამოსახულება უკვე თრელის ძვ.წ. XIII და XII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ N65 სამარხში აღმოჩენილ ბალთაზე არის წარმოდგენილი. ძვ.წ. VIII საუკუნის განმავლობაში კავკასიაში კაც მხედრებთან ერთად პირველად ჩნდება მხედარი ქალის სკულპტურები (Брилева 2016, 25-27). დღეისათვის ცნობილი მამაკაცი მხედრების ოცდახუთი ფიგურიდან, ცხოველი ყველა შემთხვევაში ცხენს არ განასახიერებს. კომპოზიციაში წარმოდგენილია პონი, ხარი და და ირემი (Брилева 2009, 29-30). ქალი მხედრის ყველა სტატუეტი აღმოჩენილია კოლხური კულტურის გავრცელების არეალში, კოლხურ კოლექტიურ სამარხებში. „სწორედ ასეთ კომპლექსებში იწყებს გამოჩენას პირველად ქალისა და ბავშვის ქანდაკებები, რომლებიც მომდევნო ხანებში კავკასიის მასშტაბით ვრცელდება“ (Брилева 2012, 194-195).

ცხენზე გვერდულად მჯდომარე კაცისა და ქალის გამოსახულება ძველი სამყაროს სხვადასხვა ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული, თუმცა თითოეულ კულტურას თავისი დამახასიათებელი სტილი და ლოკალური იდეოლოგია გააჩნდა. არსებული მონაცემებით, კოლხურ სამაროვნებში მოპოვებული ქალი მხედრების სტილისტური და იკონოგრაფიული ანალიზისას ჩანს, რომ ზოგადად ცხოველზე გვერდულად მჯდომი მხედრის გამოსახვა კოლხური მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი მოვლენა არ ყოფილა, არც გვიან ბრინჯაოს და არც მის მომდევნო, რკინისა და კლასიკური ხანის განმავლობაში. გარდა კოლექტიური სამარხების კომპლექსებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომი ქალის სკულპტურებისა, კოლხურ მატერიალურ კულტურაში ამ ტიპის იკონოგრაფიის მქონე, მხოლოდ ერთადერთი, მოგვიანო ხანის ნიმუში შეიძლება დასახელდეს, სადაც ბრინჯაოს ჭვირული ბალთის კომპოზიციაში გამოსახულია ორმაგპროტომიან ცხოველზე მჯდომი ქალის ფიგურა ზეაპყრობილი ხელებით (ტაბ. XXIII,2) (ხიდაშელი 1972, ბალთა N 144). ბრინჯაოს ჭვირული ბალთების თარიღად ზოგადად ახალი ახ. წ. I-III საუკუნეებია მიჩნეული (გაბაშვილი 2014, 258).

აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომი მხედრის ბრინჯაოს სკულპტურული გამოსახულებები ნაკლებად ჩანს გავრცელებული. თუმცა, მათი გრავირებული სახეები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს სარტყლების კომპოზიციაში. მაგალითისათვის, მსგავსი ნიმუშებიდან შეიძლება დასახელდეს სამთავროს N56 სამარხსა და ცხინვალის რეგიონში აღმოჩენილი ნადირობის სიუჟეტის გამომსახველი სარტყლები, რომელზეც მშვილდ ისრით შეიარაღებული სქემატურად გამოსახული მხედრები სხედან ცხენსა და ფანტასტიკურ ცხოველზე. ორივე შემთხვევაში ადამიანის ფიგურა განასახიერებს მამაკაცს (ტაბ. XXIII,3) (Н.Урушадзе 1984, 67, ტაბ. XIV, 2,3).

განხილული მასალის შეჯამების შედეგად ჩანს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთის მომიჯნავედ მდებარე არც ერთ რეგიონში იმ რაოდენობის ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკება არ არის აღმოჩენილი, როგორც თუნდაც მხოლოდ ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების შემთხვევაში ფიქსირდება. მეორეს მხრივ, კოლხეთის მეტერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი, ტრადიციული მოვლენა არ ყოფილა კოლხურ სამაროვნებსა და მის გარეთ მოპოვებული ხარების, მხედრების, ცხენების, ავაზის, შველის, ტახის, ძაღლისა და რამოდენიმე დაუდგენელი ცხოველის მრგვალი ქანდაკებებისათვის ჩვეული მხატვრული სტილი. კოლხეთში აღმოჩენილი მრგვალი ფიგურები მორფოლოგიური ნიშნებით მკვეთრად განსხვავდება როგორც თანადროული, ასევე წინარე და მომდევნო პერიოდში კოლხეთში გავრცელებული ზოომორფული სკულპტურებისაგან. კოლხეთში გავრცელებული ცხოველთა ფიგურების ერთი ჯგუფი ფურცლოვანი ბრინჯაოს მარტივი გადაკეცვით არის მიღებული, ხოლო მეორე ჭვირული ნაკეთობებითაა წარმოდგენილი და სავარაუდოდ მათ ზარაკის, საკიდების ან კი სხვადასხვა საგნის შემადგენელი ნაწილების ფუნქცია უნდა ჰქონოდათ.

კვლევისათვის შერჩეული მასალის ინდივიდუალურობა შეინიშნება მათი დამზადების ტექნიკაში, ფუნქციურ დატვირთვასა და მორფოლოგიურ მახასიათებლებში. ტიპური ინდივიდუალური ნიშნებია სხეულის სქემატურობა, მეტად სადა, მარტივი და ხშირად ასიმეტრიული, მომრგვალებული ფორმები. გლუვი

და დაუმუშავებელი ზედაპირი საყულფე საკიდებისაგან თავისუფალია. ფიგურები არ წარმოადგენდნენ არც რაიმე საგნის დეტალს, მათ ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი სადგარების ფუნქცია უნდა ჰქონოდათ.

კოლხეთში აღმოჩენილი ზოომორფული მრგვალი ფიგურები მსგავსებას არ ავლენს არც აღმოსავლურ ქართულ, სამთავრული ტიპის მასალასთან და არც ჩრდილო კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულ სკულპტურებთან. ნივთები არ ჰგავს არც ახლო აღმოსავლეთში გავრცელებულ ზოომორფულ სკულპტურებს (Muscarella 1988, 368-393; 394-427).

კოლექტიურ სამაროვნებში აღმოჩენილი ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკებების ანალიზისას პრინციპული მნიშვნელობისაა გასული საუკუნის 70-იან წლებში კუნძულ სამოსზე, ჰერას სალოცავში გაკეთებული აღმოჩენა და კოლხეთში მოპოვებული ნიმუშების მიმართება თანადროულად ჩრდილო კავკასიასა და აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებულ იმავე იკონოგრაფიის მქონე ფიგურებთან. დამატებით, როგორც უკვე აღინიშნა, ბრინჯაოს ცხოველთა მრგვალ ქანდაკებებს ყველაზე ახლო სტილისტური პარალელები ბერძნულ სამყაროში, გეომეტრიულ ხანაში გავრცელებულ მატერიალურ კულტურაში ეძებნებათ. საბერძნეთში, ანალოგიური მორფოლოგიური მახასიათებლებისა და სტილის მქონე ბრინჯაოს ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებები დიდი რაოდენობით არის მოპოვებული ოლიმპიაში, არკადიაში, თეგეაში, სამოსში, სპარტაში, ათენსა და კრეტაზე - მინოსში, ფესტოსში, პსიქროში, აია ტრიადაზე და ა.შ. (ვაჩაძე 2018ა, 111-112). ამდენად, კოლხური და ბერძნული ჯგუფების შესაძლო კავშირის განსახილველად საბერძნეთში გეომეტრიულ პერიოდში გავრცელებულ ბრინჯაოს ზოომორფულ პლასტიკას, ისევე როგორც ლურისტანსა და ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილ ცხოველზე გვერდულად მჯდომარე მხედრის ქანდაკებებს, ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება.

§3. 8 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების დამზადების ტექნიკა და საწარმოო სახელოსნოები

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების წარმოებისა და სახელოსნოების საკითხებზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასალის მეტალოგრაფიულ ანალიზებს.

ნაშრომში პირველად იქნება წარმოდგენილი სკულპტურების ერთი ნაწილის პორტატული რენტგენის, ფლუორესცენციის სპექტომეტრის გამოყენებით (XRFS) წარმოებული კვლევის შედეგები⁷, რაც ნივთების ზედაპირის თვისებრივ შესწავლას გულისხმობს. ბოლო წლებში ხელოვნების ნიმუშების შესასწავლად ამ ტექნიკას ფართოდ გამოიყენებენ. მართალია XRFS-ით ჩატარებული ანალიზები მხოლოდ ნაწილობრივ შედეგებს უჩვენებს, თუმცა, მეთოდი შესაძლებელს ხდის ლითონის შემადგენლობაში არსებული სხვადასხვა ელემენტების გამოკვლევას. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი მინარევები გვეხმარებიან ნივთების წარმოშობის ადგილის განსაზღვრაში, ხოლო ლითონში არათავისთავადი ნივთიერებების დადასტურების საფუძველზე, ერთსა და იმავე ტიპის ნამუშევრებს შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნების დახასიათებაში. მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს მის უსაფრთხო გამოყენებაშიც. პროცესი არ აზიანებს არტეფაქტებს და ანალიზის ჩატარება სასურველი ნივთის ზედაპირის ნებისმიერ ნაწილზეა შესაძლებელი (Moioli ... 2000, 48-52)

ნაშრომში წარმოდგენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი პლასტიკიდან, XRFS-ით ანალიზები ჩატარებულია ფოთის კოლხური კულტურისა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმების ექსპოზიციებში არსებულ ცხოველთა ფიგურებზე. მათ შორისაა, შემთხვევით მოპოვებული A2 ხარის ფიგურა დღნორისას გაუქმებული ეკლესიიდან, დღვასას N2 კოლექტიურ სამარხ ორმოში აღმოჩენილი A3 ხარის ფიგურა. ამავე სამაროვანზე მოპოვებული A12 ხარისა და D5 ძაღლის სკულპტურა, დაბოლოს D7 დაუდგენელი ცხოველის (რქოსანის) ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკება ერგეტას მეორე სამაროვნის

⁷ მასალის მოწოდებისა და თანამშრომლობისათვის უაღრესად დიდ მადლობას ვუხდით ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიური სკოლის განყოფილების ლექტორს დოქტორ Nathaniel Erb-Satullo-ს.

მეორე სამარხიდან. ამდენად, მიუხედავად XRF - ით გამოკვლეული მრგვალი ფიგურების რაოდენობრივი სიმცირისა, მიღებული მონაცემები კოლხური კულტურის არეალში შემავალი სამი სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლიდან მომდინარე ცხოველთა მცირე ქანდაკებების ანალიზის შედეგებს მოიცავს.

A2 ხარის ფიგურა დაფარულია მუქი ფერის პატინით. მუცლისა და სხეულის უკანა ნაწილების ანალიზის მიხედვით სპილენძის მინარევში მცირე რაოდენობით დაფიქსირდა დარიშხნისა (As) და რკინის (Fe) ელემენტები, კიდევ უფრო ნაკლები ოდენობითაა ტყვია (Pb) და ძალზე მცირე რაოდენობით ვერცხლის (Ag) კალისა (Sn) და შესაძლოა თუთიის (Zn) დაბალი მაჩვენებელიც.

A3 ხარის ფიგურა დაზიანებულია, აკლია მარცხენა რქა და უკანა კიდურები. ეტყობა მწვანე კოროზია, ცხოველის ზედაპირი ძლიერ დახორკლილია. ნივთს ანალიზი სხეულის უკანა ნაწილზე ჩაუტარდა. ქანდაკება კალიანი ბრინჯაოთი არის დამზადებული. (Cu + Sn), დამატებით წარმოდგენილია მცირე რაოდენობით რკინა (Fe), ტყვია (Pb), დარიშხანი (As) და ვერცხლი (Ag).

A12 ხარის ფიგურა დაზიანებულია, აკლია კუდი. სხეულის ზედაპირი დახორკლილია. ნივთს ანალიზი გავის ნაწილზე აქვს ჩატარებული. დიდი რაოდენობით სპილენძის მაჩვენებელთან ერთად ამ შემთხვევაში მინარევების სახით რკინა (Fe), დარიშხანი (As), კალა (Sn) და ტყვია (Pb) დაფიქსირდა.

D5 ძალის ფიგურას შემორჩენილი მხოლოდ უკანა მარჯვენა კიდური აქვს. ფიგურას ეტყობა მწვანე კოროზია. ქანდაკებას ანალიზი გვერდსა და ფეხის არეში აქვს ჩატარებული. მიღებული შედეგების მიხედვით ქანდაკება დამზადებულია კალიანი ბრინჯაოთი (Cu + Sn). ლითონის მინარევებში მცირე რაოდენობითაა რკინის (Fe), ტყვია (Pb), დარიშხნისა (As) და ვერცხლის (Ag) მინარევები, ძალზე მცირე რაოდენობით დასტურდება ანთიმონიც (Sb).

D7 რქოსანი ცხოველის ფიგურას სხეულის ზედაპირი უსწორმასწორო და გოფრირებული აქვს. ნივთს ანალიზი რქებისა და გავის ნაწილში აქვს ჩატარებული. ლითონის შემადგენლობაში ჭარბობს სპილენძი, რომელსაც დანამატის სახით მცირე რაოდენობის რკინა (Fe), დარიშხანი (As), ტყვია (Pb), ვერცხლი (Ag) და კალა (Sn) ფიქსირდება. ამავე ფიგურის ელემენტებში დადასტურდა ძალზე მცირე

რაოდენობით კალციუმისა (Ca) და მანგანუმის (Mn) ნაშთი, თუმცა, ანალიზების ავტორის, ნ. ე. სატულოს შენიშვნით ამ ორი კომპონენტის არსებობა გაურკვეველია და შესაძლოა ქანდაკებებზე მოგვიანო ზემოქმედებით იყოს გამოწვეული.

წარმოდგენილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ თითოეული ნივთის ლითონის შემადგენლობაში არსებული კომპონენტები სხვადასხვა ელემენტებია და რაოდენობით არის წარმოდგენილი⁸ (სურ.8). სპილენძზე დანამატების სახით გამოყენებულია რკინა, დარიშხანი, ანთიმონი, კალა, ვერცხლი, ტყვია და თუთია⁹.

	Cu +	Zn	Fe	Pb	Ag	Sn	As	Sb
A2			1	1	1	1	1	1
A3				1	1	1	1	1
A12				1	1		1	1
D5				1	1	1	1	1
D7				1	1	1	1	1

სურ.8 ზოომორფული ფიგურების ლითონის შემადგენლობაში არსებული მალევირებელი ელემენტების ცხრილი

⁸ ლითონის შემადგენლობაში არსებული სხვაობა გარდა მათი სხვადასხვა საწარმოო ცენტრებისადმი კუთვნილებისა, შესაძლოა სკულპტურების ერთსა და იმავე სახელოსნოში დროის სხვადასხვა მონაკვეთში დამზადებითაც აიხსნას. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს დღვაბას სამაროვანზე აღმოჩენილი A3, A12 და D5 ცხოველთა მრგვალი ფიგურები. უფრო დეტალური ქიმიური ანალიზისათვის კი ქანდაკებიდან ნიმუშების აღება იქნება საჭირო.

⁹ დრ. ნათანიელ ერბ-სატულოს შენიშვნით, სადაც იყო თუ არა თუთია ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული ფიგურების თავდაპირველი მინარევების შემადგენლობაში. სრულებით შესაძლებელია, რომ ის ფიგურებზე უკვე მოგვიანებით, კონსერვაციის ძველი პრაქტიკის შედეგად, ფიგურებისათვის მწვანე კოროზიის მოშორების პროცესში დალექილიყო. XRFS ხელსაწყო არტეფაქტის ზედაპირზე არსებულ ყველა კომპონენტს აფიქსირებს. ის ფაქტი, რომ ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში დაცულ, დღვაბას კოლექტიურ სამაროვანზე აღმოჩენილ A2 და A12 ხარების ფიგურების შემთხვევაში თუთიის არსებობა დადასტურდა, ხოლო D7 ცხოველის ზედაპირულმა ანალიზმა თუთია არ უჩვენა, შესაძლოა კონსერვაციისას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით იყოს გამოწვეული.

შემადგენლობის თვალსაზრისით ერთმანეთს მხოლოდ დღვასას სამაროვნის მეორე კოლექტიურ სამარხ ორმოში აღმოჩენილი A3 ხარის ფიგურისა და ერგეტას მეორე სამაროვნის მეორე სამარხში მოპოვებული D7 ცხოველის ფიგურის მალეგირებელ ელემენტთა მონაცემები ემთხვევა, თუმცა მათ შორისაც არის მნიშვნელოვანი სხვაობა. A3 ქანდაკების შემთხვევაში სპილენძთან ერთად შედარებით დიდი რაოდენობის კალაა წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა რაოდენობით, მაგრამ კალის ელემენტის არსებობა ყველა მოყვანილი ფიგურის ანალიზში დაფიქსირდა. როგორც ცნობილია კავკასიაში კალის ბუნებრივი საბადოები აღმოჩენილი არ არის.

კალიანი ბრინჯაო კავკასიაში ძვ.წ. II-ე ათასწლეულიდან ჩნდება. სხვადასხვა ვერსიებით კალის იმპორტი ხმელთაშუაზღვის აუზიდან ან სამხრეთული მცირე აზიისა და აღმოსავლეთის (შუა აზიის, ირანის) მეტალურგიული ცენტრებიდან უნდა ეწარმოებინათ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, უშუალოდ კოლხეთის ტერიტორიაზე ეს ქიმიური ელემენტი ძვ.წ. II-ე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის გავლით უნდა მომხდარიყო. დიდი რაოდენობით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზი უჩვენებს, რომ ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანიდან სპილენძის ნივთებისათვის დამახასიათებელია შენადნობში კალის, ანთიმონის, დარიშხნისა და ტყვიის დამატება. ამ დროიდან უკვე უპირატესობა კალიან ბრინჯაოს ენიჭება და შესაბამისად, ნივთების დიდი ნაწილი კალიანი შენადნობით მიიღება (ინანიშვილი 2010, 121-128).

ბრინჯაოს ზომორფული მრგვალი ქანდაკებების წარმოდგენილი ანალიზებიდან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფიგურებს შორის დასტურდება ორი ძირითადი ტიპის ლითონის შემადგენლობა: ერთ შემთხვევაში ნივთები კალიანი ბრინჯაოს სხმულებით არის მიღებული, ხოლო მეორე შემთხვევაში სპილენძზე მცირე რაოდენობის დანამატების შერევით.

ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკებების დასამზადებლად გამოყენებული უნდა იყოს ცვილის მოდელი. ძვ.წ. პირველი ათასწლეულისათვის კოლხეთში მოსახლე საზოგადოებას უმაღლეს დონეზე აქვს ათვისებული ბრინჯაოს მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ტექნოლოგიური მეთოდი.

საყოველთაო მოსაზრებით ამ პერიოდში გავრცელებული „რთული კონფიგურაციის მხატვრული სხმულები მიღებულია ცვილის მოდელით“ (ინანიშვილი ... 2010, 129). მახვილაურის კოლხურ კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი B5 ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის ფიგურას, აკლია თავის ნაწილი, ჩანს ქანდაკება ღრუ უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ „შიგნიდან ღრუ და მრგვალტანიანი ქანდაკების დასამზადებლად რბილი თიხისაგან ან ქვისგან ამზადებდნენ ცხოველის ტანის მოყვანილობის კოპს, შემდეგ მასზე შემოძერწავდნენ ცვილის თხელ ფენას. ცვილისგანვე ამზადებდნენ თავსა და კიდურებს. ამგვარ მოდელს ათავსებდნენ თიხის გარსაკრავში, რომელსაც ორ მოპირდაპირე მხარეზე თითო ნახვრეტი უნდა ჰქონოდა - ერთი თხიერი ლითონის ჩამოსასხმელად, მეორე გამდნარი ცვილისა და ჰაერის გამოსადენად. თიხის გარსაკრავი ყალიბად იქცეოდა მას შემდეგ, რაც მას ცეცხლში გამოსწვავდნენ და ცვილისაგან გაათავისუფლებდნენ. ამ პროცესის დროს სრულად ადვილი იყო თიხის კოპის მდგომარეობის შეცვლა, რომლის თავიდან ასაცილებლად ყალიბის გამოწვამდე კოპს ლითონის წვრილი რკინებით ამაგრებდნენ თიხის გარსაკრავზე. ამგვარად დამზადებულ ყალიბში ასხვადნენ გამდნარ ლითონს, რომელიც იკავებდა ცვილის ადგილს და თხელი ფენის სახით შემოეკვრებოდა ხოლმე კოპს. გაცივების შემდეგ ყალიბს ამტვრევდნენ და გამოქონდათ სხმული“ (გ. გობეჯიშვილი 1952, 219-220). ბრინჯაოს მრგვალი სკულპტურების ყალიბიდან გამოთავისუფლების შემდეგ, მათი შემდგომი დამუშავებისას გამოყენებული უნდა იყოს ცივი და ცხელი ჭედვა, შედუღება, გრავირება და ა.შ.

ცაიშის N1 სამარხ ორმოში, ერთსა და იმავე სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილი ხარის ფიგურების ფორმათა მრავალფეროვნება საფუძველს ქმნის ვივარაუდოთ, რომ სკულპტურები მზადდებოდა ერთჯერადი თიხის ყალიბების გამოყენებით, რაც განაპირობებდა ნივთების ფორმებსა და ზომებს შორის წარმოქმნილ სხვაობას. ამავე გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული ის ფაქტიც, რომ დღემდე ცნობილ არქეოლოგიურ მასალაში ამ ტიპის სკულპტურების დასამზადებელი არც ერთი ყალიბი არ არის ცნობილი. ეს ფაქტი ართულებს ზოომორფული მრგვალი ფიგურების საწარმოო სახელოსნოების ზუსტი ლოკაციის დადგენას.

ნაშრომში წარმოდგენილ სკულპტურებს შორის, ნივთების სახელოსნოების მკვეთრად გამიჯვნა მხოლოდ ჩრდილოეთ კოლხეთის მონაპოვრების მაგალითზე ხდება შესაძლებელი. მაგალითად, A ჯგუფში წარმოდგენილი ხარებიდან, აბგარხუკში, ლატალსა და დეხვირში აღმოჩენილი A17, A23 და A24 ფიგურები სხეულის შედარებით სქელი, დახვეწილი ფორმებით (A23, A24) და ზედმიწევნით ნაპრიალები ზედაპირით, საგრძნობლად განსხვავდებიან ცენტრალურ კოლხეთში აღმოჩენილი ხარის ფიგურებისაგან, რომლებისთვისაც დაუმუშავებელი და უხეში ტორსის არსებობა არის დამახასიათებელი.

რაც შეეხება ცენტრალურსა და სამხრეთ კოლხეთში აღმოჩენილ მცირე ქანდაკებებს, მათი შესრულების მანერა საერთოა. მაგალითისათვის, მახვილსაურში აღმოჩენილი B5 სკულპტურა ცხოველისა და მხედრის სხეულის ფორმებით (ცხოველის სქელი თავი, კისერი, და ტორსი, კუდი, ქალის მკერდი) მსგავსებას პოულობს ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილ B4 ქანდაკებასთან. მუხურჩის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხენოსანი ქალის ფიგურა (B3), ადამიანისა და ცხოველის მეტად სპეციფიური დეტალების (რამდენიმე წყებად გამოსახული ყელსაბამი, რელიეფური მრგვალი თვალები, გვირგვინი (?) ცხენის თავისა და კისრის მოყვანილობა და ა.შ.) მოდელირების თვალსაზრისით ახლო მსგავსებას ჰპოვებს ცაიშში N1 სამარხში აღმოჩენილ მხედართა სკულპტურებთან (B1; B2). ეს გარემოება თითოეულ დასახელებულ შემთხვევაში ნივთების საწარმოო სახელოსნოების არა მხოლოდ იდეურ, არამედ ზოგადად სტილისტურ ერთიანობაზეც უნდა მეტყველებდეს.

ზოომორფული მრგვალი პლასტიკის სახელოსნოების სავარაუდო პუნქტების განსასაზღვრის მცდელობისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დღეისათვის დაგროვილ, მეტალურგიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ მონაცემებს.

ძვ.წ. I ათასწლეულიდან ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთ ძეგლზეა აღმოჩენილი. კოლხეთის ბარში ლითონჩამოსასხმელი სახელოსნოების არსებობა დადასტურებულია ნამოსახლართა კულტურულ ფენებში, ზოგჯერ მათ

პერიფერიულ მხარეს (ჯიბლაძე 2016ა, 180-181). კოლხეთის დაბლობი, სადაც ბრინჯაოს წარმოებისათვის საჭირო მადანი არ მოიპოვებოდა, სპილენძით, დარიშხნით, ანთიმონითა და სხვა ნედლეულით მთიანი რეგიონებიდან, ჩრდილოეთით რაჭიდან, სვანეთიდან, ლეჩხუმიდან და აფხაზეთიდან, სამხრეთით კი აჭარა-ჭოროხის აუზიდან მარაგდებოდა (გამყრელიძე 1993, 25).

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყისისათვის მსხვილი ცენტრებიდან საჭირო ნედლეულის მიღების შემდეგ, ივარაუდება, ბრინჯაოს რთული ლიგატურის შენადნობთა ადგილზე დამუშავება, მრავალსახოვანი დანიშნულების ნივთების ჩამოსხმა, ჭედვა და მზა პროდუქციის შექმნა (ინანიშვილი ... 2010, 125). ამგვარ ცენტრებს ბრინჯაოს მეორადი წარმოების კერებს უწოდებენ.

კოლხეთში ძვ.წ. XI საუკუნეში გამოჩენას იწყებს ე.წ. საწარმოო ნამოსახლარები და არსებობას ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისამდე განაგრძობს. ხელოსნობის სხვადასხვა დარგები აქ ორიენტირებულია არა მარტო შიდა მოხმარების, არამედ გარეთ გასატანი და შესაბამისად, გასაცვლელ-გასაყიდი საქონლის წარმოებაზე (Горадзе 1987, 232). *„კოლხეთში საწარმოო ნამოსახლარების სახელითაა ცნობილი: ნოქალაქევის, ოჩხომურის, მუხურჩისა და კიდევ ერთი ძველი მარტვილის რაიონის სოფ. ბანძის მიდამოებიდან“* (ლომიტაშვილი 2003, 3).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების უფრო მძლავრი კერები ზღვისპირა ზოლში არსებულ ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლართა კულტურულ ფენებში არის აღმოჩენილი (პაპუაშვილი... 2014, 178-180). ამ მხრივ უადრესად დიდი მნიშვნელობისაა შავი ზღვის სანაპიროსთან მდებარე ყულევის ნამოსახლარი, რომელიც მსგავსებას ჩოლოქისპირა ნამოსახლართან ავლენს. ყულევის არქეოლოგიურ ძეგლზე, მეორე უბანზე ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ფენებში სხვადასხვა სახის მასალასთან ერთად დასტურდება ყალიბებიც. რ. პაპუაშვილის აღნიშვნით, *„ყულევში აღმოჩენილია კოლხური ცულების ჩამოსახმელი უამრავი ყალიბი. მარტო აქ იმაზე მეტი ყალიბია აღმოჩენილი, ვიდრე კავკასიაში მთლიანად. ისინი მოპოვებულია ლითონწარმოებასთან დაკავშირებულ*

სხვა საგნებთან (საქმენი მიღები, ციციხეები, ბრინჯაოს ზოდები) ერთად“ (პაპუაშვილი 2017ა, 63). ამ ეტაპზე ყულევის არქეოლოგიურ ძეგლზე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ II-ე ფენაში ოცდაცამეტი შენობის ნაშთია გამოვლენილი. უშუალოდ საწარმოო ნაწილი დასახლების ცენტრში და აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო განთავსებული, რადგან მეტალურგიასთან დაკავშირებული ნივთების დიდი ნაწილი სწორედ ამ არეალში აღმოჩნდა (პაპუაშვილი 2017ა, 46).

ყულევის სამხრეთით მდებარე ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე ბრინჯაოს მძლავრ წარმოებასთან დაკავშირებული ასევე არაერთი ნივთია დადასტურებული, თუმცა, ამ შემთხვევაში ძეგლი იმით იქცევს ყურადღებას, რომ აქ ძვ.წ XII-X საუკუნეებით დათარიღებულ IV ფენაში აღმოჩენილი სამჭედლო/სახელოსნო დამატებით საკულტო ნაგებობად არის მოაზრებული. კულტმსახურების უტყუარ ნივთიერ საბუთად აქ აღმოჩენილი რქისებრი სადგარი და მრავალგანყოფილებიანი კეცების არსებობაა მიჩნეული. ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ მჭედლებს საგანგებო საკულტო ადგილები ჰქონდათ მფარველ ღვთაებათა სავედრებლად. დასავლეთ საქართველოში ასეთი ღვთაება იყო შაში, სალამი, სოლომო და ამირანი (ჩავლეიშვილი 1999, 10-14). ამდენად, მოყვანილი მაგალითი შესაძლოა მიუთითებდეს მელითონე-ხელოსნის განსაკუთრებულ სტატუსზე.

კოლხეთში სხვადასხვა ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბები ნამოსახლარებს გარდა ასევე ცნობილია ზოგიერთი განძიდან და სპილენძის ძველი მადაროდან. კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი აღმოჩენილია ნიგვზიანის N7 სამარხშიც (ჯიბლაძე 2016 ა, 180-181).

ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების აბსოლიტური უმრავლესობა როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილზე, უფრო ზუსტად კი დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე მოდის. უშუალოდ ცაიშის, ერგეტას, მუხურჩისა და დღვაბას კოლექტიურ სამარხ ორმოებში ერთობლივად ამ ეტაპზე კოლხეთში ცნობილი მრგვალი ზოომორფული ფიგურების 66 % არის აღმოჩენილი. თუ მხედველობაში

მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ერგეტას, დღვაბასა და ცაიშის სამაროვნები თავმოყრილია დღეისათვის ცნობილი, კავკასიის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საწარმოო ცენტრის, ყულევის სიახლოვეს, ხოლო მუხურჩაში უშუალოდ საწარმოო ნამოსახლარის არსებობა დასტურდება, მართებული იქნება დასახელებულ სამაროვნებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი სკულპტურების წარმოებაში სწორედ ზღვასთან მდებარე ყულევისა და ასევე მუხურჩის სახელოსნოების გავლენა ვივარაუდოთ. საყურადღებოა, რომ ყულევის მაგალითზე, *„ნასახლართა ხასიათი, ნივთიერი კულტურის ნაშთებთან ერთად, იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ აქ არა უბრალო სოფლოური, არამედ დაბური ტიპის ისეთი დასახლება წარმოვიდგინოთ, რომლის ფუნქცია წარმოება და ნაწარმის გადანაწილება უნდა ყოფილიყო. გარკვეული თვალსაზრისით, ის რამდენადმე ემსგავსება კლასიკური და ელინისტური ხანის ისეთ გადამანაწილებელ ცენტრებს, რომლეთა საშუალებითაც, ბერძნები ახორციელებდნენ თავის კონტაქტებს კოლხურ სამყაროსთან (რ. პაპუაშვილი 2017ა, 64 - 65).*

რაც შეეხება ჩრდილოეთ კოლხეთში, ურეკსა და მახვილაურში აღმოჩენილ მრგვალ ფიგურებს, ნივთების სავარაუდო დამზადების ცენტრებად მათივე არქეოლოგიური ძეგლების სიახლოვეს მდებარე სახელოსნო პუნქტები უნდა მივიჩნიოთ. ამათგან, ურეკის მონაპოვრები შესაძლოა უკავშირდებოდეს საკმაოდ ახლოს მდებარე, ჩოლოქ ოჩხამურის სამოსახლოს საწარმოო ცენტრს, თუმცა, ეს მოსაზრება სიმყარისათვის მომავალ აღმოჩენებს საჭიროებს.

დაბოლოს, ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების ნაწილი შესაძლოა დამზადებულიყო თავად კოლექტიური სამარხების ტერიტორიაზე, შესაძლოა აქ გამართულ სარიტუალო მოედნებზეც. ცაიშის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, რ. პაპუაშვილის ცნობით, კოლექტიური სამაროვნების ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ბრინჯაოს წარმოებასთან დაკავშირებული ნაღვენთები. თუ გავითვალისწინებთ ზემომოყვანილ ცნობას მჭედელთა სარიტუალო/საკულტო სფეროსთან ახლო კავშირის შესახებ, შესაძლოა მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებულ დაკრძალვის პროცესიაში მელითონე ხელოსნებს გარკვეული როლი ჰქონოდათ და ინდივიდუალთა განკუთვნილი

სპეციალური ინვენტარის ნაწილი, ამ შემთხვევაში ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებები მათ ადგილზე დაემზადებინათ. არ გამოირიცხება ცალკეული ნივთების იმპორტიც, ამაზე ცოტა ქვევით.

§3. 9 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების ქრონოლოგია

კოლხური კულტურის პირველი საფეხურის მატერიალური კულტურა ძირითადად ნამოსახლარებიდან და კოლხეთის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი განძებიდანაა წარმოდგენილი. ამ ხანის სამაროვნები ჯერ ჯერობით თითქმის არ არის მიკვლეული (ჯაფარიძე 1991, 202). ამავე ეტაპის არქეოლოგიური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოომორფული მრგვალი ქანდაკებები კოლხურ მატერიალურ კულტურაში გავრცელებული არ არის.

კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებების გამოჩენისა და მათი არსებობის ქრონოლოგიური დიაპაზონის განსაზღვრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცხოველისგამოსახულებიან იმ სკულპტურებს, რომელთა არქეოლოგიური კონტექსტი ცნობილია. როგორც უკვე წინა თავში აღინიშნა, ზოომორფული მრგვალი ფიგურების უმეტესი ნაწილი, 80% აღმოჩენილია კოლხურ კოლექტიურ სამარხებში.

კოლხური კოლექტიური სამაროვნები თავიანთ არსებობას ზოგადად მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყებენ და ძვ. წ. VI საუკუნის საწყის პერიოდამდე განაგრძობენ. დღეისათვის ამ ტიპის სამაროვნებზე 40-მდე კოლექტიური სამარხია შესწავლილი. „სამარხული ინვენტარის რაოდენობა ათეულობით ხშირ შემთხვევაში კი ასეულობით განისაზღვრება, იშვიათად, ათას ერთეულსაც აჭარბებს“ (პაპუაშვილი 2010ა, 32).

წინამდებარე ნაშრომში კოლხური კოლექტიური სამარხების ამა თუ იმ კომპლექსის ქრონოლოგიაზე მსჯელობისას ძირითადად გამოყენებულია თ. მიქელაძისა და რ. პაპუაშვილის ფუნდამენტური გამოკვლევები.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი ურეკის, დღვაბას, ნიგვზიანისა და ერგეტას სამაროვნების სხვადასხვა კოლექტიური სამარხები დეტალურად აქვს განხილული თ. მიქელაძეს. ავტორი აღნიშნავს, რომ ურეკის N3, დღვაბას N1 და N2, ერგეტას პირველი სამაროვნის N5 და N6, ერგეტას მესამე სამაროვნის N1 და N4 და ნიგვზიანის N1 და N2 სამარხ ორმოებში მოპოვებული კერამიკული ჭურჭელი აბსოლიტურად ერთგვარია. ყველა სამარხეულ კომპლექსშია აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ე.წ. სეგმენტისებური იარაღი. დიდი რაოდენობითაა თოხებიც. საბრძოლო იარაღი წარმოდგენილია რკინისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული მახვილებით. ტუალეტთან და ტანსაცმლის მორთულობასთან დაკავშირებულ ნივთებს შორისაა ფიბულები, ქინძისთავეები, ყელსაბამები, პინცეტები. სამარხები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ინვენტარს შეიცავდნენ. კოლექტიური სამარხების ერთ-ერთი თავისებურება მათი შემცველი ინვენტარის შემადგენლობაა (Mikeladze 1995, 2). თ. მიქელაძე აღნიშნავს, რომ სამარხებში აღმოჩენილი რკინისა და ბრინჯაოს ერთგვარ ნივთებს შორის, მორფოლოგიური თვალსაზრისით, ამ პერიოდისათვის ცვლილებები არ შეინიშნება (Mikeladze 1995, 6). თ. მიქელაძე ქრონოლოგიის განსასაზღვრად იყენებს კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილ ყუამილიან დოქებსა და სასმისების ერთ ჯგუფს. უმნიშვნელოვანესად კი ყუამილიან დოქებს მიიჩნევს და სკვითურ ისრისპირებთან ერთად მათ ძვ.წ. VI საუკუნით ათარიღებს (Mikeladze 1995, 8-12). არის შემთხვევები, როდესაც სკვითური ისრისპირები, აკინაკები და კათხები ყუამილიან დოქებთან ერთადაა წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ სკვითური ისრისპირები და აკინაკები იმგვარ კომპლექსებში იჩენს თავს, სადაც ბრინჯაოს ნივთების პროტოტიპებთან ერთად აღმოჩენილ რკინის ნივთებს იგივე ფორმები ახასიათებთ. ვინაიდან აქ თანაარსებობს ბრინჯაოსა და ახლად გამოჩენილი რკინის მეტალურგიის ამსახველი ნაწარმი, თ. მიქელაძე სამარხებს ძვ.წ. VII საუკუნის ბოლო პერიოდითა და ძვ.წ. VI საუკუნით ათარიღებს და ამ ეტაპს კოლხეთში რკინის ხანის დასაწყისად მიიჩნევს. კოლხეთში ბრინჯაოს მეტალურგიიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლა მკვლევარის მოსაზრებით ძვ.წ.

VII საუკუნის მეორე ნახევრის, ან ძვ. წ. VII საუკუნის ბოლო ეტაპისათვის უნდა დაწყებულიყო (Mikeladze 1995,16).

ნიგზიანის, ერგეტას, ცაიშის, დღვაბას, მუხურჩისა და ურეკის სხვადასხვა სამაროვნებში აღმოჩენილი საბრძოლო იარაღის ფორმალურ ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე რ. პაპუაშვილს გამოყოფილი აქვს ის ფორმოზრივ ტექნოლოგიური სიახლეები, რასაც ადგილი ჰქონდა კოლხეთში ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაზე გარდამავალ პერიოდში. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამგვარი სხვაობა სამაროვნებში მოპოვებული სხვა ტიპის ნივთიერი მასალის შემთხვევაშიც სახეზეა. რ. პაპუაშვილს მიერ შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით, კოლხეთის დაბლობზე შესწავლილი კოლექტიური სამარხები ინვენტარის თავისებურებებით ხუთ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა.

V-ე ჯგუფის სამაროვნებში მოპოვებული ათობით საბრძოლო და სამეურნეო იარაღის ფორმები ნაკლებად პოულობს საერთოს ანალოგიური დანიშნულების ბრინჯაოს ნაწარმთან. ამავე დროს აქ წარმოდგენილია სკვითური აკინაკები და სამფრთიანი სკვითური ისრისპირიც. ამ ფორმის აკინაკებიცა და ისრისპირებიც ტრადიციულად ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულისა და ძვ.წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის პროდუქტადაა მიჩნეული. აქ აღმოჩენილი კერამიკა საერთოა როგორც ადრეულ ჯგუფებში მოპოვებული თიხის ნაწარმისა, ასევე ადრეანტიკური ხანის ძეგლებზე დამოწმებული ანალოგიური პროდუქციისა. IV-ე ჯგუფის სამაროვნებში ბრინჯაოს ცულებთან ერთად უხვადაა რკინის საბრძოლო იარაღი, განსაკუთრებით კი სატევრები. გვხვდება ბრინჯაოსა და რკინის თოხები და სეგმენტისებრი იარაღი. გარდა სატევრებისა, ყველა იარაღი ბრინჯაოს პროტოტიპებს უკავშირდება. ამ ჯგუფის სამაროვნებს რ. პაპუაშვილი ძვ.წ. VII საუკუნეში აქცევს. III-ე ჯგუფის მასალაში დიდი რაოდენობით რკინის სატევრებისა და მარტივი ფორმის რკინის სამკაულთან ერთად ჯერ კიდევ არ გვხვდება სატარეხვრელიანი რკინის ცული, თოხი ან სახნისი, აკინაკები და ურარტული ტიპის რკინისავე მოხრილი დანები. აქ მოპოვებული რკინის სატევრები კი ბრინჯაოს ანალოგიურ იარაღს უკავშირდება. ამ ჯგუფის სამარხებში იგრძნობა არა რკინის დეფიციტი, არამედ მათი დამუშავებისა და გამოცდილების უკმარისობა. ამ ჯგუფის სამარხები განსაკუთრებული

სიმდიდრით გამოირჩევა. მათ თარიღად ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარი და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარია განსაზღვრული. მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის სამაროვანთა მასალა აშკარად არქაულად გამოიყურება და აქ რკინა ჯერ კიდევ იშვიათი ლითონია, არ გვხვდება III-V ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ყუამილიანი ხელალები და ვიწროძირიანი ძაბრისებურად გაფართოებული ტანის მქონე სასმისები. შედარებით მცირე რაოდენობითაა აბზინდები და ფიბულები, გრავირებული, ბრტყელი სამაჯურები. ამ ჯგუფის თარიღი ძვ.წ. VIII საუკუნის პირველი ნახევარი ან ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით უნდა განისაზღვროს. I ჯგუფში ერთიანდება სამარხი ორმოები, რომელთა ინვენტარში მცირე რაოდენობითაა ბრინჯაოს მასალა და სრულებით არაა რკინა. არქაული იერისაა თიხის ნაწარმი. მათი ვიწრო ქრონოლოგიური დიაპაზონის განსაზღვრა რთულდება და ზოგადად ბრინჯაოს ხანით, ძვ.წ. II ათასწლეულის მორე ნახევრით უნდა დათარიღდეს (პაპუაშვილი 2010ა, 32-42).

სადღეისოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია რკინის მეტალურგიის სწრაფი განვითარება უკვე ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში (ლორთქიფანიძე 2002,164). *„ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში დღევანდელი დასავლეთ საქართველს ტერიტორიაზე იწყება რკინის ფართო ათვისება, რაც უდიდეს როლს შეასრულებს ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურსა და სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში“* (ლორთქიფანიძე 2002,154).

რაც შეეხება რკინის იარაღში ბრინჯაოს იარაღის სრული კომპლექტის გამეორებას, გ. ინანიშვილი მიიჩნევს, რომ *„კოლხეთში მათი თანაარსებობის ადრეული პერიოდი ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით განისაზღვრება. აღნიშნული პროცესი საერთოა დასავლეთ ამიერკავკასიის რეგიონის როგორც ბარის, ისე მთისწინა და მთის რაიონებისათვის“* (ინანიშვილი 2014, 124-127). ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში რკინის მასალის გავრცელების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა ერთნაირად შესამჩნევია, როგორც ცენტრალურ, ისე დასავლეთ ამიერკავკასიის რეგიონისათვის. რკინის ნაწარმი მოწინავე მდგომარეობას იკავებს და თანდათან ხმარებიდან გამოდის ბრინჯაოს საომარი და შრომის იარაღი (ინანიშვილი 2014, 120-

121). ამასთანავე, ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში კოლხეთში ბრინჯაოს იარაღი, რკინის ინვენტართან ერთად, კიდევ რომ ინარჩუნებს გარკვეულ სამეურნეო მნიშვნელობას, ამის დასტურია ურეკის, ერგეტასა და ნიგვზიანის სამაროვნებზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილი ბრინჯაოს სატევრები, დანები და სეგმენტები (ჯაფარიძე... 2005, 124).

გ. ინანიშვილის გამოკვლევით, კოლხეთის წინა ანტიკური ხანის სამარხებში კარგადაა ასახული ის ფაქტი, რომ არსებული ბრინჯაოსა და რკინის სამეურნეო და საომარი დანიშნულების იარაღი ძვ.წ. VI საუკუნის მიწურულამდე თანაარსებობს (ინანიშვილი 2007, 50).

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების შემცველი ამა თუ იმ კომპლექსის დათარიღებისას სახელმძღვანელოდ გამოყენებულია რ. პაპუაშვილის მიერ შემუშავებული კოლხურ კოლექტიურ სამარხთა აბსოლიტური ქრონოლოგია.

როგორც უკვე წინა თავებში იქნა ნაჩვენები, ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკა, სამაროვნებზე სხვადასხვა რაოდენობით არის გავრცელებული. მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ კოლექტიური სამარხი ორმოს ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა შესაძლებელია, რიგ შემთხვევაში კონკრეტული ნივთის სიზუსტით დათარიღება და ინვენტარს შორის ვიწრო ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა ვერ ხერხდება. ამის მიზეზია სამაროვნებში წარმოდგენილი ინვენტარის უსისტემო განლაგება. მაგალითისათვის, ცაიშის N1 სამაროვნის შემსწავლელის, რ. პაპუაშვილის აღნიშვნით, „*კოლექტიური სამარხი ორმოს მასალის განლაგებაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნებოდა. სავარაუდოა რომ აქ გარკვეული წესისა და რიგის მიხედვით შეჭქონდათ ტყავში ან ქსოვილში გახვეული მიცვალებულის ძვლები და ნივთები, რომლებსაც შესაბამისი რიტუალის დაცვით აწყობდნენ თაროებზე, ან ჰკიდებდნენ კედლებზე. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ძვლებისა და ნივთების ნაწილი სამარხის კიდეებზე იატაკთან შედარებით უფრო მაღლაა). დროთა განმავლობაში ქსოვილისა და ტყავის გაქრობამ, ორგანულ მასად ქცევამ და ნივთებთან არევამ გამოიწვია ის, რომ დღეს შეუძლებელია მსჯელობა ცალკეული ინდივიდებისათვის მისაკუთვნებელ სამარხეულ კომპლექსებზე“ (პაპუაშვილი 2015, 10). იგივე სურათი გვაქვს ცაიშის N2 სამარხის შემთხვევაშიც (პაპუაშვილი 2015, 17).*

ბრინჯაოს ზომორფული მრგვალი ფიგურები აღმოჩენილია ცაიშის N1 სამარხში (ტაბ.I), ერგეტას პირველი სამაროვნის N5 (ტაბ.III), მეორე სამაროვნის N2, (ტაბ.IV) N11 (ტაბ.V) და მესამე სამაროვნის N4 აკლდამებში (ტაბ.VI). მუხურჩის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე (ტაბ.II) და არხის მიერ დაზიანებულ ფენებში, ურეკის N3 (ტაბ.VIII) სამარხში, დღვაბას (ტაბ.VII) და მახვილაურის კოლექტიურ სამაროვნებზე.

რ. პაპუაშვილის მოსაზრებით, ცაიშში შესწავლილი ორივე სამარხი ორმო დროის ხანგრძლივ მონაკვეთში (50 წელი და შესაძლოა გაცილებით მეტიც) ფუნქციონირებდა, ამდენად აქ წარმოდგენილი ნივთები დროის სხვადასხვა მონაკვეთში უნდა იყოს დამზადებული. ორივე სამარხის ნივთები მეტნაკლებად ერთგვარია. N2 სამარხში მოპოვებული ბრინჯაოს ცულები N1 სამარხში მოპოვებულთან შედარებით, არქაული ფორმებით გამოირჩევიან, „*პირველ სამარხში 69 ბრინჯაოსა და 152 რკინის სატევარი იყო, მაშინ როდესაც მეორეში 108 ბრინჯაოსი და 56 რკინისა. პირველში 12 ბრინჯაოს და 6 რკინის ფიბულაა მოპოვებული, მაშინ როდესაც მეორეში 16 ბრინჯაოს და 3 რკინისა. შესაძლოა ქრონოლოგიურ სხვაობაზე მიუთითებდეს ისიც, რომ მეორე სამარხში ვერ ვხდებით სამიწათმოქმედო იარაღის ისეთ სახეობას, როგორიც თოხი და ნამგალია, რომელიც დასტურდება N1 სამარხში და დამახასიათებელი ხდება უფრო მოგვიანო ჯგუფის ძვ.წ. VII-VI სს კომპლექსებისათვის* (პაპუაშვილი 2015, 21). შენიშნულია, რომ N1 სამარხი, სადაც ხარის რვა და ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედარი ქალის სამი ფიგურაა აღმოჩენილი, ხასიათითა და ინვენტარის შემადგენლობით განსაკუთრებულ სიახლეს ავლენს ურეკის N3, ერგეტა I-ის, N5 და ერგეტა II -ის N4 კოლექტიურ სამარხებთან. აქ ვერ ვხდებით სატარე ხვრელიან რკინის ნივთებს (გამონაკლისის სახით 41 ცულში სამი რკინისა). არ გვაქვს რკინის თოხები, სახნისები და სეგმენტისებრი იარაღი რომლებიც ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩნდებიან და ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე სამარხებში განმსაზღვრელ საგნებს წარმოადგენენ (პაპუაშვილი 2015, 21).

რ. პაპუაშვილი ცაიშის N 1 სამარხის ფუნქციონირების ხანად ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარს მიიჩნევს, ხოლო N2 სამარხი, სადაც ხარის ერთი ფიგურაა მოპოვებული, უფრო ადრეა გამართული. ისინი

ქრონოლოგიურად ებმის ერთმანეთს და პირველი მეორის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. „ზოგიერთი იარაღის არქაული ფორმები, ბრინჯაოსა და რკინის არტეფაქტების თანაფარდობასთან ერთად, საფუძველს იძლევა მისი ფუნქციონირების თარიღი ძვ.წ. VIII საუკუნის პირველი ნახევრით, უფრო ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის I მეოთხედით განვსაზღვროთ“ (პაპუაშვილი 2015, 22).

მუხურჩაში არსებული სამაროვნის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, წყლის სადრენაჟო სისტემის მშენებლობისას ჩატარებული მიწის სამუშაოების შედეგად ძლიერ დაზიანდა (Гогодзе...1977, 60). არხიდან ამოყრილ მიწაში, თავად არხსა და დასაკრძალავ მოედნებზე აღმოჩენილია ხარის სამი ფიგურა და ცხენის, ლეოპარდის, ფანტასტიკური ცხოველისა (ტახი?) და ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის თითო სკულპტურა. სამაროვანზე გამოვლინდა ასაკობრივად განსხვავებული, ერთმანეთის მიმართ ტერასულად განლაგებული ორი დასაკრძალავი მოედანი. ეს ორი ჯგუფი ტერიტორიულად და ერთ შემთხვევაში სტრატეგრაფიულადაც ერთმანეთისაგან იყო გამიჯნული, ისინი ასევე განსხვავდებოდნენ დაკრძალვის რიტუალითაც (ელიავა 1987, 1-7). მათგან ქვედა სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სეგმენტისებური იარაღი, კოლხური ტიპის ბრინჯაოს ცულები და ბრინჯაოს თოხები. ზედა ძეგლზე აღნიშნულ საგანთაგან არც ერთი არ აღმოჩენილა. აქ სეგმენტისებური იარაღი ჩანაცვლებულია რკინის ისეთი იარაღით, რომელიც თავისმხრივ არ ფიქსირდება ქვედა სამარხში. ზედა მოედანზე აღმოჩენილი ცულები და მახვილები ყველა რკინისაა და ხშირად იმეორებენ ბრინჯაოს ანალოგიური ნივთების ფორმებს. ქვედა მოედანზე კერამიკულ მასალას შორის იყო იმგვარი ნივთები, რომლებიც სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ზედა და ქვედა სამაროვნები ასაკით, შესაბამისად დაახლოებით უნდა ემთხვეოდეს ზედა და ქვედა დასაკრძალავ მოედნებს (Гогодзе...1977, 62). მუხურჩის სამაროვნის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე აღმოჩენილია ცნობილი ფიგურა ქალისა, რომელიც ცხენზე გვერდულად მდჯდომარეა გამოსახული (Гогодзе...1984, 30). ქვედა დასაკრძალავ მოედანზე რომლის მიღებული თარიღია ძვ.წ. VIII-VII სს. კრემაციის კვალი არ ჩანს, ხოლო ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით დათარიღებულ ზედა სამაროვანზე მიცვალებულის დამწვარი ნაშთის დაკრძალვაა

დადასტურებული (ელიავა 1987, 1-7). „პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიურ მონაპოვარზე სტრატეგრაფიის გამოყოფა და ზოგიერთი ნივთის რომელიმე სამარხისადმი მიკუთვნება ძნელია, ვინაიდან ნივთები ზედაპირულად იქნა შეკრებილი და მათზე საუბარი მხოლოდ ასაკობრივი და ეტაპობრივი ადეკვატებით თუ შეიძლება“ (ელიავა 1987, 1-7).

ერგეტა I-ის N5 სამარხში ბრინჯაოს ცხენის მრგვალ ქანდაკებასთან ერთად დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი ე.წ. ყუამილიანი დოქები, ბრინჯაოს კოლხური ცულები, ზოომორფულთავიანი დაბოლოების მქონე მცირე ზომის სატევრები, სეგმენტისებური იარაღი და ბრინჯაოს თოხები. ნივთებს შორის გვხვდება რკინის მასალაც (Mikeladze 1995, 2), ასევე, როგორც უკვე აღნიშნული იქნა, N5 სამარხი ორმოს ინვენტარი, ახლო მსგავსებას პოულობს ცაიშის N1 სამარხთან, შესაბამისად, ორივე კომპლექსი ერთსა და იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში უნდა მოექცეს და მისი თარიღი ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევრით განისაზღვროს.

ერგეტას მეორე სამაროვანზე ჩვენთვის საინტერესო, ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული ფიგურების შემცველი N2 და N11 სამარხისეული კომპლექსები იყო. მათგან, ერგეტა N2-ის სამარხისეული ინვენტარი, სადაც აღმოჩნდა რქოსანი ცხოველის(?) ფიგურა, წარმოდგენილია ბრინჯაოს ცულებით, გრავირებული აბზინდებითა და სატევრით. არქეოლოგიური ინვენტარი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. გვხვდება კერამიკული მასალის სადა ფორმები. სამარხში მცირე რაოდენობითაა თოხები და სეგმენტისებური იარაღი, რკინის ნივთები (Mikeladze 1995, ტაბ. 6). აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს გრავირებული აბზინდებისა და ყუამილიანი დოქის არსებობის გათვალისწინებით სამარხი ორმო შესაძლოა ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VII საუკუნით დათარიღდეს.

ერგეტას მეორე სამაროვნის N11 სამარხი ორმოს ინვენტარში კერამიკულ ტარასთან ერთად აღმოჩნდა მორთულობასთან დაკავშირებული ნივთები, შრომის ხელსაწყოები და რკინის იარაღები. იარაღებიდან წარმოდგენილი იყო 6 აკინაკი, 38 მახვილი, 13 დანა, 27 სეგმენტისებრი იარაღი, 10 ცული და ა.შ. ამავე სამარხში იყო მინიატურული ზოომორფული ფიგურები, 3 მრგვალი ქანდაკება და 1 საკიდი ხარის

გამოსახულებით. წინასწარი მონაცემებით სამარხ ორმოში სულ 300 ნივთამდე უნდა არსებულიყო. ინვენტარი უსისტემოდ იყო არეული რის გამოც ცალკეული კომპლექსების გამოყოფა ვერ ხერხდება. აკლდამა დაახლოებით ოცდაათი წლის განმავლობაში უნდა გამოეყენებინათ. „აქ აღმოჩენილი ინვენტარი მსგავსია კოლექტიური სამარხი ორმოებისა, რომლებიც კოლხეთის მიწაზე ძვ.წ. VI საუკუნის შუა ხანებამდე არსებობდნენ. სამარხი N 11-ის ინვენტარში დომინირებს რკინისაგან ნაკეთები შრომის იარაღები და გვხვდება სკვითური იარაღი. ამ ჯგუფში განმასხვავებელი მახასიათებელია ბრინჯაოს დიადემების გამოჩენა, რომლებიც ადრეულ კომპლექსებში ცნობილი არ არის. იმის საფუძველზე, რომ სამარხში ბერძნული იმპორტული კერამიკა არ აღმოჩენილა, რომელიც კოლხეთში ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრიდან მრავლადაა წარმოდგენილი, სამარხი N11 ძვ.წ. VII საუკუნის ბოლო და VI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება“ (Папуашვილი 2016, 199-206).

ერგეტას მესამე სამაროვანზე არსებული, N4 კოლექტიური სამარხი ორმო, რომელშიც ცხოველზე გვერდულად მდჯომარე ქალის, ხარისა და ერთი დაუდგენელი ცხოველის ფიგურა აღმოჩნდა, რ. პაპუაშვილის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით ძვ.წ. VII საუკუნით თარიღდება.

ხოზის რაიონში დღვაბას სამაროვანზე მდებარე სამარხი ორმო N1, ძვ.წ. VII ს - ის მეორე ნახევრით არის დათარიღებული (Микеладзе...1987, 42) დღვაბას სამაროვნის N2 სამარხი ორმო კი ძვ.წ. VII ს - ის ბოლო პერიოდით (Микеладзе... 1995ა, 42-43). N2 სამარხში ხარის სამ და ძალის ერთ ფიგურასთან ერთად, ჯამში 600-ზე მეტი ნივთი აღმოჩნდა. ინვენტარს შორის იყო თიხის, ქვის, ბრინჯაოს, რკინისა და ოქროს მასალა. იყო კულტთან და ტუალეტთან დაკავშირებული ნივთებიც. სამარხში დაფიქსირდა როგორც რკინის, ასევე ბრინჯაოს ერთგვარი ნივთები (Микеладзе...1985, 39-43). რ. პაპუაშვილის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური სქემის მიხედვით სამარხი ასევე ძვ.წ. VII საუკუნეში ექცევა.

ურეკის N3 სამარხი, რომელშიც ხარისა და შველის თითო ფიგურაა აღმოჩენილი, როგორც უკვე ითქვა სამარხისეული ინვენტარით ახლო მსგავსებას ცაისის N1 სამარხ ორმოსთან ჰპოვებს. N3 სამარხში განსაკუთრებით დიდი

რაოდენობის არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა. „ამავე ფენის ზედაპირზე დადასტურდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ძვ. კოლხური მეორე პერიოდის ტოლჩებისათვის დამახასიათებელი ყურებით, რომელთაც ზემოდან ლილვისებური დანაძერწები აქვთ“ (მიქელაძე 1985, 9-10). მიუხედავად იმისა, რომ ურეკის სამაროვანზე სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს ეტყობათ ქსოვილის კვალი და თ. მიქელაძე მათ ქვეკომპლექსებს უწოდებს, იქვე აღნიშნულია, რომ ინვენტარის ანალიზი არ იძლევა დიფერენცირებული დათარიღების საშუალებას და ამიტომ ორივე ჯგუფის სამარხები, როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური, ზოგადად ერთი ხანით თარიღდება. ორივე შემთხვევაში სახეზეა სრულიად ერთგვაროვანი მასალა, რომელიც გარკვეულ ხანაში მთელი კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი (მიქელაძე 1985, 3-16). სამარხი ორმო N3 ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

მახვილაურის კოლექტიური სამარხის ცენტრალურ ნაწილში, 62-ე კვადრატში, მეორე დონეზე აღმოჩნდა რკინის მოზრდილი დანა. მის გვერდით ბრინჯაოს ჯაჭვის გრძელი ასხმა და ბრინჯაოს კირკალი, ვერცხლის წყვილი რგოლსაკიდი, ოქროს გარსაკრავის ფრაგმენტებით. მხედარი ქალის ბრინჯაოს ქანდაკებისაგან სამხრეთით, 10 სმ-ის მოშორებით სხვადასხვა დონეზე გაიწმინდა ვერცხლის წყვილი სამაჯური. 62-ე კვადრატის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა 50 სმ სიგრძის რკინის შუბისპირი და რკინისავე დანა. ამავე კვადრატში კერამიკული ტარიდან აღმოჩნდა ყურმილიანი დოქები და ე.წ. ზოომორფულყურებიანი ჭურჭელი. სამარხი ორმოს თარიღად ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარია განსაზღვრული (კახიძე... 2017, 85-112).

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე იქმნება შემდეგი სურათი: კოლხურ კოლექტიურ სამაროვნებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურები ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის განმავლობაში არსებობენ. მასალის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ამ ეტაპისათვის ცნობილი ცხოველთაგამოსახულებიანი ფიგურები განსაკუთრებული სიმრავლით, 90 %-ის ოდენობით იმ სამარხებშია აღმოჩენილი, რომელთა ინვენტარში უკვე მრავლად გვხვდება რკინის მასალა, ისევე როგორც კოლხური გრავირებული ცულები და

ზოგადად მატერიალური კულტურის ის ნივთები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით განისაზღვრება. რაც შეეხება მრგვალი ფიგურების შედარებით ადრეულ და გვიანდელ ნიმუშებს, ამ ეტაპზე სკულპტურები გაცილებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ადრეული მაგალითებიდან უნდა დასახელდეს ცაიშის N2 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხარის ფიგურა ყელზე საბელით. ნივთი არსებული ქრონოლოგიური სქემით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში ექცევა. მოგვიანო ნიმუშები კი აღმოჩენილია ერგეტას მეორე სამაროვნის N11 სამარხში, სადაც ხარისა და ორი დაუდგენელი ცხოველის ფიგურა იქნა ნაპოვნი. ნივთები ძვ.წ VII საუკუნის ბოლო და VI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

ბრინჯაოს ცხენზე მჯდომი მხედარი კაცის ფიგურა მოპოვებულია ლეჩხუმში, შემთხვევით აღმოჩენილ ცაგერას განძში. ჭურჭელი, რომელშიც განძი იყო დაფლული აღმოჩენისთანავე დაუმტვრევიათ, ნამტვრევები დაკარგულია, ამიტომ ჭურჭლის რაგვარობის შესახებ წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. განძი შედგებოდა ბრინჯაოს მხედრის ქანდაკებისაგან, ბრინჯაოს ორი მასიური რგოლისაგან, აღმოსავლურქართული ტიპის ცულისაგან, ბრინჯაოს ცულისაგან რომელიც წიწვისებური და გეომეტრიული ორნამენტით იყო შემკული, სატეხისაგან და ბრინჯაოს ნამგლებისაგან, ბრინჯაოსავე თოხებისაგან, ბრინჯაოს შუბის მასრისაგან, ბრინჯაოს სეგმენტისებური იარაღისაგან, ბრინჯაოს ჭურჭლის ძირისაგან და ბრინჯაოს ნატეხებისაგან (სახაროვა 1976, 8-10). ცაგერას განძის გაზიარებულ თარიღად ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები არის მიჩნეული. ხოლო ზესტაფონის სოფელ ალავერდში შემთხვევით მოპოვებული მხედარი არსებული მოსაზრებით ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით თარიღდება.

ბრინჯაოს ზომორფული მცირე სკულპტურები დღნორისას გაუქმებული ეკლესიიდან, ლეჩხუმის სოფელ დეხვირიდან და ორბელიდან, აფხაზეთიდან - აზგარხუკიდან, სვანეთის სოფელ ლატალიდან და მულახიდან, ქუთაისის სოფელ მაღლაკიდან და საჩხერის სოფელ ორღელედან, სტილისტური და მორფოლოგიური ნიშნების ანალიზის საფუძველზე თანმხლები ინვენტარის გარეშე დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ზოგადად ჩრდილოეთ კოლხეთის, სვანეთის, ლეჩხუმისა (დეხვირის) და აზგარხუკის, ისევე

როგორც მაღლაკის შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად მოპოვებული ხარის ფიგურები მორფოლოგიურად საკმაოდ განსხვავდებიან ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული სკულპტურებისაგან, ყველა ამ ნივთის შემოთავაზებული თარიღი ამ ეტაპზე პირობითად უნდა ჩაითვალოს, შედარებით ზუსტი ქრონოლოგიის განსაზღვრა სამომავლოდ თავად ამ ნივთების არქეოლოგიური კონტექსტის შესწავლის შედეგად გახდება შესაძლებელი. რაც შეეხება დღნორისას გაუქმებული ეკლესიიდან, ლეჩხუმის სოფელ ორბელიდან და საჩხერის სოფელ ორლელებიდან მომდინარე ხარის ფიგურებს, მასალის ეს ნაწილი აშკარა მსგავსებას პოულობს კარგად დათარიღებულ მუხურჩისა და დღვაბას სამაროვნებში მოპოვებულ ხარის ფიგურებთან, ამდენად მათი თარიღი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში უნდა მოექცეს.

არსებული სურათი საშუალებას არ იძლევა ზოომორფული მრგვალი ფიგურების ტიპოლოგიური განვითარების ეტაპები ვიწრო ქრონოლოგიური მონაკვეთებით გამოიყოს. ზოგადად კი სახეზეა ცხოველთა სხეულის მცირე ცვლილება. ძვ.წ. I ათწლეულიდან ძვ.წ. VII-ე საუკუნის პირველ ნახევრამდე გავრცელებული მრგვალი ფიგურებისაგან განსხვავებით, ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებული ქანდაკებები კიდევ უფრო სქემატური ხდება, ფორმები შედარებით სქელდება და მრგვალდება. ამ პერიოდში ცხოველთა მრგვალი ფიგურების რაოდენობა უკვე უმნიშვნელოა, ქანდაკებები მცირდება ზომამიც.

§3. 10 ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების სემანტიკა

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების სიმბოლიკის საკითხებში გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად ცხოველთა სახეობებს შორის არსებულ რაოდენობრივ შეფარდებას. კოლხურ სამაროვნებსა და მის გარეთ აღმოჩენილი მრგვალი ფიგურები წარმოდგენილია ხარის, ცხენის, შველის, ტახის (?), ვერძის,

მხედრებისა და რამოდენიმე დაუდგენელი ცხოველის მთლიანადსხმული სკულპტურების სახით. მათგან რაოდენობრივად ჭარბობს და ნივთების 58%-ს ხარის მცირე ქანდაკებები წარმოადგენს.

საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ხარის კულტის არსებობა ჯერ კიდევ მტკვარ არაქსის კულტურაშია დამოწმებული, სადაც ე.წ. რქიანი ზესადგარები ხარის განსახიერებად არის მიჩნეული, ხოლო თავად ხარი მთვარის სიმბოლურ გამოსახულებად (კიკვიძე 1976, 16-172). ამავე პერიოდში ციხიაგორას B2 ფენაში N2 შენობაში მოპოვებულია თიხისგან ნაძერწი ხარის სკულპტურა (მახარაძე 1994, 29). მომდევნო ხანებში ხარის მძლავრი კულტის არსებობის პირდაპირი დადასტურებაა ბორცვ სტალინირის ნაცარგორაზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ მეხუთე სამლოცველოს ერთ-ერთ უბანზე აღმოჩენილი რქებიანი საკურთხეველი. სენაკში მდგარა თიხისაგან გამოძერწილი ხარის ოთხი ქანდაკება. მათ შორის ყველაზე უფრო დიდი, სენაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სამსხვერპლოსთან იყო მოთავსებული (გობეჯიშვილი 1951, 254-263). მეორე თანადროული ძეგლი, სადაც ხარის თავის თიხის მოდელები და ხარის თავით შემკული საკურთხეველი აღმოჩნდა, მდებარეობს ყათნალიხევში (ხახუტაიშვილი 1964, 18-33). მიჩნეულია, რომ განაყოფიერებისადმი მიძღვნილ წესჩვეულებებში ერთმანეთს უკავშირდებოდა ხარი, მთვარე და კერა (მირცხულავა 2005, 103).

კოლხეთის დაბლობზე ადრებრინჯაოს ხანის მიწურულიდან თუ არა, შუაბრინჯაოს ხანის საწყის პერიოდში მაინც რომ ხარი საკულტო ცხოველი იყო, ამის დასტურად მიჩნეულია ხის სახვნელი იარაღების, მარცვლეული კულტურისა და ხარის ქანდაკებათა აღმოჩენა ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII კულტურულ ფენაში, ოჩამჩირეში, ანაკლია II -ზე და სხვა (ჯიბლაძე 2005, 128-127). რაც შეეხება კოლხეთის მთიან ნაწილს, აქ ხარის კულტის გავრცელების ხანად გვიანბრინჯაოს პერიოდი მოიაზრება (ჩართოლანი 1996, 205-206).

ძვ.წ I ათასწლეულის პირველი ნახევრისათვის კოლხეთში ხარის კულტის არსებობის დამადასტურებელი ძეგლი არის აღმოჩენილი ყვირილას ხეობაში ე.წ. ჯიეთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. აქ ძვ.წ. IX-XIII საუკუნეებით დათარიღებული

ნაგებობის იატაკზე ბორჯღალთან და კერის ფრაგმენტთან ერთად, თიხისაგან გამოძერწილი ხარის სკულპტურები და ხარის თავის გამოსახულება დაფიქსირდა, რომელიც თავდაპირველად საკურთხეველზე უნდა ყოფილიყო მიძერწილი (ნადირაძე 1990, 116).

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კოლხურ სამაროვნებში აღმოჩენილი ხარის ფიგურების სიმბოლიკის განსასაზღვრად შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობის იყოს ის ფაქტი, რომ მაგალითად, ერგეტას სამაროვნის ზოგიერთ კოლექტიურ სამარხში ასეულობით თოხი და ათეულობით რკინის სახნისი იქნა მოპოვებული. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შრომის იარაღების ამ რაოდენობით აღმოჩენის არაერთი შემთხვევა კოლხეთში მეურნეობის მაღალი დონისა და მნიშვნელოვანი როლის პირდაპირ დასტურად არის მიჩნეული (პაპუაშვილი 2017, 65), რაც შესაბამისად პირდაპირ კავშირშია ხარის, როგორც ამ დარგში წამყვანი ცხოველის გაზრდილ პოპულარობასთან.

ხარს, როგორც ნაყოფიერების ღვთაებას, უნდა განასახიერებდნენ მუხურჩის N2 სამარხსა და ურეკის N3 სამარხში აღმოჩენილი A5 და A11 სკულპტურები, რომლებსაც სასქესო ნიშნები აქვთ აქცენტირებული. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის განმავლობაში კოლხეთში მოპოვებული ბრინჯაოს ხარის ოცდახუთი მრგვალი ფიგურიდან სასქესო ნიშანი მხოლოდ დასახელებულ ორ ქანდაკებას აქვს გამოსახული. დღეისათვის ცნობილი ზოომორფული მრგვალი პლასტიკიდან სასქესო ნიშნების აქცენტირება A ჯგუფის სკულპტურების არც ერთ სხვა შემთხვევაში არ დასტურდება. ხელოსნის მიზანი არ ყოფილა არც მდებრობითი სქესის ნიშნების დატანა.

რაც შეეხება სხვა სახეობის ცხოველთა ბრინჯაოს მრგვალ ქანდაკებებს, სქესის გამოსახვა მათგან მხოლოდ მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილი გარეული ტახისა (?) (D1) და ავაზის (D3) ფიგურების შემთხვევაში დასტურდება. საკვლევი თემის ფარგლებში ბრინჯაოს მრგვალ ფიგურებზე სასქესო ნიშნების ხაზგასმით, სწორედ მუხურჩის სამაროვნის მონაპოვრები გამოირჩევა.

რელიგიის ასტრალიზაციის შემდეგ, დიდი ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ხარი მთვარის ღვთაების განსახიერება უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი 1979, 88-121).

A ჯგუფის სკულპტურებს შორის რქების ფორმისა და ზომის მიხედვით უამრავი ვარიანტი გაირჩევა, თუმცა, რამოდენიმე ნიმუშის გამოკლებით (მაგ. A23, A25), ხარების მნიშვნელოვან ნაწილს (მაგ. A1, A12, A24) სხვადასხვა ვარიაციებით ნახევარმთვარის ფორმის რქები აქვთ. ხარის, როგორც მთვარის ღვთაების განსახიერების უფრო საფუძვლიან დასტურად კი მცხეთაში, ნარეკვაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ სარტყელზე არსებული სიუჟეტი შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც ხარს რქებად პირდაპირ ნახევარმთვარე ადგას (Апакидзе...1982, 75), ხოლო მესხეთში, აწყურის სამაროვანზე აღმოჩენილ ძვ. წ. IV-III საუკუნეების ბეჭედზე არსებულ ხარის თავს, რქებს ზემოთ ნახევარმთვარე აქვს გამოსახული (Licheli 2010).

კოლხეთში ხარი ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების გარდა, დამატებით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიცვალებულთა კულტთან. ამაზე უნდა მიუთითებდეს აპოლონიოს როდოსელის ცნობა, რომლის მიხედვით, *„კოლხები მიცვალებულის გვამს ახლად დაკლული, მოუქნელი ხარის ტყავში გახვეულს ჰკიდებდნენ ხეზე“* (როდოსელი 1975, 122). დაკრძალვის შემდგომი საფეხური კი მიღებული მოსაზრებით, მიცვალებულთა კოლხურ კოლექტიურ სამარხებში საბოლოო განთავსებას გულისხმობდა - მათთვის განკუთვნილ ინვენტარტად, ზოგიერთ შემთხვევაში, ხარის ბრინჯაოს მრგვალ ფიგურებთან ერთად.

ხარის როლსა და მის სიმბოლურ მნიშვნელობაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ კოლხეთში ამ ცხოველის უაღრესად დიდმა პოპულარობამ მომდევნო ხანაში, ძვ. წ. V-III საუკუნეებში უკვე ასახვა ჰპოვა სახელმწიფოს ფულად ერთეულზე, კოლხურ თეთრზე, სადაც დიდი რაოდენობით აღმოჩენილ მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე, ერთ მხარეს მარჯვნივ მიმართული ხარის, ხოლო მეორე მხარეს ადამიანის, სავარაუდოდ ქალღმერთის თავია გამოსახული (ტაბ XXIII,4). ხარის გამოსახულებები გვხვდება ასევე დიდრაქმებსა და დრაქმაზე (დუნდუა... 2006, 32-34).

ხარის პოპულარობაზე უნდა მიუთითებდეს ელინისტურ ხანაში მისი არქიტექტურულ დეტალებში გამოყენებაც. ამის მაგალითებია ძვ. წ. III საუკუნეებში ციხიაგორასა და საჩხერის სოფელ საირხეში - ლომინაურში აღმოჩენილი

ორპროტომიანი კაპიტელები, რომელთა შემკულობაში ხარის სახეები უნდა ყოფილიყო გამოყენებული (ყიფიანი 1987, 6-12).

წარმოდგენილი მასალის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ხარი, საკულტო ცხოველად, ჯერ კიდევ მტკვარ არაქსის ხანიდან ივარაუდება. თუმცა, დროის საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში საზოგადოებაში მომხდარი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, ჩანს ხარის სიმბოლური დატვირთვა ტრანსფორმაციას განიცდიდა და შესაბამისად ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდისათვის მასში დროთა განმავლობაში დაფენებული უძველესი რწმენა წარმოდგენები ერთიანად უნდა იყოს შეთავსებული. ამდენად, ხარი სინკრეტული სიმბოლიკის მატარებულ საკულტო ცხოველად წარმოგვიდგება.

ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის კოლხურ კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილ ფიგურებს შორის, რაოდენობრივად მომდევნო ჯგუფი ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ქალისა და სტანდარტულად მჯდომარე მამაკაცი მხედრების მცირე ქანდაკებებითაა წარმოდგენილი.

ლექსუმში ცაგერას განძში და სოფ. ალავერდში შემთხვევით აღმოჩენილი B8 და B9 ცხენოსანი სკულპტურების კონცეპტუალურ პარალელებად შეიძლება მივიჩნიოთ ბორნილელეს სამაროვანზე, საგარეჯოსა და ბრილში მოპოვებული მხედრების ფიგურები, ითიფალური მხედრები ყაზბეგიდან და ყანჩაეთსა და ახალგორში კლასიკური ხანის საბეჭდავების ფარაკებზე, ისევე როგორც, რომაული ხანის ბრინჯაოს ჭვირული ბალთის ერთადერთ ეგზემპლარზე გამოსახული ცხენოსნის ფიგურა (ხიდაშელი 1972, 80-81, ბალთა N144). ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით ღვთაება მხედარი გვაგონებს ქრისტიანული პანთეონის პოპულარულ წევრს, წმ. გიორგის, რომელსაც, ძველი წარმართული მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია (ჯავახიშვილი 1951, 50). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყაზბეგის ითიფალური მხედრები და ზესტაფონისა და ბორჯომის მუზეუმებში დაცული სკულპტურები სწორედ ამ წინამორბედ მთვარის ღვთაებას განასახიერებენ (წითლანაძე 1963, 46-47). ასევე მთვარის ღვთაებას უკავშირებს ი. გაგომიძე ყანჩაეთსა და ალგეთის წინწყაროს ძეგლებზე აღმოჩენილ მხედართა გამოსახულებებს (გაგომიძე 1964, 39-40).

ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომი ქალი მხედრების სკულპტურები რომ ნაყოფიერებასთან და ბუნების ძალების განახლებასთან უნდა იყოს კავშირში, ამას ცაიშის N1 სამარხში (B1; B2) და კუნძულ სამოსზე (B7), ჰერაიონში აღმოჩენილი ნიმუშები ადასტურებს. ყველა შემთხვევაში ქალს ხელში ბავშვი უჭირავს.

რაც შეეხება უშუალოდ ქალის ცალკე მდგომ გამოსახულებებს ბავშვით ხელში, ცხენის გარეშე, კავკასიაში ამგვარი რამდენიმე ფიგურა არის ცნობილი¹⁰. ერთ-ერთი აღმოჩენილია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ურეკის N3 სამარხში (ტაბ XXIII, 5), ერთი ძვ.წ VI-V საუკუნეებით დათარიღებულ ბომბორის განძში (Лукин 1941, 66). სამი ცალკე მდგომი ქალის სკულპტურა ბავშვით კი ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან. ჩრდილოეთ ოსეთის ყობანური სამაროვნიდან (ტაბ XXIII,6) (Доманский 1984, 77), დალესტანიდან და ჩეჩნეთიდან, ვერტეპოვას კოლექციიდან. „სამივე მონაპოვარი ერთი სტილისტური მანერითაა შესრულებული და ძვ.წ. IV - III საუკუნეებით თარიღდება“ (Брилева 2012, 193 - 194).

ურეკის N3 სამარხში აღმოჩენილ ბავშვიან ქანდაკებას და ზოგადად ამ ტიპის ფიგურებს, თ. მიქელაძე ღვთაება რეა კიბელას კოლხურ ვარიანტებად მიიჩნევდა. ასევე დიდი დედის გამოსახულებად, მცირე აზიური დედაღვთაების ადგილობრივ რეპლიკად მიაჩნდა ბომბორში აღმოჩენილი ბავშვიანი ქალის ფიგურა ბ. კუფტინს. მისი მოსაზრებით, სკულპტურა განასახიერებდა იმ კულტს, რომელიც მთელი ძველი აღმოსავლეთის მასშტაბით ფართოდ იყო გავრცელებული. მკვლევარის აღნიშვნით, „ქალი ღვთაება ცნობილია ჯერ კიდევ პალეოლითის ეპოქიდან.

10

ქალისა და ბავშვის ცალკე მდგომი ბრინჯაოს მცირე ქანდაკება გამოქვეყნებული აქვს გ. ორთიზს (ტაბ XXIII,7) მისი ზომა სიმაღლეში 6.4 სმ - ია. ავტორის თქმით მისი ინტერპრეტაცია პრობლემაა, ვინაიდან არ არსებობს საბაზისო შესადარებელი მასალა. ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან კიკლადებში მსგავსი ბრინჯაოს სკულპტურები ცნობილი არ არის, თუმცა, გარკვეული მსგავსება შეინიშნება მიკენურ ტერაკოტულ ფიგურებთან, რომლებიც ძვ.წ. 1400 -1150 წლით თარიღდებიან. თავისი რემინისცენციებით ბრინჯაოს ამ სკულპტურას ავტორი დაახლოებით მიკენურიდან გეომეტრიულ ხანაში გარდამავალი პერიოდით ათარიღებს და მისი მოსაზრებით ნივთი დამზადებული უნდა იყოს საბერძნეთის მატერიკში, კიკლადებში ან კრეტაზე (G. Orthiz 1996, სურ. 64)

მიწათმოქმედების კულტის გააქტიურების შემდეგ, ის ხელახალი ძალით ერთდროულად იწყებს გამოჩენას მესოპოტამიაში, კასპისპირეთში, ეგვიპტეში, ეგეოსურ სამყაროსა და დუნაის ქვეყნებში, რაც სწორედ ქალის ფიგურების დამზადებაში აისახება“ (Куртин 1949, 247-248).

კოლხურ სამაროვნებში გავრცელებული ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ქალის ექვსი ფიგურიდან მუხურჩის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე მოპოვებული (B3) ფიგურა და ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილი ორი ბავშვიანი მხედარი (B1; B2) დანამდვილებით ცხენზეა გამოსახული. ცაიშის იმავე სამარხსა და მახვილაურში აღმოჩენილი ფიგურების ცხოველები გაცილებით უხეშადაა დამუშავებული და მათ ცხენი ნაკლებად შეიძლება ეწოდოს (B4; B5), ხოლო ერგეტას ქალის ფიგურა ცხოველის მეტად ტლანქი ფორმებისა და მოკლე კიდურების გათვალისწინებით შესაძლოა ტახზე ან მსხვილფეხა რქოსანზე იყოს გამოსახული (B6). ცხოველის მეტად უჩვეულო ფორმების გათვალისწინებით, მისი სახეობის გარჩევა ჭირს.

არსებული მონაცემებით, ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ქალის ფიგურების აღმოჩენები მხოლოდ კოლხეთის ცენტრალურსა და სამხრეთ დასავლეთ ნაწილებში დასტურდება. ჩრდილოეთით ამგვარი სკულპტურები ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის. როგორც უკვე აღინიშნა, ეს იკონოგრაფია, ზოგადად კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში გავრცელებულ სახეს არ წარმოადგენს¹¹. ცხენზე, ან ცხოველზე გვერდულად მდჯომ ქალის ქანდაკებებს, ამ ეტაპზე ცნობილი მატერიალური კულტურიდან, ვფიქრობ ყველაზე ახლო კავშირი ეძებნებათ რომაულ ხანაში, კოლხეთსა და იბერიაში გავრცელებულ ბრინჯაოს ჭვირული ბალთების ზემოთ დასახელებულ, ერთ-ერთ ეგზემპლართან, ზემო რაჭაში, სოფელ დებში

¹¹ ქალების ცხენზე ჯდომის ადგილობრივ ტრადიციასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობები არის შემონახული იტალიელი მისიონერის, დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატებში, რომელმაც 1628-1654 წლებში იმოგზაურა საქართველოში და აქაური ყოფის ამსახველი უამრავი ნახატი ადგილზე შეასრულა (დე კასტელი 1977, 5). დე კასტელს ჩახატული ჰყავს ცხენზე მჯდომარე ქართლის დედოფალი, იმერეთის მეფის და, სვანი ქალები, ჩერქეზი ქალები და ამორძალები. ყველა შემთხვევაში, როგორც ჭენების, ისე სვლის პროცეში, ქალები ცხენზე გადალაგებით არიან გამოსახულნი (დე კასტელი 1977, სურ 51; 117; 120; 121; 127; 129; 158).

აღმოჩენილ ნიმუშთან, რომელზეც ცენტრალურ გამოსახულებად ორპროტომიან ირემზე ამხედრებული ხელაპყრობილი ქალღვთაება ასევე გვერდულად მდჯომარე არის წარმოდგენილი (ტაბ XXIII,2) (Уварова 1900 Таб. CXXXIV, 4). მიუხედავად დიდი ქრონოლოგიური ლაკუნისა, ვფიქრობ გასათვალისწინებელია როგორც იკონოგრაფიული, ისე იდეოლოგიური თავსებადობა ორივე ტიპის არტეფაქტისა. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს ჭვირული ბალთების სემანტიკა ზედმიწევნით აქვს შესწავლილი მ. ხიდაშელს. არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა ბალთების სიმბოლიკა დიდი დედის კულტს დაუკავშირა (ხიდაშელი 1972, 79). მ. ხიდაშელის მოსაზრებით, ფიგურა უნდა გამოსახავდეს ღვთაებას, რომელიც სამყაროს კოსმიური მთლიანობის იდეის ძირითად სიმბოლოდ გვევლინება და განასახიერებს ნაყოფიერების ქალღმერთს, ბუნების დიდ დედას (ხიდაშელი 2010, 212-214).

ქართულ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალაში ამგვარი გადმოცემები შემონახულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე, რომლის მიხედვით ქართულ მითოლოგიაში უნდა არსებულიყო *“ნადირობის ქალღვთაება, ნადირთ პატრონი, რომელსაც მიეწერებოდა წმინდა ნადირთა (ჯიხვი, არჩვი, ირემი და ა. შ.) გამრავლებისა და მფარველობის ფუნქცია. დროთა გამწვანლობაში მან შეითვისა ბუნების მრავალ მოვლენათა: კლდეთა, მცენარეთა და წყლის მფარველ ღვთაებათა კულტები* (ვირსალაძე 1964, 111). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პირველი შეხედვით, წარმოდგენათა დიდი მრავალფეროვნება გვაქვს, მაგრამ მასალების გაცნობა, მათი ურთიერთშეჯერება გვაჩვენებს, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდ იბერიულ - კავკასიურ ტომთა სინამდვილეში წარმოდგენები ნადირთღვთაების შესახებ უდიდეს მსგავსებას ამჟღავნებს (ვირსალაძე 1964, 29).

ქალი მხედრების ბავშვით ან სასმისით გამოსახვა, ისევე როგორც მათ თანმხლებ ცხოველთა შორის არსებული სხვაობა და არა უშუალო კავშირი რომელიმე კონკრეტულ სახეობასთან, საფუძველს ქმნის ვივარაუდოთ, რომ სკულპტურები ზოგადად განასახიერებენ უძველეს ღვთაებას, რომელსაც

შეთავსებული უნდა ჰქონოდა ნაყოფიერების, ცხოველთა პატრონაჟისა და ზოგადად მშობელი ძალის ფუნქციები.

ო. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, „ძვ.წ. VIII - VII საუკუნეებისათვის დიდი დედის კულტს ოფიციალური საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა“ (ლორთქიფანიძე 2002, 169-170). დიდი დედა მოიაზრებოდა როგორც მიწათმოქმედების მფარველი, მცენარეულობისა და ცხოველთა გამამრავლებელი ღვთაება.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ხარებისა და მხედრების ჯგუფთან ერთად, კოლხეთში გავრცელებულ ბრინჯაოს მრგვალ ფიგურებს შორისაა სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებებიც. მათ შორის, ცხენის, ტახის, შველის და ა.შ. სკულპტურები.

უკვე რკინის ხანიდან მოყოლებული ცხენი თავის ადგილს იკავებს ქართულ რელიგიურ პანთეონში. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ბრინჯაოს სარტყლებსა და გლიპტიკის ნიმუშებზე დადასტურებული ცხენის ისეთი გამოსახულებები, რომელთაც თან სოლარული სიმბოლოები ახლავთ.

მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილი გარეული ტახისა თუ ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულების შესახებ მსჯელობისას კი უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩოლოქ ოჩხამურის ნამოსახლარზე მრავლად არის აღმოჩენილი გარეული ტახის ეშვიანი თავისქალები (ჩავლეიშვილი 1999, 18-19). ბ. კუფტინის გამოკვლევით „შინაური ღორი კეთილდროების იდეის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, ბერძნებში ის მიწათმოქმედებასთან, დემეტრესა და პერსეფონეს კულტთან იყო დაკავშირებული, ირანსა და ინდოეთში მიტრასა და ინდრისთან, მეგრელებსა და გურულებში კი მზის კულტთან“ (Куптин 1950, 108)

ძვ.წ. I ათასწლეულში კოლხეთში დამოწმებულ ბრინჯაოს შველის, ავაზისა და სხვა დაუდგენელი სახეობის ცხოველთა სიმბოლიკის შესახებ ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, განვითარების ცალკეულ საფეხურზე ირემი, ჯიხვი, ძაღლი და ა.შ. ბუნების დიდი დედის ატრიბუტად იქცევიან. მატერიალური კულტურის ძეგლებზე ამ ცხოველების ხშირი ასახვა ბუნების დიდი დედის კულტის ფართო გავრცელებად არის მიჩნეული (ხიდაშელი

1972, 79), ხოლო „სიმბოლოების საშუალებით გამოხატული იდეა ან მოვლენა და სიმბოლური დატვირთვის მქონე რიტუალური ქმედება ერთი და იგივე ფუნქციას ასრულებდა - უზრუნველყოფდა ადამიანის შეხებას საკრალურთან“ (ხიდაშელი 2003, 144).

თავი IV. ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურები საბერძნეთიდან

§ IV. 1 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების არქეოლოგიური კონტექსტი

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში გავრცელებული ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების კვლევისას გასათვალისწინებელია იმხანად არსებული ის ზოგადი ისტორიულ-კულტურული ფონი, რომელშიც გამოჩენას იწყებს ცხოველისგამოსახულებიანი მრგვალი სკულპტურები. გეომეტრიული ხანის ბერძნული და კოლხური პლასტიკის ერთი ნაწილის ურთიერთმიმართების საკითხებზე მსჯელობისას პრინციპული მნიშვნელობისაა საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებში გავრცელებული ფიგურების არქეოლოგიური კონტექსტის, რაოდენობრივი მონაცემების, ქრონოლოგიური შკალის, სახელოსნო ცენტრებისა და ფუნქციური დანიშნულების საკითხების განხილვა და ამდენად მათი ხვედრითი წილის განსაზღვრა გეომეტრიული პერიოდის მატერიალურ კულტურაში.

საბერძნეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ვოტივების არქეოლოგიური კონტექსტის კვლევისას ვაწყდებით პრობლემას, რაც იმ გარემოებითაა გამოწვეული, რომ ხშირად პუბლიკაციებში ფიგურების აღმოჩენის ზუსტი ადგილმდებარეობა მითითებული არ არის. გეომეტრიული ხანიდან მოყოლებული კლასიკურ ხანამდე საბერძნეთის მატერიკსა და დასავლეთ და მცირე აზიაში მდებარე 60 ტაძარი შეისწავლა პროფ. ბ. ალროთმა, რის შედეგად შესძლო უმნიშვნელოვანესი ცნობების აღდგენა შეწირული ფიგურების თავდაპირველი ლოკაციის შესახებ. როგორც მეცნიერმა დაადგინა, ვოტივები *in situ* იშვიათ შემთხვევებშია აღმოჩენილი. ვოტივების სათავსებად სავარაუდოდ საკურთხევლებში არსებული მერხები გამოიყენებოდა, რომელთაც ფიგურების სათავსის გარდა შესაძლოა სხვა დანიშნულებაც ჰქონოდათ. ფიგურების აღმოჩენების გარემოებათა მიხედვით, ვოტივები შესაძლოა ასევე განთავსებული ყოფილიყო თაროებზე, სამსხვერპლოს გარშემო ან თავად სამსხვერპლოზე, ფერფლის ფენაში ან ორმოებში. მერხები თავის მხრივ სხვადასხვა ვარიანტებით არის წარმოდგენილი, მათ შორის გვხვდება: ერთ ან რამდენიმე კედლის გასწვრივ განთავსებული მერხები;

სამსხვერპლოს მსგავსი მერხები; ფიქსირებული ვოტივების/შესაწირების მაგიდები; მოძრავი ვოტივების/შესაწირების მაგიდები (Alroth 1988, 196).

ფიგურები *in situ* აღმოჩენილია კუნძულ კრეტაზე, დრეროსში აპოლონის ტაძარში, რომელიც მინოსური პერიოდის ტრადიციების ამსახველ, საუკეთესო მაგალითადაა მიჩნეული. აქ საკულტო შენობის სამხრეთ ნაწილში დაფიქსირდა კონსტრუქცია, რომელზეც დატანილი იყო თხის რქები. ადგილი გააზრებული იქნა როგორც სამსხვერპლო. ამავე ტაძარში აღმოჩნდა ქვით ნაგები მერხი/მაგიდა რომელზეც ძვ. წ. VII საუკუნის დაზიანებული ტერაკოტული მასალა, კერამიკული ჭურჭელი, ფერფლი და ძვლის ფრაგმენტები ელაგა. მერხის წინ გაცილებით დიდი რაოდენობით ძვლები და ტერაკოტული ნივთები აღმოჩნდა. დიდი ალბათობით, მერხი ვოტივების სათავსად გამოიყენებოდა, რისი დასტურადაც მის წინ მიმოხეული ფიგურების აღმოჩენა უნდა ჩაითვალოს, რომლებიც ოდესღაც სავარაუდოდ თავად მერხზე უნდა ყოფილიყო განთავსებული. კუნძულ კრეტის მიღმა, მერხების ტრადიციის არსებობა დასტურდება როდოსზე - ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებულ ვროულიას არქეოლოგიურ ძეგლზე და დელოსზე - ჰერაიონში (Alroth 1988, 200). რაც შეეხება ვოტივებისათვის განკუთვნილ თაროებს, ისინი სავარაუდოდ ხისაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული, რადგან მათი აღმოჩენის ფაქტები ჯერჯერობით არ დასტურდება.

უკლებლივ ყველა განხილული ტაძრის არქეოლოგიურ მასალაში არსებული ვოტივური ფიგურების კომბინაციებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისევე როგორც ეს ჭურჭლისა და სხვა ნივთების შემთხვევებშია, ბრინჯაოსა და ტერაკოტული ფიგურები ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებები ყველა ამ პუნქტში არის დადასტურებული. გარდა ცხოველთა ფიგურებისა, საკურთხეველზე ან საკურთხეველთან ხშირია ქალებისა და კაცების სკულპტურების აღმოჩენა. მიღებულია მოსაზრება, რომ ცხოველთა ქანდაკებები წარმოადგენდნენ შესაწირს, მაგრამ თუ რა დატვირთვა უნდა ჰქონოდათ ადამიანთა გამოსახულებებს და განასახიერებდნენ თუ არა ისინი ღვთაებებს, ჯერჯერობით კვლავ პასუხ გაუცემელ კითხვად რჩება (Alroth 1988, 203).

პროტო გეომეტრიულ და გეომეტრიულ პერიოდებში ჩრდილო, ჩრდილო დასავლეთ და ცენტრალურ საბერძნეთში, ევბეაზე, ატიკაში, პელოპონესში, კიკლადებზე, აღმოსავლეთ საბერძნეთის კუნძულებსა და კრეტაზე შესწავლილი საკულტო შენობების მაგალითზე ირკვევა, რომ მათი სხვადასხვაგვარი კატეგორია არსებობდა. გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი, ამათგან ერთი დაკავშირებული იყო ღვთაებებთან, ხოლო მეორე გმირებისა და წინაპრების კულტთან (Bouzek 1997, 66). ზოგადად კი საბერძნეთში გვიან გეომეტრიული პერიოდის ტაძრებისა და მცირე საკულტო ადგილების რიცხვი მკვეთრად იზრდება (Vink 2002, 53).

გვიან გეომეტრიულსა და ადრე რკინის ხანაში საბერძნეთში საკულტო ნაგებობები გარეგნულად ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის მსგავსი იყო, ამის გამო მათი იდენტიფიკაცია ხშირად რთულდება. მაგალითად, ძვ.წ. 1100-700 პერიოდში აპსიდალური ფორმა გამოიყენებოდა როგორც სახლების, ასევე ტაძრების არქიტექტურაში. პორტიკი, ინტერიერში სვეტების კოლონადა, ან მცირე შემადგენელი პალატა და Antis - ში წინკარი სვეტებით გვხვდება ორივე, საერო თუ საკულტო ნაგებობებში. თუმცა, კულტის შენობების შემთხვევაში საცხოვრებლისათვის ტიპური-შიდა სივრცის დაყოფა არ არის დამახასიათებელი. 1100 - 700 წლებში განსხვავებული იყო სამსხვერპლოთა ვარიანტებიც. სხვაობა შეინიშნება როგორც ფორმაში, ასევე დანიშნულებაში. მათგან მთავარი ტიპი იყო ქვის სამსხვერპლო, რომელზეც ღვთაებათათვის მიძღვნილ ცხოველებს სწირავდნენ და წვავდნენ. მეორეს მხრივ, არსებობდა ღია ცის ქვეშ მდგომი სხვა სამსხვერპლოებიც, რომლებიც უშუალოდ ნივთების, საკვების, ან ღვინის შესაწირად გამოიყენებოდა (A. M. Ainian 1997, 276-279). საბერძნეთის არქეოლოგიური მონაპოვრების მაგალითზე ბრინჯაოსა და რკინის ხანის ეპოქებს შორის გარდატეხა კარგად ჩანს სატაძრო არქიტექტურის მაგალითზე, სადაც, განსხვავებით წინა პერიოდისაგან, როდესაც სამსხვერპლოები თავად ტაძრებში მდებარეობდა, უკვე მათ ტაძრებს გარეთ ათავსებენ (Bouzek 1997, 66). თავად ტაძრებში რიტუალისა და კულტის პრაქტიკის ნაშთები სხვადასხვა შენაწირითაა წარმოდგენილი. მათ შორის დადასტურებულია ცხოველების, საკვების, სითხეების და სხვა რიტუალური ძღვენის: ხელნაკეთი ნივთებისა და ცხოველთა და ადამიანთა ფიგურების, ჭურჭლის, ძვირფასეულობის,

ქინძისტავების, ფიბულების, იარაღის, ლითონის ქვაბების მიძღვნის ფაქტები (Ainian 1997, 284 - 286).

საბერძნეთში ბრინჯაოს ხანის შემდგომ ეტაპზე კულტი წარმოდგენილი იყო ღვთაების სკულპტურული გამოსახულებით, რომელსაც ტაძარში ან საკურთხეველში მიაგებდნენ პატივს. რკინის ხანაში ღვთაებებს ანთროპომორფული სახე ჰქონდათ. სკულპტურა იმგვარად იდგა, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ღვთაება უყურებდა მის მისაძღვნელად წარმოებულ პროცესიას, ისევე როგორც მისთვის მირთმეულ ვოტივებს. ზოგიერთი ცერემონიის დროს, სადღესასწაულო დღეებში კულტის გამოსახულებები ტაძრიდან გაჰქონდათ და ისეთ ადგილზე ათავსებდნენ, რომ მსურველებს მისი ყურება და თაყვანისცემა შესძლებოდათ. ბერძნული ვაზის მოხატულობაში არსებული გამოსახულებები, რომლებზეც მცირე ზომის კულტები სვეტებზე ან ბაზისებზე ტაძართან ახლოს არიან გამოსახულნი, შესაძლოა სწორედ ამ პროცესიას ასახავდეს. მსგავსი ვარაუდია გამოთქმული სამოსში, ჰერას ტაძრის აღმოსავლეთით აღმოჩენილი სამსხვერპლოს შესახებ, რომელიც აქ ფესტივალის დროს კსოანის განსათავსებლად უნდა ყოფილიყო აღმართული (Romano 1988, 127-128). ზოგადად, მსხვერპლშეწირვის იდეოლოგიისა და პრაქტიკის ასახვის თვალსაზრისით, ბერძნული ვაზები ძალზე ინფორმატიულია (Brammer 2010, 56-57).

ტაძრების გარდა, მცირე ვოტივები გნლაგებული იყო ტაძრის სათავსებში, როგორცაა მაგალითად ხაზინა, საგანძური (Denham 1976, 343). როგორც ჩანს, თიხის ნივთები და ვაზები, დიდი რაოდენობისა და მოკრძალებლი ღირებულების გამო ან ამგვარ სათავს ოთახში ინახებოდა, ან მათ სპეციალურად გაკეთებულ თხრილებში მარხავდნენ. ამგვარი საწყობი კამერები აღმოჩენილია კამარინაში, კნიდუსსა და კვიპროსში. სპეციალურად გაკეთებული თხრილები, მასში მოთავსებული უამრავი ნივთით, აღმოჩენილია კაბირიუმში, კორკირაში, დელფოსში, ელატეაში, ნაუკრატისში, ოლიმპიაში, პრაესუსში კრეტაზე, ტარენტუმში, სავარაუდოდ ფესტუმში, შესაძლოა არგოში, თეგეასა და მეგარა ჰიბლეაში.

საბერძნეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი შეწირული ნივთები დიდი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება. დელოსში მდებარე აპოლონის ტაძარში დაფიქსირდა ასეულობით ფიალა, რომელთა შორის, ზოგიერთი

ოქროთი იყო გრავირებული. ოქროსავე გვირგვინი, სხვადასხვა სახის ბეჭდები, ყელსაბამები, საყურეები, საბრძოლო იარაღი, ჩაფხუტი, მშვილდისარი, ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები, ზარაკები, დისკოები და ა.შ. სხვა დიდ სამლოცველოებშიც არის აღმოჩენილი (Denham 1976, 346-347).

საბერძნეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე ბრინჯაოს სხვადასხვა ცხოველთა მრგვალი ფიგურები დიდი რაოდენობით არის მოპოვებული თითქმის ყველა ცნობილ დიდსა თუ მცირე საკულტო ცენტრში. რაც შეეხება ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე ადამიანთა სკულპტურებს, მათი გავრცელების არეალი შედარებით ვიწროა. ამდენად, უშუალოდ წინამდებარე კვლევისათვის მეტად საინტერესო ჯგუფის ფიგურების არქეოლოგიური კონტექსტის განხილვას სწორედ მხედართა ბრინჯაოს მცირე ქანდაკებებით დავიწყებთ.

საბერძნეთში, ცხენზე ანფასში მჯდომარე ბრინჯაოს მხედრის ფიგურა აღმოჩნდა თეგეაში, ათენა ალეას ტაძარში, საკურთხევლის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში (ტაბ. XXIV,1). მეორე ძეგლი, სადაც ცხენზე მჯდომარე მხედრის ორი ფიგურა არის მოპოვებული, მდებარეობს არკადიაში, არტემიდეს საკურთხეველში, ლოუსოიში (ტაბ. XXIV,2,3) აქვე არის აღმოჩენილი ადრეული, ტერაკოტული ნიმუში მხედრისა, რომელიც ვიზუალურად ძალზე ახლოს დგას ბრინჯაოს მხედრებთან (Voyatzis, 1990, 103 – 104). ბრინჯაოს ცხენოსანი მხედრების ქანდაკებები ცნობილია ასევე ოლიმპიიდან (ტაბ. XXIV,4). ოლიმპიის მხედარი აღმოჩნდა სტადიონის მეორე, სამხრეთ კედელთან. ხოლო სამოსში ცხენისა და მხედრის ფიგურა აღმოჩენილია ჰერას საკურთხეველში (Voyatzis, 1990, 105), ფართო სამსხვერპლოს სამხრეთ ნაწილში, კავკასიური ტიპის აბზინდებსა და ზარაკებთან ერთად (ტაბ. XXIV,5)¹² (Jantzen, 1972, 80-84).

გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ სამოსის ჰერაიონში არის აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხენოსნის ის ცნობილი ფიგურა, რომელიც უახლოს ანალოგიებს კოლხურ ვარიანტებთან პოულობს, ვფიქრობ ძეგლის ხასიათის შესახებ მოკლედ ექსკურსი უნდა გაკეთდეს.

¹² ტაბულის წყარო, Jantzen, 1972, 80-84

სამოსის ჰერაიონი გვიან გეომეტრიული და არქაული ხანის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს და სცილდება ლოკალურ კულტს. ერთის მხრივ ეს დადასტურებულია აქ აუარებელი იმპორტირებული ვოტივებით ეგვიპტიდან, კვიპროსიდან და ახლო აღმოსავლეთიდან, ხოლო მეორეს მხრივ სამლოცველოს შთამბეჭდავი კომპლექსური შენობებით (Kron 1988, 135-137).

ჰეროდოტეს აღწერით, სამოსში მდებარე ჰერას ტაძარი მისი დროის სხვა ბერძნულ ჰერას ტაძრებს შორის ყველაზე დიდი იყო. აქ ჰერასადმი მიძღვნილი პირველი ნაგებობა ძვ.წ. VIII საუკუნეში უნდა გაემართათ და წარმოადგენდა 33მ სიგრძის ვიწრო სტრუქტურის მქონე შენობას, რომელიც ტიპური იყო იმდროისათვის. როგორც ჩანს, სამოსს უნდა ჰქონოდა სპეციალური ფუნქცია: სავარაუდოდ ის წარმოადგენდა საზღვაო სავაჭრო ცენტრს, ამ დასკვნის მყარ საფუძველს აქ მთავარ ტაძარში აღმოჩენილი ვოტივების ანალიზი ქმნის (Kyrileis 1993, 125 - 129). სამოსში დადასტურებული ეგვიპტური ნიანგის თავისქალა და ორი აფრიკული ანტილოპის რქის ფრაგმენტი, ხელოვნების სხვა იმპორტირებულ ნიმუშებთან ერთად, სწორედ შორ მანძილზე არსებულ სავაჭრო ურთიერთობებს უნდა ირეკლავდეს. მონაპოვრებს შორისაა ასევე ყაყაჩოსა და ყურძნის თესლი, ბროწეულის უამრავი ტერაკოტული ფიგურა, მათ შორის გირჩები და ა.შ. (Kyrileis 1993, 138). უცხო ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ეგვიპტიდან და ახლო აღმოსავლეთიდან იმპორტირებული საქონლის დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქ გასაოცარია. საბერძნეთის არც ერთ სხვა ტაძარში ამ რაოდენობისა და სახის იმპორტი არ ფიქსირდება (Kyrileis 1993, 145). როგორც ჩანს, ეს ნივთები აქ გრძელ მანძილზე მოგზაური ვაჭრების მიერ უნდა იყოს მოტანილი. სამოსში უნდა მოსულიყვნენ ვიზიტორებიც საზღვარგარეთიდან, რომლებსაც ძღვენი ჰერასათვის მისართმევად უნდა მოეტანათ (Kyrileis 1993, 148).

სამოსის ჰერაიონის არქეოლოგიურ მასალაში დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ცხენთან დაკავშირებული ინვენტარი. არც ერთ სხვა ბერძნულ საკურთხეველში ცხენის იმდენი აღკაზმულობა არ არის მოპოვებული, როგორც სამოსში. კირილეისის აღნიშვნით, საბერძნეთში ამ დროისათვის ცხენის ყოლა მაღალი სოციალური ფენის პრეროგატივა იყო.

გეომეტრიულ ხანაში საბერძნეთში აღმოჩენილი მხედრების არქეოლოგიური კონტექსტი კარგად არის ცნობილი თეგეაში მდებარე ათენა ალეას ტაძარის მაგალითზე. ვოიაცისი აქ აღმოჩენილ უჩვეულო ბრინჯაოს ვოტივებზე დაყრდნობით ძეგლის ადრეულ ხასიათს უსვავს ხაზს. ამგვარი მოსაზრების საფუძველს მკვლევარს აქ აღმოჩენილი შიშველი ქალის ფიგურა უქმნის, რომელსაც ხელები მკერდზე უწყვია, ისევე როგორც ამოღარვით შესრულებული დისკი, სადაც ქალი გამოსახულია ოთხფეხაზე მდგომარე და ხელში ყაყაჩო უჭირავს. აქვე ასახელებს მკვლევარი ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის ფიგურას, რომელსაც ხელები აქვს მოტეხილი. მოგვიანო პერიოდის მასალაში ათენა ალეას ტაძარში წარმოდგენილია მუზარადიანი მებრძოლები, ბრინჯაოს ისრისპირები, ბრინჯაოს მახვილები და .ა.შ. (Voyatzis 2002, 164-165).

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში ცხენზე გვერდულად მჯდომი მხედრები ცნობილია საბერძნეთიდან, კრეტიდან და კვიპროსიდან. ტერაკოტული ფიგურების გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული ჯგუფია აღმოჩენილი ფესტოსა და სილამოსში, სადაც ქალღვთაება წარმოდგენილია ცხენზე გვერდულად, ზეაპყრობილი ხელებით. ნივთები დაცულია ჰერაკლიონის მუზეუმში (ტაბ. XXIV,6) (Sakellarakis 1981, 92), კრეტაზე აღმოჩენილი კრატერის მოხატულობაში გვხვდება ოთხფეხა ცხოველზე მოთავსებულ უნაგირზე მჯდომი ადამიანი. როგორც ირკვევა, აღმოსავლურ და კვიპროსულ ხელოვნებაში ეს იკონოგრაფიული სახე გამოიყენებოდა არა მხოლოდ ქალების, არამედ მამაკაცებისთვისაც. ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისში კვიპროსში აშკარა ტრადიცია იყო მამაკაცი მხედრების გამოსახვისა უნაგირზე, ანფასში. ამათგან შეიძლება დავასახელოთ თიხის ცხენზე გვერდულად მჯდომი მამაკაცის ფიგურა, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. 1100-1050 წლით (ტაბ. XXIV, 7) (Papasteriou 1985, Abb 28 – 37, სურ. 35). მოგვიანო ნიმუშები ცხენისა და მხედრისა, რომლებიც ასევე გვერდზე მჯდომ პოზაში არიან წარმოდგენილნი, უმეტესად პელოპონესშია აღმოჩენილი. ისინი ტერაკოტულია და ძვ. წ. VII - ე საუკუნით თარიღდებიან (ტაბ. XXIV,8). სხვა პელოპონესური ნიმუშები ცნობილია სპარტადან, კორინთოდან, პერაკორადან. თითო ეგზემპლარი პელოპონესის გარდა მოპოვებულია ლესბოსსა და მეგარა ჰიბლეაში.

გეომეტრიულ პერიოდში ცხენზე გვერდულად მჯდომი მხედრები მზადდებოდა კონკრეტულად საკურთხევლებზე მისაძღვენლად. როგორც ბრინჯაოს ხანის ფიგურების შემთხვევაში, გეომეტრიული ხანის ნიმუშები ჩანს ასევე ატარებდნენ რელიგიურ მნიშვნელობას ათენას, არტემიდესა და ჰერას საკურთხევლებში (Voyatzis 1990, 106 -107).

ბრინჯაოს ცხოველთა მრგვალი ქანდაკებები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში საბერძნეთის არაერთ ძეგლზეა მოპოვებული. გამომდინარე ამგვარი სკულპტურების ძალზე დიდი რაოდენობისა, განსახილველად მხოლოდ რამოდენიმე ძირითად ძეგლს მოვიყვანთ.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი თემისათვის უაღრესად საინტერესო სამოსის ჰერაიონი იყო ერთ-ერთი იმ ძეგლთა შორის, სადაც ცხოველთა მცირე ქანდაკებების გამოყენების დიდი ტრადიცია არსებობდა. სწორედ ამას უნდა ასახავდეს აქ აღმოჩენილი 400-მდე სრული ან ფრაგმენტული თიხის ცხოველის ფიგურა, რომლებიც ძვ.წ. X საუკუნიდან ძვ.წ. VII საუკუნემდე არსებული ქრონოლოგიური მონაკვეთით თარიღდება. მონაპოვარში ჭარბობს ხარის ფიგურები, ასევე დიდი რაოდენობითაა ცხენის სკულპტურებიც (Jarosch 1994, 5).

ცენტრალურ საბერძნეთში, ბეოტიაში თებეს სიახლოვეს მდებარე კაბირების ტაძარში, 1967 წლიდან წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია 550-ზე მეტი ბრინჯაოსა ცხოველის ფიგურა, რომელთა შორის ჭარბობს ხარის ფიგურები. ყველა ეს ნივთი ადგილობრივი სახელოსნოს ნაწარმად არის მიჩნეული და ზოგადად ძვ.წ. X საუკუნიდან ვიდრე ძვ.წ. VI-ე საუკუნემდე პერიოდით თარიღდება. მცირე ქანდაკებების ყველაზე დიდი რაოდენობა გეომეტრიულსა და არქაულ პერიოდზე მოდის (Daumas 2003, 138 -145).

ბრინჯაოს ცხოველთა მრგვალი ქანდაკებები დიდი რაოდენობით მოპოვებულია ასევე ათენის აკროპოლისშიც (Denham 1976, 301).

ზოომორფული ფიგურების განსაკუთრებული სიმრავლით ოლიმპიის მონაპოვრები გამოირჩევა, სადაც ბრინჯაოს ვოტივური ცხოველების უმეტესობა ჯერ კიდევ ათეულობით წლის წინ არის აღმოჩენილი. დღიურებში შემორჩენილი

მონაცემების მიხედვით, ამ ტიპის ფიგურები კონცენტრირებული იყო ე.წ. შავ ფენაში, სავარაუდოდ საზვარაუდო ორგანული ნარჩენების დაფენებაში (Kyrieleis 2006, 99).

ადრე რკინის ხანის კულტთან დაკავშირებული საქმიანობა ოლიმპიის გარდა, ბევრ სხვა ბერძნულ ტაძარში ასევე გეომეტრიული პერიოდით დათარიღებულ ე.წ. შავ ფენებთან არის დაკავშირებული. ეს ფენები როგორც წესი შეიცავენ ფერფლს, ძვლებს, ჭურჭელსა და ჩვენთვის საინტერესო ვოტივურ შესაწირებს, როგორცაა ბრინჯაოსა და ტერაკოტული ცხოველების ქანდაკებები. კულტთან დაკავშირებული აქტივობების უმეტესი ნაწილის რეკონსტრუქცია დღეისათვის შეუძლებელია, ვინაიდან ამ დროის წერილობითი წყაროები ნაკლებად მოიპოვება. ოლიმპიაში, მსგავსად ბევრი სხვა ადრე რკინის ხანის ბერძნული ტაძრისა, არ ფიქსირდება არქიტექტურული ნაშთები, რომლებიც შეიძლება უდაოდ დაუკავშირდეს კულტის სფეროს. მიუხედავად ამისა, აქ დასტურდება კულტთან დაკავშირებული აქტივობები.

პირველი გათხრები ოლიმპიაში 1870 წელს დაიწყო. ტაძრის, ან საკულტო ადგილის ცენტრალურ ნაწილში ღრმად გავლებულ თხრილში, რომელიც ე.წ. შავი ფენისაგან შედგებოდა, გამოვლინდა დიდი რაოდენობით ნახშირი, ფერფლი, კერამიკის ფრაგმენტები და ცხოველის ძვლები, ისევე როგორც არაჩვეულებრივად დიდ რაოდენობა გეომეტრიული ვოტივური შესაწირებისა. მათ შორის, ბრინჯაოს სამფეხების სხვადასხვა ზომის უამრავი ფრაგმენტი, ისევე როგორც ათასობით ბრინჯაოსა და ტერაკოტული მცირე ფიგურა, უმეტესად ცხოველთა გამოსახულებით, ცხენებისა და მსხვილფეხა საქონლის, ისევე როგორც ადამიანის სკულპტურები. ფენა ჰერას ტაძრიდან სამხრეთით, საკმაოდ ფართო არეალზე ვრცელდება და პელოპონამდე აღწევს, სადაც მთელს პრეისტორიულ ტუმულუსს აკრავს გარს (ტაბ. XXV,1)¹³ მისი თარიღი სტრატეგრაფიული დიფერენციაციის გარეშე ძვ.წ. XI და VII საუკუნის გვიანი და VI-ე საუკუნის ადრეული პერიოდით ისაზღვრება (Bocher 2008, 85-86).

აღმოჩენილ ნივთებს შორის არის ქალის რვა ფიგურა, კაცები გამოსახულია მუზარადებით და ხელაღმართული, არის მხედრების ჯგუფიც. აქ საერთო ჯამში

¹³ ტაბულის წყარო: Kyrieleis 2006, Beilage 12

მსხვილფეხა საქონლისა და ცხენის დაახლოებით 4000-მდე ბრინჯაოს მრგვალ ქანდაკებებთან ერთად, დამატებით სულ მცირე 2000-მდე თიხისაგან დამზადებული ცხოველის ფიგურა გაითხარა (ტაბ. XXV,2)¹⁴ აღმოჩენილი მასალიდან, თითქმის ყველა იდენტიფიცირებადი ცხოველი გამოსახავს ან მსხვილფეხა საქონელს, ან ცხენს (45%) შედარებით იშვიათად (1%) გვხვდება სხვა ცხოველების: ირმის, კურდღლის, ძაღლის ან ჩიტების ფიგურები. ცხოველთა საშუალო სიგრძე 4-6 სანტიმენტრია, წონა 30-70 გრამი. უფრო დიდი ზომის ბრინჯაოს ფიგურები, რომლებიც 20 სმ-ს აღწევს, მხოლოდ სუბგეომეტრიულ და ადრე არქაულ პერიოდში იწყებს გამოჩენას.

არსებული მოსაზრებით მიიჩნეოდა, რომ მსხვილფეხა რქოსანი და ცხენები ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ მამრობითი სქესით, თუმცა, ახალი სურთი უჩვენებს, რომ მსხვილფეხა რქოსანის მხოლოდ 54% ხოლო ცხენების 25%-ია გამოსახული მაინცდამაინც მამრობითი სქესით (Bocher 2013, 358-360).

მიძღვნის თვასაზრისით, ოლიმპიის მსგავსი სურათი ფიქსირდება დელფოსის არქეოლოგიურ ძეგლებზე. აქ ძვ.წ. 800 წლით დათარიღებული ვოტივების დიდი კოლექციაა აღმოჩენილი, რომელშიც გაერთიანებულია როგორც ცხოველთა ფიგურები ისე, სამფეხები (C. Morgan 1993, 27).

ბრინჯაოს ცხოველთა მრგვალი ქანდაკებების დამზადებისა და გამოყენების ტრადიცია დასტურდება კრეტის არქეოლოგიურ ძეგლებზეც. ზოომორფული მრგვალი ქანდაკებები კრეტაზე იმ სალოცავებში არის აღმოჩენილი, რომელთა აშენება, ჯერ კიდევ მინოსურ პერიოდს უკავშირდება. ფიგურები დადასტურებულია პსიქროსა და პაცოს გამოქავებულებში, იდას მთაგრეხილზე, სიმასა და ამნისოს ტაძრებში, აია ტრიადაზე და ა.შ. ხშირ შემთხვევაში ძეგლებზე კარგად არ არის შემონახული სტრატეგრაფიული მონაცემები, რაც ვოტივური ფიგურების ასაკის დაზუსტებით განსაზღვრაში დაგვეხმარებოდა (Papasteriou 1985, 159). უთუოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კრეტაზე ცხოველის ზოგიერთი ტერაკოტული ფიგურა საცხოვრებლებში იქნა მოპოვებული (Gesell 2011, 1019-1021).

კატო სიმას სოფელთან ახლოს მდებარე ტაძარში სულ მცირე ძვ.წ VIII საუკუნიდან მაინც ჰერმესისა და აფროდიტეს კულტი უნდა არსებულიყო. ძეგლის

¹⁴ ტაბულის წყარო: Heilmeyer 1979, tab. 47;72;

აღმოჩენის შემდეგ 1972-1994 წლებს შორის აქ სხვადასხვა უჩვეულოდ მდიდრულ ნივთებთან ერთად მიკვლეულ იქნა 539 სრული ან ნახევრად სრული ცხოველის ფიგურა (ტაბ. XXVI) ამ აღმოჩენებმა კუნძულ კრეტაზე მანამდე ცნობილი ცხოველთა მრავალი ფიგურების რაოდენობა გააორმაგა (Schürmann 1996, 1, ტაბ. 1-9). ბრინჯაოსა და თიხის მასალისაგან დამზადებული ხარის, თხისა და ვერძის სკულპტურები აღმოჩენილია ასევე ჰერმესის მღვიმეში. ხარებისა და ცხვრების ფიგურები ბევრი სხვა სახეობის ცხოველთან ერთად, მოპოვებულია დიქტოს გამოქვაბულშიც (Denham 1976, 301).

ბრინჯაოს ხარის მცირე ქანდაკებები გასული საუკუნიდან დღემდე, დროის სხვადასხვა მონაკვეთში და სხვადასხვა რაოდენობით აღმოჩენილია აია ტრიადაზე (ტაბ. XXVII) (D'Agata 1999, 175). ნივთები თანადროული ზოომორფული პლასტიკისაგან სხვადასხვა დეტალების მოდელირებით გამოირჩევიან. რამოდენიმე ნიმუშის გამოკლებით, რომლებიც ძვ.წ. IX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნებიან, მასალა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება (D'Agata 1999, 183-196 ტაბ. CVII - CXVI).

გარდა ბრინჯაოს ფიგურებისა, კრეტის სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე გვიან ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და ადრე რკინის ხანაში, მრავლად არის აღმოჩენილი ტერაკოტული ხელნაკეთი ცხოველთა ფიგურებიც. მათ შორის, აია ტრიადას ღია ტაძარში, კავოუსში, პაცოში და თავად კატო სიმაში. ყველა ეს ფიგურა ჯერ ჯერობით შესწავლის ფაზაშია (Gesell 2011, 1019-1021). დიდი კოლექციაა აღმოჩენილი ფესტოსში (ტაბ. XXVIII) (Papasteriou 1985, 5b)

საინტერესოა, რომ კვიპროსში ძვ. წ. XI საუკუნისათვის გამოჩენილ თიხის ქაღალღთაებათა ქანდაკებებს, რომლებსაც ხელი ზეაპყრობილი აქვთ, კუნძულ კრეტაზე უძებნიან ფესვებს. ამავე რიცხვში გადის აქ აღმოჩენილი ხარის თიხის ფიგურებიც. ორივე ჯგუფის ზედაპირი შემკულია ხაზებით, წრეებითა და სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტებით (D'Agata 2005, 4).

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, საბერძნეთში გვიანგეომეტრიულ ხანაში ბრინჯაოსა და თიხის ზოომორფული მრავალი ქანდაკებები ჩვეულებრივ, ყოველთვის საკურთხეველებში არის აღმოჩენილი და მათი რაოდენობა თითოეულ

პუნქტში ასეულებს აჭარბებს. როგორც წესი ისინი ღვთაებათა (ზევის, ჰერას, არტემიდესა და აპოლოს) შესაწირ ძღვენს წარმოადგენენ. ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურები აღმოჩენილია ოლიმპიაში, არკადიაში, თეგეაში, სამოსში, სპარტაში, ათენსა და კრეტაზე - მინოსში, ფესტოსში, პსიქროსა და ჰაგია ტრიადაზე და ა.შ. მცირე სკულპტურებს შორის დასტურდება არა მხოლოდ ხარის, არამედ ცხენისა და სხვადასხვა მსხვილფეხა საქონლის ბრინჯაოს იმგვარი ფიგურების არსებობაც, რომელთა სახეობის დადგენა ხშირად შეუძლებელია (ვაჩაძე 2018ა 111-112).

§IV. 2 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების ბერძნული სახელოსნოები

საბერძნეთში გავრცელებული ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურები ერთმანეთისაგან სხეულის სხვადასხვა დეტალების მოდელირებით განსხვავდებიან. ამავდროულად, გეომეტრიულ ხანაში მეზობელ თუ უფრო მოშორებით მდებარე რეგიონებს შორის არსებული ძლიერი კონტაქტების დამადასტურებელი ფაქტია სხვადასხვა ცენტრის ბრინჯაოს პროდუქციაში საერთო ტექნიკური, სტილისტური და მხატვრული მახასიათებლების არსებობა. *„გეომეტრიულ პერიოდში საბერძნეთში გავრცელებულ ბრინჯაოს ვოტივურ ფიგურებს შორის ყველაზე მეტად პოპულარლია ბრინჯაოს ცხოველთა მცირე ქანდაკებები და სამფეხები“* (Treister 1996, 39).

დღეისათვის არსებული კვლევების მიხედვით, დადგენილია, რომ გეომეტრიულ ხანაში საბერძნეთის თითქმის ყველა რეგიონში მძლავრი, დამოუკიდებელი სახელოსნო ცენტრები უნდა არსებულიყო. ამგვარი ბრინჯაოს საწარმოო პუნქტები ძირითადად აღმოჩენილია ტაძრებთან, არის შემთხვევები, როდესაც ძეგლები დაკავშირებულია „მთავრის“ სამოსახლოსთან, ან ივარაუდება ე.წ. მოხეტიალე მელითონეების მიერ პროდუქციის სხვადასხვა ცენტრებში ადგილზე დამზადება.

საბერძნეთში სახელოსნოები ტაძრებთან უკვე ადრეული პერიოდიდან არის გაიგივებული (Sourvinou 1993, 7). ბრინჯაოს ხანაში მეტალურგიული სახელოსნოს უშუალოდ საკულტო შენობის მოსაზღვრედ აღმოჩენის უამრავი ფაქტი

დასტურდება. საკულტო ხასიათის კომპლექსებში მოპოვებულია ბრინჯაოს დაუსრულებელი ნივთები, დაუმუშავებელი ნედლი მასალა, წარმოებასთან დაკავშირებული ნარჩენები და ხელსაწყოები. მსგავსი ძეგლები დადასტურებულია ჯერ კიდევ წინა სასახლისა და ახალი სასახლის პერიოდის კრეტის არქეოლოგიურ ძეგლებზე, მიკენური ხანის პელოპონესსა და გვიან ბრინჯაოს ხანის კვიპროსში (Hägg 1992, 29).

გვიან გეომეტრიული ხანის ტაძრებში მდებარე სახელოსნოების კვალი არქეოლოგიურად ძალზე მცირედაა შემორჩენილი. ეს გარემოება განპირობებული უნდა იყოს მათი არასტაბილური ხასიათით, ვინაიდან ამ ეტაპზე მიღებული მოსაზრების მიხედვით, სავარაუდოდ სახელოსნოები მხოლოდ დროებითი გამოყენებისათვის კონსტრუირდებოდა. მეორე ფაქტორად შეიძლება დასახელდეს ის ხელახალი მშენებლობებით გამოწვეული ცვლილებები, რაც მოგვიანო პერიოდში ბერძნული ტაძრების უმეტეს ნაწილს შეეხო (Risherg 1992, 39).

გეომეტრიული ხანის საბერძნეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ბრინჯაოს სახელოსნო ცენტრები, იონიური ათენი და დორიული არგო იყო, შედარებით ნაკლებ, მაგრამ აქტიურ როლს თამაშობდნენ ასევე სპარტა და კორინთო. დიდი სახელოსნოების პროდუქცია ინტერ რეგიონალური მნიშვნელობისა იყო და მთელი საბერძნეთის მასშტაბით ვრცელდებოდა. დამატებით, არსებობდა მცირე სახელოსნოების მთელი სერიები. მაგალითად, ჩრდილო აღმოსავლეთ საბერძნეთში ამგვარი სახელოსნოები უნდა ყოფილიყო თერმოსა და ითაკაში. ბრინჯაოს ვოტივური ფიგურების ადგილობრივი წარმოება ივარაუდება ასევე თესალიაში, მაკედონიასა და თრაკიაში. წარმოების ამ ცენტრების განვითარებასა და მათ ბრინჯაოს ნაწარმზე დიდი გავლენა უნდა ჰქონოდათ კორინთოს, სპარტას და არგოს დაწინაურებულ არტისტულ სკოლებს.

უადრესი ბრინჯაოს ვოტივები რომლებიც ძვ.წ. 800 წლამდე პერიოდს მოიცავს, ძირითადად დასავლეთ პელოპონესის სახელოსნოებიდან, სავარაუდოდ მესენიიდან და არკადიიდან მომდინარეობს. მესენიაში მდებარე ნიქორიას ერთადერთ ზედმიწევნით შესწავლილ დასახლებაში ბრინჯაოს, რკინის, ტყვიისა და ოქროს დამუშავება ძირითადად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ე.წ. „უფროსის“,

„ლიდერის“ დიდ სახლთან. აქ აღმოჩენილი სამფეხები, ფიგურები და სამკაული, ისევე როგორც არკადიულ ტაძრებში წარმოებული ფიგურები და ძვირფასეულობა, ახლო მსგავსებას ავლენს ოლიმპიაში აღმოჩენილ ნივთებთან, ამ ადრეული პერიოდისათვის ოლიმპია შეიძლება დახასიათდეს, როგორც მოხელეთა შეხვედრის ადგილი დასავლეთში (C. Morgan 1993, 20-21).

მომდევნო პერიოდში პელოპონესის სახელოსნოებიდან უნდა დასახელდეს არგო, სადაც ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან ყალიბდება ბრინჯაოს ვოტივური ფიგურების არგოული სტილი, რაც კარგად აისახება ცხენებისა და ხარების ფიგურებში. ამ სტილის ნივთები აღმოჩენილია ოლიმპიაშიც. კლასიკური არგოული ტიპი ძვ.წ. VIII საუკუნის შუა ხანებიდან მყარდება. გვიან გეომეტრიულ პერიოდში არგიული პლასტიკა წარმოდგენილი იყო ასევე მეზრძოლთა ფიგურებით, აქვე იწარმოებოდა საბერძნეთში ფართოდ გავრცელებული სამფეხები რომელთა დეკორში ფართოდ გამოიყენებოდა ცხენის სკულპტურები. გეომეტრიულ ხანაში ბრინჯაოს პლასტიკაში გარკვეული ჰეგემონიით ხასიათდება ლაკონიური სტილი. ლაკონიაში ყველაზე ტიპიური საქონელი ცხენის მცირე ქანდაკებები იყო. სხვა ცენტრებისაგან განსხვავებით, ტრიპოდების წარმოება აქ პოპულარული არ ყოფილა. ძვ.წ. VIII საუკუნის შუა ხანებამდე, ლაკონიური სტილის საგნები მხოლოდ ოლიმპიაში იწარმოებოდა. ძვ.წ. 740 წლისათვის ოლიმპიაში ეს ტენდენცია ქრება. ლაკონიური ფიგურების დისტრიბუცია ორი მთავარი მიმართულებით ინაცვლებს, ჩრდილო დასავლეთით ტარენტუმისა და ჩრდილო აღმოსავლეთით სამოსის მიმართულებით. ლაკონიური ბრინჯაოს დიდი რაოდენობა მომდინარეობს ტაძრებიდან, მაგალითად, სპარტაში მდებარე არტემის ორთიას და მის გარეთ ოლიმპიაში მდებარე ძეგლებიდან. ძვ.წ. VIII საუკუნის გვიან მესამე მეოთხედიდან ლაკონიურ ნაწარმზე ატიკური სკოლის გავლენა იგრძნობა (Treister 1996, 39-41).

პელოპონესის არქეოლოგიური ძეგლებიდან ბრინჯაოს წარმოების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი ჩანს ოლიმპია. აქ აღმოჩენილი დაუსრულებელი სხმულების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოლიმპიაში იწარმოებოდა ლაკონიური სტილის ბრინჯაოს ცხენის ვოტივური ფიგურები. ხელოსნობაში ასევე იგრძნობა სპარტელი ხელოსნების

გავლენა. დაახლოებით ძვ.წ. VIII საუკუნის შუა ხანებში კი ვოტივებში შეინიშნება არგოული სტილის გავლენაც. ოლიმპიაში აღმოჩენილ ათასობით ბრინჯაოს ზოომორფულ ფიგურებთან ერთად, ძვ.წ. VIII საუკუნის განმავლობაში აქ გავრცელებულია გაშლილი მკლავებითა და თავზე მუზარადით გამოსახული მეომართა სკულპტურები. აქვეა უამრავი მეეტლის ფიგურა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადრეულ ოლიმპიურ ფიგურებში არეკლილია სტილისტური მოტივების ტრანსფერი კუნძულ კრეტიდან. უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ქალის ფიგურები. ადგილობრივად წარმოებული მეეტლეების ფიგურები ძვ.წ. VIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება. ოლიმპიაში წარმოებული ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებები ცხენისა და ხარის გამოსახულებებით წარმოადგენდნენ ატიკური, არგოული, კორინთული და ლაკონიური სტილის გამარტივებულ ვერსიებს. იმავე სახელოსნოებში ძვ.წ. VIII საუკუნის შუა ხანების შემდგომ იწყება ბრინჯაოს სამფეხების დამზადებაც. რაც შეეხება კორინთულ სახელოსნოებს, ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში აქ გავრცელებულია ცხენისა და ჩიტების ფიგურები. პროდუქციაში არ გვხვდება არც მეომართა ფიგურები და არც ტრიპოდები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გეომეტრიულ პერიოდში გავრცელებული ცხენის ფიგურების დიდი ნაწილი სწორედ არკადიულ სახელოსნოებში იწარმოებოდა. აქაურ პროდუქციაში იგრძნობა ლაკონიური და არგოული გავლენა (Treister 1996, 41-43). არკადიაში საკვლევი თემისათვის საინტერესო ძეგლი მდებარეობს თეგაში. გეომეტრიულ პერიოდში ძვ.წ. VIII საუკუნის მოგვიანო ხანიდან ძვ.წ. VII საუკუნის შუა ხანებამდე იწყება ვოტივური ფიგურების მასიური მიძღვნა. უეჭველია რომ მერვე საუკუნის გვიან ხანებში საკულტო ადგილის მოსაზღვრედ აქ არსებობდა ლითონწარმოების სახელოსნო, სადაც მომლოცველთათვის ღვთაებისადმი განკუთვნილი ბრინჯაოს ვოტივური სკულპტურები მზადდებოდა (Voyatzis 2004, 187-191).

ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული ცენტრალური საბერძნეთის ტერიტორიაზეც. გამომდინარე მათი სიმრავლისა, აქცენტი მხოლოდ საკვლევი თემისათვის საჭირო მსხვილ საწარმოო ცენტრებზე გაკეთდება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი განთავსებული იყო ათენში. აქ, აკროპოლისის ტერიტორიაზე მოპოვებული ძვ.წ. VIII საუკუნით დათარიღებული ბრინჯაოს ვოტივური ცხენების ჯგუფი ადგილობრივ ნაწარმად არის მიჩნეული. ატიკური ბრინჯაოს ტრიპოდები, ცხენისა და მეომრების ფიგურებთან ერთად, აღმოჩენილია ასევე ოლიმპიაში, დელფოსში, დოდონასა და დელოსში მდებარე პან ელინისტურ ტაძრებში. იმის გათვალისწინებით, რომ ფოკიური ბრინჯაოს ვოტივური ფიგურები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი თესალიაში, კალაპოდსა და დელფოსში, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ფოკიელი ხელოსნები მყიდველთა ძიებაში ტაძრიდან ტაძარში მოგზაურობდნენ და სამსხმელი სამუშაოები მათ მიერ ადგილზე იწარმოებოდა (Treister 1996, 43-46).

ცენტრალური საბერძნეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი დასტურდება დელფოსში. აქ აღმოჩენილი ტრიპოდების უმრავლესობა არგოსა და ათენის პროდუქციიდან უნდა იყოს წარმოშობილი, თუმცა, ლოკალური იმიტაციებით. ზოომორფული სერიებიდან ბრინჯაოს ცხენის ვოტივური ფიგურები მიეკუთვნება ათენის, სპარტას და განსაკუთრებით კორინთოს ნაწარმს, მაშინ როდესაც ხარის ფიგურები ძირითადად ლოკალური წარმოებისაა. დელფოსში, ოლიმპიის შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბრინჯაოს კაცი მეომრების გამოსახულება. მათი ნაწილი ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე მეოთხედით თარიღდება. ადრეული ფიგურების სტილი ზოგიერთი ოლიმპიური ნიმუშის მსგავსია და შემოთავაზებულია მოსაზრება, რომ ორივე ჯგუფი ჩრდილო აღმოსავლეთ პელოპონესის სახელოსნოებიდან უნდა მომდინარეობდეს. ან მოტივი ნასესხები იყოს ოლიმპიიდან, ვინაიდან დელფოსში მოპოვებული ამ ტიპის ფიგურები, შედარებით მოგვიანო ხანით თარიღდება. ისევე როგორც ოლიმპიური ფიგურების შემთხვევაში, დელფოსის მებრძოლთა ფიგურებში შეინიშნება კრეტული მახასიათებლების გავლენა.

ლოკალური საწარმოო ცენტრი უნდა არსებულიყო ბეოტიაშიც, სადაც გეომეტრიული ხანის ბრინჯაოს სახელოსნოების პროდუქცია ოთხფეხებით და დიდი ზომის გრავირებული ფიგურებითაა წარმოდგენილი. ბეოტიურ სამარხებში ლითონის ნივთებიდან ყველაზე ხშირია ფიგურების აღმოჩენა. დიდი

რაოდენობითაა ჩიტების ფიგურებიც. ბეოტიური სახელოსნოებისათვის ბრინჯაოს მცირე პლასტიკიდან ცხენის ფიგურები უცნობია. თუმცა აქ, თებეში მდებარე კაბირის ტაძარში მოპოვებული ბრინჯაოს ხარის ვოტივური სტატუეტები ავთენტური ხასიათისაა და მათ ლოკალურ წარმოებას ამტკიცებს (M. Treister 1996, 43-46).

ჩრდილო დასავლეთ საბერძნეთში ეტოლიაში კორინთული სტილის მძლავრი გავლენა დასტურდება. ეს ცენტრი იმით არის საინტერესო, რომ ეტოლიური ბრინჯაოს 78% აღმოჩენილია ეტოლიის მიღმა არსებულ სხვადასხვა რეგიონში.

ჩრდილოეთ საბერძნეთში მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო თესალია. თუმცა, ბრინჯაოს ფიგურების წარმოება თესალიელი ხელოსნების მიერ, დაახლოებით ძვ.წ. 740-იანი წლებით თარიღდება, ხოლო მათი აქტიურობის მწვერვალი ძვ.წ. 725-715 წელზე მოდის, ამგვარად სხვა პელოპონესურ ცენტრებთან შედარებით, აქაური ნაწარმი რამდენადმე მოგვიანოა. სხვადასხვა თესალიური საგნები აღმოჩენილია ოლიმპიასა და დელფოსში. თესალიელი ხელოსნები სავარაუდოდ ექსკლუზიურად ტაძრებზე უნდა ყოფილიყვნენ მიმართულნი. რაც შეეხება მაკედონიას, აქ ძვ.წ. VIII საუკუნის უკანასკნელ ათწლეულსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში დიდი რაოდენობით გავრცელებულ ცხენის ფიგურებთან ერთად აღმოჩენილია ჩიტებისა და ოთხფეხა ცხოველების მცირე ქანდაკებები. მაკედონიელებს ეტოლიელების გავლენით უნდა აეთვისებინათ ბრინჯაოს წარმოების კორინთული ტექნიკა. ამასთანავე, პროდუქციაში აშკარად თვალსაჩინოა თესალიური გავლენაც (Treister 1996, 50).

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, იონიური ტაძრები, პერაკორა, ფილია და სამოსის ჰერაიონი მისამდგნელი ნივთების წარმოების თვალსაზრისით იმდენად ფართო დიაპაზონის მქონე არ ყოფილა, როგორც ეს ოლიმპიის მაგალითზე დასტურდება (Morgan 1993, 32-33). სამოსის ჰერაიონში აღმოჩენილი უამრავი ბრინჯაოს ფიგურის თაობაზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათ შორის ყველაზე შესანიშნავ ნიმუშებს პელოპონესურ მასალასთან აქვთ კავშირი (Treister 1996, 52).

ძვ.წ. X-IX საუკუნეებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი ბრინჯაოს წარმოების თვალსაზრისით, იყო კრეტა. აქ ლითონწარმოება

განვითარებული ჩანს სუბმინოსურ ტრადიციებზე დაყრდნობით. ძვ. წ VIII საუკუნის განმავლობაში კრეტული სკოლა თანდათან კარგავს თავის შემოქმედებით დამოუკიდებლობას და უკვე მეორე ნახევრიდან, ანთროპომორფული სტატუეტები პელოპონესური სკოლისათვის დამახასიათებელი სტილის აშკარა იმიტაციას წარმოადგენენ, ხოლო ნივთების გარკვეული ნაწილი აღმოსავლური პროტოტიპების გავლენას განიცდის. კრეტას ძვ.წ. VIII საუკუნის შუა ხანებიდან ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისამდე ახლო კავშირი უნდა ჰქონოდა ჩრდილოეთ სირიისა და ფინიკიის საწარმოო სახელოსნოებთან (Treister 1996, 51). კუნძულ კრეტაზე ჩვენთვის საინტერესო ძეგლებიდან შეიძლება დასახელდეს სიმას ტაძარი, სადაც პროდუქტის ადგილზე წარმოება ივარაუდება, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება საკითხი იმის შესახებ, პერმანენტული იყო აქ გამართული სახელოსნო, თუ დროებითი. სიმაში აღმოჩენილი ცხოველთა ფიგურები სტილისტური და იკონოგრაფიული მახასიათებლებით გარკვეულ მგავსებას პოვებენ აია ტრიადასა და პსიქროს ზოომორფულ პლასტიკასთან (Schürmann 1996, 191-192).

ბრინჯაოს ცხენებისა და ხარების მრგვალი ფიგურების სერიები არაერთ მკვლევარს აქვს შესწავლილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვით საბერძნეთის მაგალითზეც, ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების ამა თუ იმ ჯგუფის საწარმოო ცენტრების განსაზღვრა, რიგ შემთხვევაში მეტად პრობლემატურია.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ცხენისგამოსახულებიანი ბრინჯაოს მრგვალი ფიგურები არგოულ, ლაკონიურ და კორინთულ ჯგუფებად იქნა დაყოფილი ჰერმანის მიერ. ჰერმანის კლასიფიკაცია ზოგადად მიღებულია, როგორც ცხენის სკულპტურათა სტილისტური განვითარების სქემა, თუმცა, მის შემთხვევაში, არგოული ტიპის მახასიათებლები ისევე წმინდად ვერ არის განსაზღვრული, როგორც დანარჩენი ორი ჯგუფი (Herrmann 1964, 17-71). შედარებით მოგვიანებით, იმავე საკითხთან დაკავშირებით ფუნდამენტური ნაშრომი შექმნა ჰეილმეიერმა, რომელმაც ოლიმპიაში აღმოჩენილი ცხოველთა მცირე ქანდაკებების 900-მდე ნიმუში გამოიკვლია და მათ შორის არსებული სტილისტური სხვაობის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ წარმოებული ვოტივების პროდუქცია დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მოგზაურ ხელოსნებთან, რომლებიც ოლიმპიაში არსებულ ტაძარში

სავარაუდოდ დღესასწაულის დროს მოდიოდნენ და გარკვეული ტიპის მასალას ადგილზევე ამზადებდნენ. ჰეილმეიერმა მასიურად წარმოებული ბრინჯაოს ცხენის ფიგურებისა და სხვა ოთხფეხა ვოტივების ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად ვოტივებში არგოულ-არკადიული და სხვადასხვა ცენტრების ნაწარმი ჯგუფები გამოყო (Heilmeyer 1979, 35).

ბევრი მკვლევარის მიერ მიღებულია მოსაზრება, იმის შესახებ, რომ ზოგადად ლითონის მოხელეთათვის უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ფესტივალებს. ძვ.წ. VIII საუკუნიდან საბერძნეთში ოლიმპიური თამაშების პარალელურად ტარდებოდა ყველაზე ძლიერი ღმერთების საპატივცემულოდ გამართული დღესასწაულიც. იმართებოდა მიძღვნის რიტუალები და სპეციალურად მოწყობილ სამსხვერპლოზე ხდებოდა შინაური ცხოველების: ღორის, თხის, ცხვრის ან მსხვილფეხა რქოსანის შეწირვა (Whitley 2009, 280). ზოგიერთი ფესტივალი საერთო იყო დორიული თუ იონური ქალაქებისათვის, ზოგი კი ინდივიდუალურად რომელიმე ქალაქის ან ქალაქის შიდა ქვეჯგუფისათვის იმართებოდა (Noegel 2010, 146). ზევსის დღესასწაულზე საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებიდან ჩამოსული ხელოსნები ერთად იყრიდნენ თავს და მათ მიერ ადგილზე ხდებოდა ბრინჯაოს ნივთების დამზადება. ამგვარად, ათლეთური შეჯიბრი, თანხლებული იყო მოხელეთა შეჯიბრით. ტაძრების გარშემო სივრცე უზრუნველყოფილი იყო არა მხოლოდ პილიგრიმების, არამედ ხელოსანთათვისაც. სავარაუდოა, რომ მოხელეები სახლდებოდნენ საკურთხევლებთან ახლოს და თან მხოლოდ საკუთარი ხელსაწყოების ქონა ევალებოდათ (Bol 1985, 21-23). ტაძრის ხელშეუხებლობა განაპირობებდა პილიგრიმებისა და ფესტივალის მონაწილეთა დაცულობას (Ulrich 1993, 90). მიღებულია მოსაზრება, რომ რომ ამ სახელოსნოებში მომუშავე პირები უნდა ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი, მოხეტიალე მელითონეები. მათი „სახელოსნოების“ აღდგენა ხერხდება წუნდებული ფრაგმენტებისა და დაუსრულებელი ნიმუშების აღმოჩენებით საკურთხევლების მთელ ტერიტორიაზე. სწორედ ოლიმპიის მაგალითზე აღმოჩენილია ბევრი უფორმოდ ჩამოსხმული ბრინჯაოს ნივთი. ამასთან, ცხენების, ჩიტებისა და ქალების წარუმატებლად ჩამოსხმული ქანდაკებები დადასტურდა იმავე ფენაში, სადაც მთლიანი ფიგურები,

რაც მკვლევარებს საშუალებას აძლევს აქ ადგილობრივი წარმოება ივარაუდონ (Risherg 1992, 33-40).

ძვ.წ. VIII-VII საუკუნისათვის ლითონის მოხედეები ადვილად ითვისებდნენ ყოველ სიახლეს არა მხოლოდ ურთიერთშორის, არამედ შორეული აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაც (Bouzek 1997, 147). საბერძნეთში ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში არსებულ ლითონწარმოებაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ბერძნები ახლო კულტურულ კავშირებს ამყარებენ ახლო აღმოსავლეთთან და გაცვლით ურთიერთობებს აწარმოებენ ჩრდილოეთ სირიასთან, ურარტუსთან, ასირიასა და ჩრდილო დასავლეთ ირანთან (Muscarella 1970, 109-129). ბერძნულ ხელოვნებაში აღმოსავლური იკონოგრაფიული სტილი სწრაფად იწყებს განვითარებასა და დამკვიდრებას (Matthäus 2005, 33-34). მიღებული მოსაზრებით, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ბერძნულ ხელოვნებაში აღმოსავლური სტილის გავლენის სამი ძირითადი წყარო არსებობს. აღმოსავლეთ საბერძნეთთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ფრიგიისა და ლიდის ანატოლიურ სახელმწიფოებს. ამ კონტაქტებში არცთუ ისე ინტენსიურადაა ჩართული კუნძული კრეტა. დანარჩენი ორი წყაროა ჩრდილოეთ სირია და ფინიკია, რომელთა ხელოვნება უფრო მეტად სემიტურია და ეგვიპტურ გავლენას განიცდის. ჩრდილოეთ სირიის მეშვეობით ბერძნული სამყარო სწავლობს ასირიისა და ურარტუს ხელოვნებას. ერთ-ერთი ვარაუდით, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში საბერძნეთისა და აღმოსავლეთის ოლქებს შორის ლითონწარმოებაში არსებული მხატვრული ხერხების გაცვლა, სავაჭრო/კულტურულ ურთიერთობებში ჩართული მელითონე მოგზაურების დახმარებით უნდა მომხდარიყო, რომლებიც ახალი სტილსა და მეთოდებს დამორებულ რეგიონებში ვიზიტის შედეგად ეუფლებოდნენ (Mattush 1988, 35).

საბერძნეთში ლითონი, როგორც საკურთხევლებში მისაძღვნელი მასალა, დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნემდე არსებობდა. ძვ. წ. VI საუკუნიდან გეომეტრიული პერიოდისათვის დამახასიათებელი ნივთების ასორტიმენტი იცვლება და მათ ნაცვლად გამოჩენას იწყებს ახალი სტილის სტატუეტები, ისევე, როგორც სხვადასხვა სახის ძღვენი, მათ შორის ფული (Fuchs 1980, 19).

ამდენად, საბერძნეთში ლითონწარმოებისა და კულტის ურთიერთკავშირი, რომელიც აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან ჩანს დამკვიდრებული, ადრე რკინის პერიოდისათვის კვლავ განაგრძობს არსებობას. ამ დროის თითქმის ყველა ძირითად ბერძნულ ტაძარში შემორჩენილია სახელოსნოების ნაშთები. მისაძღვნელი ლითონის ნივთების უმეტესი ნაწილი (ისევე როგორც თიხის ნივთები, ტერაკოტები და ჭურჭელი) იწარმოება ლოკალურად, ხშირად კი განიცდის სხვა სახელოსნოთა გავლენას. ვოტივების ნაწილი აშკარად პილიგრიმებზე უნდა ყოფილიყო გათვლილი (Bouzek 1997, 66).

ძვ.წ. VIII საუკუნის შუა ხანებიდან ბრინჯაოს ნივთების თავისებურებების გათვალისწინებით ჩანს, რომ მატერიკული საბერძნეთის თითოეული რეგიონი ფლობდა საკუთარ ბრინჯაოს სამსხმელ სახელოსნოებს. გარდა ტაძრებისა, სახელოსნოები მდებარეობდა ასევე ქალაქებსა და დასახლებებში. მათგან, ქალაქში არსებული ბრინჯაოს სახელოსნოები წამყვან როლს თამაშობდნენ გეომეტრიული ეპოქის ბრინჯაოს ნაწარმის ტექნიკურ და მხატვრულ დამუშავებაში (Трейстер 1993, 5-7).

გვიან გეომეტრიულ ხანაში საბერძნეთში არსებული ბრინჯაოს წარმოების ადგილობრივი სკოლების განსაზღვრება ხერხდება ცხოველებისა და ჩიტების ფიგურებით. ლოკალური სკოლები არსებობდა კორინთოში, არგოსში, ათენში, სპარტაში და როდოსში. სწორედ ეს სახელოსნოები ასრულებდნენ ყველაზე მნიშვნელოვან, წამყვან როლს. თანადროულად, მეორადი ცენტრები გამოჩნდა ცენტრალურსა და ჩრდილოეთ საბერძნეთში. მართალია ისინი უმეტესად კორინთულ გავლენას განიცდიდნენ, თუმცა ზოგიერთი მოდელი მათ მაკედონური ბრინჯაოს სტილიდან ჰქონდათ აღებული. როგორც პირველად ჰეილმეიერმა აჩვენა, ოლიმპიაში და მოგვიანებით ერეთრიაში, თეგეასა და შესაძლოა დამატებით სხვა პუნქტებში არსებულ ბერძნულ ტაძრებში მოპოვებული ვოტივური ფიგურების უმეტესი ნაწილი მზადდებოდა თავად ტაძრებში, სადღესასწაულო გარემოებაში, ბრინჯაოს მოგზაური მოხელეების მიერ - მომლოცველთათვის. რის გამოც, მათი სტილი ხშირად შერეულია.

§IV. 3 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების ქრონოლოგია

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში თიხისა და ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურები დიდი რაოდენობით არის გავრცელებული საბერძნეთის თითქმის ყველა დიდ თუ პატარა ცენტრში.

ადრეულ ეტაპზე ზოომორფული მრგვალი ფიგურები ძირითადად წარმოდგენილია თიხაში. დაახლოებით ძვ. წ. IX საუკუნიდან სკულპტურები უკვე ბრინჯაოს მასალისაგან მზადდება, სავარაუდოდ არგოდან წამოსული ლითონის მოხელეების მიერ. ოლიმპიის კარგად შესწავლილი მასალების მაგალითზე კი გეომეტრიულ და ადრე არქაულ პერიოდში, საკურთხევლების ცენტრალურ ნაწილში, ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებებთან ერთად დასტურდება თიხის უამრავი ამგვარი ფიგურის თანაარსებობაც (Fuchs 1980, 30-32).

ოლიმპიაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ათასობით ხარის, ცხენის, თხის, ღორის, ვერძისა და სხვადასხვა ფრინველების მცირე ქანდაკებები, მათ შორის სახეობები, რომელთა სახელდება რთულია, გეომეტრიული პერიოდის დასასრულთან ერთად, დროთა სვლის შესაბამისად რაოდენობრივად კლებულობს (Denham 1976, 298-299). ანალოგიური სურათი ფიქსირდება კუნძულ კრეტის არქეოლოგიური ძეგლების მაგალითზეც. აქ კარგად შესწავლილი აია ტრიადას ხარების მრგვალი ფიგურების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მასალის გარკვეული ნაწილი ძვ.წ. IX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება, ხოლო ყველაზე დიდი რაოდენობით სკულპტურები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებშია წარმოდგენილი (D' Agata 1999, 183-196 ტაბ. CVII-CXVI). იგივე სურათი გვაქვს საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრში აღმოჩენილი ცხენის ფიგურების შემთხვევაშიც, რომელთა ქრონოლოგიური ხანგრძლივობა ძვ.წ. IX - VI საუკუნეებზე მოდის (Zimmermann 1989, 334). გაზიარებულია მოსაზრებით, საბერძნეთში ბრინჯაოს ცხოველთა გამოსახულებიანი მცირე ქანდაკებები ძვ. წ. IX-ე საუკუნეში იწყებენ გამოჩენას და არსებობას ძვ. წ. VI-ე საუკუნემდე განაგრძობენ (Papasteriou 1985, 5).

რაც შეეხება ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრების სკულპტურებს, უნდა აღინიშნოს, რომ ეგეოსურ სამყაროში ეს იკონოგრაფიული სახე ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს ხანიდან იღებს სათავეს. მხედრები გვხვდება ცხენზე, ან

ფანტასტიკურ ცხოველზე. ამ ტიპის გამოსახულებები ან საბექდავებზეა წარმოდგენილი, ან ტერაკოტული ფიგურების სახითაა გავრცელებული. ბრინჯაოს ხანის მონაპოვრებს შორის შეიძლება დასახელდეს აია ტრიადას, გოურნიას, არგოლიდას, სპარტას არქეოლოგიური მონაპოვრები, რომელთა თარიღები ზოგადად ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებში ექცევა. მ. ვოიაცისის მოსაზრებით, შესაძლოა, რომ ეს გამოსახულება თავდაპირველად ახლო აღმოსავლეთიდან იყოს ინსპირირებული (Voyatzis 1992, 259-265). ტერაკოტული ფიგურების გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული ჯგუფია აღმოჩენილი ფესტოსა და სილამოსში, სადაც ქალღვთაება წარმოდგენილია ცხენზე გვერდულად, ზეაპრობილი ხელებით. ნივთები დაცულია ჰერაკლეიონის მუზეუმში (Sakellarakis 1981, 92), კრეტაზე აღმოჩენილი კრატერის მოხატულობაში გვხვდება ოთხფეხა ცხოველზე მოთავსებულ უნაგირზე მჯდომი ადამიანი. როგორც ირკვევა, აღმოსავლურ და კვიპროსულ ხელოვნებაში ეს იკონოგრაფიული სახე გამოიყენებოდა არა მხოლოდ ქალების, არამედ მამაკაცებისთვისაც. ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისში კვიპროსში აშკარა ტრადიცია იყო მამაკაცი მხედრების გამოსახვისა უნაგირზე, ანფასში. ამათგან შეიძლება დავასახელოთ თიხის ცხენზე გვერდულად მჯდომი მამაკაცის ფიგურა, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. 1100-1050 წლით (Papasteriou 1985, Abb 28-37, სურ. 35). გარკვეული წყვეტილებით ეს იკონოგრაფიული ტიპი საბერძნეთში ხელახლა გამოჩენას იწყებს ძვ.წ. VIII საუკუნის მოგვიანო პერიოდში და არსებობას არქაულ ხანაშიც განაგრძობს (Voyatzis 1992, 259).

აღსანიშნავია, რომ გეომეტრიულ ხანაში გავრცელებული ცხენზე გვერდულად მდჯომარე მხედრების ბერძნული ცალების სტრატეგრაფიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. ლოუსოის მხედრები XIX-ე საუკუნის ბოლოს შეისყიდეს კარლსუესა და ვენის მუზეუმებმა, რომელთაც მათი არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ რაიმე ზუსტი ცნობა არ ჰქონიათ. თეგეას მხედარი კი სავარაუდოდ აღმოჩენილია მიწის შავ ფენაში, ტაძრის არეალში სხვა უამრავ ვოტივურ ფიგურებთან ერთად, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ზოგადად პროტოგეომეტრიული ხანიდან ვიდრე ძვ.წ. VII-ე საუკუნის შუა ხანებამდე მერყეობს. ოლიმპიის ნივთი რომელიც სტადიონის მეორე სამხრეთ კედელთან იქნა

აღმოჩენილი და სამოსის მხედარი, რომელიც ჰერას დიდი საკურთხევლის სამხრეთით დაფიქსირდა, დაზუსტებით ვერ თარიღდება. მიუხედავად სტატიგრაფიული ინფორმაციის ნაკლებობისა, ჩვენთვის საინტერესო ფიგურების თანმხლები ცხოველების გამოხატვის მანერა, ისევე როგორც ადამიანთა ფიგურები, თავიანთი სტილისტური მახასიათებლების მიხედვით მ. ვოიაცისის მიერ ძვ.წ. VIII-ე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება (Voyatzis 1992, 259). თეგეაში აღმოჩენილ ბრინჯაოს მხედარს, რომელსაც სადგარად ფირფიტა აქვს მირჩილული ასევე ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს კ. რული (Rolley, 1967, 5 სურ. 16). ზოგადად, ეს თარიღი სხვადასხვა მეცნიერის მიერ გაზიარებულია.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში პელოპონესის ტაძრებში ცხენზე გვერდულად მდგომარე მხედრების ტერაკოტული ვარიანტები უფრო დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი, მათი აღმოჩენის ფაქტები დასტურდება ლოუსოიში, პერაკორაში, არგოში, სპარტაში, თეგეაში და მენელაიონში. მნიშვნელოვანია, რომ ტერაკოტული ნიმუშების უმეტესობა ლაკონიური წარმომავლობისაა და ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება (Voyatzis 1992, 272 - 274).

§IV. 4 ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების გამოყენება

საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრში აღმოჩენილი ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული ფიგურების არქეოლოგიური კონტექსტის ანალიზი მიუთითებს, რომ გეომეტრიულ პერიოდში ფიგურათა აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა ნივთებთან ერთად მოპოვებულია ტაძრებში. იშვიათ შემთხვევაში ამ ტიპის სკულპტურები რიტუალური პუნქტების მიღმაც დასტურდება, თუმცა, სამოსახლოებსა და სამაროვნებზე მათი აღმოჩენის შემთხვევა მეტად მცირეა. არაუადრეს ძვ.წ. X საუკუნისა ზოგიერთ მსხვილ ცენტრში შეინიშნება კულტის პრაქტიკის ცვლილება, რაც ვოტივური ძღვენის მზარდ რიცხვებში აისახება. მოგვიანებით ეს ტენდენცია შედარებით ფართოდ ვრცელდება და უკვე ძვ.წ. VIII

საუკუნისათვის საყოველთაოდ ჩანს დამკვიდრებული (Dickinson 2006, 236). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრე რკინის ხანაში, ეგეოსურ სამყაროში, კულტის პრაქტიკაში ლოკალური სხვადასხვაობა იგრძნობა (Dickinson 2006, 222). იგივე ვითარებაა ამა თუ იმ ცენტრის მიერ წარმოებული ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ფიგურების შემთხვევაშიც, რომელთა შორის, მორფოლოგიური თვალსაზრისით, (სხეულის, რქების, კიდურების, დრუნჩის, კუდის მოყვანილობა) ასევე შეიმჩნევა მცირე სხვაობა.

ეგეოსურ კულტურათა განხილვისას ბევრი კლასიკოსი მკვლევარი უკვე ერიდება ტერმინი საბერძნეთის გამოყენებას. ბოლო ხანებში გამოიყენება შედარებით ზუსტი ლოკაციის აღმნიშვნელი სახელწოდებები როგორებიცაა, ათენური, სპარტული და ა.შ. (Noegel 2010, 22 - 23). მიუხედავად ამისა, დღეისათვის გაზიარებული მოსაზრებით, „*ბერძნულ კულტურაში ვოტივები წარმოადგენდნენ ღვთაებისადმი მირთმეულ საჩუქრებს*“ (Fuchs 1980, 30-32).

საბერძნეთში ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებული ცხოველთა ბრინჯაოს ფიგურები: ცხენი, რქოსანი საქონელი, ირემი და იშვიათიად ქალის სკულპტურები იწარმოებოდა საკურთხევლებში მისაძღვნელად და როგორც უკვე წინა თავში აღინიშნა, უმეტესი მათგანი უეჭველად ადგილზე, ან ახლომდებარე სახელოსნოებში უნდა იყოს დამზადებული (Mattusch 1988, 31-32). საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრების მაგალითზე დადასტურებული ბრინჯაოს ძველი ნივთების მოგვიანებით გადადნობა და მათი და ხელახალი გამოყენება (Kyrieleis 1990, 23) არ ეხებოდა ბრინჯაოს ვოტივებს. საკრალური ხასიათის გამო, დაუშვებელი იყო საკურთხევლებში მიძღვნილი ლითონის ნივთების გადადნობა. მიუხედავად ღირებულებისა, მათ მოსახლეობა არ მოიხმარდა. მოგვიანო პერიოდში, ღვთაებათა სამუდამო საკუთრებაში დარჩენის მიზნით, ამგვარი შენაწირები საკურთხევლებთან ახლოს იმარხებოდა (Bol 1985, 14).

ოლიმპიის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ღვთაებების თაყვანისცემასა და კულტში ცხოველებს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავათ. „*ცხოველები ამკობდნენ სალოცავების წმინდა შენობებს და წარმოდგენილი იყვნენ როგორც თავიანთი პატრონი ღვთაების კამპანიონები*“ (Bevan 1986, 319). სპეციალურად გამართულ

ფესტივალებზე, მაგალითად ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებულ ზევსის ტაძარში პროცესიის დროს 100 რქოსანი პირუტყვის შეწირვის ფაქტი დასტურდება (Fuchs 1980, 18).

ოლიმპიისა და კრეტის არქეოლოგიური მასალებიდან ცხოველთა კარგად გამოქვეყნებული სერიების მაგალითზე ბრინჯაოს ზოომორფულ ფიგურებს შორის ძირითადი, წაყვანი სახეობებია ხარი და ცხენი. საბერძნეთში „ბნელ ხანაში“, პრაქტიკულად არ მოიძებნებოდა არც ერთი თუნდაც მოკრძალებული პუნქტი, ცხოველთა ფიგურული გამოსახულებების გაერშე (Bouzek 1997, 145).

ხარი ძალზე მნიშვნელოვან შესაწირ ცხოველად მიიჩნეოდა. ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკებების სახით მისი მიძღვნის ფაქტები დასტურდება ოლიმპიაში, დელფოსში, სამოსში, კრეტაზე - აია ტრიადაში, კატო სიმაში, პსიქროს გამოქვაბულში და. ა.შ. ბეოტიის კაბირიონის მაგალითზე კი ჩანს, რომ ხარი ღვთაებისადმი შესაწირად ყველაზე შესაფერის ცხოველად მიიჩნეოდა. ღია სალოცავების კულტში ხარის ფიგურების მიძღვნა პროცესიის ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომელიც დამატებით მისტიურ რიტუალებს მოიცავდა. არსებული მოსაზრებით, ამ ტიპის რიტუალები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ნაყოფიერებასთან, ისევე, როგორც კარგ მოსავალთან და ცხოველების გამრავლებასთან (Daumas 2003, 138-145)

აია ტრიადაზე აღმოჩენილი ხარის ფიგურების სიმბოლურ მნიშვნელობაზე მსჯელობისას დ'აგატა აღნიშნავს, რომ ნივთებს შორის აბსოლიტურ უმრავლესობაში მსხვილფეხა ცხოველების გამოსახულებებია. ცხოველების ლოკალური ფიგურული ტრადიციის არსებობის გათვალისწინებით ავტორი იზიარებს მოსაზრებას, რომ სტატუეტების მიძღვნა საზვარაკო აქტის შემცველი უნდა ყოფილიყო. მეორეს მხრივ, სქესის ხშირი გამოსახვა შესაძლოა მიუთითებდეს სურვილზე ხაზი გაესვას ცხოველთა ნაყოფიერებასთან კავშირს, გამრავლების შესაძლებლობას და წარმოჩნდეს მათი განსაკუთრებული როლი ეკონომიკაში (D' Agata 1999, 183).

ზოგადად, კრეტაზე მოპოვებულ ცხოველთა ვოტივურ სტატუეტებს, რომელთა მსგავსი ფიგურები გეომეტრიული ხანის საბერძნეთის მეინლენდის თითქმის ყველა ტაძარშია აღმოჩენილი, პ. პაპასტერიოუ კუნძულზე ადრეულ პერიოდში არსებულ ცხოველთა ტრადიციულ ფუნქციას უკავშირებს. მკვლევარი სკულპტურებს

ოლიმპიისა და დელფოსის აღმოჩენების ფონზე განიხილავს და გამოთქვავს მოსაზრებას, რომ საღვთო მფარველობის თხოვნის გარდა, ამგვარ შენაწირს შესაძლოა გამოეხატა მადლობა უკვე მიღებული კეთილდღეობისათვის, მეორე ვერსიით, სკულპტურა განასახიერებდა უშუალოდ შესაწირი ცხოველის ჩანაცვლებას. ავტორი ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთი მიღებული მოსაზრებით, ცხენის, ხარისა და ჩიტების ბრინჯაოს მცირე ქანდაკებები მზადდებოდა კონკრეტული, მკაცრად შეზღუდული სოციალური კლასისათვის, სადაც ცხენის მოტივის არსებობა შენაწირის სიმდიდრეზე მიუთითებდა. თუმცა, პაპასტერიოუ აქვე დასძენს, რომ ტაძრებში ცხოველთა ფიგურების დიდი რაოდენობით აღმოჩენა და მათი წარმოების დაბალი ხარისხი მიუთითებს, რომ ამ ტიპის ვოტივები მხოლოდ მაღალი ფენის საზოგადოების პრეროგატივა არ უნდა ყოფილიყო. კრეტის გეომეტრიული ხანის ტაძრების უმრავლესობაში მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ფიგურების მონაწილეობა/როლი შესაძლოა მინოსური ტრადიციის შედეგიც იყოს, რომლის ელემენტებმა გაგრძელება ჰპოვა არა მხოლოდ ხელოვნების, არამედ მოგვიანებით რელიგიის სფეროშიც (Papasteriou 1985, 159-161).

რაც შეეხება ცხენის ფიგურებს, აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრში მსხვილფეხა საქონლის ბრინჯაოს მრგვალ ქანდაკებებს ხშირად რაოდენობრივად ცხენის სკულპტურები სჭარბობს. გეომეტრიულ ხანაში ბრინჯაოს ცხენები, ისევე როგორც ცხენები მხედრებთან, ან მეეტლეებთან ერთად, სხვადასხვა ტაძარში სხვადასხვა ღვთაებისადმი მისამღვნელად ფართოდ იყო წარმოდგენილი, ხოლო მათი სიმბოლური მნიშვნელობა განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელი ღვთაებისადმი იყო მიძღვნილი ქანდაკება (Bevan 1986, 322). გეომეტრიულ ხანაში საბერძნეთში გავრცელებული ცხენის ბრინჯაოს სკულპტურები შესწავლილი აქვს ჯ. ზიმერმანს, რომელიც ცხენს მაინცდამაინც რელიგიური დანიშნულების ცხოველად არ მიიჩნევს და თვლის, რომ რელიგიურ ფაქტორზე წინ ამ შემთხვევაში სოციო ეკონომიკური კონოტაციებია წამოწეული (Zimmermann 1989, 324).

როგორც უკვე აღინიშნა, გეომეტრიულ პერიოდში სამოსში, ლოუსოიში, თეგეასა და ოლიმპიაში მცირე რაოდენობით, მაგრამ აღმოჩენილია ბრინჯაოს ცხენზე

გვერდულად მჯდომარე მხედრების ფიგურები. მათგან, სამოსის ჰერაიონში აღმოჩენილი მცირე ქანდაკება, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, პირდაპირ მსგავსებას კოლხურ ცალებთან პოულობს. ამდენად, ეგეოსურ სამყაროში გავრცელებული ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომი მხედრების სიმბოლურ დატვირთვას, მათ ადგილობრივ კონცეპტუალურ კონტექსტს, ყველა თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სამოსის ჰერაიონში, როგორც უკვე აღინიშნა, საბერძნეთის სხვა თანადროულ ტაძრებთან შედარებით, ყველაზე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ცხენთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინვენტარი. ამის საფუძველზე კი გამოთქმულია მოსაზრება, სამოსის ჰერაიონის სპეციალური ხასიათის - ჰერას, როგორც ცხენებისა და ცხენოსნების მფარველი ღვთაების შესახებ (Kyrileis 1993, 145). ამასთანავე, სამოსის მონაპოვრებს შორის დასტურდება ყაყაჩოსა და ყურძნის თესლი, ბროწეულის უამრავი ტერაკოტული ფიგურა, მათ შორის გირჩები და ა.შ. ჰ. კირილეისი მიიჩნევს, რომ გათხრებისას აქ აღმოჩენილი უამრავი თესლი უნდა წარმოადგენდეს ჰერასადმი მირთმეულ შესაწირს და განასახიერებდეს მის, როგორც ნაყოფიერების დიადი ღვთაების სპეციალურ ელემენტს (Kyrileis 1993, 138).

არქეოლოგიური კონტექსტის თვალსაზრისით, საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება არკადიაში, თეგეაში მდებარე ათენა ალეას ტაძარის მაგალითზე, სადაც გეომეტრიული ხანით დათარიღებული ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალღვთაების მეორე ფიგურა არის აღმოჩენილი. მასთან ერთად იყო ირმის ქანდაკებები, კუსა და ბროწეულის გამოსახულებიანი საკიდები, ბრინჯაოს დისკი, რომლის კომპოზიციაში გამოსახულია ოთხფეხაზე მდგომარე ქალი, რომელსაც ხელში ყაყაჩო უჭირავს, ისევე, როგორც სხვა შიშველი ქალის ფიგურები ცხოველებთან ან წყალთან ერთად. ვოიაცისის აზრით, დასახელებული სკულპტურები უნდა გამოსახავდნენ ცხოველთა მფარველს, ნაყოფიერების ქალღვთაებას და მისი საბრძანებლის საკუთრებას. რაც შეეხება ბროწეულს, ეს მცენარე ასოცირდება ნაყოფიერებასთან და სიკვდილის შემდგომ ცხოვრებასთან. მკვლევარის მოსაზრებით „*თეგეაში ნაპოვნი ეს უჩვეულო ბრინჯაოს ვოტივები, მათ შორის ქალის ქანდაკებები, უნდა ასახავდნენ აქ არსებული იმ ადრეული ღვთაების*

თავყვანისცემის გადმონაშთს, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ბუნების ძალებთან, მანამ, სანამ მას ათენას ტიპური სახე, როგორც მეზრძოლი ღვთაების სახე ჩაანაცვლებდა ვოტივების ეს „უჩვეულო“ კოლექცია უნდა ასახავდეს ღვთაებას, რომელიც ფლობდა არტემიდესთან, ჰერასთან ან დემეტრესთან, დედა ღვთაებასთან, ნაყოფიერების ღვთაებასთან, ან ცხოველთა პატრონ ღვთაებასთან ასოცირებულ ასპექტებს“.

თეგაში შეწირული ვოტივების სრული ანალიზის შედეგად მ. ვოიაცისი მიდის იმ დასკვნამდე, რომ უკვე ძვ.წ. VII საუკუნის შემდეგ, აქ ყველა სხვა ელემენტს ფარავს და კულტში საბოლოოდ დომინანტი ხდება მეზრძოლი ღვთაების თვისებები. ამის დასტურია აქ ბრინჯაოს ათენას შეიარაღებული სტატუეტის, მუზარადიანი მეზრძოლების, ბრინჯაოს ისრისპირებისა და მახვილების ხშირი აღმოჩენა (Voyatzis 2002, 164-165).

ოლიმპიაში მოპოვებული ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის ქანდაკება განხილული აქვს მ. ბირნს. ფიგურას ავტორი უნიკალურს უწოდებს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „ქალი შიშველია და მისი მკერდი გამოკვეთილი, მხედარი ხის უნაგირზე ფეხებით გვერდულადაა მოთავსებული, ისევე როგორც საბერძნეთის სოფლებში დღესდღეობით. სიშიშველე, მკლავების პოზიცია და ცხენოსნობის მოტივი ღვთაებრიობაზე მიუთითებს. აქ სავარაუდოდ გამოსახული უნდა იყოს ქალღვთაება“ (Byrne 1991, 25). ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგადად ცხოველის ზურგზე აღმართული ღვთაების მოტივი აღმოსავლური უნდა იყოს. პარალელურს შორის მას მოჰყავს აქადური, ბაბილონური, მითანური, ასირიული, ხეთური და ეგვიპტური მაგალითები, რელიეფები ან საბეჭდავები. ხოლო ამ იკონოგრაფიის ბერძნული ტიპის წარმოშობას მ. ბირნი ჯერ კიდევ მინოსურ/მიკენურ პერიოდში ვარაუდობს (Byrne 1991, 25). ოლიმპიასა და დელფოში გავრცელებული უამრავი ფიგურის მხრებისა და მკლავების პოზიციის შესწავლის შემდეგ, ავტორი ასკვნის, რომ „ოლიმპიელი მხედარი ქალის ხელების პოზიციის მიხედვით, განზე გაშლილი, მოხრილი და წინ გამოშვერილი მკლავებით, საქმე გვაქვს ქალღვთაებასთან. უეჭველად ის უნდა იყოს ზევსის მეუღლე ჰერა, ან მისი პროტოტიპი“ (Byrne 1991, 122).

საერთო ჯამში გეომეტრიულსა და არქაულ ხანაში პელოპონესში აღმოჩენილი ცხენზე გვერდულად მჯდომარე ოცდაცხრა ქანდაკებიდან როგორც ბრინჯაოს, ისე ტერაკოტული ფიგურების უმრავლესობა, დაახლოებით თვრამეტი ცალი, მიძღვნილია არტემიდეს, ოთხი ჰერას, ერთი ათენა ალეას, ერთი დემეტრეს, ხოლო ხუთი ელენასადმი. მათი იდენტურობის საკითხის კვლევისას ვოიაცისი ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ *„პელოპონესში და კრეტაზე გვერდულად მჯდომარე პოზიცია ჭენების საერთო წესი იყო ქალებისათვის, მაგრამ მინოსური მხედრები რომ ღვთაებებს განასახიერებდნენ ამას მათი ზეაპყრობილი ხელები ამტკიცებს. ეს მახასიათებლები საერთო ჩანს მიკენური მხედრების მაგალითზეც“* (Voyatzis 1992, 274).

გეომეტრიულ პერიოდში ცხენზე გვერდულად მჯდომი მხედრები მზადდებოდა კონკრეტულად საკურთხევლებზე მისაძღვენლად და მსგავსად ბრინჯაოს ხანის ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ფიგურებისა, გეომეტრიული ხანის ნიმუშები ჩანს ასევე ატარებდნენ რელიგიურ მნიშვნელობას (Voyatzis 1990, 106-107). მიუხედავად გარკვეული ქრონოლოგიური ლაკუნისა, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ძვ.წ. VI საუკუნემდე აღმოჩენილი მასალის ანალიზი მიუთითებს, რომ ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრები წარმოადგენდნენ ღვთაებებს. ვოიაცისი აღნიშნავს, რომ გეომეტრიულსა და მიკენურ ხანაში ცხენი დიდად პატივცემულ ცხოველს წარმოადგენდა და განასახიერებდა სიმდიდრესა და სტატუსს. ცხენი არ გამოიყენებოდა ჭენებისათვის. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქალები იყენებდნენ ვირს. ამდენად, ცხენის გამოსახვა ვოტივურ ფორმაში შესაძლოა გააზრებული ყოფილიყო, როგორც სხვადასხვა ღვთაებათათვის ყველაზე შესაფერისი შესაწირი. მხედრის სახით წარმოდგენილი ღვთაება ასოცირებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ღვთაებათა ასპექტებთან, რომელთაგან ამ იკონოგრაფიისათვის ყველაზე მიმღები ჩანს არტემიდე, რადგან მისი თავდაპირველი როლი ცხოველთა პატრონაჟი იყო. ამგვარად, *„გეომეტრიული ხანის მხედრები ასახავენ მიკენური პატრონას გადარჩენილ ვერსიას, როგორც მფარველს ნაყოფიერებისა, ვეგეტაციისა და ველური ბუნებისა რომელიც დაკავშირებული იყო ცხენებთან“* (Voyatzis 1992, 275-277).

§IV. II. ცხოველზე გვერდულად მდგომარე მხედრების ბრინჯაოს ფიგურები ჩრდილო კავკასიიდან

კავკასიის მასშტაბით აღმოჩენილ ქალისა და მამაკაცის უამრავ ბრინჯაოს ფიგურს შორისაა მხედართა სკულპტურებიც, როგორც მამაკაცის, ისე ქალის გამოსახულებით. მათი უმრავლესობა შემთხვევით არის მოპოვებული. ნივთები ინახება მოსკოვის, ლენინგრადისა და კავკასიის სხვადასხვა მუზეუმებში (Марковин 1986, 74).

კავკასიის ანთროპომორფულ პლასტიკას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ბ. მარკოვინმა, რომელიც აქ აღმოჩენილ ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომ მხედართა ფიგურებს შორის რამოდენიმე ეგზემპლარს ასახელებს. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩენილია დაღესტანში, 1872 წელს, გზის სამუშაოების მიმდინარეობისას დაზიანებულ ძველ სამაროვანზე. ძეგლის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია, სავარაუდოდ სამაროვანი განთავსებული უნდა ყოფილიყო კიბილ იართან ან მახაჭკალასთან ახლოს. უფრო დაზუსტებით, გენერალ ა.ბ. კომაროვის ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ მას აქ უნახავს ბრინჯაოს გამოსახულება ქალისა, რომელიც ცხენზე გვერდულად იჯდა (Марковин 1986, 75).

ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრის მეორე ფიგურა დაცულია დაღესტნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ტაბ. XIX,1) (Марковин 1986, 96). ბ. მარკოვინის მიერ დასახელებულ ცხოველზე გვერდულად მჯდომ მხედართა ფიგურებიდან უნდა აღინიშნოს ამლახში მოპოვებული, ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებით დათარიღებული შიშველი ადამიანის მეტად სქემატური გამოსახულება, რომელსაც ხელები უბეზე აქვს დაწყობილი (ტაბ. XIX, 2) (Марковин 1986, 103-105, სურ. 16,8).

კოლხეთსა და ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრების გამოსახულებები განხილული აქვს ო. ბრილოვას. ამ ტიპის იკონოგრაფიის მქონე ნივთებს შორის ავტორი ორ ძირითად ჯგუფს გამოჰყოფს და აღნიშნავს, რომ ფიგურები აღმოჩენილია ძვ.წ. VIII-VII და ახ.წ. III-IV საუკუნეების კომპლექსებში. ამათგან, ავტორი პირველ ჯგუფს ცაიშის, მუხურჩის ქვედა სამაროვანსა და ერგეტას მესამე სამაროვნის მეოთხე სამარხში მოპოვებულ ბრინჯაოს ქალი მხედრების ფიგურებს მიაკუთვნებს. რაც შეეხება

დაღესტნის მუზეუმში დაცულ ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მდგომარე ქალის სკულპტურას, ბრილოვას ცნობით, ნივთი გიგატლინსკის განძის შემადგენლობაში არის აღმოჩენილი და ახ. წ. III-V საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს (Брилева 2012, 194-195). მკვლევარი დაღესტნის ქანდაკებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ქალი მხედარი გამოსახულია უნაგირის გარეშე და კოლხური ნიმუშებისაგან აბსოლიტურად განსხვავებული სტილისტური ტრადიციით არის შესრულებული, ის უნდა უკავშირდებოდეს ალბანო სარმატული ძეგლების კულტურულ წრეს და განხილულ უნდა იქნეს დამოუკიდებლად (Брилева 2016, 26).

§IV. III. ცხოველზე გვერდულად მდგომარე მხედრების ბრინჯაოს ფიგურები ლურისტანიდან

ცხოველზე ანფასში მჯდომარე მხედრების იკონოგრაფია უცხო არ ყოფილა არც აღმოსავლური სამყაროსათვის. ისრაელის მუზეუმში დაცულია ბრინჯაოს მსხვილფეხა რქოსანზე გვერდულად მჯდომარე ადამიანის სკულპტურა. მხედარს კარგად ეტყობა ოვალური ქუდის დეტალი, ხელები მკერდთან აქვს მოზიდული და შეტყუპებული (ტაბ. XIX, 3) ნივთის თარიღად ზოგადად ძვ.წ. 1200-750 წლებია მითითებული, ხოლო მის წარმომავლობას ჩრდილო დასავლეთ ირანის სახელოსნოებს უკავშირებენ. სკულპტურა მუზეუმში ჟოზეფ ტერნბახის პირადი კოლექციიდან არის მოხვედრილი.

დასახელებული მრგვალი ქანდაკება განხილული აქვს რ. მერავს და მას ჟ. ტერნბახის კოლექციაში არსებულ ბრინჯაოს ცხოველზე გვერდულად მჯდომარე სხვა მხედრებთან ერთად ერთსა და იმავე ჯგუფში აერთიანებს. დამატებით, ჯგუფში წარმოდგენილია ცხენზე გვერდულად მოთავსებული მამაკაცის გამოსახულება, რომელსაც კარგად ეტყობა წვერი, მოსავს ფეხსაცმელი, ცალ ხელში სასმისი უპყრია, მეორე კი ცხოველის კისერზე აქვს განსვენებული (ტაბ. XIX,4). მესამე ნივთი წარმოადგენს ორმაგპროტომიან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ორ ფიგურას,

ქალსა და ითიფალურ მამაკაცს. ორივე ფიგურას წელზე რელიეფურად აქვს გამოსახული სარტყელი, ხოლო ცალი ხელი ცხოველის კისერზე აქვს განთავსებული (ტაბ. XIX, 5). რ. მერავის აღნიშვნით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცხოველზე გვერდულად მჯდომარე მხედრების ამ ჯგუფს პარალელი ეძებნება ანალოგიური ტიპის იმ სკულპტურებთან, რომლებიც ლურისტანის სამარხებშია აღმოჩენილი. მათ დანიშნულებაზე მსჯელობისას მკვლევარი უშვებს ვარაუდს, რომ ცხენზე გვერდულად მჯდომარე ადამიანები შესაძლოა განასახიერებდნენ ამავე ცხოველის მფარველ ღვთაებას. სხვა მოსაზრებით, მათ სიმბოლიკას სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეს უკავშირებენ და მიიჩნევენ, რომ მხედრები წარმოადგენდნენ ან თავად მიცვალებულს, ან კი ღვთაებას, რომლის დანიშნულება მიცვალებულთა გაძლოა უნდა ყოფილიყო მიღმიერ სამყაროში. რ. მერავს სკულპტურები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით აქვს დათარიღებული (Merhav 1981, 86-87).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თუმცა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ათასობით ბრინჯაოს ობიექტი ლურისტანული წრის ნაწარმად მიიჩნევა, მათგან მხოლოდ მცირე ჯგუფი შეიძლება განისაზღვროს, როგორც კანონიკურად ლურისტანული ბრინჯაოს ხელოსნობის ძეგლები (Overlaet 2013, 384). აქ მასალის უმეტესი ნაწილი 1928 წლიდან მოყოლებული ათწლეულების განმავლობაში განძისმაძიებელთა მიერ არის აღმოჩენილი და მათი უმეტესობა ანტიკვარიატის ბაზარზე იყო ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში, ევროპასა და ამერიკაში არსებული ლურისტანული ბრინჯაოს არტეფაქტების უმეტესი ნაწილი აქ სწორედ ამ პერიოდში, არალეგალური გზით არის მოხვედრილი (Khorasani 2009, 195). ამდენად, წარმოდგენილი სკულპტურების კულტურული ატრიბუციის საკითხი შესაძლოა საეჭვო იყოს, თუმცა მათი აღმოსავლური წარმომავლობა უდაოა.

ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრის ფიგურები დანამდვილებით ლურისტანულ კონტექსტში დადასტურებულია მაგალითად ცხენის აღკაზმულობაში, სადაც ლაგმის საყბურები სტილიზებული ცხენისა და ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრის ფიგურებით არის დეკორირებული (ტაბ. XIX, 6) (Pierre 1976).

შეჯამების სახით, ზოგადად აღმოსავლურ იკონოგრაფიაში, ცხოველზე გვერდულად მდგომარე მხედრები განასახიერებენ როგორც ქალს, ისე მამაკაცს. ხოლო ცხოველები, წარმოდგენილია მსხვილფეხა საქონლისა და ცხენის გამოსახულებებით. ეს იკონოგრაფიული სახე წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი, მრგვალი ქანდაკებების სახით, ისე მაგალითად ცხენის აღკაზმულობის დეკორში. აღმოსავლური ნიმუშები სტილისტურად განსხვავებულ, ინდივიდუალურ ჯგუფს ქმნიან. მორფოლოგიური მახასიათებლებითა და სხეულის ცალკეული დეტალების მოდელირებით სკულპტურები მკვეთრად განსხვავდებიან როგორც კოლხური, ისე ბერძნული ცალებისაგან. ერთი-ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა კოლხურსა და აღმოსავლურ ვარიანტებს შორის ოთხფეხების პოზიციაშიც ვლინდება, ცხოველი ყველა მოყვანილ შემთხვევაში მარცხენა პროფილით არის წარმოდგენილი. ცხენების მარცხენა პროფილით გამოსახვა საბერძნეთში აღმოჩენილ ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრების შემთხვევაშიც დასტურდება, თუმცა ეს ნიმუშები ტერაკოტულია და შედარებით მოგვიანო პერიოდით ძვ.წ. VII-ე საუკუნის ბოლო ეტაპითა და ძვ.წ. VI-ე საუკუნით თარიღდება.

თავი V. კოლხეთი და გარესამყარო ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში

გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანაში დასავლურ-ქართული, კოლხური კულტურის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტად დაწინაურებული ლითონწარმოება მიიჩნევა. ახალ აღმავლობას განიცდის კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის პროდუქცია: იწარმოება შრომისა და საბრძოლო იარაღი, სხვადასხვა სახის სამკაული. ამავე პერიოდში კოლხური კულტურის ინფილტრაცია შეიმჩნევა შიდა ქართლში, თლიას სამაროვანზე (აბესაძე 2011, 291). ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან კოლხური ნივთები გამოჩენას იწყებს სამხრეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზეც (ლიჩელი 1999, 106 - 107). მზეთამზეს სამაროვნის ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებულ ინვენტარს შორის დიდი რაოდენობითაა კოლხური ცულები, ხოლო ამავე სამაროვანთან ახლოს, თელოვანში მათი საწარმოო ყალიბებია აღმოჩენილი (Licheli 2008, 230). სამხრეთით კოლხური კულტურის ელემენტები ჩრდილო დასავლეთ ანატოლიამდე აღწევს (აბესაძე 2011, 292). „*ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით, უპირატესად კი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული ე. წ. კოლხურ - ყოზანური ტიპის ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთები აღმოჩენილია კავკასიიდან დაშორებულ რეგიონებში, ჩრდილოეთით დნეპრისპირეთსა და ვოლგისპირეთში, სამხრეთით, ურმიისა და ვანის ტბების მიდამოებში, საბერძნეთში, კუნძულ სამოსზე*“ (პაპუაშვილი 2003, 63-69). მეორეს მხრივ, ამავე პერიოდში ერგეტასა და დღვასას კოლექტიური სამაროვნების სხვადასხვა კომპლექსებში აღმოჩენილია ე.წ. ახლო აღმოსავლური ტიპის სატევრები, ხოლო მზეთამზეს სამაროვანზე მოპოვებულ ბრინჯაოს სატევარს პირდაპირი პარალელი ლურისტანის არქეოლოგიურ მასალაში ეძებნება (Licheli, 2012). ამავე პერიოდის ცაიშის კოლხურ კოლექტიურ სამარებში აღმოჩენილია ხმელთაშუა ზღვისა და ეგვიპტის საწარმოო ცენტრებიდან იმპორტირებული მინის, პასტისა და ე.წ. ეგვიპტური ფაიანსის მძივები (პაპუაშვილი 2015, 25). ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში კოლხეთის გარესამყაროსთან არსებული კონტაქტების დოკუმენტურ დადასტურებად არის მიჩნეული იმპორტული ფიბულების გამოჩენა შავი ზღვის (აფხაზეთი) სანაპიროზე (სულავა 2010, 157).

გვიანბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში კოლხეთის შესახებ ცნობები ჩნდება ჯერ ასურულ, შემდეგ კი ურარტულ და ძველბერძნულ წყაროებში (მიქელაძე 1974, 179-181). ხოლო ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეები კოლხეთის მიმართულეობით არგონავტების ლაშქრობის ხანად მოიაზრება (ლორთქიფანიძე 1986, 13). ო. ლორთქიფანიძის შენიშვნით ლაშქრობის საბაზად სტრაბონი მიიჩნევდა ქვეყნის სიმდიდრეს ოქროთი, ვერცხლითა და რკინით. დღეისათვის ეს მოსაზრება სხვადასხვა კუთხით მკვლევართა უმეტესი ნაწილის მიერ არის გაზიარებული (ლორთქიფანიძე 2010, 45-46; Licheli 2008ა, 113 – 114; პაპუაშვილი 2008, 103-106; ინაძე 1999, 17-18; კაჭარავა 1998, 31; ლორთქიფანიძე 2002, 9).

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, კოლხეთში გავრცელებული მატერიალური კულტურის არქეოლოგიური ძეგლები საუკეთესოდ არის ასახული კოლექტიურ სამაროვნებში, რომელთა სამარხეულ კომპლექსებში, როგორც უკვე აღინიშნა, იმდროინდელი სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან იმპორტირებული მასალაც არის თავმოყრილი. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრისაგან განსხვავებით, ბრინჯაოს ხანისათვის კოლხეთში „*იმვიათი გამონაკლისის გარდა (გაგიდის სამაროვანი, ანაკლია II - ის უინვენტარო ორმოსამარხი), სამაროვნები და ცალკეული სამარხები დღემდე უცნობია*“ (ჯიბლაძე 2016, 164). ამ პერიოდის ძეგლები ძირითადად განძებისა და ცალკეული აღმოჩენების სახით არის ცნობილი.

დასახელებული ფაქტების შეჯერებით მეტნაკლებად სრულად წარმოჩინდება ის ზოგადი ისტორიული კონტექსტი, რომელშიც, როგორც უკვე წინა თავებში აღინიშნა, გამოჩენას იწყებს ბრინჯაოს პლასტიკის სრულიად ინდივიდუალური ჯგუფი, ცხოველიც წარმოდგენილია ცხოველთა და ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ქალ მხედართა მცირე ქანდაკებების სახით. მათი აბსოლიტური უმრავლესობა კონცენტრირებულია ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებზე, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში გავრცელებული ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული პლასტიკის, როგორც ლოკალური იდეოლოგიისა და რწმენა წარმოდგენების ამსახველი სიმბოლიკების ანალიზისას, უაღრესად

მნიშვნელოვანია ასევე გათვალისწინებულ იქნეს სკულპტურების სტილისტური შესატყვისობა ადგილობრივ ტრადიციულ იკონოგრაფიულ გამომსახველობასთან.

ბრინჯაოს მრგვალ ქანდაკებებს შორის იკონოგრაფიის სიახლის თვალსაზრისით გამორჩეული მნიშვნელობისაა ქალი მხედრების ფიგურები, მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას კი, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილი ბავშვიანი მხედრის ქანდაკება იქცევს.

ბრინჯაოს ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე მხედრების ქანდაკებები, როგორც უკვე ნაჩვენები იყო, კოლხეთს გარდა, გავრცელებულია საბერძნეთში, ჩრდილო კავკასიასა და ლურისტანის არქეოლოგიურ კულტურებში, აღმოსავლეთ საქართველოში კი ეს იკონოგრაფიული სახე დასტურდება ბრინჯაოს სარტყლების დეკორში, თუმცა მისი აქაური წარმომავლობა, შესაძლოა, არც იყოს დაკავშირებული კოლხურ მოვლენებთან. ყველა დასახელებული ნიმუშის ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით ისაზღვრება. მათგან გამონაკლისს მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალის სკულპტურა წარმოადგენს, რომელიც, ახ.წ. III-IV საუკუნეებით თარიღდება (ტაბ. XXIX,1).

კოლხეთსა და ლურისტანში აღმოჩენილ ბრინჯაოს იმ მხედრებს, რომლებიც სამარხულ ინვენტარს წარმოადგენდნენ, შესაძლოა, ფუნქციურ დანიშნულებაში გარკვეული იდეური თანხვედრა ჰქონოდათ. მიუხედავად ამისა, ლურისტანული ნიმუშები სტილისტური თვალსაზრისით კოლხურ ცალებთან ნაკლებ საერთოს პოულობენ. ცხოველები თავით მარცხნივ არიან გამოსახული. დამატებით, კოლხური ფიგურებისაგან განსხვავებით, კომპოზიციაში არ გვხვდება უნაგირი. კოლხურისაგან სტილისტურად განსხვავებულია ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ადამიანის სკულპტურაც, რომელიც ფორმების უკიდურესი სქემატიზაციით ხასიათდება (ტაბ. XXIX,2). რაც შეეხება ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახულ მხედრებს, ისინი ნადირობის სიუჟეტის ამსახველ სცენებში არიან წარმოდგენილი. ერთ-ერთ შემთხვევაში, ცხოველსა და მხედარს მკერდზე სიმბოლური ნიშნები ამკობთ (ტაბ. XXXIII,3).

კოლხურ სამაროვნებში აღმოჩენილი ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მდგომი ქალი მხედრების ჯგუფში რამოდენიმე ვარიანტი გამოიყოფა. ამათგან, მახვილაურსა და ცაიშის N1 სამარხში აღმოჩენილი ფიგურები სავარაუდოდ გამოსახული არიან ცხოველზე, რომელთა სახეობის განსაზღვრა რთულდება, ვინაიდან სხეულის ფორმები მეტად ტლანქია და დაუმუშავებელი, ამასთანავე, ნივთები პატინით არის დაფარული და ცალკეული დეტალების გარჩევა ვერ ხერხდება. რაც შეეხება ერგეტას სამაროვნის D6 მონაპოვარს, მხედარი შესაძლოა ამ შემთხვევაში ტახზე იყოს მოთავსებული. შესრულების დონითა და სტილისტური თვალსაზრისით გაცილებით დაწინაურებულია ცაიშის N1 სამარხის B1, B2 მუხურჩის B3 და სამოსის B7 მხედრების სკულპტურები, რომელთა მორფოლოგიური ნიშნების ანალიზი, სკულპტურების ამ ჯგუფზე, გარე ფაქტორების შესაძლო გავლენის თვალსაზრისით პრინციპულ მინიშნებას იძლევა.

ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრების ბერძნული ცალების შესახებ მ. ვოიაციმა აღნიშნა, რომ მართალია დეტალების მიხედვით მხედრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თუმცა მათი გენერალური კონცეპტუალური მნიშვნელობა ერთი და იგივეა (Voyatzis 1992, 259). თეგეაში, ოლიმპიასა და ლუსოიში აღმოჩენილი სკულპტურები ცხენების ფიგურების ანალიზის საფუძველზე, ლოკალურ ნამუშევრებადაა მიჩნეული, ხოლო სამოსური მხედარი დანარჩენებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მას ხელში ბავშვი უჭირავს, რაც არა ბერძნული გამოსახულებაა (Voyatzis 1992, 260). მ. ვოიაცისი დამატებით აღნიშნავს, რომ სამოსური ნიმუშის „*ოთხფეხას შემთხვევაში აღინიშნება გარკვეული პელოპონესური მახასიათებელი დეტალები, პელოპონესური დამახასიათებელი დეტალები შესაძლოა დავინახოთ ადამიანის ფიგურის შემთხვევაშიც*“ (Voyatzis 1992, 264-265). თუ რა სახის დეტალებზეა საუბარი ავტორი ამაზე ყურადღებას არ ამახვილებს და აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ზოგადად აღიარებულია სამოსის მხედრის კავკასიური წარმომავლობა.¹⁵

¹⁵ ავტორი სქოლიოში მიუთითებს, რომ პროფ. ბოუზეკმა მას აცნობა „ქალი მხედრების ბევრი გამოუქვეყნებელი მაგალითის შესახებ, რომლებიც გვერდულად სხედან ცხენზე და ხელში ბავშვი უჭირავთ. ნივთები დაცულია თანამედროვე ქართულ მუზეუმებში, ამგვარად ბოუზეკი ეთანხმება იანტცენს, რომ სამოსური ბრინჯაო კავკასიასთან უნდა იყოს კავშირში“ (M. E. Voyatzis 1992, 265). 1992 წლისათვის კოლხეთში ცნობილი იყო ბრინჯაოს ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალი მხედრის

„მაშასადამე ენიგმატური სამოსის მხედარი ჩანს ფლობს მახასიათებლების მიქსტურას, მაგრამ მას უპირატესად კავკასიური იერი აქვს. გავლენების ეს აშკარა კომბინაცია მიუთითებს სახელოსნოზე, რომელიც განთავსებული იყო სადმე, სადაც, ბერძნული, აღმოსავლური და კავკასიური ელემენტები ერთად იყო წარმოდგენილი, შესაძლოა თავად სამოსშიც (Voyatzis 1992, 272).

კუნძულ სამოსზე, ჰერას ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი B7 მხედარი ქალის ფიგურა - სხვა ბერძნული ცალებისაგან მორფოლოგიურად განსხვავებული მახასიათებლების ფლობის გამო ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, ცაიშის N1 სამარხსა და მუხურჩის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე აღმოჩენილ B1, B2 და B3 სკულპტურებთან სტილისტური სიახლოვის საფუძველზე, შესაძლოა, მართლაც ჩაითვალოს კოლხი მელითონის ნახელავად, თუმცა, გასარკვევია ის, თუ რამდენად კოლხურია თავად მხედართა ფიგურების გამომსახველობითი სტილი.

ცაიშის N1 სამარხში მუხურჩის ქვედა სამაროვანსა და სამოსში აღმოჩენილი მხედრები მეტნაკლებად ერთსა და იმავე სტილისტურ ჯგუფში ექცვიან. მათ აერთიანებთ სხეულის ცალკეული ნაწილების ერთგვარი მოდელირება. ამათგან, დაცულობის თვალსაზრისით, დეტალების ანალიზისათვის ყველაზე კარგად მუხურჩის ქვედა სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება გამოდგება. ქალს ზემოდან დაბრტყელებული თავი, რელიეფურად გამოსახული წაწვეტებული ცხვირი, წინ წამოწეული ნიკაპი, ჩაღრმავებით გადმოცემული პირი და რელიეფური ბურთულისებური თვალები აქვს. ყელის არეში შვიდ წყებად შემოუყვება მრგვალგანიკვეთიანი საკისრე რგოლები (ისევე, როგორც ცაიშისა და შემდეგ ვანის¹⁶ ძვ.წ. III საუკუნის ქანდაკებებს, განსხვავებაა მხოლოდ რაოდენობაში) და მკერდიც, ასევე, გადმოცემულია ასევე მრგვალი რელიეფური შემადლებებით.

მხოლოდ ორი ფიგურა. რაც შეეხება მუხურჩის ქვედა სამაროვნის მონაპოვარს, ნივთი იმდენად არის დაზიანებული, რომ რთულია დაზუსტებით ითქვას ეჭირა თუ არა მას ხელში ბავშვი. ბავშვიანი ქალის სხვა ნიმუშები კი ცალკე მდგომი, ან მჯდომარე ფიგურების სახითაა წარმოდგენილი და მათი თარიღები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამათგან, ურეკის მჯდომარე ფიგურა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით, ბომბორის განძის ფიგურა ძვ.წ. VII-VI, ხოლო ჩრდილო კავკასიაში ყობანსა და სხვა რეგიონებში აღმოჩენილი ცალები ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება.

¹⁶ იხ. Kacharava...2009; 237-315

ჩამოთვლილ ნიშანთა უმეტესი ნაწილით მხედრის სკულპტურა ახლო მსგავსებას ავლენს გეომეტრიულ ხანაში კუნძულ კრეტასა და დელფოსში გავრცელებულ ბრინჯაოს ქალის ანთროპომორფულ ფიგურებთან.

კუნძულ კრეტაზე, ბრინჯაოს ქალისგამოსახულებიანი მცირე ფიგურების წარმოების ტრადიცია ჯერ კიდევ ძვ.წ. III - ე ათასწლეულში იღებს სათავეს. აია ტრიადას, პსიქროსა და კატოსიმას საკურთხევლებში, ისევე როგორც პაცოს გამოქვაბულში ანთროპომორფული ფიგურების მიძღვნა ჯერ კიდევ მინოსურ ეპოქაშია დადასტურებული. ანთროპომორფული ფიგურების განვითარების მოგვიანო ეტაპი პროტოგეომეტრიულ და გეომეტრიული პერიოდებზე მოდის (Verlinden 1984, 163). ამ დროისათვის აქ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ადამიანთა ნახევრად ჩამუხლული ფიგურები, რომლებსაც ხელში სასმისი, ყანწი, ან გაურკვეველი ნივთი უჭირავთ (ტაბ XXX,2) (Verlinden 1984, 166, ფიგ 204; 169, ფიგ. 228, 233). ამ აღმოჩენებიდან, ჩვენთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გეომეტრიული პერიოდით დათარიღებული ბრინჯაოს ქალის ფიგურა, რომელსაც კარგად ეტყობა პატარა მრგვალი ყურები, სახის ფორმები სავსეა, კისერზე რამოდენიმე წყებად ხატისუღლები აქვს შემოყოლებული, თვალები და მკერდი კი მრგვალი რელიეფური შემაღლებებითაა გადმოცემული. შენიშნულია, რომ წაგრძელებული კისრით, გრძელი თმით რომელიც ზურგზეა დაღარული, პალიტრას ფორმის წაგრძელებული ხელებით, ზემოდან ბრტყელი, კეფაზე ჩაღარული თავით, წამოწეული შუბლითა და რელიეფური წაწვეტებული ცხვირით, ფიგურა მსგავსებას ავლენს როგორც თანადროულ კრეტულ, ისე სუბმინოსური ხანის ტერაკოტას ფიგურებთან და სტილისტურად მსგავსია დელფოსში აღმოჩენილი ბრინჯაოს გეომეტრიული ხანის ფიგურებისა (ტაბ XXX,1) (Verlinden, 1984, 171 ფიგ. 237). უკვე დედალოსის პერიოდში, ძვ. წ. VII-VI საუკუნეებისათვის ბრინჯაოს ანთროპომორფული სკულპტურების გაფორმებაში ჩამოთვლილთაგან ბევრი ეს დამახასიათებელი დეტალი იკარგება (Verlinden, 1984, 174).

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისთვის კრეტაზე ანთროპომორფული პლასტიკის ფორმები იწყებს გეომეტრიზაციას. ეს სტილი პროტოგეომეტრიული ხელოვნების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოშობილია კრეტიდან. გვიან

მინოსური პერიოდის ბოლოსათვის (დაახლოებით ძვ.წ. 1070), როგორც წესი, ფიგურები გამოხატავენ სხვადასხვა ჟესტებს, სახის ნაკვეთები მიმიქა და სქელი, ხოლო ერთ-ერთ განმსაზღვრელ ტიპოლოგიურ მახასიათებლად მიიჩნევა ჰორიზონტალურად მოჭრილი შუბლის არსებობა (Verlinden, 1984, 177-178).

კრეტის კულტურული ტრადიციის გავლენას ოლიმპიასა და დელფოს ძვ.წ. VIII საუკუნის ანთროპომორფულ პლასტიკაზე არქეოლოგიური მასალის ანალიზი ადასტურებს (Byrne 1991, 110). პელოპონესის ადრეული სკულპტურებს აქვთ იმ ტიპის რიგი მახასიათებლები, რომლებიც აშკარა თანაზიარობას კრეტულ მასალასთან ჰპოვებენ. ამ ჯგუფის ფიგურები აღმართული და წინ გაშვებული მკლავებითა და სიმეტრიულად გამოსახული ფეხებით, თავსაბურავითა და სახის ნისკარტისებური მოდელირებით ხასიათდება. ყველა ეს მოტივი ტიპურია კრეტა მიკენური ხელოვნებისათვის. უფრო განვითარებულ, გეომეტრიული სტილის სერიებში ასევე ძალიან ბევრი დეტალი შეიძლება დასახელდეს როგორც ტიპურად კრეტული. ფიგურებისათვის დამახასიათებელია მოხრილი მუხლები და დაქანებული თავი, ყველაზე აშკარა მაგალითია აღმართული მკლავები, რომელიც ჯერ კიდევ მინოსური ღვთაებისთვისაა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი (Byrne 1991, 155-157).

გარდა B1, B2 და B3 მხედართა სკულპტურებისა, საბერძნეთში გავრცელებული გეომეტრიული ხანის ანთროპომორფული ფიგურებისათვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშნების გავლენის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, ასევე მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილი ცალკე მდგომი ქალის ბრინჯაოს ფიგურაც (ტაბ XXX,3) ნივთი დაზიანებულია, თავი და ხელები არ აქვს შემორჩენილი, თუმცა, ყელზე კარგად ეტყობა მუხურჩისა და სამოსის მხედრებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე წყებად წარმოდგენილი ხატისუღლები. მსგავსად B3 ფიგურისა ამ შემთხვევაშიც, მკერდი გადმოცემულია მრგვალი რელიეფური ბურცობებით. ნივთი დაცულია გ. ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მსგავსი იკონოგრაფიის მქონე არაერთი ქანდაკება არის აღმოჩენილი კოლხური კოლექტიური სამაროვნების სხვადასხვა სამარხულ კომპლექსში. მათგან, მაგალითად შეიძლება დასახელდეს ერგეტას

მეოთხე სამაროვნის N1 სამარხის აღმოჩენა, სადაც ქალღვთაება განზე გაშლილი ზეაპყრობილი ხელებით არის გამოსახული (Mikeladze 1995, 11 სურ. 27).

მ. ინაძე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში კოლხეთში აღმოჩენილ ბრინჯაოს ანთროპომორფულ პლასტიკას კოლხეთსა და ეგეოსურ სამყაროს შორის არსებული კავშირის დასტურად მიიჩნევდა. მისი მოსაზრებით, „ადორანტის პოზაში გამოსახული ბრინჯაოს ქალისა და მამაკაცის ქანდაკებების ნაწილი სავსებით შესაძლებელია შემოეტანათ ეგეოსელ მცირეაზიელ ვაჭრებს, რომლებიც ამ გამოსახულებებს თვითონვე სწირავდნენ ღმერთების დიდ დედას. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ ასეთ ქანდაკებას ამ ვაჭრებისაგან იძენდნენ ადგილობრივი მკვიდრნი, რადგან კოლხურ საწესო რიტუალებში ქალის ბრინჯაოს ქანდაკებებს გარკვეული როლი ეჭირათ. სავსებით შესაძლებელია ბერძნული წარმომავლობის ბრინჯაოს ქანდაკებების მიზანმიმართული მათი ადგილობრივი დამზადებაც“ (ინაძე 2009, 217-218).

კოლხურ მატერიალურ კულტურაში შესაძლო ბერძნული გავლენის თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ო. ლორთქიფანიძის მიერ დასახელებული ბრინჯაოს მეეტლის ქანდაკება მუხურჩის სამაროვნიდან (ტაბ. XXX,4,5), რომელიც, როგორც ავტორი აღნიშნავს, ახლო მსგავსებას ოლიმპიისა და დელფოსის არქეოლოგიურ მასალებთან პოულობს (ტაბ. XXX, 6)(ო. ლორთქიფანიძე 1999, 27). დასახელებულ სკულპტურას ანალოგი არც ადგილობრივ მატერიალურ კულტურაში მოეპოვება და არც ახლო აღმოსავლურ ფიგურებში. თუმცა მუხურჩის მეეტლე დეტალების მხრივ გაირჩევა ბერძნული ვარიანტებისაგან, მის მიერ სადავის დასაჭერად წინ მიმართული მკლავების პოზიციასა და ჭვირული სტილით შესრულებულ ეტლის ჩარჩოში ო. ლორთქიფანიძე გვიან გეომეტრიული ხანისათვის დამახასიათებელ, წმინდა ბერძნულ ფენომენს ხედავს და ვარაუდობს, რომ ნიმუში ან იმპორტს წარმოადგენს და ან ადგილობრივ ფაბრიკაციას (Lordkipanidze 2001, 14-23). თავისმხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომ საბერძნეთში აღმოჩენილი მეეტლის ბრინჯაოს ქანდაკებები ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითისათვის, ოლიმპიაში მოპოვებული მეეტლის ორი ფიგურიდან, პირველი ფიგურის სხვადასხვა დეტალში ლაკონიის სტილის გავლენას ხედავენ, ხოლო მეორე ფიგურის სახე

მსგავსებას ადგილობრივი თიხის სკულპტურებთან ავლენს (Fuchs 1980, 36, ტაბ.VIII, 1-2).

ზოგადად, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში კოლხურ მატერიალურ კულტურაში ადგილობრივ ნაწარმთან ერთად გამოჩენილი ბრინჯაოს ანთროპომორფული და ზოომორფული სკულპტურები, კანთაროსისა და კალათოსის ტიპის ჭურჭელი და კოლხური კერამიკის დეკორში გავრცელებული მეანდრისა და სვასტიკის გამოსახულებები ო. ლორთქიფანიძეს შესაძლო ბერძნული ინსპირაციის მანიშნებლად მიაჩნდა (Lordkipanidze 2001, 14-23).

ვანში, ცენტრალურ ტერასაზე, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ საკულტო კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეტად თავისებური ცხოველთა ორმხრივპროტომიანი ტერაკოტული ქანდაკებები ო. ლორთქიფანიძემ ლურისტანსა და ბერძნული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებში (ოლიმპია, დელფო, ათენი, კრეტა, როდოსი, სამოსი და სხვ) აღმოჩენილი ნიმუშების ფონზე განიხილა და სტილისტური ანალიზის საფუძველზე მათი წარმომავლობა ბერძნულ სამყაროს დაუკავშირა (Lortkipanidze 1995, 7). ვანის მსგავსად, ორმაგპროტომიანი თიხის ფიგურები, ცხენების, ხარებისა და ძროხების წყვილადი ნაკეთობები აღმოჩენილია ნოქალაქევაში ძვ. წ VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ საკულტო კომპლექსში. აქ, ისევე როგორც ვანში, ტიპიურ ადგილობრივ კერამიკაში გამოიყოფა სრულიად ახალი ფორმები (მაგ. კანთაროსისებრი ჭურჭელი) და გაზიარებულია მათი კავშირი ბერძნულ სამყაროსთან (ლომიტაშვილი 2003, 19-21).

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში აღმოჩენილ ბრინჯაოს ზოომორფულ მრგვალ ფიგურებს შორის არსებულ ხარების ჯგუფს, როგორც ნაშრომის წინა თავებში განხილული არქეოლოგიური მასალის შედეგად გამოჩნდა, ყველაზე ახლო პარალელები ასევე გეომეტრიული ხანის საბერძნეთის მატერიალურ კულტურაში ეძებნება. საბერძნეთის სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე გავრცელებული ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკის არქეოლოგიური კონტექსტის, ქრონოლოგიური ჩარჩოს, სახელოსნო ცენტრებისა და ფუნქციური დატვირთვის განხილვის შედეგად ირკვევა, რომ აქ ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურები კოლხეთის რეგიონისაგან განსხვავებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ ძვ. წ. IX-ე

საუკუნიდან ჩნდება და არსებობას ძვ. წ. VI-ე საუკუნემდე განაგრძობს. გვხვდება უფრო ადრეული თიხის ფიგურები, რომლებიც პირდაპირ იმეორებს ბრინჯაოს ნივთებს. საბერძნეთში გვიანგეომეტრიულ ხანაში ზოომორფული ფიგურები ჩვეულებრივ, ყოველთვის საკურთხეველებში არის აღმოჩენილი და მათი რაოდენობა თითოეულ პუნქტში ხშირად ასეულებს აჭარბებს. როგორც წესი ისინი ღვთაებათა (ზევსის, ჰერას, არტემიდესა და აპოლოს) შესაწირ ძღვენს წარმოადგენენ. ოლიმპიაში, არკადიაში, თეგეაში, სამოსში, სპარტაში, ათენსა და კრეტაზე - მინოსში, ფესტოსში, პსიქროსა და ჰაგია ტრიადაზე და ა.შ. აღმოჩენილია არა მხოლოდ ხარის, არამედ ცხენის, ვერძისა და სხვადასხვა მსხვილფეხა საქონლის ბრინჯაოს ქანდაკებებიც, რომელთა სახეობის დადგენა ხშირად შეუძლებელია. მხოლოდ ოლიმპიის მაგალითზე დღეისათვის ცნობილია ბრინჯაოს ოთხი ათასამდე ამ ტიპის ნივთი. ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ კოლხურ კოლექტიურ სამაროვნებში აღმოჩენილი ზოგიერთი ხარის სკულპტურა ახლო ანალოგიებს პოულობს საბერძნეთის სხვადასხვა პუნქტში და განსაკუთრებით კრეტაზე მოპოვებულ ხარის გამოსახულებებთან. როგორც ირკვევა, მცირე პლასტიკის ზოგადი სტილი და ნივთების ჩამოსხმის ტექნიკა ორივე რეგიონში ერთგვაროვანია (Vachadze 2016, 1099-101).

ამდენად, ბრინჯაოს ცხოველთა და მხედართა მცირე ქანდაკებები კოლხეთში დროის გარკვეულ მონაკვეთში ჯგუფურად იწყებს გამოჩენას და მორფოლოგიური ნიშნებით თანადროული თუ წინარე პერიოდის სადღეისოდ ცნობილი კოლხური ბრინჯაოს პლასტიკისაგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ მხატვრულ წრეს აყალიბებს. ამ პერიოდისათვის, მუხურჩის კოლექტიურ სამაროვანზე ბრინჯაოს მრგვალ ზოომორფულ ფიგურებთან ერთად, აღმოჩენილია ცხენზე გვერდულად მდგომარე ქალი მხედრის, ცალკე მდგომი ქალისა და მეეტლის ბრინჯაოს ქანდაკებებიც. ყველა დასახელებული ნივთი გარკვეულწილად, იკონოგრაფიული სტილით, მსგავსებას გეომეტრიული ხანის საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილ ბრინჯაოს სკულპტურებთან პოულობს. პარალელურად ბერძნული კულტურის გავლენა ივარაუდება ვანსა და ნოქალაქეში მოპოვებულ კერამიკულ ფორმებსა და ცხოველთა ტერაკოტულ ქანდაკებებშიც.

ზოგადად, ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ქალი მხედრების სკულპტურული გამოსახულება კავკასიაში ძვ.წ. VIII საუკუნიდან იწყებს გამოჩენას. იმ შემთხვევაში, თუკი მხატვრული სახის სესხებაზეა საუბარი, ყველა ჩამოთვლილი რეგიონიდან, მისი თავდაპირველი წყარო უთუოდ ეგეოსურ და არა აღმოსავლურ სამყაროშია საძიებელი. ამ მოსაზრებას, ზემოდასახელებული მაგალითების გარდა, ამყარებს საბერძნეთსა და კოლხეთში აღმოჩენილი მხედრების კავშირი ბუნების ძალებთან და ნაყოფიერებასთან, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ ბერძნულ სამყაროში აღმოჩენილი ცხოველზე გვერდულად მჯდომი ადამიანისა და ხარის ფიგურების იკონოგრაფიული სტილი, ქრონოლოგიურად ორივე შემთხვევაში წინ უსწრებს კოლხეთში გავრცელებულ ნიმუშებს.

ჩანს იკონოგრაფიის მიღებისა და მისი სწრაფი ათვისების შემდეგ, ფიგურები იწარმოებოდა ადგილობრივად და საკულტო ნივთებს შორის თავიანთი განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხურ კულტურულ კონტექსტში. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებისათვის, ბრინჯაოს ზომორფული ფიგურები წარმოადგენდნენ არა სპორადული ხასიათის ინვენტარს, არამედ, დამახასიათებელ კოლხურ მოვლენას, რომელიც თავის თავში მოიცავდა სპეციალური დატვირთვის მქონე სიმბოლიკას და განსაზღვრული როლი ჰქონდა ადგილობრივ საზოგადოებაში.

როგორც უკვე წინა თავებში აღინიშნა, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდისათვის საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ოლქებს შორის არსებულ სავაჭრო/კულტურულ ურთიერთობებში ჩართული მელითონეები მოგზაურობდნენ დაშორებულ რეგიონებში და ამგვარად ხელოვნდებოდნენ ახალი სტილისა და მეთოდების ჩამოყალიბებაში (Mattush 1988, 35). სწორედ საერთო სავაჭრო/გაცვლით პროცესებში აქტიური ჩაბმულობით უნდა აიხსნას და ამგვარი კონტაქტების არსებობის პირდაპირი მოწმობა უნდა იყოს კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გამოჩენილი სიახლეები. ხელოსნები, რომლებიც ამზადებდნენ ბრინჯაოს ანთროპომორფულ და ზომორფულ პლასტიკას კოლხეთში, იცნობდნენ და იყენებდნენ გეომეტრიული ხანის საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებში გავრცელებულ მხატვრულ ტრადიციებს, რომელიც, როგორც ჩანს კარგად

ეთვისებოდა და ასახავდა ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებებსაც. თავისმხრივ მხრივ, ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ბერძნები კარგად იცნობდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლს, მტკიცდება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ე.წ. „გემების კატალოგში“ წარმოდგენილი გეოგრაფიული აღნიშვნების სერიებით (Lordkipanidze 1991, 14).

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, „კოლონიების დაარსებას წინ უძღვოდა მოსამზადებელი პერიოდი, რაც გულისხმობდა შესაბამის არეალებში ზღვაოსნურ მოგზაურობას. სავაჭრო ურთიერთობების დამყარების ყველაზე მარტივ საფეხურს არარეგულარული ინტერვალებით გემით ვიზიტი წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა საჩუქრების გაცვლას გამოცვლას. მეორე საფეხური იყო რეალური ვაჭრობა: თავიანთი საქონლის დრო და დრო შეთავაზება მყიდველისათვის. ბოლო საფეხური კი რეგულარულ ურთიერთობას გულისხმობდა“ (Bouzek, 1997, 168). შესაძლოა, რომ გარკვეულწილად სწორედ ამ ეტაპების ურთიერთობებს ასახავდეს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გავრცელებული ნოვაციები.

რაც შეეხება უშუალოდ ბერძნული მასალის პირდაპირ იმპორტს, მათი ყველაზე ადრეული ნიმუშები კოლხეთში ძვ. წ. VII-ე საუკუნის ბოლოსა და VI-ე საუკუნის დასაწყისში, ზღვისპირა ზოლში იჩენს თავს და წარმოდგენილია იონური კერამიკის, ქიოსური, ლესბოსური, სამოსური და ფსევდო-სამოსური ამფორების ფრაგმენტებით (გ. კვირკველია 1999, 8-9). ცხოველის გამოსახულებიანი შვიდი ტერაკოტული ქანდაკება პირდაპირი იმპორტის სახით ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ფიქსირდება ციხისძირში, მათი დამზადების ცენტრად კი კუნძული როდოსია მიჩნეული (ვაშაკიძე...1999, 14-15). უკვე გვიანარქაულ ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის მოსახლეობას პირდაპირი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები უნდა ჰქონოდა კუნძულ სამოსთან, ქიოსთან და შესაძლოა როდოსთანაც (კახიძე 1999, 23). ძვ. წ. VI საუკუნიდან კი კოლხეთის ბაზრებზე ატიკური პროდუქცია გამოჩნდა (ლორთქიფანიძე 2008, 290-291).

ამრიგად, კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზოომორფული პლასტიკის ქრონოლოგიური, სტილისტური და იკონოგრაფიული ანალიზი საბოლოოდ

ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ჯერ კიდევ წინასაკოლონიზაციო პერიოდში საფუძველი ეყრება ურთიერთობას კოლხეთსა და ეგეოსურ სამყაროს შორის. ამავე ხანაში ვრცელდება კოლხეთში და მოსახლეობის ფართო ცოდნას წარმოადგენს ინფორმაცია ოქროს ვერძისა და არგონავტების მოგზაურობის შესახებ (ვ. ლიჩელი). ამ ურთიერთობათა ყველაზე ნათელი მაგალითი (ბრინჯაოს ფიბულებთან ერთად) არის ხარებისა და მხედარი ქალღვთაებების ფიგურების მომრავლება, რაც, ერთი მხრივ, მომდევნო ხანების ინტენსიური კონტაქტების წინაპირობა იყო, ხოლო, მეორე მხრივ, ერთგვარად აგრძელებდა იმ ტრადიციას, რომელიც, ზოგადად, ეგეოსური სამყაროს კავკასიასთან ურთიერთობაში აისახა ჯერ კიდევ ძვ.წ. III-II ათასწლეულებში.

დასკვნა

მკ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში გამოჩენას იწყებს სხვადასხვა ცხოველთა ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკებები, რომელთათვის საერთოა კომპოზიციის რბილი და სქემატური ფორმები. სხეულის პროპორციები ყოველთვის ზუსტად არ არის გადანაწილებული. სკულპტურების ზედაპირი სადაა და დაუმუშავებელი. იშვიათ შემთხვევებში სხეული ნაპრიალებია, სახეზე აღნიშნულია თვალები, დრუნჩი და პირი, ან ცხოველებს აქვთ სასქესო ორგანოები. სკულპტურები გამოსახული არიან სტატიკურ პოზაში, უმეტესად, განზე გადგმული, ასიმეტრიულად განლაგებული კიდურებით. მიუხედავად სხეულის ცალკეულ ფორმებს შორის არსებული სხვაობისა, ცხოველთა ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკებები ყველა ამ ნიშნებით სტილისტურად ერთსა და იმავე წრეს მიეკუთვნებიან და დამოუკიდებელ, ცალკე მდგომ მხატვრულ ჯგუფს აყალიბებენ.

ცხოველების სახეობათა რაოდენობრივი შეფარდება არათანაბარია. მათ შორის ჭარბობს ხარების ფიგურები. მომდევნო ჯგუფი მხედართა ქანდაკებებით არის წარმოდგენილი. მცირე რაოდენობითაა ცხენისა და სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებებიც. ზოგიერთი ცხოველის სახეობის დადგენა ვერ ხერხდება.

ბრინჯაოს ზომორფული მრგვალი ფიგურების რაოდენობა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაორმაგდა. მათი აბსოლიტური უმრავლესობა აღმოჩენილია კოლხური კოლექტიური სამარხების სხვადასხვა სამაროვანთა კომპლექსებში. ნივთების მეორე და შედარებით მცირე ნაწილი კი შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად არის მოპოვებული.

მკ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს მრგვალი ზომორფული ფიგურების კონცენტრაციის ძირითად კერად უშუალოდ ცენტრალური კოლხეთის სამაროვნები წარმოგვიდგება. ჩრდილოეთით, ამ ტიპის ქანდაკებების გავრცელების საზღვარი მოიცავს ლეჩხუმისა და სვანეთის ტერიტორიებს და აბგარხუკამდე აღწევს, ხოლო სამხრეთით, მახვილაურამდე ვრცელდება. ბრინჯაოს ზომორფული მრგვალი ქანდაკებების გავრცელების უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტად კი საჩხერის რეგიონი წარმოგვიდგება.

ამ ეტაპზე ცნობილი კოლექტიური სამაროვნებიდან მრგვალი ფიგურები თავმოყრილია ცაიშის, ერგეტას, მუხურჩის, დღვაბას, ურეკისა და მახვილასურის სამარხულ კომპლექსებში.

განსაკუთრებული სიუხვით კონკრეტულად დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე, ერთმანეთის სიახლოვეს მდებარე ცაიშის, ერგეტას, მუხურჩისა და დღვაბას არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენები გამოირჩევა.

ბრინჯაოს მრგვალი ზოომორფული ფიგურების ერთი ნაწილის XRFS - ით ჩატარებული ზედაპირული ანალიზის შედეგად ჩანს, რომ თითოეული ნივთის ლითონის შემადგენლობაში არსებული კომპონენტები სხვადასხვა ელემენტებითა და რაოდენობით არის წარმოდგენილი. სპილენძზე დანამატების სახით გამოყენებულია რკინა, დარიშხანი, ანთიმონი, კალა, ვერცხლი, ტყვია და თუთია. დასტურდება ორი ძირითადი ტიპის შემადგენლობა: ერთ შემთხვევაში ლითონის კომპონენტებში ჭარბობს კალა, ხოლო მეორე შემთხვევაში ბრინჯაოს სხმულები სპილენძზე მცირე რაოდენობის სხვადასხვა მინარევების დამატებით არის მიღებული.

ზოომორფულ სკულპტურებს შორის არსებული სხვადასხვაობა, მათ შორის, ერთსა და იმავე სამარხულ კომპლექსში აღმოჩენილი ფიგურების ფორმათა მრავალფეროვნება, საფუძველს ქმნის ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ნივთები მზადდებოდა ერთჯერადი თიხის ყალიბების გამოყენებით. ამავე გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული ის ფაქტიც, რომ დღემდე ცნობილ არქეოლოგიურ მასალაში ამგვარი ყალიბების აღმოჩენის არც ერთი ფაქტი არ დასტურდება.

ნაშრომში წარმოდგენილ სკულპტურებს შორის, ნივთების სახელოსნოების მკვეთრად გამიჯვნა მხოლოდ ჩრდილოეთ კოლხეთის მონაპოვრების მაგალითზე ხდება შესაძლებელი. ფიგურები სხეულის შედარებით სქელი, დახვეწილი ფორმებით და ზედმიწევნით ნაპრიალები ზედაპირით, საგრძნობლად განსხვავდებიან ცენტრალურ კოლხეთში აღმოჩენილი ხარის ფიგურებისაგან, რომლებისთვისაც დაუმუშავებელი და უხეში ტორსის არსებობაა დამახასიათებელი.

რაც შეეხება ცენტრალურსა და სამხრეთ კოლხეთში აღმოჩენილ მცირე ქანდაკებებს, მათი შესრულების მანერა უფრო მეტ საერთოს პოულობს, ხოლო მხედრების სკულპტურებს შორის არსებული სპეციფიური დეტალების მსგავსება

მათი საწარმოო სახელოსნოების არა მხოლოდ იდეურ, არამედ ზოგადად, სტილისტურ ერთიანობაზეც უნდა მეტყველებდეს.

ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი სკულპტურების წარმოებაში ყულევისა და მუხურჩის სახელოსნოების გავლენა უნდა ვივარაუდოთ. რაც შეეხება ჩრდილოეთ კოლხეთში, ურეკსა და მახვილაურში აღმოჩენილ ქანდაკებებს, ნივთების სავარაუდო საწარმოო ცენტრებად მათივე არქეოლოგიური ძეგლების სიახლოვეს მდებარე სახელოსნო პუნქტები უნდა მივიჩნიოთ. ზოომორფული ფიგურების ნაწილი შესაძლოა დამზადებულიყო თავად კოლექტიური სამარხების ტერიტორიაზე, შესაძლოა აქ გამართულ სარიტუალო მოედნებზეც, სპეციალური პროცესიის დროს, რაზეც კოლექტიური სამაროვნების ტერიტორიაზე დაფიქსირებული ბრინჯაოს წარმოებასთან დაკავშირებული ნაღვენთები უნდა მიუთითებდეს. ქანდაკებების დასამზადებლად გამოყენებული უნდა იყოს ცვილის მოდელი.

არქეოლოგიური კონტექსტის მიხედვით დათარიღებული ზოომორფული ფიგურების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ამ ეტაპისათვის ცნობილი ცხოველისგამოსახულებიანი ფიგურები, განსაკუთრებული სიმრავლით, 90 %-ის ოდენობით იმ სამარხებშია აღმოჩენილი, რომელთა ინვენტარში უკვე მრავლად გვხვდება რკინის მასალა, ისევე როგორც კოლხური გრავირებული ცულები და ზოგადად მატერიალური კულტურის ის ნივთები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით არის განსაზღვრული. დროის არც ერთ სხვა მონაკვეთში ამდენი მრგვალი ზოომორფული ფიგურა ერთად კოლხეთში დაფიქსირებული არ არის, ან გამონაკლისის სახით, მათი აღმოჩენები მეტად სპორადულია. რაც შეეხება ცხოველთა მრგვალი ქანდაკებების შედარებით ადრეულ და გვიანდელ ნიმუშებს, ამ ეტაპზე სკულპტურები გაცილებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. მათი ნაწილი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში ექცევა, ნაწილი კი ძვ.წ VII საუკუნის ბოლო და VI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

ძვ.წ. I ათასწლეულიდან ძვ.წ. VII-ე საუკუნის პირველ ნახევრამდე გავრცელებული მრგვალი ფიგურებისაგან განსხვავებით, ძვ.წ. VII საუკუნის მეორე

ნახევრითა და ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებული სკულპტურები კიდევ უფრო სქემატური ხდება, ფორმები სქელდება და მრგვალდება. ამ პერიოდში ცხოველთა მრგვალი ქანდაკებების რაოდენობა უკვე უმნიშვნელოა, ქანდაკებები მცირდება ზომამდე.

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში კოლხურ სამაროვნებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ხარის ფიგურების სიმბოლიკის განსასაზღვრად შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობის იყოს ის ფაქტი, რომ მაგალითად, ერგეტას სამაროვნის ზოგიერთ კოლექტიურ სამარხში ასეულობით თოხი და ათეულობით რკინის სახნისი იქნა მოპოვებული. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შრომის იარაღების ამ რაოდენობით აღმოჩენის არაერთი შემთხვევა კოლხეთში მეურნეობის მაღალი დონისა და მნიშვნელოვანი როლის ფაქტობრივი დასტურია, რაც შესაბამისად პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ხარის, როგორც დასახელებულ დარგში წამყვანი ცხოველის გაზრდილ პოპულარობასთან. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დროის საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში საზოგადოებაში მომხდარი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, ხარის სიმბოლურ დატვირთვას ტრანსფორმაცია უნდა განეცადა და შესაბამისად ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდისათვის მასში დროთა განმავლობაში დაფენებული რწმენა წარმოდგენები ერთიანად უნდა იყოს შეთავსებული. ამდენად, ხარი წარმოგვიდგება, როგორც სინკრეტული სიმბოლიკის მატარებელი საკულტო ცხოველი, რომელიც ამ პერიოდში კოლხეთში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედებასთან, ნაყოფიერებასთან და სავარაუდოდ მიცვალებულთა კულტთან.

ცხენზე ან ცხოველზე გვერდულად მჯდომი ქალი მხედრების სკულპტურები ნაყოფიერებასთან და ბუნების ძალების განახლებასთან რომ უნდა იყოს კავშირში, ამას ცაიშის N1 სამარხში და კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილი ნიმუშები ადასტურებს. ყველა შემთხვევაში ქალს ხელში ბავშვი უჭირავს.

ქალი მხედრების ბავშვით ან სასმისით გამოსახვა, ისევე როგორც მათ თანმხლებ ცხოველებს შორის არსებული სხვაობა და არა უშუალო კავშირი რომელიმე კონკრეტულ სახეობასთან, საფუძველს ქმნის ვივარაუდოთ, რომ

სკულპტურები ზოგადად განასახიერებენ უძველეს ღვთაებას, რომელიც ფლობდა ნაყოფიერების, ცხოველთა პატრონაჟისა და ზოგადად მშობელი ძალის ფუნქციებს.

ძვ.წ. I ათასწლეულში კოლხეთში დამოწმებულ ბრინჯაოს შველის, ავაზისა და სხვა დაუდგენელი სახეობის ცხოველთა სიმბოლიკის შესახებ კი უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, განვითარების ცალკეულ საფეხურზე ირემი, ჯიხვი, ძაღლი და ა.შ. ბუნების დიდი დედის ატრიბუტად იქცევიან, ამდენად, მატერიალური კულტურის ძეგლებზე ამ ცხოველების ხშირი ასახვა ბუნების დიდი დედის კულტის ფართო გავრცელებად არის მიჩნეული.

ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურების საფუძვლიანი ანალიზი, მათი განხილვა წინარე და მომდევნო ხანის კოლხური მატერიალური კულტურის ფონზე, ცხადყოფს, რომ პლასტიკის ეს ჯგუფი მორფოლოგიურად მკვეთრად განსხვავდება როგორც თანადროული, ისევე მომდევნო ხანის ბრინჯაოს კოლხური ზოომორფული პლასტიკისაგან და დამოუკიდებელ, ცალკე მდგომ სტილისტურ ჯგუფს აყალიბებს.

ამ ჯგუფის სკულპტურების განხილვა აღმოსავლურ ქართულ, ჩრდილო კავკასიურ, წინა აზიურ, ლურისტანულ და ეგეოსურ სამყაროში გავრცელებულ ბრინჯაოს ზოომორფულ ნაწარმთან მიმართებაში, ცხადყოფს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულში კოლხეთში აღმოჩენილი ცხოველთა მრგვალი ქანდაკებები მსგავსებას არ ავლენენ არც აღმოსავლურ ქართულ, სამთავრული ტიპის მასალასთან, არც ჩრდილო კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებსა და ახლო აღმოსავლეთსა და ანატოლიაში გავრცელებულ ცხოველთა გამოსახულებებთან.

კოლხეთში გავრცელებული ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებები, სტილისტურად და მორფოლოგიურად საერთო ელემენტებს გეომეტრიული პერიოდის საბერძნეთის არქეოლოგიური მასალისათვის დამახასიათებელ ბრინჯაოს ქანდაკებებთან პოულობენ. გარდა სამოსის ჰერაიონში აღმოჩენილი ცხენზე გვერდულად მდჯომარე მხედარი ქალის სკულპტურისა, მსგავსება ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ხარის ფიგურების შემთხვევაშიც თვალსაჩინოა.

კოლხურ მატერიალურ კულტურაში გამოჩენილი სიახლეები (კერამიკული ფორმები, მეეტლის ქანდაკება მუხურჩიდან, ფიბულები და. ა.შ.) და ის ფაქტი, რომ

როგორც მუხურჩისა და ცაიშის მხედრების, ისე მათი თანადროული ანთროპომორფული პლასტიკის ცალკეულ დეტალებში ბერძნული გეომეტრიული ბრინჯაოს ნაწარმისათვის დამახასიათებელი ნიშნები ვლინდება, მიუთითებს იმაზე, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის საერთაშორისო სავაჭრო/კულტურულ გაცვლით ურთიერთობებში ჩართულ მელითონეთა შორის უნდა ყოფილიყვნენ კოლხებიც. ხელოსნები, რომლებიც ამზადებდნენ ბრინჯაოს ზოომორფულ და ანთროპომორფულ სკულპტურებს, კარგად იცნობდნენ და იყენებდნენ გეომეტრიული ხანის საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებში გავრცელებულ მხატვრულ ტრადიციებს, სადაც მთელი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარის განმავლობაში, პრაქტიკულად არ მოიძებნებოდა არც ერთი თუნდაც მოკრძალებული პუნქტი, ბრინჯაოსა და თიხის ცხოველთა და ადამიანთა ფიგურული გამოსახულებების გარეშე.

ბრინჯაოს ზოომორფული მრგვალი ქანდაკებების იკონოგრაფიული სახე თავდაპირველად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობაში სწორედ ბერძნული იმპულსით უნდა გავრცელებულიყო. ჩანს ეს სიმბოლური ემბლემები კარგად ეთავსებოდა და ასახავდა ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებებსა და რწმენა წარმოდგენებს. მათი გამოჩენისა და სწრაფი ათვისების შემდეგ, ბრინჯაოს ქანდაკებები იწარმოებოდა ადგილობრივად და საკულტო ნივთებს შორის თავიანთი განსაკუთრებული ედგლი ეკავათ წინარე ანტიკური ხანის კოლხურ კულტურულ კონტექსტში.

დანართი I. კატალოგი

ხარების ჯგუფი

A1 ხარი. ფიგურას დაზიანებული აქვს მარცხენა რქა და უკანა კიდურები. წინა კიდურებზე სქემატურად გამოსახული აქვს ჩლიქები. მუხურჩა, კოლხური კოლექტიური სამარხი N2. გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. 639. H 8, L 4.5. (ტაბ. IX, 1), ძვ.წ. VIII-VII სს

ბიბლიოგრაფია: გ. ელიავა 1987, 40; 49, ტაბ. 39

A2 ხარი. ნივთი დაფარულია მუქი ფერის პატინით. წინა კიდურებზე სქემატურად აქვს გამოსახული ჩლიქები. შემთხვევითი აღმოჩენა. დღნორისას გაუქმებული ეკლესია. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ინვ. 5467. H 8, L 5. (ტაბ. IX, 2), ძვ.წ. VIII-VII სს

ბიბლიოგრაფია: ო. ლანჩავა 2007, 39; ო. ლანჩავა 2015, 65

A3 ხარი. აკლია მარცხენა რქა და უკანა კიდურები. წინა კიდურებზე სქემატურად გამოსახული აქვს ჩლიქები. დღვაბა, კოლხური კოლექტიური სამარხი N2. ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, ინვ. 08633. H 7.2, L 7.1 (ტაბ. IX, 3), ძვ.წ. VII ს

ბიბლიოგრაფია: T. Mikeladse 1995, 5, სურ. 68

A4 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 867. H 3.1, L 4.7 (ტაბ. IX, 4), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 15; 64, ტაბ. 24,1

A5 ხარი. გამოსახული აქვს სასქესო ნიშნები და დიულაპი. მუხურჩა, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. 575. H 5, L 8 (ტაბ. IX, 5), ძვ.წ. VIII-VII სს

ბიბლიოგრაფია: გ. ელიავა 1987, 30; 36, ტაბ.28

A6 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. აკლია კუდის ნაწილი. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ

არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 907. H 7.5, L 7.3 (ტაბ. IX, 6), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 15; 110, ტაბ. 70, 7

A7 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 868. H 5, L 5.5 (ტაბ. X,1), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 15; 64, ტაბ. 24,3

A8 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 1119. H 4, L 6 (ტაბ. X,2), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 15; 110, ტაბ. 70,4

A9 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. აკლია ორივე რქა, სრულად მხოლოდ წინა მარცხენა კიდური აქვს შემორჩენილი. მუხურჩა, კოლხური კოლექტიური სამარხი N5 გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. 877. H 6, L 3 (ტაბ. X,3), ძვ.წ. VIII-VII

ბიბლიოგრაფია: გ. ელიავა 1987, 64; 66, ტაბ. 47

A10 ხარი. ნივთი დაზიანებულია. აკლია მარცხენა რქა, სრულად მხოლოდ წინა მარჯვენა კიდური აქვს შემორჩენილი. წელის არეში გატეხილია. ერგეტა, მეორე სამაროვნის N11 კოლექტიური სამარხი. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი. H 4.3, L 4 (ტაბ. X, 4), ძვ.წ. VII საუკუნის ბოლო და VI საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: P. И. Папуашвили, А. С. Балахванцев 2016, 199-200, სურ. 5. 32

A11 ხარი. დაზიანებული აქვს მარცხენა რქის ნაწილი. გამოსახული აქვს სასქესო ნიშნები და დიულაპი. ურეკი, კოლხური კოლექტიური სამარხი N3. ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი, ინვ. 5083. H 7.7, L 10.4 (ტაბ. X,5), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: თ. მიქელაძე 1985, 60-62, ტაბ. XIII,13

A12 ხარი. მოტეხილი აქვს კუდი. გამოსახული აქვს დიულაპი. დღვას სამაროვანი. ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, ინვ. 08634. H 7.5 L 8.5 (ტაბ. X,6), ძვ.წ. VII ს

A13 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 866. H 5.7, L 6.2 (ტაბ. XI,1), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 15; 64, ტაბ.24,5

A14 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. წელის არეში შიდა მხრიდან დაზიანებულია. უკანა კიდურებზე სქემატურად გამოსახული აქვს ჩლიქები. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 874. H 6.7, L 8 (ტაბ. XI,2), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 15; 64, ტაბ.24,4

A15 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. ოთხივე კიდურზე კვეთის გზით იმიტირებული აქვს ჩლიქები. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 874. H 6.7. L 8 (ტაბ. XI,3), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 15; 64, ტაბ.24, 6

A16 ხარი. გამოსახული აქვს დიულაპი. ერგეტა. მესამე სამაროვნის კოლხური კოლექტიური სამარხი N4. H 6.5. L 6.3 (ტაბ. XI,4), ძვ.წ. VII ს

ბიბლიოგრაფია: T. Mikeladse 1995, 15, სურ. 49

A17 ხარი. მოტეხილი აქვს კუდი, გამოსახული აქვს დიულაპი. უკანა მარჯვენა კიდური დეფორმირებულია. შემთხვევითი აღმოჩენა, სვანეთი, ლატალი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი, ინვ. 2883, H 5, L 6 (ტაბ. XI,5), ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი

A18 ხარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. უკანა კიდურები წინა კიდურებთან შედარებით მოკლეა და ბოლოკვეთილი. წინა წყვილზე სქემატურად გამოსახულია ჩლიქები. ყელზე რელიეფურად შემოუყვება მრგვალგანიკვეთიანი საყელური. კისერზე დატანილი აქვს დიულაპი. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N2.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 3746, H 3.5, L 5
(ტაბ. XI,6), ძვ.წ. I ათასწლეულის I მეოთხედი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 20; 124, ტაბ. 84, 9

A19 ხარი. მოტეხილი აქვს ორივე რქა. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 869. H 5.8, L 7.7 (ტაბ. XII,1), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2015, 15; 64, ტაბ. 24, 9

A20 ხარი. გამოსახული აქვს დიულაპი. ნივთი დაფარულია პატინით. შემთხვევითი აღმოჩენა, ლეჩხუმი, სოფ. ორბელი. ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ინვ. 1578. H 7, L 7 (ტაბ. XII,2), ძვ.წ. VIII-VII ს

A21 ხარი. დღვაბა. კოლხური კოლექტიური სამარხი N2. H 6, L 6.9 (ტაბ. XII,3)

ბიბლიოგრაფია: T. Mikeladse 1995, 5, სურ. 67 (ტაბ. XII,3), ძვ.წ. VII ს

A22 ხარი. გამოსახული აქვს დიულაპი. შემთხვევითი აღმოჩენა, საჩხერე, სოფ. ორღელე, ქვედაძეების უბანი. ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ინვ. 902880. H 5.1, L 5.7 (ტაბ. XII,4), ძვ.წ. I ათასწლეულის II-ე მეოთხედი

A23 ხარი. ოთხივე კიდურზე კვეთის გზით იმიტირებული აქვს ჩლიქები. აფხაზეთი, აზგარხუკი (ტაბ. XII,5), ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი

ბიბლიოგრაფია: Б. А. Куфтин, 1949 ა, 229, სურ. 6

A24 ხარი. რელიეფური შემადღებებით გამოსახული აქვს თვალეზი. შემთხვევითი აღმოჩენა, ლეჩხუმი, დეხვირი. ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ინვ. 1578. H 7, L 7 (ტაბ. XII, 6), ძვ.წ. VIII-VII ს

ბიბლიოგრაფია: ნ. სულავა 2014, 54-55

A25 ხარი. ნივთი დაფარულია პატინით. წინა კიდურები და დრუნჩის ნაწილი მოტეხილი აქვს. შემთხვევითი აღმოჩენა. წყალტუბო, სოფ. მაღლაკი. კერძო კოლექცია (ტაბ. XIII, 1), ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი

ბიბლიოგრაფია: ო. ლანჩავა 2015, 65

მხედრების ჯგუფი

B1 ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალი. კომპოზიციაში წარმოდგენილია ქალი, ჩვილი, სასმისი, ცხენი და ცხენზე მირჩილული სავარძელი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 872. H 11.5, L 9.5 (ტაბ. XIII, 2), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2010, 46-58; რ. პაპუაშვილი 2015, 15; 63, ტაბ. 23, 3

B2 ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალი. კომპოზიციაში წარმოდგენილია ქალი, ჩვილი, სასმისი, რომლის ქვედა ნაწილი დაზიანებულია, ცხენი და ცხენზე მირჩილული სავარძელი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 871. H 9, L 8 (ტაბ. XIII, 3), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2010, 46-58; რ. პაპუაშვილი 2015, 15; 63, ტაბ. 23, 2

B3 ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალი. ნივთი დაზიანებულია. მხედარს აკლია მარცხენა ხელის ნაწილი, მარჯვენა მთლიანად აქვს მოტეხილი. გამოსახული აქვს მკერდი. ფრაგმენტულად არის შემორჩენილი სავარძელიც. კომპოზიციაში შემორჩენილია ქალი, ცხენი და ცხენზე მირჩილული სავარძელი. მუხურჩის ქვედა დასაკრძალავი მოედანი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ინვ. 81-976:169. H 9, L 8.9 (ტაბ. XIII, 4), ძვ.წ. VIII-VII ს

ბიბლიოგრაფია: М. Гогадзе,..1977, 60-71, ტაბ. VII,3; VIII,2

B4 ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალი. ნივთი ძლიერ არის დაჟანგული. მხედარს აკლია ქვედა კიდურები. გამოსახული აქვს მკერდი. ცხოველს დაზიანებული აქვს დრუნჩი და წინა მარჯვენა კიდური. კომპოზიციაში წარმოდგენილია ქალი, ცხოველი და ცხოველზე მირჩილული სავარძელი. ცაიში, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი, ინვ. 873. H 6.6, L 6.7 (ტაბ. XIII, 5), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: რ. პაპუაშვილი 2010, 46-58; რ. პაპუაშვილი 2015, 15; 63, ტაბ. 23, 4

B5 ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ქალი. ნივთი დაზიანებულია. მხედარს აკლია მარცხენა ხელი და თავის ზედა ნაწილი. გამოსახული აქვს მკერდი. ცხოველს მოტეხილი აქვს დრუნჩი და მარცხენა კიდური. სრულად არ არის შემორჩენილი არც სავარძლის მარჯვენა მხარე. კომპოზიციაში წარმოდგენილია ქალი, ცხოველი და ცხოველზე მირჩილული სავარძელი. მახვილაურის კოლხური კოლექტიური სამარხი (ტაბ. XIII, 6), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარი
ბიბლიოგრაფია: ა. კახიძე, .. 2016, 32; ა. კახიძე, .. 2017, 85-87

B6 ცხოველზე გვერდულად მჯდომარე ქალი. ნივთი დაზიანებულია და ძლიერ არის დაჟანგული. ქალის მარჯვენა ხელი, ისევე, როგორც სავარძლის ნაწილი, შემორჩენილი არ არის. კომპოზიციაში წარმოდგენილია ქალი, ცხოველი და ცხოველზე მირჩილული სავარძელი. ერგეტა, მესამე სამაროვნის კოლხური კოლექტიური სამარხი N4. ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, ინვ. 08640. H 9, L 6.8 (ტაბ. XIV, 1), ძვ.წ. VII ს.

ბიბლიოგრაფია: T. Mikeladse 1995, 15, სურ. 57

B7 ცხენზე გვერდულად მჯდომარე ქალი. კომპოზიციაში წარმოდგენილია ქალი, ჩვილი, ცხენი და ცხენზე მირჩილული სავარძელი. კუნძული სამოსი, ჰერას ტაძრის საკურთხეველის არეალი. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ინვ. 437 (ტაბ. XIV, 2), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: U. Jantzen, 1972, 80-84; M. E. Voyatzis 1992, 259-274

B8 ცხენზე მჯდომარე მხედარი მამაკაცი. ნივთი დაზიანებულია, მხედარს მოტეხილი აქვს ორივე ხელი. ცხენს უკანა მარჯვენა კიდური. შემთხვევითი აღმოჩენა. ლეჩხუმი, ცაგერას განძი. ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ინვ.1. H 12.3, L 11.7 (ტაბ. XIV, 3), ძვ.წ. VIII-VII სს

ბიბლიოგრაფია: შ. ამირანაშვილი 1944, 42-44; ლ. სახაროვა 1976, 8

B9 ცხოველზე მჯდომარე მამაკაცი მხედარი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. შემთხვევითი აღმოჩენა, ზესტაფონი. სოფ. ალავერდი (ტაბ. XIV, 4), ძვ.წ. VII-VI სს

ბიბლიოგრაფია: ა. ნონეშვილი, ა. თავართქილაძე 2012, 61

ცხენის ფიგურები

C1 ცხენი. ნივთი გატეხილია რამოდენიმე ადგილას. ერგეტა. პირველი სამაროვნის კოლხური კოლექტიური სამარხი N5. დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი (ტაბ. XIV, 5), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: T. Mikeladse 1995, 6 სურ. 53

C2 ცხენი. ნივთი დაფარულია მწვანე პატინით. თვალის არეში დასმული აქვს ნაჭდევი. კეფიდან წელამდე დაუყვება წიბო, რომელიც ფაფრის იმიტაციას ქმნის. მუხურჩა, კოლხური კოლექტიური სამარხი N1. გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. 576. H 7, L 4 (ტაბ. XIV, 6), ძვ.წ. VIII-VII სს

ბიბლიოგრაფია: გ. ელიავა 1987, 30;37, ტაბ. 29

სხვადასხვა ცხოველთა ფიგურები

D1 ავაზა. ცხოველი დაღრენილია. სხეულის ფორმები სადა და დახვეწილია. სახეზე ნაჭდევებით აღნიშნულია თვალები. კუდი ბოლოვდება ერთ წყებად წარმოდგენილი ხვით. გამოსახული აქვს სასქესო ნიშნები. მუხურჩა, კოლხური კოლექტიური სამარხი N3. გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. 766. H 2.5 L 6.5 (ტაბ. XV,1), ძვ.წ. VIII-VII სს

ბიბლიოგრაფია: გ. ელიავა 1987, 51; 60, ტაბ. 44

D2 შველი. ცხოველი დაზიანებულია წელის არეში. უკანა მარცხენა კიდური მოტეხილი აქვს. ურეკი, კოლხური კოლექტიური სამარხი N3. ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი, ინვ. 5137. H 8.3, L 7.3 (ტაბ. XV,2),

ბიბლიოგრაფია: თ. მიქელაძე 1985, 60, ტაბ. XIII,18

D3 ცხოველი (გარეული ტახი?). გამოსახული აქვს სასქესო ნიშნები. მუხურჩა, კოლხური კოლექტიური სამარხი N2. გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. 642. H 3, L 9 (ტაბ. XV,3), ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე და VII საუკუნის პირველი ნახევარი

ბიბლიოგრაფია: გ. ელიავა 1987, 40; 50; ტაბ. 40

